

# სპორტი და ახალგაზრდობა

SPORT AND YOUTH



საქართველოს რაზმის კავშირის  
გენერალური სემონორი



**RMG**  
Gold

[www.richmetalsgroup.com](http://www.richmetalsgroup.com)





52



8



16



66



75



86



98



142



112



136

# სპორტი და ახალგაზრდობა 2012 SPORT & YOUTH

საქართველოს სპორტისა და  
ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს  
ყოველწლიური გამოცემა

MINISTRY OF SPORT AND YOUTH  
AFFAIRS OF GEORGIA  
ANNUAL EDITION

მთავარი რედაქტორი  
ელგუჯა ბერიშვილი

### საგამომცემლო ჯგუფი

ალექსანდრე მამისურაძე,  
ოთარ მაღლაკელიძე, გიორგი ჭანიშვილი,  
ავთანდილ გურასაშვილი, ლევან ჩხეიძე,  
თამარ ყულუმბეგაშვილი, ვახტანგ შატაიძე,  
ზაალ ანჯაფარიძე, გრიგოლ გურასაშვილი,  
ირმა კახურაშვილი, ანატოლი კორეპანოვი,  
ჯემალ კასრაძე, ხათუნა ჯანგირაშვილი,  
ცისანა ალავეიძე, ეკა კვიციანი,  
კახა ბერიძე

ბამოსაცემად მოამზადა  
საქართველოს სპორტულ  
ჟურნალისტთა ასოციაციამ

ჟურნალში გამოყენებულია  
ალექსანდრე კოტორაშვილის,  
თამარ ყულუმბეგაშვილის,  
ბადრი კეთილაძის, გიგა გურასაშვილის,  
გიორგი ჭანიშვილის, ავთანდილ  
გურასაშვილის, კახა ბერიძის,  
ვაჟა დანელიას ფოტოები.  
აგრეთვე ფოტოები  
„სპორტის ენციკლოპედიიდან“,  
საიტებიდან [www.sportphoto.ge](http://www.sportphoto.ge)

The edition is prepared for publishing by  
GEORGIAN SPORTS WRITERS ASSOCIATION

ISSN 1512-1208



**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ახალი მინისტრი ლევან ჩიქვაშვილი ახალი გეგმებისა და სტრატეგიის შესახებ გვიხატობა.**

# სპორტი აკეთილშობილებს და აერთიანებს აღაშიანებს...

— რამდენად მოულოდნელი იყო თქვენთვის მინისტრის პოსტის შეთავაზება და მზად თუ იყავით ასეთი პასუხისმგებლობისთვის?

— მინისტრად დანიშნა ჩემთვის ნამდვილად მოულოდნელი იყო, მაგრამ როდესაც შანსი მოგეცემა — შენს ქვეყანას გამოადგე, ასეთი გადანაცვლებები უნდა მიიღო და პასუხისმგებლობაც იკისრო. მეც დავთანხმდი ამ სასიამოვნო მოულოდნელობას. აქამდე თუ მხოლოდ ფეხბურთის მიმართულებით ვმუშაობდი, ახლა ყველა მიმართულებით არსებული პრობლემების ერთად თავმოყრა და მათი გადაწყვეტის გზების ძიება მიწევს. დღეს სპორტის ყველა სახეობაში სპორტსმენებისა და მწვრთნელების ნიჭიერებაზე ვართ დამოკიდებული, სისტემა არ არსებობს, აქედან გამომდინარე, ჩვენ ისეთი სისტემის შექმნას ვინწყებთ, რომელიც წლებს გაუძლებს და საქართველოში სპორტის სტაბილური განვითარების საფუძველი გახდება.

— უკვე განსაზღვრული გაქვთ პრიორიტეტები?

— ვფიქრობ, უპირველესად სისტემის დეცენტრალიზაცია და სპორტის დე-

პოლიტიზაცია უნდა მოხდეს. მართალია, ამ მხრივ, იდეალური ვარიანტისგან ჯერ შორს ვართ, მაგრამ ჩვენ უკვე გადავდგით პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით და ფედერაციებში არჩევნები შეჯიბრებითობის პრინციპით მიმდინარეობს. სამინისტრო იქნება გარანტი, რომ სპორტში პოლიტიკა აღარ ჩაერევა. თუ იქნება პრობლემები, ჩვენ მხოლოდ მედიატორის როლს შევასრულებთ, ამას ჩარევას ვერ ვუნდებთ, რადგან ყველა ნორმალურ სახელმწიფოში მიღებული ფორმაა, რომ ფედერაციებს შორის ურთიერთობებს სამინისტრო არეგულირებს.

— საკანონმდებლო ბაზაში ცვლილებებს თუ გეგმავთ?

— სპორტული კანონმდებლობის გამართვა ასევე ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იქნება, რადგან, როდესაც კანონი არეგულირებს, სისტემა გამართულად იწყებს ფუნქციონირებას. „საქართველოს კანონი სპორტის შესახებ“ 1996 წლიდან არ შეცვლილა. თავად კანონი ცუდი არ იყო, მაგრამ ქართულ რეალობაში არ მუშაობდა. ჩვენი მიზანია ისეთი კანონების შექმნა, რომლებიც იმუშავებს

და ურთიერთობებს დაარეგულირებს, ეს ყველაფერი კი საბოლოოდ შედეგებზე აისახება.

ამისათვის ჩვენ საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტთან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ. ჩემს ერთ-ერთ მოადგილეს — რატი ბრეგაძეს საპარლამენტო მდივნის ფუნქციაც აკისრია, იგი ახალგაზრდულ საქმეებსაც კურირებს. ახალგაზრდული მიმართულებითაც აქტიურად ვმუშაობთ. 2013 წლის გაზაფხულისთვის პარლამენტს დასამტკიცებლად ახალ კანონთა პაკეტს მივანვდით, როგორც ახალგაზრდული, ასევე სპორტის მიმართულებით.

ბევრი რამ არის დასახვენი და გასამართი, დროის დეფიციტი ნამდვილად გვაქვს, მაგრამ იმედი მაქვს ჩვენი შეკრული გუნდი პასუხისმგებლობას აიღებს და შედეგიც არ დააყოვნებს. ასევე მოხარული ვარ, რომ მოხდა სამინისტროში არსებული რესურსის გამოყენება, ახალი და ძველი კადრების უმტკივნეულო ინტეგრირება. ერთად გავიარეთ სანერვიულო მომენტები, ადამიანური განცდები, თუმცა ყოველი ჩვენი თანამშრომლის მონდომებით მალე გამოინახა საერთო ენა. შემძლია ამყად განვაცხადო, რომ ჩვენი სამინისტრო კოჰაბიტაციის საუკეთესო მაგალითია, თუმცა სამინისტროში რეორგანიზაციის პროცესი დღესაც გრძელდება — უნდა გაიმართოს მენეჯმენტი, ყველას თავისი ფუნქცია და საქმე უნდა ჰქონდეს.

— დაპირებას თუ შესრულებით და სპორტის აკადემიას თუ აღადგენთ?

— ესეც ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია. ადრე კადრების აღზრდის მისია საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიას ევალებოდა, რომელიც ერთადერთი სპეციალიზირებული უმაღლესი დაწესებულება იყო ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს სასწავლებელი დაარსებიდან 70 წელს ითვლიდა, იგი გაუქმებულ იქნა 2007 წელს და უკვე მეექვსე წელიწადია სპორტის სფერო რჩება პროფესიონალი კადრების გარეშე. სპორტის აკადემიის გაუქმება იყო ბოლო წერტილი სასპორტო განათლების სფეროში, რომელსაც წინ უძღოდა ასევე ერთადერთი პროფესიული სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების — ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კოლეჯის გაუქმება, ხოლო მანამდე საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში (ბათუმის, ქუთაისის, გორის და თელავის



პედაგოგიურ ინსტიტუტებში) შესაბამისი სპორტული ფაკულტეტების გაუქმება, რომ აღარაფერი ვთქვათ საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდის კათედრების გაუქმებაზე. მოხდა ისე, რომ ადამიანებმა საკუთარ ამბიციებს გადააყოლეს ეს ინსტიტუტი და დღეს ნულიდან გვინევს საქმის კეთება, რათა დროულად აღდგეს ინსტიტუტი და შესაბამისი სტატუსი მიენიჭოს. გვინდა 2013 წლის ზაფხულში სახელმწიფო უმაღლესმა სასპორტო სასწავლებელმა აკრედიტაცია გაიაროს, ამისთვის საკმაოდ შემჭიდროვებულ ვადებში გვინევს მუშაობა. სპორტს გრძელვადიანი დაგეგმვა სჭირდება და მყისიერი შედეგები მარტივად არ მიიღწევა.

**— ახალგაზრდული პოლიტიკისა და სპორტის მასობრიობის მიმართულებით სამინისტროს სიახლეები თუ ექნება?**

— მხოლოდ პროფესიონალური სპორტის განვითარება ნამდვილად არაფერს მოგვცემს, თუ სპორტის მასობრიობაზეც არ ვიზრუნეთ. ამ საქმეში ძალიან დიდია სახელმწიფოს როლი, რათა სპორტი ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს, სპორტში ჩართვა ყველა ასაკის, სქესის, რელიგიური, თუ პოლიტიკური ინტერესების ადამიანს უნდა შეეძლოს, ახალგაზრდობაც უფრო აქტიური უნდა იყოს. სამინისტრო კი შეეცდება ყველა ახალგაზრდულ პრობლემას შეეხოს: განათლების, ჯანმრთელი ცხოვრების წესის დანერგვა, საზოგადოებაში ინტეგრაცია, დანაშაულის პრევენცია, მანკიერ ჩვევებთან ბრძოლა. ეს არის კონკრეტული ამოცანები და ჩვენი ყველა ახალგაზრდული რესურსი ამ მიმართულებით უნდა იყოს გამოყენებული. ასევე განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იქნება ეთნიკური უმცირესობების, კონფლიქტურ ზონებში მცხოვრები ახალგაზრდების, იძულებით გადაადგილებულ პირთა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების მიმდინარე პროექტებში ჩართვა და მათი ხელშეწყობა.

**— განვლილი წლის ქვეყნის სპორტულ შედეგებს როგორ შეაფასებთ?**

— 2012 წლის შეფასებას რაც შეეხება, ყველაზე მნიშვნელოვანი ალბათ ოლიმპიურ თამაშებზე აღებული ერთი ოქროს მედალი იყო. ამ მედალს ყველა „დაუგეგმავ მედალს“ უწოდებს. მე ვიტყვოდი, რომ „დაუგეგმავი მედალი“ არ არსებობს და ლაშა შავდათუაშვილს მისი ღვაწლი და შრომა უნდა დაეუფასოთ, მაგრამ ზოგადად შე-

დეგით თავს ვერ მოვიწონებთ, საქართველომ უკანასკნელი ოლიმპიური თამაშების შემდეგ 12 საფეხურით უკან დაიხია, ვერ გადალახა კონკრეტული პოზიციები, ვერ გადადგა უკეთესობისკენ ნაბიჯი. ამიტომ მნიშვნელოვანი იქნება წინასწარ გაითვალისწინება შესაძლებლობები, განისაზღვროს სტრატეგია, რომ შემდეგში მოსალოდნელი შედეგები მივიღოთ.

სპორტში არსებული მდგომარეობა, ნამდვილად მძიმე და არასახარბიელოა. დღესდღეობით საქართველოს მასშტაბით პროფესიონალურ სპორტში ჩართულობა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით 5-ჯერ ნაკლებია. ეს მინიმუმის მინიმუმი და ჩვენი ხედვა იქითკენ იქნება მიმართული, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩავრთოთ, პირობები შევუქმნათ, ინფრასტრუქტურა გავაუმჯობესოთ. ამერიკულმა მოდელმა, სადაც ყველაფერი კერძოა და სპორტი თავს თავად ინახავს, ჩვენს რეალობაში არ გაამართლა. ჩვენ ევროპულ მოდელს ვემხრობით, სადაც კოოპერაცია და თანამშრომლობა სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის.

**— ზემოთ ჩამოთვლილი სიახლეების განსახორციელებლად 2013 წლის ბიუჯეტში ცვლილებები როგორ აისახება?**

— 2013 წლის ბიუჯეტის მხოლოდ ნაწილობრივი კორექტირება შეეძლებოდა, ძველ მიმართულებებსა და ახალ პრიორიტეტებს შორის წყვეტა რომ არ მომხდარიყო, მომავალი წელი გარდამავალ ეტაპად გამოვაცხადეთ. მომავალი წლის მარტიდან კი ზუსტად გაინერება ჩვენს პროექტებსა და პრიორიტეტებზე მორგებული ბიუჯეტი. როგორც ხედავთ, ბევრი გეგმა და სამუშაო გვაქვს, რაშიც დამდეგ წელს ჩვენი საზოგადოების თანადგომა და თანამონაწილეობა აუცილებლად დაგვჭირდება. მოახლოებულ დღეებსა და წლებში კი ვისურვებდი, რომ ყველა ოჯახში ერთი ადამიანი მაინც ყოფილიყო სპორტით დაკავებული, ეს კი გარანტი იქნება იმისა, რომ ერთი სპორტული და ახალგაზრდული შემართება გაიზრდება. სპორტი ხომ აკეთილშობილებს და აერთიანებს ადამიანებს, ჩვენ სპორტული საზოგადოება გავაერთიანოთ, რაც მთელი ქვეყნის გაერთიანების საწინდარი შეიძლება აღმოჩნდეს.

თამაზ თევზაძე, რატი ბრეგაძე, ლევან ყიფიანი და ზურაბ აზმაიფარაშვილი





## სპორტის აკადემია აღდგება

საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის გადამწყვეტილებით, სპორტის აკადემია აღდგება, სახელწოდებას შეიცვლის და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით იფუნქციონირებს. უნივერსიტეტი სხვადასხვა სპორტული კვალიფიკაციის სპეციალისტებს მოამზადებს და ზოგადად ქართული სპორტის სამომავლო განვითარებას მოემსახურება. აკადემიის აღდგენის საინიციატივო ჯგუფის მიერ მომზადდა მასშტაბური პროექტი, რომელიც აქტუალური განხილვის თემად იქცა მთავრობის სხდომებზე. პროექტის მიხედვით, აკადემიის სრული დატვირთვით აღდგენა 2013 წლის ზაფხულისთვის იგეგმება. ამ მიმართულებით სამინისტრო კონსულტაციებს უცხოელ ექსპერტებთანაც გადის, 2012 წლის მინურულს

თბილისს შოტლანდიელი სპორტის ექსპერტი — ჩარლი რებერნი ეწვია. რებერნი სასკოლო სპორტის ფედერაციის საერთაშორისო წარმომადგენელი და შოტლანდიის პარლამენტში ინტერპარტიული სპორტული ჯგუფის წევრია, რომელიც წლების მანძილზე შოტლანდიაში ფიზიკური კულტურის განვითარებას კურირებს. რებერნი სამომავლო თანამშრომლობასა და გამოცდილების გაზიარებაზე სასაუბროდ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ ლევან ყიფიანს შეხვდა. შეხვედრას დაესწრნენ ასევე შოტლანდიელი რიჩი დიქსონი - საქართველოს რაგბის კავშირის კონსულტანტი, მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე, სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი დოლაბერიძე და პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გურამ ძაგანია.

## ირბ-ის მაღალჩინოსნების ვიზიტი

ნოემბრის სარაგბო ტესტების დროს საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ რაგბის საერთაშორისო საბჭოს მაღალჩინოსნები — განვითარების კომიტეტის ხელმძღვანელი მარკ იგანი, რაგბის კომიტეტის თავმჯდომარე გრეჰემ მური და რიჩი დიქსონი, რომელიც საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახლდათ 2011 წლის რაგბის მსოფლიო თასზე, ამჯერად კი IRB-ს განვითარების



## კოკაი და გაგამარუ სამინისტროში

პირველმა ქართველმა პროფესიონალმა სუმოსტმა ლევან ცაგურიამ (კოკაი) კარიერა დაარულა და აქტიური სპორტიდან ნასვლის გადაწყვეტილება მიიღო. სუმოდან კოკაის ოფიციალური გაცვლების ცერემონიალი იაპონიაში ჩატარდა, მანამდე კი 2012 წლის მინურულს ვეტერანი ქართველი სუმოსტი საქართველოში დაბრუნდა და კიდევ ერთ პროფესიონალ სუმოსტ თეიმურაზ ჯუღელთან (გაგამარუ) ერთად, სპორტისა და ახალ-

გაზრდობის საქმეთა სამინისტროში გულშემატკვირებს შეხვდა.

შეხვედრას დაესწრნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე და სუმოს ფედერაციის პრეზიდენტი თენგიზ რუხაძე. შეხვედრა სუმოს გულშემატკვიართა კლუბის ხელმძღვანელის, ამირან ურუშაძის თაოსნობით გაიმართა. მინისტრმა სუმოსტებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა და საქართველოს საუკეთესო კუთხით წარმომჩინებისათვის მადლობა გადაუხადა.

ლევან ცაგურია პირველი ევროპელია, რომელმაც ძიურეს თანრიგს მიაღწია. მისი დებიუტი პროფესიულ ლიგაში 2001 წელს შედგა. „ყველას დიდ მადლობას გიხდით გულთბილი შეხვედრისთვის. ქომაგების მხარდაჭერას მთელი კარიერის მანძილზე ვგრძნობდი და ძალიან მიხარია, რომ ნელ-ნელა ჩემს სამშობლოშიც ბევრმა შეიყვარა სუმო. ბედნიერი ვარ, რომ საქართველო-იაპონიის ურთიერთობებში მცირე წვლილი მეც შევიტანე,“ — განაცხადა კოკაიმ.

ჯგუფის ხელმძღვანელი და კონსულტანტია. IRB-ს მაღალჩინოსნებმა რაგბის საქართველოს კავშირის პრეზიდენტ — გაი ნიჟარაძესთან ერთად 23 ნოემბერს ოფიციალური შეხვედრა გამართეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ ლევან ყიფიანთან. შეხვედრას ესწრებოდნენ მინისტრის მოადგილე, ვეტერანი მორაგბე გაი რაფაეა და სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე გიორგი ასათიანი. შეხვედრაზე მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავებაზე და ქართული რაგბის ახალ სტადიაზე გადასვლის პროცესში მნიშვნელოვანი სიახლეების დანერგვაზე ისაუბრეს. გადამწყდა, რომ ნოემბრის მინურულს IRB-ს კონგრესზე ქართული რაგბი ოფიციალურად კიდევ ერთი საფეხურით დაწინაურდება და ელიტარულ კალათაში აღზევდება, 2013 წლიდან კი საქართველოს ნაკრები ახალ საერთაშორისო ოთხთა ტურნირში ჩაებმევა. ამავე დღეს, შეხვედრა შედგა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან, სადაც სახელმწიფოს მხრიდან რაგბის მხარდაჭერის პროგრამა განიხილეს.





## ყიფიანი ფედერაციების თავკაცებს შეხვდა

2 ნოემბერს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სააქტო დარბაზში გაიმართა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის ლევან ყიფიანისა და ეროვნული სპორტული ფედერაციების წარმომადგენლების შეხვედრა. მინისტრი 70-მდე სპორტული ფედერაციის თავკაცებს სამინისტროს პრიორიტეტულ მიმართულებებზე და სამომავლო გეგმებზე ესუბრა, განსაკუთრებით გაუსვა ხაზი სპორტის დეპოლიტიზაციას და ფედერაციების ხელმძღვანელთა რიგგარეშე არჩევნების დემოკრატიულ გარემოში ჩატარების აუცილებლობას. ფედერაციების წარმომადგენლები მიესალმნენ მინისტრის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს და გამოთქვეს სურვილი სამომავლო თანამშრომლობის შესახებ.

## სტუმარი – რიჩარდ სალერი

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი სამინისტროში მსოფლიოში ცნობილი გერმანული სპორტული ეკიპირების მწარმოებელი ფირმის „სალერის“ პრეზიდენტს რიჩარდ სალერს შეხვდა. შეხვედრა გაცნობითი და მეგობრული ხასიათისა იყო. მხარეები სამომავლო თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ. „სალერი“ მსოფლიოში ცნობილი ეკიპირების მწარმოებელი ფირმაა და სპორტულ ინვენტარს — ბურთებს, ფორმებს, სპორტულ ფეხსაცმელებს და სხვადასხვა ატრიბუტიკას ამზადებს.



სპორტი ქვეყნის სოციალური პოლიტიკის მნიშვნელოვანი სფეროა. მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში სპორტი წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცების, თითოეული მოქალაქის სრულფასოვან პიროვნებად ფორმირების, პატრიოტული გრძნობების გაძლიერების, ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის გაზრდის თვალსაზრისით.

ქვეყნის ევროპული ორიენტაცია გულისხმობს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ დაახლოებას დასავლურ სამყაროსთან.

შესაბამისად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მოვლენათა თანმიმდევრობის წინასწარ განსაზღვრა, მათ შორის დადგენა იმისა, თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას ფიზიკური განათლებისა და სპორტის სფეროში ინტეგრაციული პროცესების სამართავად, ამ მიმართულებით გეგმაზომიერი და წარმატებული რეფორმის ჩასატარებლად.

საქართველოში ფიზიკური განათლებისა და სპორტის განვითარების კონცეფცია სწორედ ამ მიზანს ემსახურება და მოიცავს საქართველოში მასობრივი (სპორტი ყველასათვის), მაღალი მიღწევებისა და პროფესიული სპორტის განვითარების გრძელვადიანი პროგრამის ძირითად მიმართულებებს. კონცეფცია ითვალისწინებს ქვეყნის განვითარების სტრატეგიას, საერთაშორისო გამოცდილებასა და დღევანდელ რეალობას.

კონცეფციას საფუძვლად უდევს ქვეყნის კონსტიტუცია, საკანონმდებლო და წარმატილი აქტები, ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგიის კონცეპტუალური ასპექტები, ადამიანის უფლებათა და გაეროს დეკლარაციები, ევროპის სპორტის ქარტია და სპორტული ეთიკის კოდექსი.

მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ კონცეფციაში მოყვანილი მაგალითები

# ჩვენი მიზანი

წარმოადგენს სხვადასხვა შეხედულებებსა და მიდგომის სისტემას საქართველოში ფიზიკური განათლებისა და სპორტის როლზე, გრძელვადიანი პერსპექტივით ფუნქციონირებაზე. მასში ჩადებულია იდეა — საზოგადოების ყოველი წარმომადგენლის უნივერსალური ღირებულებების, მოთხოვნილებებისა და მოტივაციების უპირატესობის უზრუნველყოფა სპორტის განვითარებისთვის შესაბამისი პირობების შესაქმნელად.

ფიზიკური განათლებისა და სპორტის განვითარების კონცეფცია გამოცემულია ბროშურის სახით, კონცეფცია ასევე განთავსებულია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე — [www.msy.gov.ge](http://www.msy.gov.ge).


კონცეფციით დაინტერესებულ სპორტულ ფედერაციებსა და ასოციაციებს, ასევე ნებისმიერ მსურველს, ვისაც საკუთარი მოსაზრებები, ან შეთავაზებები თუ შენიშვნები გაუჩნდება კონცეფციის შინაარსთან დაკავშირებით, შეგიძლიათ თქვენი წინადადებები გამოაგზავნოთ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ელექტრონულ მისამართზე — [pr@msy.gov.ge](mailto:pr@msy.gov.ge) ან წერილობით მიმართოთ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს კანცელარიას.

ვფიქრობ, საქართველოში სპორტის სამომავლო განვითარებით დაინტერესებული საზოგადოება აქტიურად ჩაერთვება კონცეფციის განხილვის პროცესში, თქვენი საქმიანი შენიშვნები და წინადადებები კი დაგვეხმარება სრულფასოვანი საბოლოო დოკუმენტის მიღებაში.

**თამაზ თაყვაძე**

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე.







# ოლიმპიური ქრონიკა

## დღეები და ამბები

27 ივლისიდან 12 აგვისტოს ჩათვლით ლონდონმა 30-ე ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლა. ოლიმპიადაზე 35 ქართველი სპორტსმენი გამოვიდა. ჩვენმა ოლიმპიელებმა 1 ოქროს, 3 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს და საერთო გუნდურ ჩათვლაში 204 ქვეყანას შორის 39-ე ადგილი დაიკავეს. ჟურნალის ამ ბლოკში ოლიმპიადის მთავარ ამბებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოგიტყვებთ.

**22 ივლისი.** ოლიმპიადის დედაქალაქში გაემგზავრნენ ქართული დელეგაციის საორგანიზაციო ჯგუფის წარმომადგენლები და საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელთა ნაწილი.

**25 ივლისი.** ლონდონში გაემგზავრა საქართველოს ოლიმპიური გუნდის დიდი ჯგუფი.

**26 ივლისი.** ოლიმპიურ სოფელში გაიმართა სახელმწიფო დროშის აღმართვის ცერემონია. ოლიმპიური სოფლის მერი მიესალმა ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელს, ოლიმპიურ ჩემპიონ დავით გობეჯიშვილს და ქართველ სპორტსმენებს სამასსოვრო საჩუქრები გადასცა. საზეიმო ღონისძიებას ესწრებოდნენ სპორტსმენები, მწვრთნელები, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები.

**27 ივლისი.** ლონდონის ოლიმპიურ სტადიონზე საზეიმოდ და ოფიციალურად გაიხსნა ზაფხულის 30-ე ოლიმპიური თამაშები. გახსნის ცერემონიალი, რომელსაც 50 000-მდე მაყურებელი დაესწრო თითქმის 4

საათს გაგრძელდა და განსაკუთრებულად პომპეზური გამოდგა. შოუს დადგმაში მონაწილეობა მიიღო 10 ათასამდე მოხალისემ. დაახლოებით საათნახევრის განმავლობაში მიმდინარეობდა მასშტაბური წარმოდგენა, სადაც დიდი ბრიტანეთის ისტორია და ქვეყნის მიღწევები იყო წარმოდგენილი.

ამას მოჰყვა ოლიმპიადაში მონაწილე ქვეყნების დელეგაციების აღლუმი, რომელიც დაიწყო ოლიმპიური თამაშების ფუძემდებელი ქვეყნის — საბერძნეთის დელეგაციის სვლით. საქართველოს ოლიმპიური დელეგაცია გახსნის ცერემონიაზე 30-კაციანი შემადგენლობით წარსდგა. ქართველთა მედროშე იყო ოლიმპიური ჩემპიონი, ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი, ტყვიის მსროლელი ნინო სალუქვაძე.

იმავე დღეს ქართველთაგან ოლიმპიადაში პირველი ჩაება მშვილდოსანი ქრისტინე ესებუა, რომელმაც საკვალიფიკაციო რაუნდში 64 მონაწილეს შორის 34-ე ადგილი დაიკავა. ესებუამ 72 ისრიდან 15 მოარტყა ათიანში, 720 შესაძლო ქულიდან 642 დააგროვა და 1/32 ფინალში თავისი მეტოქე

გაარკვია — ჩილელი მსოფლიოს ჩემპიონი დენის ვან ლემონი, ვისთანაც 2011 წლის მსოფლიოს პირველობის ფინალი წააგო.

**28 ივლისი.** ძიუდოსტმა ბეთქილ შუკვანმა 1/32 ფინალში 3 წუთსა და 38 წამში იპონით დაამარცხა ავსტრალიელი ერნი დიკინსი და მეორე რაუნდში გავიდა, სადაც ფრანგ სოფიან მილუს 4.55 წუთის განმავლობაში იუკოთი უგებდა, თუმცა ბოლო წამებზე იპონით დაამარცხდა.

ველომრბოლმა გიორგი ნადირაძემ ლონდონის ქუჩებში და ქალაქის შემოგარენში გამართული საგზატყეცილო შეჯიბრების დისტანცია ვერ დაასრულა — 250 კილომეტრზე გამართულ ჯგუფურ რბოლაში დაახლოებით 100 კილომეტრი ძირითად ჯგუფში, პელოტონში მოახერხა ადგილის შენარჩუნება, მაგრამ შემდეგ თანდათან ჩამორჩა და 152 კილომეტრის გავლის შემდეგ ჩამოშორდა რბოლას. მოკრივე მერაბ თურქაძემ (56 კგ) ანონვის პროცედურა ვერ გაიარა და შეჯიბრებიდან მოიხსნა.

**29 ივლისი.** ეს დღე ოლიმპიადაზე ქართული გუნდისთვის ყველაზე წარმატებული





გამოდგა — ძიუდოსტი ლაშა შავდათუაშვილი (66 კგ) ოლიმპიური ჩემპიონი გახდა! ლაშამ 1/16 ფინალში 1 წუთსა და 39 წამში იპონით დაამარცხა ჩილელი ალესანდრო ზუნიგა, მეორე წრეში კი ფრანგ დავიდ ლაროშს დაუპირისპირდა. ძირითადად დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა, დამატებით სამწუთეულში კი ქართველმა იპონით იძალა. მეოთხედფინალში შავდათუაშვილი ბრიტანელ კოლინ ოუთსს შეხვდა და 2 წუთსა და 11 წამში ისიც იპონით გაისტუმრა. ნახევარფინალში იაპონელ მსოფლიოს ჩემპიონ მასაში ებინუმას გაეჯიბრა და წუთსა და 12 წამში დააიპონა. ქართველი ფალავანი ფინალში გამოცდილ უნგრელს მიკლოშ უნგვარს შეხვდა, დაძაბულ შეხვედრაში იუკოთი სძლია და ჯილდოდ ოლიმპიური ოქროს მედალი მიიღო.

ჩოგბურთელმა ანა ტატიშვილმა პირველ წრეში ნარმატებით დაასრულა წვი-

მის გამო რამდენჯერმე შეწყვეტილი შეხვედრა ლიტენშტეინელ სტეფანი ვოგტთან და მეორე რაუნდში გავიდა — 6:2, 6:0. საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ დაძლია ქართული დელეგაციის ყველაზე გამოცდილმა წევრმა, მეშვიდე ოლიმპიადის მონაწილე ნინო სალუქვაძემ. 10 მეტრზე პნევმატური პისტოლეტით სროლაში ნინომ 49 მონაწილეს შორის 33-ე ადგილი დაიკავა და 9 ქულა დააკლდა ფინალისკენ შორის მოსახვედრად.

ლონდონში ოფიციალურად გაიხსნა „ქართული სახლი“, რომელმაც ბინა ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ უბანში დაიდო. „ქართულ სახლში“ მასპინძლობას ნანა ალექსანდრია და რევაზ ჩომახიძე სწევენენ, დამთავალიერებლებს კი საშუალება ჰქონდათ გაეცნოთ ჩვენი ქვეყნის ისტორია, კულტურა, ტრადიციები. ამავე დღეს გაიმართა ოფიციალური მიღება — ოლიმპურ

ჩემპიონს ლაშა შავდათუაშვილს უმასპინძლეს და წარმატება მიულოცეს.

**30 ივლისი.** ძიუდოსტი ნუგზარ ტატალშვილი (73 კგ) პირველ წრეში სამხრეთკორეელ კი-ჩუნ ვანთან იუკოთი დამარცხდა და დაამთავრა შეჯიბრება. ანა ტატიშვილის და მაკა ჩახნაშვილის დუეტი პირველი რაუნდიდან გამოეთიშა ლონდონის ოლიმპიადის წყვილთა საჩოგბურთო ტურნირს. მათ დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს სლოვენელებს — კატარინა სრებოტინკსა და ანდრეა კლუპჩაკს. ქართველმა გოგონებმა პირველი სეტი მხოლოდ ტაიბრეიკში 6:7 დათმეს, მეორე სეტი დამაჯერებლად — 6:3 მოიგეს, ხოლო მესამეში 2:6 დამარცხდნენ.

**31 ივლისი.** ძიუდოსტმა ავთანდილ ჭრიკიშვილმა (81 კგ) გამარჯვებით დაიწყო ლონდონურ ტატამზე გამოსვლა. 20 წლის ქართველი შეჯიბრებაში 1/16-ფინალიდან ჩაება, ხორვატს, ტომისლავ მარიანოვიჩს



შეხვდა, ვაზარით მოუგო და მომდევნო წრეში ამერიკელ ტრევის სტივენსს დაუპირისპირდა, ვისთანაც ძირითად დროში თანაბრად იჭიდავა, დამატებითი კი იპონით წააგო.

საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის ყველაზე ახალგაზრდა წევრმა, მოცურავე ირაკლი ბოლქვაძემ კვალიფიკაციაში დაასრულა ოლიმპიადაზე გამოსვლა, მაგრამ პირადი რეკორდი გააუმჯობესა. ბოლქვაძე 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში 34 მონაწილეს შორის 28-ე ადგილზე გავიდა. მან დისტანცია 2 წუთსა და 15,89 წამში დაფარა.

მშვილდოსანმა ქრისტინე ესებუამ ლონდონის ოლიმპიადაზე ერთეულთა ტურნირში 1/16 ფინალში 2:6 წააგო სამხრეთკორეელ სუნ-ჯინ ლისთან და მედლისთვის ბრძოლას გამოეთიშა.

ოლიმპიადის საჩოგბურთო ტურნირს გამოეთიშა ანა ტატიშვილიც, რომელმაც 1/16 ფინალში რუს ნადეჟდა პეტროვასთან წააგო. შეხვედრა უიმბლდონის ერთ-ერთ კორტზე მიმდინარეობდა, წვიმის გამო რამდენიმე საათით გადაიდო და საღამოს დასრულდა. ტატიშვილმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია მაღალრეიტინგიან მოწინააღმდეგეს და პირველი სეტის 3:6 წაგების შემდეგ მეორეში დიდი ბრძოლა გაუმართა, ტაიბრეიკამდე მივიდა და იქ 7:5 აჯობა. გადამწყვეტი სეტის დასაწყისში ქართვე-

ლი რუსს თანაბრად ეთამაშებოდა, მაგრამ როცა ანგარიში 2:2 იყო, მოწინააღმდეგეს დაუთმო საკუთარი მოწოდება, შემდეგ 2:4 ჩამორჩა და საბოლოოდ, 2:6 დამარცხდა.

**1 აგვისტო.** ძიუდოსტმა ვარლამ ლიპარტელიანმა (90 კგ) დამაჯერებლად დაძლია პირველი წინააღმდეგობა — ვაზარით დაამარცხა ოლიმპიადაზე რეგიონალური კვოტით მოხვედრილი კამერუნელი დიუდონ დოლასემი და მეორე წრეში გავიდა, სადაც ვერაფერი მოუხერხა უსახელო და ყველასთვის უცნობ ავსტრალიელ მარკ ენტონის. ლიპარტელიანი აქტიურობდა და იუკო აიღო, თუმცა მერე საკუთარ ილეთზე წამოეგო და ვაზარზე დაეცა, დაჩინილ დროში კი მხოლოდ იუკოს გამოიჩინა და დამარცხდა.

ნინო სალუქვაძემ 25 მეტრზე სპორტული პისტოლეტით სროლაში ჯამში 581 ქულა დააგროვა და მხოლოდ ორი ქულა დააკლდა ფინალში ბრძოლის გასაგრძელებლად.

**2 აგვისტო.** ძიუდოსტმა ლევან ჟორჯოლიანმა (100 კგ) პირველი ეტაპი გაიარა და 1/16 ფინალში გავიდა. ქართველმა ძიუდოსტმა გაფრთხილებების წყალობით დაამარცხა რუმინელი დანიელ ბრატა, მეორე წრეში კი აზერბაიჯანელ ელმარ გასიმოვთან ასევე გაფრთხილებებით წააგო და ოლიმპიადას დაემშვიდობა.

**3 აგვისტო.** მძიმეწონოსან ძიუდოსტთა შეჯიბრების პირველივე წრეში ადამ ოქრუაშვილი გერმანელ ანდრეას ტოლცერთან უმანსოდ დამარცხდა. გერმანელმა ძიუდოსტმა ოქრუაშვილს გაფრთხილებებით ჯერ იუკო, შემდეგ ვაზარი აუღო, ბოლოს სულაც შებოჭვაზე დაიჭირა.

ფიცარნაგზე გავიდა ძალოსანი რაულ ცირეკიძე (85 კგ). მან ატაცში პირველ ცდაზე დამაჯერებლად დაძლია 162-კილოგრამიანი შტანგა, მაგრამ შემდეგ ერთბაშად 167 კილო დაუკვეთა და დარჩენილი ორივე ცდა გაუცუდდა. მეორე მოძრაობაში, აკვრაში ქართველმა ძალოსანმა პირველ ცდაზე 195-კილოგრამიანი სიმძიმე დაიმორჩილა, მეორე ცდაზე 200 კილო დაძლია და 202 კილო დაუკვეთა, მაგრამ ეს წონა ვეღარ დაიმორჩილა, ჯამური 362 კილოთი კი საბოლოოს მე-9 ადგილი დაიკავა.

**4 აგვისტო.** ლონდონში ჩავიდა საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები.

ქართველ მძლეოსანთა ოთხეულიდან ოლიმპიურ ტურნირში პირველი ჩაერთო სიგრძეზე მხტომელი ბოლესლავ სხირტლაძე, რომელმაც ვერ შეძლო ფინალში გასვლა. სხირტლაძეს საკვალიფიკაციო რაუნდში სამი ცდა ჰქონდა და მათგან საუკეთესო იყო 7.26 მეტრი, რაც 82 სმ-ით ნაკლებია მის პირად რეკორდზე. ამ შედე-







გით ქართველმა მძღლოსანმა 42 მონაწილეს შორის მხოლოდ 35-ე ადგილი დაიკავა და ცხადია, ფინალურ 12-ეულში ვერ მოხვდა.

ბატუტზე მსტომელმა ლუბა გოლოვინამ მეშვიდე ადგილი დაიკავა. 22 წლის სპორტსმენმა დამაჯერებლად დაძლია კვალიფიკაცია — 47.805 ქულით ფინალში შევიდა, სადაც მეორე ვარჯიშში 53.935 ქულა მიიღო. ჯამური 101.740 ქულით კი მე-7 ადგილს დასჯერდა.

**5 აგვისტო.** საქმეში ჩაერთვნენ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები. პირველი ეტაპი დამაჯერებლად დაძლია 21 წლის ზურაბ დათუნაშვილმა (74 კგ) — ორ სეტში 5:0, 2:0 დაამარცხა სამხრეთ კორეელი ჯინ-ჰეონ კიმი, რის შემდეგაც მერვედფინალში შეეჭიდა ამერიკელ ბენჯამინ პროვისორს და მასაც ორ სეტში აჯობა, მეოთხედფინალში კი აზერბაიჯანელ ერმინ აჰმადოვთან 3:0, 0:3, 0:4 დამარცხდა.

ლონდონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი და ქართველ ოლიმპიელთა ჯგუფი ლონდონის ქართულ ეკლესიაში — მაცხოვრის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში გამართულ საკვირაო წირვას დაესწრო. წირვა დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიის ეპარქიაში საქართველოს საპატრიარქოს ილუმენმა — მამა დოროთემ (ზაზა ბარბაქაძე) აღავლინა, რომელმაც ეკლესიაში შეკრებილ ლონდონში მცხოვრებ ქართველ მრევლთან ერთდ ახალგაზრდა

ოლიმპიური ჩემპიონიც დალოცა და სამომავლოდ კეთილდღეობა უსურვა.

**6 აგვისტო.** „ბერძენ-რომაელმა“ რევაზ ლაშხმა (60 კგ) ვერცხლის მედალი მოიპოვა. მან ორ სეტში ეგვიპტელ საიედ აბდელმონემ ჰამედის და რუს ზაურ კურამაგომედოვს აჯობა და ნახევარფინალში გავიდა, სადაც აზერბაიჯანელ ჰასან ალიევს 2:1 მოუგო. ფინალური ორთაბრძოლა კი ირანელ ომიდ ჰაჯი ნორუზისთან ორ სეტში 0:1, 0:1 დამარცხდა.

ამავე დღეს იჭიდავა კიდევ ორმა „ანტიკოსმა“ — ვლადიმერ გეგეშიძემ (84 კგ) სეტების ჯამში აზერბაიჯანელ აჰმან ტაჰმასების 2:1 სძლია, უკრაინელ ვასილი რაშიბას ასევე 2:1 მოუგო და ნახევარფინალში გავიდა, სადაც რუს ალან ხუგაევთან 1:2 დათმო. გეგეშიძემ წააგო ბრინჯაოს ფინალიც ყაზახ დანიელ გაჯიევთან (1:2). მძიმე ნონაში გურამ ფერსელიძემ ორ სეტში დაამარცხა ჩილეელი ანდრეს ვალენსუელა, შემდეგ კუბელ მიხაინ ლოპესთან ორ სეტში დამარცხდა და რეპეშაჟში გადაერთო, სადაც ეგვიპტელი აბდელრაჰმან ელტრაბილი დაამარცხა და ბრინჯაოს ფინალში თურქ რიზა კაიაალპზე გავიდა, ვისთანაც გადამწყვეტი შეხვედრა ორ სეტში დათმო.

ძალოსან გია მატავარიანს (105 კგ) ატაცში სამი ცდა დასჭირდა 185 კილოს დასამორჩილებლად, აკვრაში კი 220 კილო ორჯერ „გააფუჭა,“ მესამე ცდაზე კი 225



კილო შეუკვეთა და სიმძიმე ვერც ამჯერად დაძლია.

**7 აგვისტო.** მძღლოსანმა დავით ილარიანმა 110 მეტრზე თარჯრბენში კვალიფიკაცია ვერ გაიარა. 31 წლის სპორტსმენმა დისტანცია 13,90 წამში დაფარა.




ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ტურნირის ბოლო დღეს ოლიმპიურ სარბიელზე ორი ქართველი ფალავანი გამოვიდა — მანუჩარ ცხადაია (66 კგ) და სოსო ჯაბიძე (96 კგ). ჯაბიძემ მერვედფინალური ორთაბრძოლა ბულგარელ ელის გურისთან სეტების ჯამში 1:2 წააგო და ბრძოლას გამოეთიშა. ცხადაიამ კენჭისყრის წყალობით გამოტოვა საწყისი ეტაპი და შემდეგ მშვიდად დაძლია მერვედფინალი, სადაც შვეიცარიელ პასკალ შტრებელს ორ სეტში მოუგო. მას არ გასჭირვებია არც ეგვიპტელ აშრაფ ელგარაბლისთან — პარტერში კარგი ჭიდაობის წყალობით 2 სეტში დაჩაგრა და ნახევარფინალში გავიდა, იქ კი ვერაფერი მოუხერხა უნგრელ ტომას ლორინცს — ორ სეტში წააგო და ბრინჯაოს ფინალში ჭიდაობის უფლება მოიპოვა. მედლისთვის ბრძოლა მან ორ სეტში გერმანელ ფრენკ შტებლერს მოუგო და საქართველოს დელეგაციას რიგით მესამე მედალი მოუტანა.

სიგრძეზე მსტომელმა მაია გოგოლაძემ საკვალიფიკაციო ეტაპზე სამივე ცდა გააფუჭა და ოლიმპიადას დაემშვიდობა. 20











ნლის სპორტსმენი 32 კვალიფიკანტს შორის იყო და ფინალურ ეტაპზე გასასვლელად — 12 საუკეთესოს შორის მოსახვედრად მინიმუმ 6,40 მეტრზე უნდა გადამხტარიყო, თუმც სამივეჯერ ნიშნულზე მოუხვდა ფეხი და ჩათვლის გარეშე დარჩა.


ძალოსანი ირაკლი თურმანიძე (+105 კგ) ოლიმპიადაზე საკმაოდ კარგად გამოვიდა, თუმცა მედლის გარეშე დარჩა. 27 წლის სპორტსმენმა ორივე მოძრაობაში პირადი რეკორდი დაამყარა, ატაცში ჯერ 192, მერე 198, ბოლოს კი 201 კილოგრამი დაიმორჩილა, ხოლო აკვრაში ჯერ 225 კილოგრამი დაძლია, შემდეგ კი 232 კილოს აწევაც შეძლო, მაგრამ ძლიერ მოწინააღმდეგებთან ბრძოლაში მეხუთე ადგილზე გავიდა.

**10 აგვისტო.** საქმეში ჩაება ქართველთა მთავარი დამრტყმელი ძალა — თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები და ოლიმპიურ გუნდს მორიგი, ამჯერად, ვერცხლის მედალი მოუტანა. ფინალში გავიდა და იქ დასანანი მარცხი იწვინა ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა. მან საწყის წრეში 3 სეტში დაამარცხა ეგვიპტელი იბრაჰიმ აბდელჰაკიმ მოჰამედი. ასევე 3 სეტში ურთულესი შეხვედრა მოუგო ბულგარელ რადოსლავ მარინოვ ველიკოვს, მეოთხედფინალში კი ორ სეტში დაჯაბნა ინდოელი ამით კუმარი. ქართველი ფალავანი ნახევარფინალში დაუპირისპირდა იაპონელ შინიჩი იუმოტოს, ვისაც სამსეტიან ორთაბრძოლაში აჯობა და ფინალში გავიდა. ახალგაზრდა მოჭიდავემ გადამწყვეტი შეხვედრა რუს ჯამალ ოთარსულთანოვთან გამართა და დათმო 0:1, 3:3. ბოლო ქულა რუსის იყო და მოგებაც მას დარჩა.

დავით ხუციშვილმა (74 კგ) მონლოლ უნურბატ პურევჯავთან 2 სეტში იმარჯვა, ამას გვინეა-ბისაუს წარმომადგენელთან აუგუსტო მიდანასთან 3 სეტში გამარჯვება მიაყოლა, მერე კი საპაქროდ დაუდგა რუსთა ტიტულიან ფალავანს დენის ცარგუმს, ვისთანაც 0:4, 0:1 დამარცხდა. ნახევარფინალში ცარგუმის მოულოდნელმა მარცხმა ხუციშვილს რეპეშაჟის შანსიც წაართვა.

**11 აგვისტო.** სამი ქართველი ფალავანი ჩაება ბრძოლაში და ოლიმპიურ გუნდს 2 მედალი შემატა. მალხაზ ზარუამ (60 კგ) საწყის ეტაპზე ორ სეტში დაამარცხა ტიტულიანი უკრაინელი ვასილი ფიოდორიშინი და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც ამერიკელ კოლემან სკოტთან უშანსოდ ორ სეტში წააგო.

დავით მარსაგიშვილმა (84 კგ) შანსი არ დაუკავთა მონლოლ უიტუმენ ორგოდოლს — ორ სეტში იმარჯვა, შემდეგ მოულოდნელად დამარცხდა პუერტორიკოელ ხაიმე ესპინალთან და ბრინჯაოს გზას დაადგა. იქ



ზაზა თურმანიძე და დავით ხურცია

ჯერ ნიგერიელ დიკ ანდრეუ ორ სეტში, მერე კი ბრინჯაოს ფინალში ბელარუს სოსლან გაციევს 3:0, 3:1 აჯობა და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

უფრო შედეგიანი გამოსვლა ჰქონდა მძიმეწონოსან დავით მოძმანაშვილს, რომელმაც მექსიკელ რუის ფლორესს და ყაზახ დაულეთ შაბანბაევის ორ სეტში მოუგო. ნახევარფინალში კი რუსთა უხეტიტულა ფალავანს ბილიან მახოვს ურთულეს პაექრობაში ორი სეტის ჯამში აჯობა და ფინალში გავიდა, სადაც კიდევ უფრო გამოცდილ და ტიტულიან უზბეკ არტურ ტაიმაზოვთან 0:1, 0:1 წააგო და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

50 კილომეტრზე სპრინტერულ სიარულში პოლონელმა მასიჟე როსიევიჩმა, რომელიც საქართველოს სახელით გამოდიოდა, დისტანცია 4 საათში, 5 წუთსა და 20 წამში დაფარა და 63 მონაწილეს შორის 44-ე ადგილი დაიკავა.

**12 აგვისტო.** ოლიმპიადის ბოლო დღეს ქართულ ყულაბას მეშვიდე მედალი თავისუფალი სტილის მოჭიდავე გიორგი გოგშელიძემ (96 კგ) შესძინა. მანამდე ოთარ თუშიშვილმა (66 კგ) პირველივე შეხვედრა

დათმო უზბეკ იხტიორ ნავრუზოვთან და ბრძოლას გამოეთიშა. ვეტერანი მოჭიდავე სეტების ჯამში 0:2 დამარცხდა. გოგშელიძემ კი უბრძოლველად გაიარა მერვედფინალური ეტაპი — პირველი მეტოქე ეგვიპტელი სალემ ემარა ხალიჩაზე არ გამოუცხადდა. გიორგიმ იოლად იმარჯვა მეოთხედფინალშიც, სადაც მოლოდინულ ნიკოლაი ჩებანს ორ სეტში მოუგო. თუმცა შემდეგ მოულოდნელად დამარცხდა ამერიკელ ჯეკობ უორნერთან და ბრინჯაოს ფინალში გადაერთო. იქ 2:1 სძლია უზბეკ კურბან კურბანოვს და ბრინჯაო დაისაკუთრა.

ამ დღეს რამდენიმესაათიანი ცერემონიის, ბრიტანული პოპმუსიკის კონცერტის შემდეგ დასრულდა ზაფხულის 30-ე ოლიმპიური თამაშები. დახურვის ცერემონიაზე ქართულ დელეგაციას ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი მიუძღოდა.

**13 აგვისტო.** ლონდონიდან თბილისში ჩამოფრინდა საქართველოს ოლიმპიური ნაკრები. ქართველ ოლიმპიელებს აეროპორტში ახლობლები და გულშემმატკივრები დროშებით და ოვაციებით დახვდნენ.

ალექსანდრა მაისურაძე





# ოქროს სრულყოფილება

ახლენილი ნაბჰრა: ოქროს სიურპრიზი





ლონდონი. 28 ივლისი. საგამოფენო ცენტრი „ექსელი“. ძიუდოსიტა ტურნირი რამდენიმე საათის დაწყებულა, მაგრამ დარბაზში მყოფ 50-მდე ქართველთაგან ტატამისკენ გახედვა აღარავის ეხალისება. დაახლოებით ნახევარი საათია, ბეთქელ შუკვანმა შეხვედრა დასაწყისად წააგო და მედლისთვის ბრძოლის რეალური შანსი დაკარგა. დღის განრიგს ჩავკირკიტებ. იქნებ სხვა ქართველი სპორტსმენის ოლიმპიურ გამოსვლასაც მივუსწრო. გადანწყვიტილებაც მივიღე და ფოიეში გამოვედი. დარბაზიდან გუგუნის ხმა გამოვარდა, გულმა არ მომიტმინა და ისევ შევბრუნდი. სომეხი ჰოვანეს დავითანი აზერბაიჯანელ ილგარ მუშკიევს ხვდებოდა.

პრესლოუსკენ აღარ წავსულვარ. იქვე, გულშემატკივრების ტრიბუნას მივაშურე და... საქართველოს ნაკრების მწვრთნელ გიორგი ვაზაგაშვილისა და ჯერ კიდევ უტიტულო ლამა შევდათუაშვილის გვერდით აღმოვჩნდი. ლამას მეორე დღეს უნდა ეჭიდავა და გადაწყვიტე, ცოტა ხასიათზე მომეყვანა: ჯერ არავინ გიცნობს, შენგან დიდ წარმატებას არავინ ელოდება და ზუსტად ამით უნდა ისარგებლო, ოლიმპიადა ყველაზე არაპროგნოზირებადი შეჯიბრებაა-მეთქი. მორცხვად ჩაიღიმა — რაც შემეძლება... ვაზაგაშვილი შემობრუნდა — სხვების არ ვიცი და პირადად მე მაგარ დღეს ველოდებიო. მერე ლამას უთხრა: „დამიჯერე, ოლიმპიადა გაცილებით ადვილი მოსაგებია, ვიდრე პარიზის საერთაშორისო ტურნირი. მთავარია, ფსიქოლოგიურად იყო მზად, დანარჩენი ყველაფერი გამოგივა“. მო-

მაკლამ ჩემპიონმა მწვრთნელსაც მშვიდად დაუგდო ყური და რამაც ყველაზე მეტად გამოცა, აბსოლუტურად მშვიდად უპასუხა — სანერვიულო რა მაქვსო...

ამას ალაღად რომ ამბობდა, მხოლოდ მეორე დღეს, 29 ივლისს დავრწმუნდი — ლონდონურ ტატამზე გასულ 20 წლის კარალებელ ვაჟკაცს არც პატარა ასაკი ეტყობოდა და არც გამოცდილების ნაკლებობა. არადა, ზურგს უფროსებს შორის ჭიდაობის სულ რაღაც რვათვიანი გამოცდილება უმაგრებდა. ყველაზე დიდი სიურპრიზი ის შემართება იყო, რომელიც შევდათუაშვილის ჭიდაობისას აშკარად იგრძნობოდა. მსგავსი „ცივისსახლიანობით“ ბევრი უხვტიტულა ფალავანიც ვერ დაიკვებინს. ქართველი ახალგაზრდა ტატამზე პირველიდან ბოლო წამამდე ისე აკეთებდა თავის საქმეს, ნერვიც არ ატოკებია.

საჩემპიონო გზას ლამა ჩილეელი ალესანდრო ზუნიგას ძლევიტ შეუყვია. მეტოქეს თავიდანვე მძლავრად შეუტია და ორი შიდოთი მიღებული იუკოს უპირატესობით დანინაურდა, მეორე წუთის მიწურულს კი წმინდა გდებით მოამთავრა საქმე.

გავიფიქრე, ჩილელთან ჭიდაობა დასკვნის გამოსატანად საკმარისი მაინც არაა-მეთქი, მაგრამ როცა გაცილებით ძლიერი ძიუდოსიტი — ფრანგი დავიდ ლაროში დამატებით დროში დააიპონა, მაშინ კი დავიჯერე, რომ ფსიქოლოგიურად მართლა მზად იყო. წინ კიდევ უფრო დიდი ზენოლა ელოდა — მეოთხედფინალში ინგლისელ კოლინ ოუტსს დაუპირისპირდა და მეტოქეს და აგუ-

გუნებულ დარბაზს ერთად აჯობა, თან ისევ ნერვების ბრძოლაში — დამატებით დროში. ქართველმა ძიუდოსიტმა მეტოქე შებოჭვაზე დაიჭირა და წმინდად მოიგო.

ნახევარფინალში შევდათუაშვილი მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს, იაპონელ მასაში ებინუმას უნდა დასჭიდებოდა. იქამდე ნახევარსაათიანი შესვენება გამოცხადდა და ისევ იმ ტრიბუნას მივაშურე, სადაც წინა დღეს ვაზაგაშვილს და შევდათუაშვილს ველაპარაკე. მწვრთნელი იმავე ადგილიდან ადევნებდა თვალყურს შეგირდის ჭიდაობას, გვერდით კი უკვე ნუგზარ ტატალაშვილი ეჯდა, რომელიც საქმეში მეორე დღეს უნდა ჩართულიყო. ვაზაგაშვილი ემოციებს ვერ მალავდა — ხომ გითხარი გუშინ, ლამასი მჯერა-მეთქი.

ამ დროს, თბილისიდან მეუღლემ დაურეკა. აღმოჩნდა, რომ საქართველოს ტელევიზიას ქართველი ძიუდოსიტის არც ერთი შეხვედრა არ უჩვენებია. გიორგიმ დანვრილებით მოუყვა, რაც ხდებოდა და დამშვიდობებისას სთხოვა, სანთელი დაანთო.

ბრიტანელებზე არანაკლებად ხმაურობდნენ იაპონელები, რომელთა სიმრავლემ და მხურვალე გულშემატკივრობამაც ერთხელ უკვე გამოიღო შედეგი — მეოთხედფინალში მათი ფალავანი, ებინუმა სამხრეთკორეელ იუნ-ჰო ჩოს შეხვდა და ჰანტიტით 1:2 წააგო. გულშემატკივრების პროტესტმა სწრაფადვე გაჭრა. მსაჯებს მთავარ სამსაჯო მაგიდასთან უხმეს, მითითება მისცეს და განმეორებითი ჰანტი დაინიშნა, რომელიც იაპონელმა უკვე 3:0 მოიგო.



შავდათუაშვილი — ებინუმას შეხვედრისას, ლონდონში საგანგებოდ ჩაყვანილი ქართველი ჯარისკაცების ხმაშეწყობილ გულშემატიკეობას ყველა სექტორში პატარ-პატარა ჯგუფებად მსხდომი იაპონელების ყვირილი ამკარად ფარავდა. ცხადია, ფსიქოლოგიური უპირატესობა ამ მხრივ ებინუმას მხარეს იყო, მაგრამ შავდათუაშვილს ეს წნეხი ოდნავად არ ანალვლებდა. ჩვეულად, თავდაჯერებულად მიუყვებოდა ოქროს გზას.

მსოფლიოს ჩემპიონთან ჭიდაობისას, ბერისთვის მოულოდნელად, გახსნილი, შემტევი სტილი აირჩია, რითაც მოწინააღმდეგე გვარიანად დააბნია. აგრესიული შეტევა, ცხადია, გარკვეულ რისკთანაც იყო დაკავშირებული, მაგრამ ქართველი ახალგაზრდა თითოეულ მოძრაობას აკონტროლებდა, ებინუმა მუდმივად პრესინგში ჰყავდა და ერთი მცირე შანსიც არ მიუცია. მომგებიანი წმინდა გდებით კი ლაშამ ქართული ჭიდაობაც გააბრწყინა — ტიტულიანი მეტოქე ჩანოლილი უკუგდებით დასცა ბეჭებზე.

ცოტა ხანში მეორე ფინალისტიც გამოვლინდა — უნგრელი მიკლოშ უნგვარი, ევროპის 3-გზის ჩემპიონი. ცნობისთვის, 2002 წელს, მაშინ, როცა უნგვარი ევროპის ჩემპიონი პირველად გახდა, ლაშა შავდათუაშვილი 9 წლის იყო.

„მთავარია, პარტერში არ გამოიგონოს რამე, თორემ სხვანაირად უნგვარი ლაშას მომგები არაა,“ — მითხრა პრესლოჟის გვერდით, ტრიბუნაზე მჯდომმა ლევან ჟორჟოლიანმა. ნაკრების სხვა წევრებმა ფრთხილი შეხვედრა და ლაშას ქულებით მოგება იზინას-წარმეტყველეს.

ათიოდ წუთში ქართველებზე ბედნიერი „ექსელის“ დარბაზში არავინ იყო. შავდათუაშვილმა ოლიმპიური ჩემპიონობა შეხვედრის დასაწყისში აღებული იუკოთი მოიპოვა.

ქართველი ძიუდოისტი 66 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის მონაწილეებს შორის ყველაზე ახალგაზრდა იყო. სწორედ ასე წარადგინეს 20 წლის ქართველი ჩემპიონი ფინალისშემდგომ პრესკონფერენციაზე.

— თაყიდანვე უმაღლეს შედეგზე ფიქრობდით?

— რა თქმა უნდა, აქ მხოლოდ წარმატებისთვის ჩამოვედი. ჯერ კიდევ ტატამზე გასვლამდე ვიცოდი, ვისაც არ უნდა შეხვედროდი, ნებისმიერ მეტოქესთან მოსაგებად ვიბრძოლებდი.

— დიდ ძიუდოში საკმაოდ სწრაფად შემოიჭერთ. როგორ მოახერხეთ ეს?

— შარშან ახალგაზრდებში გავხედი მსოფლიოს ჩემპიონი და შარშანვე, ნოემბერში გადავედი უფროსებში. მოვხვდი ისეთ ადგილას, საიდანაც აღმასვლისთვის ყველა პირობა მომეცა. ძლიერი შემადგენლობის გვერდით არაერთი უმაღლესი დონის საერთაშორისო შეკრება გავიარე. მთელი ამ ციკლით ისეთი კმაყოფილი დავრჩი, წარმატება ლოგიკურიც იყო.

— რას ნიშნავს თქვენთვის ეს ოქრო?

— უდიდეს სიხარულს, რომელსაც, ალბათ უფრო უკეთესად დღეების შემდეგ შევიგრძნობ. ჯერ ცოტა დაბნეული ვარ.







— როდესაც მიკლოშ უნგვარი პირველად გახდა ევროპის ჩემპიონი, 9 წლის იყავით. დღეს მას ფინალში მოუგეთ. ასევე დაამარცხეთ რამდენიმე გამოცდილი მეტოქე. რის ხარჯზე მოახერხეთ ეს ყველაფერი?

— პირველ ყოვლისა, კარგი მომზადების ხარჯზე. სწორედ ამ ვარჯიშებმა მომიყვანა დღევანდელ შედეგამდე. შეგნებული მქონდა, რომ ბოლომდე უნდა მებრძოლა და მიზანსაც მივალნიე. თუმცა, აქვე ვიტყვი, უფროსების ტურნირებში ისე უცებ ჩავერთე, ერთხანს არც კი მჯეროდა, რომ ლონდონის ლიცენზიას მოვიპოვებდი.

— ვის უძღვნით ამ გამარჯვებას?

— ყველა გულშემატკივარს და რა თქმა უნდა, ჩემს თანაგუნდელებს. პირველ ყოვლისა იმათ, ვინც ტატამზე ამ დღეებში უნდა გავიდნენ. ძალიან მინდა, რომ მათთვის ჩემი ოქრო უდიდესი სტიმული გახდეს.

ოლიმპიური ოქროს მოპოვებიდან ორიოდ საათში ლაშა შავდათუაშვილი, ქართული დელეგაციის წევრები და ბრიტანეთში მცხოვრები ქართველები ლონდონში ქართული სახლის გახსნაზე შეიკრიბნენ. მედალს თითქმის ყველა სტუმარი შეეხო. ჩემპიონთანაც ყველამ გადაიღო ფოტო. რამდენიმე ქართველი ჟურნალისტი კი, უმაღლეს ოლიმპიურ ჯილდოს ჯერ კიდევ დილით მივეყურეთ, წინასწარი შეხვედრების დაწყებისას.

პრესლოუსის გვერდით ბრაზილიელები მოკალათდნენ. მათ შორის სარა მენეზეშიც იყო — ძიუდოსტი ქალბატონი, რომელმაც წინა დღეს 48 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. ოქროს მედალიც თან ჰქონდა და ფოტოს გადაღებაზე ლიმილით დაგვთანხმდა. შენი წყალი გადმოგვსხმოდესო — ჩაილაპარაკა სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა გუჯა ბერიშვილმა. ასე ავიხდეთ ყველა ნატვრა.

ოთარ მაგლაკელიძე

THE GEORGIAN 20-year old judoka Lasha Shavdatuashvili had only eight-month experience of wrestling in the adult group when appeared on the tatami at the London Olympic Games on July 29, 2012. Nevertheless, the Georgian newcomer fought like a lion at the Olympics from the very first contest to the very last. He did his job successfully like a man with iron nerves.

Lasha started his way to the gold Olympic medal by beating Alejandro Zuniga (Chile). He attacked the contender vigorously from the very beginning and soon advanced by Yuko point, which he gained thanks to the

over his young Georgian contender. But this psychological pressure did not derail Shavdatuashvili from his confident movement to the Olympic gold. Lasha unexpectedly chose an open and aggressive style of attack and thereby confused his contender. That was a risk-bearing tactics but the Georgian judoka was controlling each of his moves during the whole wrestling. He was keeping Ebinuma under permanent pressing without giving him even a single chance to win. Lasha won over Ebinuma who was considered one of the favorites of Olympics. He beat the contender by Ippon by using the

## GOLDEN DREAM COMES TRUE



two warnings (Shido) given to his contender. Lasha finally beat the contender with Ippon on the second minute of the duel. In the second round, Shavdatuashvili beat by Ippon a much stronger contender David Larosh of France in the overtime. In the quarterfinal Lasha defeated by Ippon Colin Outs of the host British team. That duel was a war of nerves as well and only overtime revealed the winner.

The acting world champion Masashi Ebinuma (Japan) was Shavdatuashvili's challenger in semifinal. The vociferous Japanese fans overcrowded tribunes and their overwhelming majority was evident. They voiced out the Georgian soldiers who were specially sent to London to support Georgian sportsmen. From this point of view, Ebinuma enjoyed a psychological advantage

method of flog from the fund of Georgian national wrestling.

The second finalist and Lasha's challenger was determined soon and he was Miklos Ungvari of Hungary, three-fold champion of Europe. When Miklos Ungvari first became champion of Europe in 2002, Shavdatuashvili was just 9 years old.

Georgian judoka wrestled against the experienced contender with a customary courage. He won Yuko at the very beginning and kept this advantage up to the very end of the duel, which made him an Olympic champion. Lasha Shavdatuashvili was the youngest among the Olympic entrants in the 66kg. weight category.

OTAR MAGLAKELIDZE

# ნართიეული ოქროს პერიოდი

საგამოფენო ცენტრ „ექსელის“ საჭიდაო დარბაზში გაშლილი ხალიჩები 10 აგვისტოდან სამი დღით თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს დაეთმოთ. ოლიმპიადაზე აკრედიტებული ქართველი ჟურნალისტები ლამის პირველები მივადექით პრესლოჟას და სასურველი ადგილებიც დავიკავეთ — იმ ტრიბუნის მეზობლად დავსხედით, სადაც ქართული სპორტული დელეგაციის წევრები იკრიბებოდნენ ხოლმე. რა დასამალია, ყველაზე მეტად სწორედ ზაზა თურმანიძის შვიდეულის გვეიმედებოდა და რამდენიმე მედლის აღება-შიც კი დარწმუნებულები ვიყავით.

ერთ-ერთი პირველი საქმეში ვლადიმერ ხინჩეგაშვილი უნდა ჩართულიყო, 21 წლის მოჭიდავე, რომელიც ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში საბუქმეკერო კანტორების მიერ ოლიმპიური ჩემპიონობის ერთ-ერთ უმთავრეს კანდიდატად სახელდებოდა, რუსეთის ნაკრების ტიტულიან წევრთან — ჯამალ ოთარსულთანოვთან ერთად.

ნილისყრამ ორი ფავორიტი სატურნირო ბადის საპირისპირო მხარეებზე მოახვედრა და ყველანი ნანატრი ფინალის მოლოდინში ვიყავით. იქ კი ქართველ მსუბუქწონოსანს ოთარსულთანოვთან ვეროპის 2011 წლის ჩემპიონატის უსამართლოდ წაგებული ფინალის გამოც ჰქონდა ანგარიში გასასწორებელი.

წინასწარი შეხვედრები ლოგიკურად წარიმართა. ხინჩეგაშვილმა სატიტულო შეხვედრამდე გზიდან ჩამოიცილა ეგვიპტელი იბრაჰიმ აბდელჰაკიმ მოჰამედი, გამოცდილი ბულგარელი რადოსლავ მარინოვ ველიკოვი,

18 წლის ინდოელი ამით კუმარი და აზიის ჩემპიონი, იაპონელი შინიჩი იუმოტო. ოთარსულთანოვიც უპრობლემოდ მივიდა ფინალამდე — ყველა მეტოქეს პერიოდდაუკარგავად გაუსწორდა.

ნანატრი ფინალის პირველი ორწუთეული ისე გაილია, ვერც ერთმა მოჭიდავემ ვერ შეძლო ქულის აღება. საქმე ტომარიდან ბურთულის ამოღებაზე მიდგა. მსაჯმა ტომარიდან რუსთათვის სასურველი ფერი ამოაძვრინა და ჯამალ ოთარსულთანოვმა ძღვენი, რაღა თქმა უნდა, შეირგო — ფეხში შესვლა ქულიანი ილეთით დაასრულა.

მეორე, გადამწყვეტ პერიოდში ხინჩეგაშვილმა თავიდანვე დაკარგა ქულა — ნამიერად მოდუნდა და რუსი თავისუფლად შეუშვა ფეხში. ჩამორჩენა მალევე გაქვითა, როცა უკვე თავად შეასრულა ზუსტი შესვლა და ილეთი ქულით დაასრულა. მეორე მცდელობისას 3:2 დანინაურდა, მაგრამ საფინალო სირენამდე თხუთმეტოდე წამით ადრე მიუტევებელი შეცდომა დაუშვა — შეტევის მოგერიებისას საჭიდაო წრიდან გავიდა.

ფრე ხელს ოთარსულთანოვს აძლევდა. ახალგაზრდა ქართველმა უკანასკნელად გაიბრძოლა და ფეხში მორიგი ვარდნით მოწინააღმდეგე ილეთზე გადაადგმო. აშკარა იყო, ოლიმპიური ჩემპიონის ბედი მესამე პერიოდს უნდა გამოეველინა, მაგრამ მსაჯმა ბოლო გდება აბსოლუტურად უმიზეზოდ გააუქმა და გამარჯვებულად ოთარსულთანოვი გამოაცხადა.

ქართველი მწვრთნელების პროტესტის განსახილველად მსაჯმა მაგიდამ სულ რაღაც ნახევარი წუთი იკმარა და „უსაფუძვლო პრე-





ტენზიისთვის“ რუს მოჭიდავეს კიდევ ერთი ქულა წაუმატა.

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი კომენტარისთვის გამოყოფილ ზონაში დაჯილდოვების ცერემონიის შემდეგ გამოჩნდა. დალონებული და იმედგაცრუებული იყო, მაგრამ ორიოდ შეკითხვაზე პასუხის გაცემას მაინც დათანხმდა.

— ჩემი ბრალია. სხვას ამ წაგებას ვერავის დავაბრალებ. ასეთი შანსი გავუშვი ხელიდან და ძალიან მწყდება გული.


— **კონკრეტულად რაში იდანაშაულებ თავს?**

— ჯობდა, ცოტა თამამად შემეგია. ოლიმპიადა და ვფიქრობდი, რისკი ძვირად არ დამჯდომოდა. ზედმეტად ფრთხილად ვმოქმედებდი.

— **მსაჯობაზე რას იტყვი?**

— ვერაფერს. იქამდე საქმე არ უნდა მიმეყვანა.

ხინჩეგაშვილი-ოთარსულთანოვის დაპირისპირების მსაჯები რომ არაობიექტურად მოიქცნენ, მეორე დღეს ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ ოფიციალურად დაადასტურა და სანქციაც გამოაქვეყნა: 55 კილოგრამი წონითი



კატეგორიის ფინალური შეხვედრის სამი მსაჯი: ფინელი პერტი ვეჰვილაინენი, ყაზახი ბახიჯან იახიკულოვი და უზბეკი ტოხირ გულამოვი ლონდონის ოლიმპიურ ხალიჩას ჩამოაშორა. ცოტა ხანში კი გაირკვა, რომ ჩამოთვლილ სამ მსაჯთან ერთად ანალოგიური სასჯელი იმ მსაჯთა მაგიდის, ვგრეთ წოდებული ყოფრის წევრებსაც დაეკისრათ, რომლებმაც ვიდეოჩანანერის ნახვის შემდეგ არასწორი გადაწყვეტილება ძალაში დატოვეს.

დამნაშავეები დაისაჯნენ, მაგრამ ამით ქართველებისთვის არც არაფერი შეცვლილა.

**ოთარ მაგლაკელიძე**



## THE STOLEN FINAL

ON AUGUST 10, the rugs in the wrestling hall of the exhibition center “Excel” at the London Olympics were given to freestyle wrestlers for three days. The Georgian journalists accredited to the London Olympic Games were among the very first visitors to the press-lodge and occupied the desired places. We took seats near the tribune where the Georgian sport delegation members were usually gathering. We reasonably pinned big hopes on the seven-strong team of freestyle wrestlers coached by Zaza Turmanidze. We were sure that the Georgian team was able to win several medals.

Vladimer Khinchegashvili was one of the first in the team who engaged in the contest. Despite the young age, bookmakers considered the 21-year old Georgian wrestler one of the most probable Olympic champion in the 55kg weight group along with the titled member of the Russian national team Jamal Otarsultanov.

The draw slotted the two favorites in the separate groups of the contest and everybody was waiting for the final duel between them. The Georgian wrestler wanted to gain revenge for the unjustly lost final duel against Otarsultanov at the 2011 European championship.

The first contests of the Georgian wrestler ended with logical victories. Before reaching the final Khinchegashvili beat Ibrahim Abdelhakim Mohamed (Egypt), Radoslav Marinov-Velikov (Bulgaria), 18-year-old Amit Kumar (India) and Shinichi Yumoto (Japan). Otarsultanov also reached the final without any problem.

Neither Khinchegashvili nor Otarsultanov could score a point during the first set of the final duel and it came to drawing lots. The lot was favorable to the Russian by giving him the

right to make the move first. Otarsultanov took advantage and scored a point by the trick.

In the second and decisive set Khinchegashvili lost a point at the very beginning. He relaxed for a second and that was enough for the Russian to make a point-winning trick. Khinchegashvili equalized the score soon by counter trick and then advanced 3:2 by winning additional point. However, just fifteen seconds before siren he made an unforgivable mistake – stepped out of the wrestling circle during repulsing the contender’s attack.

Draw played into the hands of Otarsultanov and knowing that Khinchegashvili managed to win a point by the trick at the last minute of the set. Therefore, the third and concluding set had to reveal Olympic champion. However, referee unreasonably annulled Khinchegashvili’s trick and announced Otarsultanov winner.

Next day FILA officially acknowledged partiality of the referees during the Khinchegashvili-Otarsultanov duel and sanctioned them. Three referees serving the final in the 55 kg weight category - Perti Vehvilainen (Finland), Bakhijan Yahikulov (Kazakhstan) and Tokhir Gulamov (Uzbekistan) were stripped of the right to judge the following matches at the London Olympic Games. Shortly after this decision, FILA penalized members of the jury at the table who let the referees’ unfair decision stand despite watching the video record of the duel. The punishment of delinquents, however, did not change anything for the Georgian delegation, which was unfairly deprived of a golden Olympic medal.

**OTAR MAGLAKELIDZE**





## დავით მოძვანაშვილი: არადა, შეიძლება


ქალთან ძლიერი ბიჭია. მშვენიერ ფორმაშია და ოლიმპიურ ოქროს ალაღად იმსახურებს, — ეს მოკლე კომენტარი სეულის 1988 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს, დავით გობეჯიშვილს ეკუთვნის. ეს კი ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ზაზა თურმანიძის სიტყვებია: „რა უნდა ვთქვა, ბრწყინვალედ ჭიდაობს და დამსახურებულად მიდის ჩემპიონობისკენ. ერთი მძიმე შეხვედრის მოგება სჭირდება. ეს შეუძლია.“

ლონდონურ ხალიჩაზე დავით მოძვანაშვილის მიერ ფინალამდე ნაჩვენები სრულყოფილი ჭიდაობით არა მარტო ქართველი, უცხოელი სპეციალისტებიც აღფრთოვანებულნი იყვნენ. პრესლოჟაში მოკალათებულ ჟურნალისტებსაც ნამდვილად გვექონდა საქმე საამაყოდ. განსაკუთრებით —

ჩვენს გარშემო მსხდომ რუს კოლეგებთან „პირადი დუელის“ მოგების შემდეგ. წარმოდგინეთ, რა ხდებოდა ნახევარფინალისას, რომელშიც ჩვენი დეკაცი რუსების ჯილას, ბილიალ მახოვს დაეჭიდა.

ტიტულების მიხედვით, ფავორიტი, ცხადია, მსოფლიოს 3-გზის ჩემპიონი მახოვი იყო, მაგრამ ვინც იქამდე მოძვანაშვილის მიერ ჩატარებული ორი შეხვედრა ნახა, ფავორიტის დასახელებისგან თავს შეიკავებდა. დავითმა ოლიმპიადა მერვედფინალით დაიწყო, სადაც მექსიკელ ხოსე პრუდენტე რუიზ ფლორესს ლამის ერთი ჩასუნთქვით გასცდა, მეოთხედფინალში კი ყაზახი დაუღელტ შაბანბაი ჩამოიცილა, ასევე უპრობლემოდ.

ფინალში გადასასვლელ შეხვედრაში, „ექსელის“ საგამოფენო ცენტრის საჭიდაო





დარბაზში მყოფი ნეიტრალური გულშემატკივრების უმეტესობამ საქომაგოდ მოძმანაშვილი აირჩია და უნდა გენახათ, როგორ გაიხარეს ჩვენს სიახლოვეს მსხდომმა ფრანგებმა პირველი პერიოდის შემდეგ ჩვენებურის დანინაურებით. დათომ გამოცდილ მეტოქეს ქულა აულო და უპირატესობა ორი წუთი შეინარჩუნა. მეორე პერიოდი მახოვმა სასურველი სცენარით დაიწყო — მოძმანაშვილის ხალიჩიდან გაყვანით დანინაურდა, მაგრამ ანგარიში მხოლოდ 20 წამით წაიყვანა. ქართველმა მძიმეწონოსანმა საპასუხო ქულით სასურველი ფრე დააფიქსირა და ძლიერი მონინააღმდეგე რეპეშაჟის ფინალში გადაისროლა, თავად კი საოცნებო ტიტულს ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა.

ოლიმპიურ ოქრომდე ერთადერთი გამარჯვება რჩებოდა, მაგრამ ამისთვის კიდევ უფრო ტიტულიანი მეტოქის, არტურ ტაიმაზოვის ძლევა იყო საჭირო. უზბეკეთის ნაკრების 33 წლის ლიდერს ლონდონამდე ზედიზედ სამი ოლიმპიადის ფინალში ჰქონდა ნაჭიდავები. 2000 წელს, სიდნეიში ვერცხლის მედალს დასჯერდა, ათენსა (2004) და პეკინში (2008) კი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა და ბრიტანულ ხალიჩაზე ზედიზედ მესამე ოქროს მოპოვებისთვის იბრძოდა.

გადამწყვეტ შეხვედრაში ქართველი მძიმეწონოსანი უჩვეულოდ პასიურად გამოიყურებოდა. პირველი ორწუთი უჭულოდ გაილია, მაგრამ ბურთულის ფერი ჩვენებურს დაუჯდა. ის იყო, მეორე პერიოდზე დავიწყეთ ფიქრი, რომ მოულოდნელად, დათომ ფეხში შესვლის უპირატესობა ვერ გამოიყენა — ტაიმაზოვმა თავის დაცვა მოახერხა და ნახევარი საქმის გაკეთებასთან ერთად, ფსიქოლოგიური უპირატესობაც მოიპოვა. მეორე პერიოდის შუაწელს უზბეკმა მძიმეწონოსანმა მძლავრი შეტევით მოძმანაშვილი საჭიდაო წრიდან გაიყვანა და ამ ქულის წყალობით ოლიმპიური ჩემპიონის მესამე ტიტული მიითვალა.

„სიმართლე გითხრათ, ოლიმპიადამდე მთავარ კონკურენტად მახოვს განვიხილავდი და ტაიმაზოვისადმი ყურადღება ცოტა მოდუნებული მქონდა. ვფიქრობდი, დაბერდა, საუკეთესო წლები უკან დარჩა-მეთქი, რადგან პეკინის ოლიმპიური თამაშების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატებზე ჩვეულებად ჭიდაობა ვეღარ შეძლო. მახოვი კი ბოლო ხუთ წელიწადში სამჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი და დარწმუნებული ვიყავი, თუ ლონდონში მას ვაჯობებდი, ჩემპიონიც გავხდებოდი. მახოვს მოუვგე, მაგრამ... არადა შეიძლებოდა,“ — თქვა ბრიტანული ფინალის შემდეგ დავით მოძმანაშვილმა.

ოთარ მაგლაკელიძე



## HE COULD WIN GOLD

“HE is a very strong guy and remains in a good shape. He truly deserves Olympic gold,” David Gobejishvili, champion of 1988 Seoul Olympics in freestyle wrestling, said when commenting on chances of David Modzmanashvili. “What can I say about him is that he wrestles brilliantly and he deserves to become a champion. It remains only one hard duel he must win and he is able to do this,” Zaza Turmanidze, chief coach to Georgian national team of freestyle wrestlers, said. These praiseworthy words were about Georgian freestyle wrestler David Modzmanashvili who was gold medal hopeful in the Georgian team at the 2012 summer Olympics in London.

The perfect wrestling which Modzmanashvili showed in London on his way to the final round left admired both Georgian and foreign specialists. The Georgian journalists in the press-lodge were also proud of their compatriot. We won a “personal informal duel” with our Russian colleagues when Modzmanashvili beat Bilial Makhov of Russia in semifinal. Judging by the number of titles, three-time world champion Makhov was an unconditional favorite in the contest with Modzmanashvili. However, those who watched Modzmanashvili’s two previous duels would have refrained from naming the favorite. Modzmanashvili beat in one go Jesse Prudente Ruiz Flores (Mexico) in 1/8 final

and then easily defeated Daulet Shabanbai (Kazakhstan) in ¼ final.

In the semifinal Modzmanashvili wrestled against Bilial Makhov of Russia and managed to win the first set. However, Makhov gained a point and equalized the score in the second set. But in 20 seconds Modzmanashvili gained a point and ended the duel in a favorable for him draw. David sent his strong contender to Repechage and approached closer to the desired title of champion.

In order to win Olympic gold Modzmanashvili had to win over the far more titled competitor. That was 33-year old Artur Taimazov, two-time Olympic champion in Athens (2004) and Beijing (2008) and silver medalist in Sydney (2000), who was fighting for the third Olympic gold in London.

Unfortunately, Modzmanashvili was unusually passive in the decisive duel. The first period expired so that neither of contenders could gain a point. The lot gave David advantage to make the trick first but he could not use this chance. Taimazov managed to defend himself and gained psychological advantage. Taimazov’s vigorous attack in the middle of the second period resulted in a victorious point, which brought him the third Olympic medal. Modzmanashvili became silver medalist but he could win the gold.

OTAR MAGLAKELIDZE



# ირანული კედელი

მონემ ჰამედის იოლად ძლევით. პირველ პერიოდში ორჯერ უპრობლემოდ აიღო თითო ქულა, ხოლო მეორეში მეტოქეს სულაც თავბრუ დაახვია — ხელში აიტაცა და ხუთქულიანზე გადააგდო. მანამდე ერთი ქულაც ჰქონდა მოპოვებული და პერიოდი სუფთად მოიგო.

მეთხედფინალში გაცილებით შთამბეჭდავი გამარჯვება ვიზიმიტ, რუსეთის ნაკრების ნევრთან, დალესტნელ მსოფლიოს პრიზიორ ზაურ კურამაგომედოვთან. რეზომ ეს ბრძოლა, პირველ ყოვლისა, ტაქტიკურად გამართული ჭიდაობით მოიგო. პირველ პერიოდში ჩოქბჯენიდან იხეირა, მეორეში კი უკვე თავად უწევდა ჩოქბჯენში თავის დაცვა, მაგრამ პირადი მწვრთნელის

აკაკი ჩაჩუას რჩევა გაითვალისწინა და მდგომარეობა არ გაართულა.

„დარწმუნებული ვიყავი, რომ თავს დაცავდა და თავადაც ნახეთ, რომ ასე მოხდა,“ — გვითხრა ჩაჩუამ შეხვედრის დასრულების შემდეგ.


ფინალში გადასასვლელ შეხვედრაში რეზოს უპრინციპულესი მეტოქე ელოდა აზერბაიჯანელი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის, ჰასან ალიევის სახით. ევროპის 2011 წლის ჩემპიონატზე, მაშინ, როდესაც ქართველი „ბერძენ-რომაელი“ კონტინენტის ჩემპიონი გახდა, ნახევარფინალში სწორედ ალიევი ჩამოიშორა, რითაც მისი თითქმის სამწლიანი ნაუგებელი სერია შეწყვიტა. იმედგაცრუებულმა აზერბაიჯანელმა

საგამოფენო ცენტრ „ექსელის“ საჭიდაო დარბაზში, ოლიმპიურ თამაშზე აკრედიტებული ქართველი ჟურნალისტები პრესლოჟაში ყოველთვის იმ ადგილების დაკავებას ვცდილობდით, სპორტული დელეგაციებისთვის გამოყოფილ ტრიბუნას რომ ესაზღვრებოდა, მაგრამ იქ მსხდომი ჩვენებურებისგან განსხვავებით, ომახიანად ქომაგობას ვერ ვახერხებდით. პროფესიიდან გამომდინარე, ემოციების მოთოკვა გვინევდა. აზარტში შესულები შიგადაშიგ ჩვენც აყვებოდით ხოლმე ქართულ ყიფინას, მაგრამ მხოლოდ წამიერად, ვიდრე გაგვახსენდებოდა, რომ უხერხული იყო.

უხერხულობის მომენტი სულაც არ ანუხებდათ ჩვენს ირანელ კოლეგებს — ხუთი-ექვსი ჟურნალისტი ისე ომახიანად ქომაგობდა თანამემამულეებს, ლამის ტრიბუნების ხმას ფარავდნენ. ყოველი ირანული ქულის შემდეგ აღფრთოვანებული „მაშალა, მაშალა“ გადაუვლიდა ხოლმე პრესლოჟას.

მათ ფავორიტთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ბერძენულ-რომაული სტილით მოჭიდავე, მსოფლიოს ჩემპიონი ომიდ ჰაჯი ნორუზი იყო. რევაზ ლაშის წონით კატეგორიაში — 60 კილოგრამში გამოდიოდა და მისი გამარჯვებები რამდენადაც ირანელთათვის გასახარო იყო, იმდენად ჩვენთვის სანერვიულო. თუმცა ქართულ-ირანული გზები ერთმანეთს ფინალამდე არ კვეთდა — ლაშის და ნორუზი სატურნირო ბადის სხვადასხვა მხარეს მოხვდნენ.

ჩვენებური შეჯიბრებაში მერვედფინალიდან ჩაერთო ეგვიპტელი საიედ აბდელ-





მოგვიანებით აღიარა, რომ იმ წაგებამ მოსვენება დაუკარგა და ერთი სული ჰქონდა, როდის მიეცემოდა რევანსის შანსი.

ლონდონური დაპირისპირება ლაშხის დამაჯერებელი გამარჯვებით დაგვირგვინდა. ჩვენებურმა პირველი პერიოდი მოიგო, მეორეში შეხვედრის სადავები გაექცა და საერთო ანგარიში გათანაბრდა, მაგრამ გადამწყვეტ პერიოდში კვლავ უნაკლოდ აჭიდავდა და ქართულ-ირანულ ფინალსაც მივაღებეთ. მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს ნორუზი და მსოფლიოს იაპონელი ვიცე-ჩემპიონი რუიტარო მაცუმოტო ხვდებოდნენ. მთელი ქართველობა იაპონელს ვგულშემატკივრობდით. რეზოს მაცუმოტო მსოფლიოს 2011 წლის ჩემპიონატზე იოლად ჰყავდა დამარცხებული და რასაკვირველია, მძლავრ ირანელთან დაჭიდებას, ნაცნობ მოწინააღმდეგესთან მეორედ გადაყრა გვირჩევნოდა.

სამწუხაროდ, მაცუმოტო უნაკლოდ მოჭიდავე მეტოქესთან ვერაფერს გახდა. მეტიც, ომიდ ნორუზი ფინალშიც შეუჩერებელი იყო, ისევე როგორც ჩვენი მეზობელი ირანელი ჟურნალისტები. ლაშხმა კედელივით დაუძრავ მეტოქესთან ორ პერიოდში წააგო. ორივეში მინიმალური სხვაობით.

ქართველმა სპორტსმენმა ვერცხლის მედალი და „ექსელის“ დარბაზში მრავლად შეკრებილი ნეიტრალური გულშემატკივრის განსაკუთრებული ოვაცია დაიმსახურა. ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი ლონდონში თამაშების დასრულებამდე დარჩა და მთელი ამ ხნის განმავლობაში, ქართული დელეგაციის წევრთაგან ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული იყო ავტოგრაფისა და ერთობლივი ფოტოს მსურველ უცხოელებს შორის.

ოთარ მაგლაკელიძე

# IRANIAN WALL

WORLD CHAMPION Omid Haji Noruz of Iran was one of the acknowledged favorites in 60 kg weight category where Georgian Greco-Roman wrestler Revaz Lashki competed at the London Olympics 2012. His successes were equally making Iranians happy and the Georgians nervous. However, ways of the Georgian and Iranian wrestlers did not cross each other before the final, because Lashki and Noruz wrestled in the separate sets.

Revaz Lashki started competition from 1/8 final and finished his first duel with easy victory over Saied Hamed of Egypt. Lashki easily won the first set 2:0 and gained 5 points in the second by effective trick. Lashki gained superiority and finally won the duel. His victory in ¼ final was far more impressive. Lashki fought against the world championship medalist Zaur Kuramagomedov of Russia. Lashki won this duel mainly by his rightful tactics. He took into account the advice of his personal coach Akaki Chachua and did not complicate the duel by excessive risk. "I was sure that he could successfully defend himself and you all you saw that he managed to do so indeed," said Chachua after completion of the duel. World and Europe champion Hasan Aliev of Azerbaijan was a very tough contender of Lashki in the semifinal. In 2011, that Lashki became champion of Europe and beat Aliev in semifinal having suspended thereby his three-year long lossless series of duels. Aliev then admitted that defeat made him anxious and he was waiting for the chance of gaining revenge impatiently.

The duel between the two in London ended with Lashki's convincing victory. He won the first set but lost the second allowing the contender to equalize the score. The third set turned out decisive. Lashki gained a victorious point and passed to the final, which turned out Georgian-Iranian. The second semifinal put together world champion Omid Haji Noruz of Iran and vice champion of the world Ruitaro Matsumoto (Japan). Despite Noruz was the prime favorite of the Olympics the whole Georgian audience was supporting Matsumoto whom Lashki easily defeated at the 2011 world championship and thus Matsumoto would have been more familiar and easy contender for Lashki as compared to the Iranian wrestler. However, Matsumoto lost the duel against Noruz who was so forceful and energetic in the final as Iranian journalists sitting next to us. In the final duel Noruz took firm stand like a wall. Lashki lost two sets with narrow margin. The Georgian wrestler looked tired in the second set. Noruz benefited on the contender's fault and gained a victorious point, which made him an Olympic champion. The Georgian sportsmen won silver and deserved storm of applause from the spectators for the efficient wrestling which he demonstrated on the Olympic arena in the "Excel" sport hall.

OTAR MAGLAKELIDZE





## ტოპარაში ჩარჩენილი ფინალი

ძალიან ვნუხვარ, მაგრამ ეს ჩემი ბოლო ოლიმპიური შანსი იყო. მორჩა — უთხრა ჟურნალისტებს ორგზის ოლიმპიურმა პრიზიორმა გიორგი გოგშელიძემ ლონდონური რეპეშაჟის ფინალის დასრულების შემდეგ. ბრინჯაოს მედალი თხუთმეტიოდე წუთის მოგებული ჰქონდა, მაგრამ საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების ყველაზე გამოცდილი წევრისთვის მესამე ადგილი დიდი ვერაფერი ნარმატება იყო. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს ოქროს სრული კოლექციის შესაკრავად ლონდონურ ხალიჩაზე სულ ცოტა დააკლდა. პირველ ყოვლისა — ილბალი...

ოქროს შანსი ნახევარფინალში ამერიკელ იაკობ სტივენ უორნერთან ნაგებით დაიკარგა. გიორგი გოგშელიძემ მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონს პირველ პერიოდში დამაჯერებლად აჯობა — ორი ქულა აუღო და უპირატესობა უპრობლემოდ შეინარჩუნა. მეორე ორწუთეულში საქმე ბურთულის ამოღებამდე მივიდა. მსაჯს ტომრიდან ქართველთათვის სასურველი ფერი რომ ამოეძვრინა, გოგშელიძის ფინალი განაღებულ იქნა.

ბედმა უორნერს გაუღიმა. მანაც ფორტუნისგან ბოძებული უპირატესობა შეირგო. გადამწყვეტ პერიოდში კი შეხვედრა სათავისოდ შეატრიალა — გიორგის წრიდან გაყვანით ქულა აიღო და მოპოვებული უპირატესობა ორთაბრძოლის ბოლომდე დაიცვა.

მესამე პერიოდში გიორგი გოგშელიძე თავის თავს არ ჰგავდა. თითქოს ბედს

დანებდა. მძლავრადაც ვეღარ უტევედა. მიზეზი შეხვედრის დასრულებისთანავე თავისივე ინიციატივით გაამხილა:

„ბოლო პერიოდში სრული დატვირთვით ვეღარ ვიჭიდავე. არსებობს ერთი მიზეზი, რომელზეც აქამდე საჯაროდ არ მისაუბრია. ფეხზე ძალიან მძიმე ტრავმა მაქვს, მყესე-ბია დანყვეტილი და არა თუ შეჯიბრებაზე გამოსვლა, ვარჯიშიც არ შეიძლება. რაც შემეძლო, მაინც ვიჭიდავე, მაგრამ მუხლმა არ გამიშვა. ნახევარფინალის მესამე სეტშიც, ქულა ლამის უბრძოლველად დავკარგე. მტკივან ფეხს ძალა ვერ დავატანე“.

ბურთულამ 32 წლის ქართველ ფალავანს ერთხელ ნახევარფინალამდეც უმუხთლა — მეოთხედფინალის მეორე პერიოდის შემდეგ ფერი მის მოლოდინზე მეტოქეს — ნიკოლაი ჩებანს დაუჯდა, მაგრამ გოგშელიძემ თავი კარგად დაიცვა და რადგან პირველი პერიოდი მოგებული ჰქონდა, შეხვედრაც დასრულდა.

ბრინჯაოს მედლისთვის გადამწყვეტი ბრძოლა გიორგიმ უზბეკეთის წარმომადგენელ, დალესტენელ კურბან კურბანოვის წინააღმდეგ ჩაატარა. პირველი პერიოდის მიწურულს კურბანოვმა გოგშელიძე წრიდან გაიყვანა და პერიოდი 1:0 მოიგო. მეორე პერიოდის დასაწყისშივე ჩვენებურმა 4 ქულა მოიპოვა და შეხვედრის საერთო ანგარიშიც გაათანაბრა. გადამწყვეტ პერიოდში კი გიორგიმ ქულა აიღო, მინიმალური უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა და ოლიმ-





პიური კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ზედიზედ მეორედ ავიდა.

„დღეს ოლიმპიურ თამაშებზე მეორედ გამიცრუვდა იმედი. პირველად ეს ოთხი წლის წინ, პეკინში მოხდა. არადა, ყველაფერი ჩემს ხელში იყო, წილისყრაც ისეთი შემხვდა, უკეთესს ვერ ვინატრებდი. მინიმუმ ფინალში უნდა გავსულიყავი. შემდეგ მოვლენები ისე განვითარდა, ყველა ძლიერი მოჭიდავე გავარდა. ჩემპიონი უნდა გავმხდარიყავი და... შანსი ვერ გამოვიყენე,“ — გვითხრა გიორგი გოგშელიძემ.

ეს იყო და პრესზონაში დამონტაჟებულ დიდ მონიტორზე გამოჩნდა, როგორ მოიგო ოლიმპიური ოქრო ამერიკელმა უორენმა. მე გავზაღვე ჩემპიონიო — დანაღვლიანებულმა ჩაილაპარაკა და გასახდელში შევიდა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## TWO-FOLD BRONZE MEDALIST



“I REGRET very much but that was my last Olympic chance. It's over,” twice Olympic prize-winner Giorgi Gogshelidze told journalists after successful finishing the Repechage final which made him bronze medalist of the Olympics for the second time. Bronze award was not a big success for Giorgi Gogshelidze, the most experienced member of Georgian freestyle wrestlers' national team at the London Olympics. At the London Olympic Games the world and Europe champion was a step away from gathering a full collection of gold medals. What he lacked was fortune.

Gogshelidze lost his chance to win Olympic gold by losing semifinal duel with Jacob Stephen Warner (USA) who then became Olympic champion. Gogshelidze won the first set convincingly by scoring two points and maintaining the advantage. The American equalized the score in the second set and it came to the drawing lots. Had the referee take out the ball of the favorable for Gogshelidze color he would definitely go to the final. The fortune was on Warner's side. He fully benefitted on the chance given by fortune and turned the duel to his advantage. He won


the third and decisive period by scoring and maintaining the victorious point. Gogshelidze did not look like himself in the third period. He wrestled passively as if accepted the inevitable.

Right after the duel Gogshelidze revealed on his own initiative the actual reason for his failure. He said, “I could not wrestle in full capacity in the last period. There is a reason, which I have not spoken publicly until now. I have a very bad trauma of my leg with ruptured tendons, which forbids not only participation in the contests but even training. I wrestled with my last ounce but my knee did not allow me to fight properly. I lost a point in the third set almost without fight because I could not force my injured leg.”

Gogshelidze who was forced to switch to Repechage conducted the decisive duel against Kurban Kurbanov (Uzbekistan) for a bronze medal. Kurbanov won the first set 1:0, but Gogshelidze hit back by convincing victory in the the second set by scoring 4 points which allowed him to equalize total score of the duel. Gogshelidze won the victorious point in the third and decisive period and maintained this minimal advantage up to the very end of the duel. Gogshelidze won Olympic bronze for the second time successively

“Today it has been the second disappointment at the Olympics. The first time it happened in Beijing. Meanwhile, everything was in my hands. The lot was favorable to me and I had to reach final as a minimum. All strong wrestlers dropped out of the contest but I could not use this chance. It is a pity but it has been the last Olympic chance for me,” Giorgi Gogshelidze stated.

**OTAR MAGLAKELIDZE**



## ფაქორიჭის ბრინჯაო

მარსაგა ცუდადაა! წნევა დაუფარდა, გული ერევა და ღმერთმა ქნას, ხალიჩაზე გამოსვლა შეძლოს — მითხრა სპორტსმენთა მოსამზადებელი დარბაზიდან ამოსულმა კახა ბერიძემ. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრესსამსახურის უფროსი თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ლონდონურ გამოსვლას ჟურნალისტებისთვის განკუთვნილი ლოჯიდან ადევნებდა თვალს. მოსამზადებელ დარბაზში მერვედფინალური შეხვედრების დასრულების შემდეგ სულ სხვა საკითხთან დაკავშირებით ჩავიდა და უსიამოვნო ეპიზოდს შემთხვევით შეესწრო.

საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს, ევროპის მოქმედ ჩემპიონ დავით მარსაგივილს (74 კგ) იმ მომენტისთვის ოლიმპიურ ხალიჩაზე პირველი შეხვედრა მონღოლ უიტუმენ ორგოდოლოთან დამაჯერებლად (9:1, 7:3) ჰქონდა მოგებული და წესით, პუერტორიკოელ ხაიმე იუსეპტ ესპინალთან მეოთხედფინალური დაპირისპირებისთვის უნდა მომზადებულიყო,

მაგრამ პირველი ბარიერის დაძლევიდან რამდენიმე წუთში თავი შეუძლოდ იგრძნო და შეხვედრებს შორის არსებული არცთუ დიდი პაუზა ექიმების ზედამხედველობის ქვეშ გაატარა.

ხალიჩაზე მაინც გამოვიდა. ჩვეულად, ყოჩაღად დაინყო ჭიდაობა — მეტოქეს 4 ქულა აულო და იმედიც მოგვეცა, რომ საწერვიულო უკვე აღარაფერი იყო, მაგრამ უეცრად გაჩერდა, თითქოს ძალა დაკარგა და უპირატესობა მთლიანად მეტოქეს გადაულოცა. პუერტორიკოელმა ანგარიში სათავესოდ შეატრიალა — 6:5.

მონინალმდეგესთან, რომელსაც სხვა შემთხვევაში უშანსოდ მოუგებდა, მარსაგივილმა მეორე პერიოდი სულაც სუფთად წააგო და ოქრო-ვერცხლისკენ მიმავალი გზაც ჩაეკეტა. მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ ისეთი ნაშლილი სახე ჰქონდა, ტრიბუნაზე მსხდომი ქართველობა ნაგებაზე მეტად მის ჯანმრთელობაზე ავლელდით.

«ცუდად გახდომის მიზეზი წერვიული სპაზმი იყო. ზედმეტად ირწმუნა საკუ-





თარი ძალების, თავი უკვე ჩემპიონი ვგონა და შედეგად, საერთოდ გაითიშა. შეიძლება სჯობდა მთავარ კონკურენტებს თავიდანვე შეხვედროდა," — უთხრა ჟურნალისტებს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზაზა თურმანიძემ და იქვე დასძინა — იმედია, ახლა დანყნარდება, მომხდარს სწრაფად გააანალიზებს და დამამწვიდებელ ეტაპზე მაინც აჩვენებს თავის ჭიდაობასო.

რეპეშაჟში ქართველი მოჭიდავე მას შემდეგ გადაერთო, რაც ესპინალმა ნახევარფინალში ბელარუსის წარმომადგენელ სოსლან გაციევსაც აჯობა. მარსაგიშვილს მომხდარის შემდეგ ძალების მოკრებაში ნიგერიელი დიკ ანდრეუც წაეხმარა, რომელმაც „ბრინჯაოს ნახევარფინალში“ ჩვენებურთან დაჭიდება ტრავმის გამო იუარა. მესამე ადგილისთვის შეხვედრაში კი მარსაგიშვილმა სოსლან გაციევს დამაჯერებლად, ორ პერიოდში მოუმთავრა საქმე.

„ოლიმპიური თამაშებისთვის კარგად ვიყავი მომზადებული. უკეთესი შედეგი უნდა მეჩვენებინა, მაგრამ... სამწუხაროდ, ეს ვერ შევძელი,“ — გვითხრა დანალვლიანებულმა ოლიმპიურმა პრიზიორმა.

**ოთარ მაგლაკელიძე**



## TEAM FAVORITE WINS BRONZE

DAVID Marsagishvili (74 kg), acting champion of Europe and one of the leaders of the Georgian Olympic team, convincingly won (9:1, 7:3) his first duel against Uitumen Orgodol (Mongolia). He was preparing for the next duel with Jaime Yusept Espinal of Puerto Rico in the quarterfinal, when suddenly felt himself ailed and spent a short period between the duels under the doctors' supervision. Despite health disorder, David appeared on the rug and started wrestling in a habitual energetic style. He won four points at the beginning and the Georgian fans considered that there was no reason for concern on the outcome of the duel. However, David suddenly stopped to fight as if he lost his might and then he let his contender to gain lead. The latter did not miss the chance and turned the score to his advantage 6:5. Marsagishvili lost the second set completely and that was surprising because in all previous contests he used to beat Espinal without giving him even a small chance. This defeat deprived David of the chance to reach the final. David's face looked so ailing after the end of the duel that Georgian fans on the tribunes rather concerned on his health than on his defeat.

"Nervous spasm was the reason for his ailing. He overestimated his potential and thought he was already a champion. It would have been better for him to fight the main challengers at the early stage. I hope he will calm down, analyze quickly what has happened and will show his true potential in Repechage," said Zaza Turmanidze, chief coach to the Georgian free-style wrestling team. Marsagishvili switched to Repechage when Espinal beat Soslan Gatsiev (Belarus) in semifinal.

Refusal of Dick Andrew (Nigeria) to wrestle with Marsagishvili because of trauma somehow helped the latter to overcome psychological disorder. Marsagishvili excelled in the contest for the third place and convincingly beat Soslan Gatsiev of Belarus in two sets (3:0, 3:1). This victory brought him bronze Olympic medal. "I was well prepared for the Olympic Games and expected the better result. Unfortunately I could not show it," the bronze Olympic medalist said sadly.

**OTAR MAGLAKELIDZE**





# დაკარგული ფინალი

გერძულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა გექსკაციანი ქართული გუნდიდან ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე თუ ვინმესი გვეიმედებოდა, პირველ ყოვლისა, მანუჩარ ცხადაიასი. 66 კილოგრამი წონითი კატეგორიის ქართველმა მოჭიდავემ ოლიმპიადამდე ხუთი თვეი ადრე ევროპის ჩემპიონატზე ერთი წონითი კატეგორიით მაღლა — 74 კილოგრამში მოსინჯა ძალა და ფინალამდეც მივიდა. თავის წონაში კი მანუჩარს ზურგს ევროპისა და მსოფლიოს პირველობების ოთხი ვერცხლ-ბრინჯაო უმაგრებდა. თუნდაც მარტო ესეც საკმარისი იყო, ფავორიტად დასასახელებლად, მაგრამ ამ ყველაფერს ერთი ფრიად საინტერესო და სასიამოვნო სიურპრიზიც დაემატა — ყველასთვის მოულოდნელად, ცხადაიას უმთავრესმა კონკურენტებმა, რუსეთის ნაკრების ორმა ტიტულიანმა წევრმა ამბაკო ვაჩაძემ და ისლამ-ბეკ ალბიევა ოლიმპიური ნორმატივის შესრულება ვერ შეძლეს. ლიცენზიის გარეშე დარჩნენ აზერბაიჯანელებიც.

„ეს ძალიან გასახარი ამბავია, მაგრამ ვცდილობ ყურადღება საერთოდ არ მივაქციო, თორემ შეიძლება კონცენტრაცია დავკარგო. ძლიერი კონკურენტები ჩამოცილდნენ, თუმცა ოლიმპიადაზე ყველა მეტოქე ძლიერია და ოლიმპიურ ხალიჩაზე ყველა სხვანაირად ჭიდაობს,“ — მითხრა მანუჩარ ცხადაიამ ლონდონში გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე, წინასაშეჯიბრო დასკვნითი შეკრების დაწყებამდე.


მოსამზადებელი ციკლით კმაყოფილი იყო — ღვთის მადლით ყველაფერი კარგად

მიდის და ოლიმპიადას საუკეთესო ფორმაში უნდა შევხვდეთ. ზედმეტი წონის პრობლემაზეც ვკითხე — ბევრის დაკლება გინევს და ხელს ხომ არ გიშლის-მეთქი. გამომხილა, რომ ოლიმპიური თამაშების შემდეგ 74 კილოგრამში გადასვლას გეგმავდა.

ლონდონში, ცხადაია, შეჯიბრებაში მერვედ-ფინალიდან ჩაერთო. პირველი ორთაბროლა შვეიცარიელი პასკალ შტრებლის წინააღმდეგ ჩაატარა და უპრობლემოდ იმარჯვა. ეგვიპტელ აშრაფ ელგარაბლისაც ორ პერიოდში მოუმთავრა საქმე და ნახევარფინალში გავიდა, სადაც ევროპის ჩემპიონს, უნგრელ ტამაშ ლორინცს უნდა დასჭიდებოდა, რომელსაც მსოფლიოს 2011 წლის ჩემპიონატზე საკმაოდ იოლად მოუგო.

ცხადაიას საფორმო შემტევი ჭიდაობით და პირველი-ორი გამარჯვებით დაიმედებულეები უკვე ბადის ქვედა ნაწილს განვიხილავდით, ფინალისთვის სასურველ მოწინააღმდეგეზე ვმსჯელობდით, მაგრამ ოქროს ოცნება უეცრად დასრულდა — მსოფლიოს ორგზის ფინალისტმა არათუ მოიგო, ერთი ილეთის გაკეთებაც ვერ შეძლო. ლორინცმა ჩვენებურის რამდენიმე შეცდომის წყალობით ორ პერიოდში 7 ქულა დააგროვა. უნგრელ მწვრთნელებსაც კი შეეცყოთ, რომ გამარჯვებას და მით უმეტეს, ასე იოლად არ ელოდნენ. შეხვედრის დასრულების შემდეგ ისეთი ზეიმი წამოიწყეს, თითქოს ლორინცი უკვე ოლიმპიური ჩემპიონი იყო.

ზემით დაწერილი ოლიმპიადამდელი საუბარიც სწორედ ნახევარფინალის შემდეგ გამახსენდა, როცა მუხრან ვახტანგაძემ ცხა-





დაიას მარცხის სავარაუდო მიზეზად ზედმეტი წონის დაკლება დაასახელა. მსოფლიოს ჩემპიონი და სიდნეის 2000 წლის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი საქართველოს ნაკრების წევრებს ტრიბუნიდან ქომაგობდა და წაგებით ისიც ისეთივე გაცოცხლებული და იმედგაცრუებული იყო, როგორც დარბაზში მყოფი ყველა ქართველი.



„მანუჩარის გამოსვლა ბევრჯერ მინახავს და ასე ცუდად არასოდეს უჭიდავია, როგორც ამ წახევარფინალში. ვერაფერს ვეღარ აკეთებდა, ფეხზე მყარად ვერ იდგა. ვერ გეტყვით კონკრეტულად რამ შეუშალა ხელი. ალბათ, დიდი წონის დაკლებამ. პირველ შეხვედრებში ძალა ჰქონდა, მერე კი ერთბაშად მოდუნდა. ახლა დასასვენებლად მეტი დრო აქვს, ვიდრე მეორე და მესამე ბრძოლას შორის ჰქონდა და იმედია ბრინჯაოს მედლისთვის ისევ ჩვეულად იჭიდავებს,“ — თქვა ვახტანგაძემ.

რეპეშაჟის ფინალში ცხადია გერმანელ ფრენკ შტაებლერს მართლაც გაცილებით ენერგიულად შეუტია და ბრინჯაოს საქმე ორ პერიოდში გააკეთა.

დაჯილდოების ცერემონიალისას ყველამ დაინახა ქართველი მოჭიდავის აცრემლებული თვალები. მანუჩარ ცხადია დაკარგული შანსი პრესზონაში შეკრებილ უწრნალისტებთანაც ასხენა, თუმცა იქვე დაამატა, ბრინჯაომაც გამახარაო. კომენტარი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამაც გააკეთა:

„ეს მანუჩარ ცხადიას ბოლო ჭიდაობა იყო 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში. ძალიან ბევრის დაკლება უწევდა და სწორედ ეს იყო ფინალს მიღმა დარჩენის მიზეზი“.

**ოთარ მაგლაკელიძე**



## THE LOST FINAL

TWENTY seven year old Manuchar Tskhadaia, was considered the most promising member of the six-member Georgian team of Greco-Roman wrestlers at the 2012 summer Olympics in London. Usually competing in the 66 kg category Tskhadaia tried his strength in 74 kg at the European championship held five month before the Olympics and managed to reach final. In his usual weight category Tskhadaia's record looked impressive, including four silver and bronze medals at the world and Europe championships. These achievements were quite enough to consider him a favorite. However, these assets unexpectedly combined with pleasant for Tskhadaia surprises. His main contenders such as titled members of the Russian national team Ambako Vachadze and Islambek Albiev could not win Olympic license. The Azerbaijani wrestlers also failed to win license.

Manuchar Tskhadaia started competition in London from the 1/8 final. He held the first match against Swiss Pascal Shtrebly and easily won it. Tskhadaia wrestled in 1/4 final against Ashraf Elgarabli of Egypt and won the duel in two sets. This victory paved him way to semi-final, where he wrestled against Hungarian Tamas Lorints, whom he easily beat at the 2011 European championship. Encouraged by Tskhadaia's insistent wrestling and convincing victories we were already judging about who might have been the most desired

contender for him in the final. But our "gold dreams" expired quickly. Tskhadaia lost gold-silver chance in semifinal. He lost to Lorints of Hungary. Tskhadaia, the twice finalist of world championships, showed surprisingly weak wrestling and could not make even a single trick. Meanwhile, Lorints managed to score as many as seven scores in two sets mainly thanks to Tskhadaia's mistakes. Tskhadaia was left with a chance of winning bronze medal in Repechage.

"I saw Manuchar's duels many times but he had never wrestled so badly as this time in the semifinal. He could not do anything and could not stand firmly on his feet. I cannot tell you what specifically hindered him. I think that a sudden weight loss was the most probable reason behind that. In the first duels he looked mighty but then relaxed completely. Now he has more time to rest and we hope that he will regain shape for the next duels and will show his customary wrestling in the fight for bronze medal," Mukhran Vakhtangadze, world champion and bronze medalist of 2000 Sydney Olympics, when commented on Tskhadaia's performance.

Tskhadaia held decisive duel against German Frank Staebler in the Repechage for bronze medal. He looked more energetic and it took him two sets to win the duel and bring bronze medal to Georgian Olympic team.

**OTAR MAGLAKELIDZE**





**ლონდონის ოლიმპიური  
თამაშების შემდეგ ძიუდოს  
ქართველი ქომბატების აზრი  
ორად გაიყო. ერთნი ნაპრების  
გამოსვლას წარმატებულად  
მიიჩნევენ, რადგან შვიდი  
წონითი კატეგორიიდან  
ერთში უმაღლესი სინჯის  
მედალს ქართველი  
დაეუფლა. მეორენი კი,  
ლავა შავდათუშავილის  
გაჩეხვიონების მიუხედავად,  
ქართული გუნდის  
საერთო გამოსვლით  
ქალიან უკმაყოფილონი  
არიან. ამ საკითხზე  
ვერც სპეციალისტები  
თანხმდებიან. გუნდურივიცაა,  
ერთი უმაღლესი ტიტულის  
საკირისპიროდ ექვსი  
იმედგაცრუება და  
საქართველოს ნაპრების  
წევრთა საოცრად უნიათო  
ჭიდაობა დგას.**

## სანატრალი მეოთხედინალი

ბეთიძელ შუკვანმა (60 კგ), ნუგზარ ტატალაშვილმა (73 კგ), ავთანდილ ჭრიკიშვილმა (81 კგ), ვარლამ ლიპარტელიანმა (90 კგ), ლევან ჟორჟოლიანმა (100 კგ) და ადამ ოქრუაშვილმა (+100 კგ) მეოთხედინალმდე მისვლაც კი ვერ შეძლეს, რაც ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლის გაგრძელების საშუალებას მისცემდა. შვიდეულის სამმა წევრმა სულაც ისე დატოვა ლონდონური ტატამი, ერთი უმცირესქულიანი ილეთის გაკეთებაც ვერ შეძლო.

ყველაზე დიდი იმედგაცრუება ნაკრების ლიდერის, ვარლამ ლიპარტელიანის წარუმატებლობა იყო. ევროპის მოქმედი ჩემპიონი საქმეში 1 აგვისტოს ჩაერთო. ჯერ კიდევ სანჯისი ეტაპის შეხვედრების დაწყებამდე ქართველი გულშემატკივრები, ჟურნალისტები და ძიუდოს სპეციალისტები ლამის ჯიბეში დაგულბებულ მედალზე ვფიქრობდით. მეტიც, 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ზედიზედ მესამე ქართულ ოქროს ვგეგმავდით... ნილისყრაც ისეთი შეხვდა, პირველი ორი შეხვედრა უბრძოლველად უნდა მოეგო — ჯერ ოლიმპიადზე რეგიონული კვოტით გასულ ამერიკელ დიუდონე დოლასენთან, მეორეში კი ავსტრალიელ მარკ ანტონისთან. ამ უკანასკნელმა თავისით კი მოიპოვა ლიცენზია, მაგრამ, ძირითადად — ოკეანეთის პირველობებზე და შედარებით სუსტ ტურნირებზე გამოსვლით.

პირველი ბარიერი მეტოქის პასიურობის ხარჯზე, სამი გაფრთხილებით მიღებული ვაზარით გადალახა, მაგრამ იქვე გამოჩნდა, რომ ლიპარტელიანი ჩვეულად ვერ ჭიდაობდა. სშირად ხდება, ძლიერ სპორტსმენებს დაწყება უჭირთ და მეორე-მესამე შეხვედრიდან იწყებენ გახსნას. ამერიკელის ძლევის შემდეგ სწორედ ამით დავიძვედეთ თავი, მაგრამ ავსტრალიელთან ჭიდაობის დაწყებიდან ორიოდ წუთში გამოჩნდა, რომ პრობლემა სხვაგან უნდა გვეძებნა. საქართველოს ნაკრების ლიდერმა თითქოს მომენტალურად დაკარგა მთელი ენერჯია, მოდუნდა და შეხვედრის ბოლოსწინა წუთზე ვაზარზე დავარდა. დარჩენილ დროში შეეცადა გაებრძოლა და მარკ ანტონის ილეთიც შეუსრულა, რომელიც ვაზარს წააგავდა, თუმც მსაჯებმა იუკო გამოიმეტეს. ჩვენდა სამწუხაროდ, საფინალო სირენამდე ტაბლოზე ეს ქულები დარჩა და არათუ ოქროზე, ვერცხლ-ბრინჯაოზე ფიქრიც უმაღ დავასრულეთ.

ლიპარტელიანამდე ერთი დღით ადრე ქომბატებს მოლოდინი ავთანდილ ჭრიკიშვილმა (81 კგ) გაუცრუა — ამერიკელ ტრევის სტევენსთან იზონით დამარცხდა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც აშკარად თვალმისაცემი იყო ქართველი ძიუდოსტის არასახარბიელო ფიზიკური მომზადება. ორი წუთის შემდეგ ჭრიკიშვილი აშკარად დაილა და უპირატესობას ამერიკელი დაეუფლა.







**შოთა საბარაელი:**

„ნაკრებმა ოქროს მედალი მოიპოვა და ცხადია, ეს დიდი წარმატებაა, მაგრამ მთლიანად გუნდის მზადყოფნა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. სპეციალისტის თვალი სულაც არ იყო საჭირო, რათა დაგენახა, რომ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა პეტერ ზაიზენბახერმა ვერ შეძლო ოლიმპიადაზე სპორტული ფორმის პიკში მყოფი გუნდის ჩაყვანა. მოსამზადებელ ციკლში არაერთი უპატიებელი შეცდომა დაუშვა, რომლებმაც ბოლოს თავი ლონდონის ტატამზე იჩინა. ლაშა შავდათუაშვილის წარმატების ერთ-ერთ მთავარ მიზეზადაც ის მიმაჩნია, რომ მას არ გაუვლია წვრთნის არასწორი კურსი, რომლითაც ამ ორი წლის განმავლობაში ემზადებოდნენ სხვები.“

ნაოლიმპიადევეს რამდენიმე მწვრთნელმა ჭრიკიშვილის და ლიპარტელიანის უჩვეულოდ სუსტად ჭიდაობის მიზეზად ფსიქოლოგიური პრობლემა დაასახელა. ეს სპორტსმენები წინასაოლიმპიადო დასკვნითი შეკრებისას საკმაოდ სახიფათო ავტოავარიაში მოყვნენ და ერთხანს მათი ლონდონში გამგზავრებაც კი საეჭვო გამხდარა, მაგრამ ინციდენტის გახმაურებისგან ყველამ თავი შეიკავა, გუნდში დისციპლინის ნაკლებობაზე საუბარი რომ არ დანეებულიყო.

ლომერ ჟორჟოლიანის (100 კგ) შემთხვევაში ფსიქოლოგიურ მომენტზე არავის არაფერი უთქვამს. ევროპის ორგზის ვერცხლის პრიზიორი ოლიმპიურ ტატამზე ორჯერ შევიდა, მაგრამ ამ ათ წუთში ერთი იუკოს აღებაც ვერ შეძლო. არც თავად დაუკარგავს ილეთით ქულა, მაგრამ დუნე ჭიდაობის გამო ოლიმპიადას შიდოებით გამოეთიშა.

ნუგზარ ტატალაშვილმა (73 კგ) და ადამ ოქრუაშვილმა (+100 კგ) საგამოფენო ცენტრ „ექსელის“ დარბაზში მხოლოდ თითო შეხვედრა ჩაატარეს. მათ შემთხვევაში მთავარი წინააღობა უიღბლო წილისყრა იყო. ტატალაშვილმა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთან, ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანსა და მსოფლიოს რეიტინგის სამხრეთკორეულ ლიდერ კი-ჩუნ ვანგთან ღირსეულად იბრძოლა და იუკოთი დამარცხდა. ქართველი ძიუდოისტი ვანგს იქამდე ორჯერ იყო შენახვედრი და ორივეჯერ წაეგო. კიდევ უფრო ცუდი სტატისტიკა ჰქონდა ოქრუაშვილს ევროპის ჩემპიონ და მსოფლიოს ჩემპიონატის ორგზის ფინალისტ ანდრეას ტოლცერთან. ხუთივე პირადი დაპირისპირება გერმანელს ჰქონდა მოგებული და რა გასაკვირია, მეექვსე შეხვედრაში ადამი მაქსიმალურად ფრთხილობდა. პირველივე წამებიდან მხოლოდ თავის დაცვაზე იყო ორიენტირებული, მაგრამ პასიურობისთვის მსაჯისგან ზედიზედ სამი გაფრთხილება მიიღო, მერე კი სულაც შებოჭვაზე მოჰყვა.


**ოთარ მაღლაკელიძე**





საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრები ლონდონში ექვსი სპორტსმენით ჩავიდა. ერთადერთი წონითი კატეგორია, რომელშიც ქართულ გუნდს მონაწილე არ ჰყავდა, 55 კილოგრამი იყო. გავი დარჩიან ექვსეულიდან მინიმუმ სამს ბრიტანული სალიცენზიანი მედალი უნდა გამოეპოო, მაგრამ ეს ორმა შეძლო: რევაზ ლაშხვა (60 კგ) და მანუჩარ ცხადაიანი (66 კგ). ვლადიმერ გეგეშიძე (84 კგ) და გურამ ფერსელიძე (120 კგ) კი საჩუქარი მოსახვედრად თითო მოგება დააკლდათ.

# საკამათო აპიზოდები



ვლადიმერ გეგეშიძე

## უმეალო, მაგრამ წარმატებული დებიუტი

ლონდონის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ტურნირების ჩამთავრებამდე ვერავინ იფიქრებდა, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრები ოლიმპი-ადაზე ლიდერის, მანუჩარ კვიციანი-გარეშე თუ წავიდოდა. ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი სეზონის უმთავრესი ტურნირისთვის ინდივიდუალური გეგმით ემზადებოდა და ევროპირველობაც კი გამოტოვა. სალიცენზიო ტურნირებს შორის ისეთი პატარა პაუზები იყო, ერთი მოჭიდავის ყველა შეჯიბრებაზე გამგზავრება ვერაფრით ხერხდებოდა. ნაკრების მწვრთნელებმა შანსი გუნდის მეორე ნომრად მიჩნეულ ზურაბ

დათუნაშვილსაც (74 კგ) მისცეს. საგზური პირველად სწორედ მან გაინაღდა და მანუჩარ კვიციანიამ გადამწყვიტა, 21 წლის ნიჭიერი სპორტსმენისთვის ხელი არ შეეშალა. ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი და ევროპის ბრინჯაოს მედალოსანი მართალია სადებიუტო ოლიმპიადაზე კვარცხლბეკს მიღმა დარჩა, მაგრამ კარგი ჭიდაობითა და ბრძოლისუნარიანობით ყველა ალაპარაკა. სამხრეთკორეულ ჯინ-ჰიეოკ კიმსა და ამერიკელ ბენჯამინ პროვისორს დათუნაშვილმა ორ-ორ პერიოდში მოუმთავრა საქმე. ამასთან, ორი შეხვედრის ჯამში 13:0 იმარჯვა. მეოთხედფინალში გაცილებით ძლიერ მეტოქესთან, აზერბაიჯანელ ემინ აჰმადოვთანაც მშვენივრად დაიწყო — ფრედ

დასრულებული პირველი პერიოდის შემდეგ ჩოქბჯენში ჩადგა და მონინალმდეგეს ილეთის გაკეთების საშუალება არ მისცა. მეორე პერიოდიც უჭეულოდ გაილია. დათუნაშვილს ნახევარფინალის საგზურის მოსაპოვებლად ჩოქბჯენში ჩამდგარი აჰმადოვისთვის ქულის აღება სჭირდებოდა, მაგრამ ვერც თავად შეძლო მონინალმდეგის დატრიალება. გადამწყვეტ ორნუთულში კი აზერბაიჯანელმა ძირითად დროშივე მოახერხა ქულის აღება და უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვა. შეხვედრის მინუტულს დათუნაშვილმა ანგარიშის სათავესოდ შეტრიალება იმ ეფექტური აკრობატული ილეთით სცადა, რომელიც სალიცენზიო ტურნირზე ერთხელ წარმატებულად გამოიყენა. ამჯერად, ფანდმა არ გაამართლა. ნახევარფინალში აჰმადოვი სომეხ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ არსენ ჯულფალაკიანთან ველარას გახდა და ჩვენებურს ბრინჯაოს ფრონტზე გადართვის შანსიც ხელიდან გამოეცალა.

## უსამართლობას გადაყოლილი მედალი

ჭიდაობაში რომ ყველაფერი სამართლიანად ხდებოდეს, ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე 84 კილოგრამი წონითი კატეგორიის ჩემპიონ-პრიზიორ ბერძენ-რომაელებს შორის საქართველოს ნაკრების წევრიც აუცილებლად იქნებოდა. ვლადიმერ გეგეშიძემ მინიმუმ ბრინჯაოს მედალი ულაპარაკოდ დაიმსახურა, მაგრამ კვარცხლბეკს მიღმა დარჩა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ — დატოვეს. ჩვენებურმა ლალი ჭიდაობისა და ბრძოლისუნარიანობის ხარჯზე თავიდანვე მოიგო ნეიტრალური გულშემატკივრების გული, მაგრამ კარგი ჭიდაობა და ტრიბუნების ფავორიტობა მისი მონინალმდეგეების სასარგებლოდ მსაჯების მიერ მიღებულია არაერთმა საკამათო გადამწყვეტილებამ გადანონა. პირველად უსამართლობის გამო მერვედფინალში ავნიერვილდით, აზერბაიჯანის სახელით მოჭიდავე ტიტულოვან ირანელთან, აჰმან ტახმასებისთან შეხვედრისას. გეგეშიძემ მეტოქე პირველ პერიოდში ჩოქბჯენიდან შედეგანად დაატრიალა. მეორეში უკვე თვითონ ჩადგა ჩოქბჯენში და წარმატებითაც იცავდა თავს. ბოლო ნამებზე ტახმასებმა მანაც მოახერხა ილეთის წამოწყება, ოღონდ საკითხავია, დაასრულა თუ ვერა ილეთი, რომელიც ქართველმა დაუხურა. არბიტრმა ტრიალი დააფიქსირა.



ჩვენი ნაკრების მწვრთნელების პროტესტმა კი არ გაჭრა.

მესამე პერიოდში საქმე ისევ ჩოქბჯენამდე მივიდა, რომელშიც აზერბაიჯანელი ჩადგა. ლადომ თავისუფლად აიტაცა იგი ლეიბიდან, წრის კიდეზე მივიდა და გარეთ გადააგდო.

ერთადერთი შეხვედრა, რომელშიც საკამათო არაფერი მომხდარა, უკრაინელ ევროპის ჩემპიონ ვასილ რაშიბასთან ბრძოლა იყო. ლადომ ნახევარფინალის საგზური ისევ სამპერიოდიან ბრძოლაში, თუმც სრულიად დამსახურებულად მოიპოვა.

ოქრომდე ორი ნაბიჯიღა რჩებოდა. პირველის გადასადგმელად — რუსეთის ნაკრების ოსი ნევრის, ევროპის ვიცე-ჩემპიონ ალან ხუგაევის ძლევა იყო საჭირო. ამ ბრძოლის პირველი პერიოდი ქართველმა 1:3 ნააგო, მაგრამ ქულები რომ ობიექტურად დათვლილიყო, აბსოლუტურად საპირისპირო ანგარიში უნდა დაფიქსირებულიყო. საბოლოოდ, ფინალში ჭიდაობის უფლება ხუგაევმა მოიპოვა. გეგეშიძე კი რეპეშაჟის ფინალში გადაერთო და იქ მსაჯებისგან კიდევ უფრო დიდი დარტყმა მიიღო — ყაზახეთის ნაკრების წევრ დანიელ გაჯიევეთან, გადამწყვეტი პერიოდის დამატებით დროში, ჩოქბჯენში თავი უნდა დაეცვა და ბრინჯაოს მედალი ხელში ჰქონდა. რამდენიმე წამში ქართულ ტრიბუნებზე გამარჯვების ყიჟინა ატყდა — გეგეშიძემ არათუ თავი დაიცვა, მოწინააღმდეგის მცდელობას ორქულიანი ილეთი მოაყოლა. ყაზახებმა

ბოლო იმედის მომენტი გააპროტესტეს. არბიტრებმა ვიდეოჩანანერის ნახვის შემდეგ გადაწყვეტილება ძალაში დატოვეს, მაგრამ სულ ცოტა ხანში პროტესტი თავიდან განიხილეს, შედეგი გააუქმეს და ოლიმპიურ პრიზიორად გაჯიევი გამოაცხადეს.


## უიღლო სტარტი

ევროპის ბრინჯაოს პრიზიორ სოსო ჯაბიძეს (96 კგ), ნილისყრაში არ გაუმართლა. პირველ მეტოქედ ალბანეთიდან ბულგარეთში გადასული მსოფლიოს ჩემპიონი ელის გური ერგო. ჩვენებურმა გამოცდილ მეტოქესთან ვერაფერი გააწყო — გური გაცილებით დამაჯერებლად ირჯებოდა და შეხვედრა სასურველი შედეგით დაასრულა.

ისლა დაგვრჩენოდა, ბულგარელის ფინალში გასვლას დავლოდებოდით, ჯაბიძეს რეპეშაჟის გზა რომ გახსნოდა, მაგრამ ლონდონურ ხალიჩაზე მეორედ აღარ გასულა, რადგან ელის გური მომდევნო წრეში ბელარუს მსოფლიოსა და ევროპის ვიცე-ჩემპიონ ტსიმაფეი დზიაჩენკასთან დამარცხდა.

## გურამი და გოლიათები

ყველა დიდ ტურნირს ჰყავს გამოკვეთილი ფავორიტები, რომლებიც კონკურენტებთან შედარებით იმდენად მაღლა



ზურაბ დათუნაშვილი

დგანან, რომ მათ გაჩემპიონებას ლამის ყველა წინასწარვეა შეგუებული. ცხადია, სუპერვარსკვლავები ლონდონის ოლიმპიურ თამაშებსაც ჰყავდა. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ასეთად კუბელი მიხაინ ლოპეს-ნუნესი მიიჩნეოდა. საოცრად ჯანინანი მძიმეწონოსანი, ბრიტანეთში მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონის რანგში ჩავიდა. ამასთან, ზურგს მსოფლიოს 4-გზის ჩემპიონობაც უმაგრებდა.

ჩვენდა სამწუხაროდ, ეს გოლიათი კენჭისყრამ სატურნირო ბადეში გურამ ფერსელიძის სიახლოვეს მოახვედრა. ქართველი გულშემატკივრებისთვის სამწუხაროდ, ბადის ამავე მხარეს აღმოჩნდა მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, თურქი რიზა კაიაალპიცი.

ფერსელიძემ ძირითად ბადეში გამოსვლა მეოთხედფინალში, სწორედ ლოპეს-ნუნესთან მარცხით დაასრულა. დამამშვიდებელი ეტაპის ფინალში კი კაიაალპთან ნააგო. ამ წაგებების წინ ქართველმა მძიმეწონოსანმა თითო გამარჯვებაც მიითვალა. მერვედფინალში ჩილელ ანდრეს ვალენსუელასთან, ხოლო დამამშვიდებელი ეტაპის ნახევარფინალში — ეგვიპტელ აბდელრაჰმან ელტრაბილთან.

ოთარ მაღლაკელიძე

## ბეგი დარჩია, სოსო ჯაბიძე და ზურაბ კახაბრიშვილი





# სამეულს მიღმა დარჩენილი სამეული


ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ყველაზე წარმატებულად ტრადიციულად, საქილამო სანეოპების წარმომადგენლები რომ გამოვიდოდნენ, ამაში ოლიმპიადამდეც ყველა დარწმუნებული იყო და რა განსაკვირებია, რომ ასეც მოხდა. ყველაზე მეტად დიდი იმედით თავისუფალი სტილით მოჭიდავეების გამოსვლას ველოდით და მედლების რაოდენობით მათაც გაამართლეს მოლოდინი — ზაზა თურკანიძეა ლონდონში სრული — შვიდკაციანი გუნდი ჩაიყვანა და ოთხი მათგანი კვარცხლბაკაზეც ავიდა. საპრიზო სამეულს მიღმა მხოლოდ მალხაზ ზარქუა (60 კგ), ოთარ თუშიშვილი (66 კგ) და დავით ხუციშვილი (74 კგ) დარჩნენ.

## დაკარგული გოლო შანსი

ნაკრების ყველაზე გამოცდილი წევრი, 34 წლის ოთარ თუშიშვილი ოლიმპიურ ხალიჩაზე მეოთხედ გავიდა. საუკეთესო შედეგი 2008 წელს პეკინის ოლიმპიადაზე აჩვენა — ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

„თუ ლონდონში წავალ, მეცოდინება, რომ ეს ჩემი ბოლო ოლიმპიური შანსი იქნება და შეეცდები საუკეთესო შედეგი ვაჩვენო, ოღონდ ამისთვის ხელი პირველ ყოვლისა ჯანმრთ-

ოთარ თუშიშვილი



ელობამ უნდა შემინყოს,“ — განაცხადა თუშიშვილმა ჯერ კიდევ 2011 წლის დეკემბერში, საქართველოს ჩემპიონატის ფინალის შემდეგ, რომელშიც, მართალია, ჩემპიონი გახდა, მაგრამ მთელი ტურნირი ტკივილგამაყურებლით ჩაატარა და ფინალში მრავალგზის ნატრავმალი ნეკნი კიდევ ერთხელ დაიზიანა.


მთელი მოსამზადებელი ციკლის განმავლობაში ამ და კიდევ რამდენიმე მძიმე ტრავმის გამო არაერთი ტურნირი თუ შეკრება გაუცდა და მიუხედავად იმისა, რომ ოლიმპიური ლიცენზია მაინც მოიპოვა, ერთხანს სალონდონე განაცხადს მიღმა დარჩენის სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

საბოლოოდ, პრობლემებს აჯობა და ბრიტანეთში გამგზავრებამდე დასკვნითი შეკრება თითქმის სრული დატვირთვით გაიარა, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ოპტიმალურ ფორმაში შესვლა ვერ მოასწრო — პირველსავე შეხვედრაში პერიოდმოუგებლად დამარცხდა აზიის 23 წლის ჩემპიონთან, უზბეკ ისტიორ ნავრუზოვთან. მალე კი ბრინჯაოს გზაც ჩაეკეტა, რადგან ნავრუზოვი ფინალამდე ვერ მივიდა.

თბილისში დაბრუნებიდან სამიოდ თვეში ოთარ თუშიშვილმა აქტიური სპორტული კარიერა დაასრულა.

## რჩინანი სტარტი და მოულოდნელი ფინიში

ქართველ მოჭიდავეებს ოლიმპიურ წლის სერაში არ გაუმართლათო ვერავინ იტყვის. უმეტესობას საკმაოდ ხელსაყრელი სატურნირო ბადე შეხვდა. ერთ-ერთი გამონაკლისი ევროპის ვიცე-ჩემპიონი მალხაზ ზარქუა იყო, რომელსაც პირველივე მეტოქედ ევროპის სამგზის ჩემპიონი, მსოფლიოსა და



დავით ხუციშვილი

ოლიმპიური პრიზიორი ვასილ ფედორიშინი ერგო. მას ევროპის 2010 წლის პირველობაზეც დაუპირისპირდა და ჩამოიშორა კიდევ. ტიტულოვან უკრაინელს ლონდონშიც მოუგო. თან უშანსოდ — 5:0 ორ პერიოდში, მაგრამ მერე მოულოდნელად, ამერიკელ ლუის კოლემან სკოტთან ვერაფერი გაანყო. მეტოქის რვა ქულას ერთითაც ვერ უპასუხა.

## არშემდგარი რევენში

დავით ხუციშვილისა და მისი მთავარი კონკურენტის — ევროპისა და მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონის, დენის ცარგუშის გზები ოლიმპიურ ბადეში ერთმანეთს მეოთხედ-ფინალში უერთდებოდა. თუმცა, ჩვენებურს იქამდე ორი ეტაპი უნდა გადაეღებინა. პირველ წრეში მონოლო უნებურად პურევეჯავს ორი დაძაბული პერიოდის ძლევით გასცდა. მერვედფინალში კი გვარიანად აანერვიულა გულშემატკივრები — გვინეა-ბისაუელი აუგუსტო მიდანას დასამარცხებლად სამი პერიოდი დასჭირდა. ცარგუშმაც ჩვეულად დაიწყო და მოსალოდნელი მეოთხედფინალური წყვილიც მივიღეთ.

რუსეთის ნაკრების აფხაზ წევრთან ჩვენებურს ოლიმპიურ თამაშებამდე სუთი თვით ადრე, ევროპის ჩემპიონატის ფინალში ჰქონდა წაგებული. რევენსს ამაოდ ველოდით, ცარგუშში ამჯერადაც უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

ისლა დაგვრჩენოდა, დათოს მომგების ფინალში გასვლისთვის გვეგულშემატკივრა, სამეულის შანსი მაინც რომ გაჩენილიყო. ლოგიკურად, სანერვიულო არც არაფერი იყო — ცარგუშს არ უნდა გასჭირებოდა, მაგრამ მოულოდნელად, ამერიკელ ჯორდან ერნესტ ბეროუსთან წაიფორხილა.

ოთარ მალხაჯალიძე





ანა ტატიშვილი და მაკა ჩახნაშვილი

## ოსი წლის შედეგ

2012 წლამდე ლეილა მესხი იყო ერთადერთი ქართველი ჩოგბურთელი, ვინც ოლიმპიურ თამაშებზე გამოსულა. 1988 წელს სეულში მესხი ერთეულთა თანრიგში მეორე წრეში დამარცხდა, ოთხი წლის შემდეგ ბარსელონაში კი მინსკელ ნატალია ზვერევასთან ერთად წყვილთა თანრიგში ბრინჯაოს მედალი აიღო. და აი, 20-წლიანი პაუზის შემდეგ, ლონდონის ოლიმპიადაზე ორი ქართველი ჩოგბურთელი ასპარეზობდა — ანა ტატიშვილი და მარგალიტა ჩახნაშვილი.

ჩვენმა ჩოგბურთელებმა ძალები მოსინჯეს წყვილთა შეჯიბრებაში, ტატიშვილმა კი ერთეულთა თანრიგშიც ითამაშა. 30 ივლისს ჩახნაშვილისა და ტატიშვილის დუეტი ქალთა წყვილებში პირველივე რაუნდში დამარცხდა სლოვაკ მონინაალმდეგებთან — ანდრეა კლეპჩაკთან და კატარინა სრებოტნიკთან. შეხვედრა საკმაოდ დაძაბული გამოვიდა და ქართ-

ველმა გოგონებმა პირველი სეტი მხოლოდ ტატიშვილმა დათმეს 6:7, მეორე სეტი დამაჯერებლად — 6:3 მოიგეს, ხოლო მესამეში 2:6 ნააგეს და დაასრულეს გამოსვლა. რაც შეეხება ერთეულთა ტურნირს, ანას პირველ რაუნდში ხელსაყრელი მონინაალმდეგე შეხვდა — ლუქსემბურგელი სტეფანი ვოგტი, ვისაც პირველი სეტი 28 წუთში 6:2 მოუგო, წვიმის გამო მრავალჯერ შეწყვეტილი მეორე სეტი კი ნახევარ საათში გამარჯვებით დაასრულა — 6:0. ამის შემდეგ იყო 1/16 ფინალი ერთ-ერთ უძლიერეს რუს ჩოგბურთელთან — ნადეჟდა პეტროვასთან. წვიმის გამო ეს მატჩიც რამდენიმე საათით გადაიდო და საღამოს დასრულდა. ახალგაზრდა ქართველმა ჩოგბურთელმა სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია ტიტულიან მეტოქეს, მეორე სეტის მოგებით ანგარიშიც გაათანაბრა, მაგრამ მეტის გაკეთება ვეღარ შეძლო — 3:6, 7:5, 2:6.

## ყველა შედეგი

2012.  
XXX ოლიმპიადა.  
ლონდონი.

35 მოწინააღმდეგე.  
1 ოქროს,  
3 ვერცხლის  
და 3 ბრინჯაოს  
მედალი.



ლაშა შავდათუაშვილი (ძიუდო) - I, ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) - II, დავით მოძმანაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) - II, რევაზ ლაშვი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) - II, დავით მარსაგიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) - III, გიორგი გოგშელიძე (თავისუფალი ჭიდაობა) - III, მანუჩარ ცხადაია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) - III, ვლადიმერ გეგეშიძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) - V, გურამ ფერსელაძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) - V, ირაკლი თურმანიძე (ძალოსნობა) - V, ლუბა გოლოვინა (ბატუტზე სტომა) - VII, რაულ ცირეკიძე (ძალოსნობა) - IX, მალხაზ ზარქუა (თავისუფალი ჭიდაობა) - 1/4, დავით ხუციშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) - 1/4, ზურაბ დათუნაშვილი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) - 1/4, ბეთქელ შუკვანი (ძიუდო) - 1/8, ავთანდილ ჭრიკიშვილი (ძიუდო) - 1/8, ვარლამ ლიპარტელიანი (ძიუდო) - 1/8, ლომერ ჟორჟოლიანი (ძიუდო) - 1/8, ოთარ თუშიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) - 1/8, სოსო ჯაბიძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) - 1/8, ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა) - XV და XXXIII, ნუგზარ ტატლაშვილი (ძიუდო) - 1/16, ადამ ოქრუაშვილი (ძიუდო) - 1/16, ქრისტინე ესებუა (მშვილდოსნობა) - 1/16, ანა ტატიშვილი (ჩოგბურთი) - II წრე, ანა ტატიშვილი, მარგალიტა ჩახნაშვილი (ჩოგბურთი, წყვილები) - II წრე, ირაკლი ბოლქვაძე (ცურვა) - XXVIII, მოსიეჟ როსიევიჩი (მძლეოსნობა) - XXXIV, მაია გოგოლაძე (მძლეოსნობა) - საკვალიფიკაციო ეტაპი, ბორისლავ სხირტლაძე (მძლეოსნობა) - საკვალიფიკაციო ეტაპი, დავით ილარიანი (მძლეოსნობა) - საკვალიფიკაციო ეტაპი, ვია მაჭავარიანი (ძალოსნობა) - უადგილოდ, გიორგი ნადირაძე (ველოსპორტი) - დისკვალიფიკაცია, მერაბ თურქაძე (კრივი) - წონა ვერ ჩააბარა.





# შტაბონე შტაბოგაპლოგას!

**ოლიმპიური სოფალი, სპორტულ ინფრასტრუქტურასთან ერთად, ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი უმთავრესი შიდაგანაწილია. იქაურ საყოფაცხოვრებო პირობებს, ზოგადად, ატმოსფეროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება და, ყოფილა შემთხვევა, მონაწილეთა შიდაგაგზავც მოუხდენია გავლენა. ამიტომაცაა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ექსპერტთა ჯგუფი დეტალურად სწავლობს, მასპინძელი ქალაქის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ ამ მიმართულებით ჩატარებულ საფუძვლავს.**



ბტლანტის, ათენის, პეკინის, ასევე, ვანკუვერის თეთრი ოლიმპიადის შემდეგ, ლონდონის XXX ზაფხულის თამაშები, ჩემთვის მესუთე ოლიმპიადა იყო — ყველაზე გამორჩეული და საპასუხისმგებლო, რადგან საქართველოს ოლიმპიური გუნდის პრესატაშე გახლდით და მანამდე ოლიმპიურ სოფელშიც არ მიცხოვრია.

ბევრისგან მსმენოდა, რომ ასეთი დონის მასშტაბურ სპორტულ ღონისძიებაზე ოლიმპიურ სოფელში ცხოვრება, სხვადასხვა რჯულის, კულტურის, ტრადიციების ხალხთან ურთიერთობა ძალზე საინტერესოა და ცხოვრებისეულ გამოცდილებასაც გმატებს, რაშიც ინგლისის დედაქალაქში 36 ჰექტარ მიწაზე გადაჭიმულ ოლიმპიურ სოფელში გატარებულმა დღეებმა თვალნათლივ დამარწმუნა.

ოლიმპიურ სოფელში ჩვეულებრივი მოკვდავისთვის არაჩვეულებრივი ამბები ხდება. მაგალითად, დილით საცხოვრებელი კორპუსის ლიფტში შეიძლება გადაეყარო ახლო წარსულში ქალთა შორის ნომერ პირველ ჩოგანს ბელგიელ კიმ კლაისტერსს, სოფლის გასართობ ცენტრში კი მის კოლეგასთან დანიელ ლამაზმან კაროლინ ვოზნიაცკისთან ბილიარდის თამაშს გამოჰყრნახელი, მოუსმინო ცნობილი იტალიელი ფრენბურ-

თელის ფრანჩესკა პიჩინინის სიმღერას კარაოკეზე, შეხვდები ველოსიპედით მოსიერნე ესპანელ ჩოგბურთელს დავიდ ფერერის, მაკდონალდსში შესს უკან რიგს დაიკავებს NBA-ს ვარსკვლავი ლებრონ ჯეიმსი, არც მაშინ უნდა გაოცდე, თუ შესს მაგიდასთან ადგილს დაიკავებს და შესთან ერთად ისადილებს არგენტინელი კალათბურთელი მანუელ ჯინობილი და ა.შ.

საქართველოს დელეგაციას — 35 სპორტსმენს, მწვრთნელებსა და ადმინისტრაციის სხვა წევრებს, საცხოვრებელი ორგანიზატორებმა ოლიმპიური სოფლის ცენტრალურ ზონაში ერთ-ერთ საუკეთესო ადგილზე გამოუყვეს — ბელგიელების, ავსტრიელების, ლიტველებისა და ირლანდიელების გვერდით. საქართველოს გუნდი 8-სართულიანი კორპუსის ბოლო სამ სართულზე განთავსდა და საცხოვრებელ პირობებსაც არაფერი დაეწუნებოდა. საქართველოს დელეგაციაზე ექვსი ადგილობრივი მოხალისე იყო მომარტრებული, რომლებიც მუდამ მომღიმარი სახით გვეგებებოდნენ და მზად იყვნენ, ნებისმიერი საკითხის მოგვარებაში შეძლებისდაგვარად დაგვემარტებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ პეკინის (2008 წელი) ოლიმპიური სოფელი ტერიტორიულად ლონდონისაზე დიდი იყო, ხოლო ათენის (2004 წელი) — სიდიდით ორივეს აღემატებოდა. ბრიტანელებს ახალი ველოსიპედი არ გამოუგონებიათ და ოლიმპიური სოფელიც სტანდარტების მიხედვით ააგეს. მისი მშენებლობა ქალაქის დასავლეთ ნაწილში 2008 წლის გაზაფხულზე დაიწყო და 2011 წლის შემოდგომაზე დასრულდა. სოფელი ოლიმპიური პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსდა, იქვე იყო ოლიმპიური სტადიონი, საშეჯიბრო კომპლექსთა გარკვეული რაოდენობა, მთავარი პრეს-ცენტრი. თამაშების პროგრამაში შემავალ ყველა სპორტულ ზაზამდე ოლიმპიური სოფლიდან ავტობუსები განრიგის მიხედვით მოძრაობდნენ.

ადგილობრივთა და ქართული სათვისტომოს წარმომადგენელთა თქმით, ლონდონის ისტენდი, ტერიტორია, სადაც ოლიმპიური სოფელი



გაშენდა, მანამდე ლონდონის გარეუბნად ითვლებოდა და მუნიციპალიტეტის მხრიდანაც დიდი ყურადღებით განებივრებული არ იყო, მაგრამ ოლიმპიადამ ყველაფერი შეცვალა და, ამჟამად, ეს კვარტალი ქალაქში ერთ-ერთ პრესტიჟულ რაიონად ითვლება.

ოლიმპიური სოფლის საცხოვრებელ კორპუსებში 3300 აპარტამენტი მოეწყო. სოფელი ასევე აღჭურვილი იყო მრავალფეროვანი გასართობი ადგილებით, სამედიცინო ცენტრით, ინტერნეტით, სასადილოთი, რომელსაც ერთდროულად 5500 კაცის მომსახურება შეეძლო და ოლიმპიური სოფლის ეს სერვისები იქ მაცხოვრებლებისთვის სრულიად უფასო გახლდათ.

ცალკე აღსანიშნავია, სამზარეულო, რომელიც 24 საათის მანძილზე მუშაობდა და რომლის მრავალფეროვანი მენიუ — ევროპული თუ აზიური კერძები, პრეტენზიულ გურმანსაც კი აღაფრთოვანებდა. აქვე გეტყვით, რომ ოლიმპიადის მსვლელობისას სასადილოში მოიხმარეს 25 ათასი პური, 232 ტონა კარტოფილი, 75 ათასი ლიტრი რძე, 330 ტონა ხილი და ბოსტნეული, რაც გასაკვირი სულაც არ იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ სასადილო 205 ქვეყნის 16 ათასამდე სპორტსმენსა და ოფიციალურ პირს ემსახურებოდა.

„შთაგონე შთამომავლობას!“ — ეს გახლდათ ლონდონი-2012-ის ოფიციალური სლოგანი. ვფიქრობ, ოლიმპიადის მიმდინარეობისას ვინც ერთხელ მაინც იცხოვრებს ოლიმპიურ სოფელში, ის მომავალ თაობას აუცილებლად შეაყვარებს ოლიმპიზმის სულისკვეთებას, პრინციპებსა და იდეალებს.

**პანა ბერიძე**



# გოლოვინას ფინალი

ბატუტისტ ლუბა გოლოვინას ოლიმპიური დებიუტი 2008 წელს პეკინში შედგა. 18 წლის სპორტსმენისგან ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის აღება ბევრისთვის მოულოდნელი შედეგი იყო, მეტიც — ახალგაზრდა, სიფრიფანა გოგონას იქ მოხვედრას ალბათ პირადი მწვრთნელების და ერთი-ორი ოპტიმისტი ქომაგის გარდა, არც არვინ ელოდა. არადა, თურმე მოულოდნელობები ჯერაც წინ იყო. პატარა, გამოუცდელმა გოგონამ, პეკინში ისე დამაჯერებლად და აუღელვებლად იხტუნავა, რომ ბევრ სახელიან და შეჯიბრებაში გამობრძმედილ ბატუტისტსაც შეშურდებოდა — საკვალიფიკაციო ეტაპი დამაჯერებლად გადალახა, ძალები ფინალშიც მოსინჯა და საბოლოოდ, მე-7 ადგილს დასჯერდა. ჰოდა, რა გასაკვირია, ქართველი გულშემმატკივარი გოლოვინას მიმართ უფრო მომთხოვნი რომ გახდა და მომდევნო ოლიმპიადაზე მისგან მედალი მოითხოვა. გოლოვინასთვის ოლიმპიური ციკლი საინტერესოც გამოდგა და არაერთ-გვაროვანიც — მან გეგმაზომიერად დაიწყო ვარჯიშების სირთულის გაზრდა და სხვადასხვა შეჯიბრებებზე, ამა თუ იმ სირთულის ვარჯიშის დაძლევა. საქმე ხან კარგად იყო, ხანაც სათუოდ — ლუბას პერიოდულად თავს ტრავმა ახსენებდა, რაც, ცხადია, დასახული მიზნისკენ სვლას ართულებდა.

გოლოვინამ ოლიმპიური თამაშების ლიცენზია იანვარში ლონდონში ჩატარებულ სალიცენზიო ტურნირზე დაისაკუთრა და მზადება მშვიდად გააგრძელა, მაგრამ სამუნახროდ, ოლიმპიადამდე ცოტა ხნით ადრე ტრავმა მიიღო — ახალგაზრდა სპორტსმენმა ინგლისში გამგზავრებამდე გამომჯობინება და რეაბილიტაცია კი მოასწრო, მაგრამ სასურველ ფორმაში შესვლა ვერ მოახერხა, რამაც, რა თქმა უნდა, საბოლოო შედეგზე იქონია გავლენა.

4 აგვისტოს ლონდონში გამოსულმა გოლოვინამ პეკინის ოლიმპიადის შედეგი გაიმეორა და ფინალში, საუკეთესო 8 სპორტსმენში მოხვდა, მაგრამ გააუარესა ასევე წინა ოლიმპიური თამაშების მაჩვენებელი — თუ პეკინში მე-6 იყო, ლონდონში მხოლოდ მე-7 ადგილს დასჯერდა. 22 წლის სპორტსმენმა დამაჯერებლად დაძლია კვალიფიკაცია 47.805 ქულით და ფინალში შევიდა, სადაც



მეორე ვარჯიშში 53.935 ქულა მიიღო და ჯამური 101.740 ქულით ფინალისტ რვეულს შორის მე-7 ადგილს დასჯერდა.

გოლოვინასთვის ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი საიმისოდ, რომ მედლისთვის ებრძოლა, ტრავმა გამოდგა — მან ვერ მოახერხა ლონდონში სასურველ ფორმაში ჩასვლა, რამაც, ცხადია, დიდი გავლენა მოახდინა მის მიერ შესრულებულ ვარჯიშებზე — ლუბას გამოსვლის დროს თვალნათლივ ეტყობოდა სათანადო ფორმაში არყოფნა — აკლდა სითამამე და ელასტიურობა, რასაც ვერაფრით ვიტყვით მის მთავარ კონკურენტებზე: ორ ჩინელ და ორ კანადელ ბატუტისტზე, რომლებმაც გადაინაწილეს კიდეც საპრიზო სამეული. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ გოლოვინას სასურველ ფორმაში ყოფნის შემთხვევაშიც კი ძალიან გაუჭირდებოდა რომელიმე სინჯის მედლის დასაკუთრება. მიზეზი ერთია — კანადელი და ჩინელი ბატუტისტები საოცარ ფორმაში იყვნენ და ძნელად, რომ ვინმესთვის რამე დაეთმოთ.

**ლექსო ალექსიძე**



# დაკარგული მედალი

ქართველი ქომაგი ოლიმპიადაზე კალოსნებისგან რომელიმე სინჯის მედალს ელოდა. ყველაფერი აქეთქანაც მიდიოდა, მაგრამ ბოლო მომენტში გია მაჭავარიანს, რომელიც ნაკრების ლიდერად ითვლებოდა და მედლის კანდიდატიც იყო, ნერვოზმა უმტყუნა – მან ფსიქოლოგიურ ზეწოლას ვერ გაუძლო. მაჭავარიანი, იმის მაგივრად, რომ მაქსიმალურად მაღალი შედეგისთვის ებრძოლა, შეჯივრებას ნაადრევად გამოეთიშა და მედალი მკერდიდან ლამის საკუთარი ხელით ჩამოიხსნა...

ატაცში საწყისი წონა — 190 კილოგრამი ვერ დაძლია და შეჯივრებას გამოეთიშა. ასევე, ნაადრევად გადაინაცვლა მაცურებლებში კორეელმა კიმმა. ფაქტობრივად, ოთხი კანდიდატი დარჩა — შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი და მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხეადგილოსანი გია მაჭავარიანი; 2011 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი უკრაინელი ოლექსეი ტოროხტი, პოლონელი ბართლომეი ბონკი და ირანელი ნავაზ ნასირშელალი. მაჭავარიანმა ატაცში საწყისი წონა 185 კილოგრამი მხოლოდ მესამე ცდაზე დაძლია, ჩვენებურს მხოლოდ ბონკი უსწრებდა



ირაკლი თურმანიძე



რაულ ცირეკიძე



გია მაჭავარიანი

3 აგვისტოს ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ქართველმა ძალოსანმა რაულ ცირეკიძემ (85 კგ), რომელიც ბ-ჯგუფში გამოდიოდა, 362 ქულით, ბელარუს მიკალაი ნოვიკაუს შემდეგ მეორე შედეგი აჩვენა, ვინც ქართველ ძალოსანს ერთი კილოგრამით აჯობა. ატაცში ცირეკიძემ 162 კგ დაძლია, ამ წონის შტანგა პირველსავე ცდაზე დაიმორჩილა, შემდეგ კი 5 კგ-ით დაამძიმა, თუმცა მეორე და მესამე ცდა ნარუმბატეხელი გამოუვიდა. ბელარუსმა მეტოქემ ატაცში 5 კგ-ით მეტი დაიმორჩილა.

აკვრა ქართველმა ათლეტმა 195 კგ-ით დაიწყო და წონა წარმატებით დაძლია. მეორე ცდაზე ცირეკიძემ წონა ხუთი კგ-ით დაამძიმა და კვალავაც გაუმკლავდა შტანგას. მესამე ცდაზე კი წონა 202 კგ-მდე გაზარდა, რათა ჯგუფის ლიდერ ნოვიკაუს ჯამური შედეგისთვის ეჯობნა, რომელსაც აკვრაში სამი ცდის შემდეგ, ჯამში 363 კგ ჰქონდა დაგროვილი, თუმცა საბოლოოდ ცირეკიძე სიმძიმეს ვერ გაუმკლავდა და ბ-ჯგუფში გამოსვლა მეორე ადგილზე დაასრულა.

6 აგვისტოს ლონდონში გია მაჭავარიანი (105 კგ) გამოვიდა, ვინც წლუულს 417 კილოგრამით მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა, ლონდონის ოლიმპიურ ფიცარნაგზე კი უკრაინელმა ოლექსეი ტოროხტიმ ოქროს მედალი 412 კილოგრამით დაიმსახურა — ბედის ირონია, მაგრამ ასეა, სპორტმა დანდობა არ იცის,

ფსიქოლოგიურად მოუმზადებელი და გაუნონანსწორებელი ადამიანები არ უყვარს.

მას შემდეგ, რაც 105 კილოში ძალოსანთა პაექრობას აშკარა ფავორიტები — ჰაჯიმურატ აკაევი და დმიტრი კლოკოვი ჩამოშორდნენ, საპრიზო ადგილებზე გასვლის შანსი ერთბაშად რამდენიმე ძალოსანს გაუჩნდა. პირველი იყო პოლონელი მარჩინ დოლეგა, მაგრამ მან

190 კილოთი. კიდევ ორ სპორტსმენს ჰქონდა ანუული 185 კილო. ამის მიუხედავად, მედლის მოპოვების შანსი მაინც რეალური ჩანდა, მაგრამ მაჭავარიანმა საწყისი წონა ვერ დაძლია — ჯერ 220, მერე — 225 და შეუფასებელი დარჩა. ჩემპიონობა 412 კილოგრამით (ატაცი — 185, აკვრა — 227) ოლექსეი ტოროხტიმ მოიპოვა. მას კილოგრამით ჩამორჩა (184+227) ნავაზ ნა-

გია მაჭავარიანი, რაულ ცირეკიძე, ვანო გრიქუროვი და ირაკლი თურმანიძე





სირშელალი, რომელსაც ვერცხლი ერგო. 410 კილოგრამით (190+220) მესამე ადგილი ბართლომე ბონკმა დაისაკუთრა.

ლონდონის ოლიმპიურ ფიცარნაგზე 7 აგვისტოს ბოლო პაექრობები გაიმართა. ერთმანეთს მიიმე წონის ძალოსნები გაეჯიბრნენ. კარგად დაიწყო გამოსვლა ირაკლი თურმანიძემ, ვინც 201 კილოგრამი აიტაცა, ეს კი ამ მოძრაობაში მე-4 შედეგი იყო. მსოფლიო რეკორდსმენმა (214 კგ) ბეჰდად სალმიკორდასიაბიმ (ირანი) და რუსმა ევროპის ჩემპიონმა რუსლან ალბეგოვმა — 208-208 კილოგრამი დაძლიეს.

ქართველ ძალოსანს პირველ მოძრაობაში სამი კილოგრამით გაუსწრო ირანელმა საჯიდ ჰამლაბად ანუშირავანიმ. აკვრამი თურმანიძემ ორი ცდა გამოიყენა და 232-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა, ორჭიდის ჯამში 433 კილოგრამი მოაგროვა და მე-5 ადგილი დაიკავა.

ვანო გრიქუროვი: „კარგი იქნებოდა, 105 კილოგრამ წონით კატეგორიაში, სადაც მაჭავარიანი გამოდიოდა, ფიცარნაგზე რუსებიც გასულდევნენ. ორი კონკურენტის ჩამოცილებამ საშინლად ააფორიაქა. ჩავარდნის უმთავრესი მიზეზიც სწორედ ეს იყო. რუსების ყოფნის შემთხვევაში ეს მოდუნების მომენტი აღარ იქნებოდა. აღარ იფიქრებდა მაჭავარიანი, მედალი უკვე ჯიბეში მაქვსო. მან წარმატების ნაადრევად ირწმუნა, რამაც უარყოფითი შედეგი მოიტანა. ამდენი ხნის მუხლჩაუხრელი შრომა წყალში ჩაიყარა და ცხადია, გაბრაზებული ვარ, მაგრამ ამ გაბრაზებას სიბრაღის გრძობა სძლავს. მეცოდება, რადგან მთელი ამ ხნის განმავლობაში მასაც ცდა არ დაუკლია.

რაულ ცირეკიძისგან ოდნავ მეტს მოველოდი, მაგრამ ვფიქრობ, თავისი რეალური შესაძლებლობის დონეზე გამოვიდა. ცირეკიძის შეცდომა ის იყო, რომ არასწორად შეაფასა თავისი ძალა. მისი ოცნებები არ ემთხვეოდა არსებულ მდგომარეობას. კი ბატონო, ევროპის მოქმედი ჩემპიონია, მაგრამ რეალურად ის შედეგი, რომელიც ევროპირველობაზე აჩვენა, არაა საკმარისი, რომ ოლიმპიადაზე სერიოზული განაცხადი გაეკეთებინა. ბევრს მოელოდა და ცოტა მიილო.


ირაკლი თურმანიძის გამოსვლაზე ვიტყვი, რომ ძალიან კმაყოფილი დავრჩი. ამ ბიჭმა საოცარი ხასიათი და ბრძოლისუნარიანობა გამოაჩინა. სამწუხაროდ, მხოლოდ მან. ოლიმპიადის ბოლო დღეს გამოჩნდა, რომ ნაკრები კარგად იყო მომზადებული, მაგრამ სამივე ძალოსანმა ვერ გამოიყენა ეს მზადყოფნა. თურმანიძემ გვაჩვენა თავი, როგორც სასწაული ნერვების პატრონმა. დადებითი პიროვნებაა. როგორც სპორტულად, ისე — ადამიანურად. მუდამ წყნარი, განონასწორებული. როდესაც ადამიანი გასაჭირში ვარდება, მაშინ გამოვლინდება ყველაზე თვალსაჩინოდ მისი დადებითი და უარყოფითი თვისებები“.

ნიკა კოვალინი

# უსნაური ამბავი

ოქტომბერში ძალოსანთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ ვანო გრიქუროვთან დაკავშირებით ერთობ მოულოდნელი და უსიამოვნო ამბავი გავრცელდა — ნაკრების თავკაცს სპორტსმენთა და მწვრთნელთა ერთი ჯგუფი დაუპირისპირდა და მისი ნაკრების დამრიგებლობიდან გადადგომის მოთხოვნით ხელმოწერები შეაგროვა. ამბავი იმდენად უცნაური იყო, ეგებ არც არავის დაეჯერებინა, ფაქტი ირიბად ძალოსანთა ფედერაციის გენერალურ მდივან რამაზ გურგენიძეს, რომ არ დაედასტურებინა: „ნაკრების თავკაცი ამჟამადაც ვანო გრიქუროვია, თუმცა არის გარკვეული პრობლემები, რომლის გახმაურებაც პირველ ყოვლისა, ქართული ძალოსნობის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭირო არაა“. ამ კომენტარს ისიც დაერთო, რომ მომხდართი იმედგაცრუებული ვანო გრიქუროვი ინციდენტიდან მალევე პოლონეთში გაემგზავრა. უცნაურია, მეტი რომ არ იყოს — ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონების აღმზრდელს ასე ნამდვილად არ ექცევიან. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ გრიქუროვი თავისი საქმის უბადლო მცოდნეა და ძალიან ბევრ ქვეყანაში ასეთ მწვრთნელს ხელის გულზე ატარებენ. ჰოდა, ისე არ გამოვიდეს, ადამიანთა ერთი ჯგუფის გაუგებარ მოთხოვნებს ნაკრების ინტერესები შეენიროს — გამორიცხული არ არის, ამ ინციდენტის შემდეგ გრიქუროვმა მუშაობის გაგრძელებაზე უარი თავად თქვას, რაც, ცხადია, საერთო საქმეს ავნებს. ამ ყველაფერზე გულშემატიკვართა ის ნაწილიც ფიქრობს, ვინც გრიქუროვის პროფესიონალიზმი და შრომისმოყვარეობა კარგად იცის და ძალოსანთა ნაკრების ბედიც ალღევებს. შემთხვევითი სულაც არ იყო, რომ გრიქუროვთან დაკავშირებული ინციდენტის გახმაურებას სოციალურ ქსელებში თუ ფორუმებზე ასობით უკმაყოფილო ქომაგის გამოხმაურება მოჰყვა. გულშემატიკვარმა მომხდარი ფაქტი უარყოფითად შეაფასა და ბურუსით მოცული სიტუაციის განმარტება მოითხოვა. უურნაღისტებმა მომხდარზე კომენტარის გაკეთება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრს — ლევან ყიფიანსაც სთხოვეს, ვინც მკაფიოდ განმარტა, რომ სამინისტრო ფედერაციების საქმიანობაში არ ერევა და აღნიშნული პრობლემაც ძალოსნობის ფედერაციამ თავად უნდა მოაგვაროს. ასე რომ, ყველა გზა ძალოსნობის ფედერაციასთან მიდის და პრობლემის გადაჭრაც მას ევალება — უკმაყოფილო სპორტსმენ-მწვრთნელთა ნაწილი უნდა დაამშვიდონ და ნაკრების თავკაცსაც მშვიდად მუშაობის საშუალება მისცენ. გრიქუროვის დონის სპეციალისტები, სამწუხაროდ, არც ისე ბევრი გვყავს.

კახი კახიანი და ვანო გრიქუროვი





# ესაბუას ფარისცვალება



**მშვილდოსანი ქრისტინე ესაბუა მუდმივად ითვლებოდა ნაპრების ერთ-ერთ ლიდერად და ბოლო წლებში მოპოვებულ გამარჯვებაში თავის ღონიერ სიტყვასაც ამოვად. მაგრამ, საქართველოს ნაპრებში კორეელი მწვრთნელის სეუნის დანიშვნის შემდეგ, რომელსაც ქართველებმა მოფარებით არჩი შეარქვეს, ესაბუამ ნამდვილი ფარისცვალება განიცადა. სამხრეთკორეელმა სპეციალისტმა ქრისტინეს ხელი გალავა დაატყო, მისი თავკაცობით, ესაბუამ საოცარი პროგრესი განიცადა და 2011 წელს ქართული მშვილდოსნობის ისტორიაც შეცვალა – ინდივიდუალურ შეჯიბრში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გავიდა და ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.**

ესაბუა რომ ნიჭიერი იყო, ამას ყველა ხედავდა, მაგრამ რაც ვერ მოახერხეს სხვა მწვრთნელებმა, შეძლო კორეელმა. მით უფრო, სეუნს თავისი შეგირდის არ ესმოდა, ქრისტინესთან კომუნიკაციას ხშირად სხვების დახმარებით ახერხებდა, ოღონდ ენის პრობლემამ ხელი ვერ შეუშალა ნიჭიერ შეგირდში პოტენციური დაენახა და სწორი მართულეობა მიეცა. სწორმა მიდგომამ, დაუღალავმა, მუყაითმა გარჯამ შედეგი გამოი-

ლო — ვერცხლი მსოფლიოზე და ლონდონის ლიცენზია, რასაც თავისთავად, უთქმელად, ოლიმპიურ თამაშებზე მედლის მოთხოვნა დაემატა. მედალზე თავად ესებუაც ფიქრობდა და ამას არც მალავდა, სხვა საქმეა, რამდენად ჰქონდა საიმისო პოტენციური უდიდესი კონკურენცია დაეძლია და მედლისთვის გაერტყა. ამ კითხვას პასუხი ლონდონში ნაწილობრივ გაეცა — ესებუამ პირველივე წრეში მისთვის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მჯობნი ჩილელი ვან ლემოენი პრინციპულად დაჩაგრა. თუმცა, მედლისთვის ბრძოლა მაიც ვერ მოახერხა. რატომ? — კითხვაზე პასუხი თანმიმდევრობით გავცეთ.

ესებუა ოლიმპიურ თამაშებში 27 ივლისს ჩაება. ჩვენებურმა საკვალიფიკაციო შეჯიბრში 642 ქულით 34-ე ადგილი დაიკავა, სუსტმა ნასროლმა კი გეგმები აურია — რთული ბადე შეახვედრა, რაც საბოლოოდ, ოლიმპიური თამაშებიდან ნაადრევად გამოთიშვად დაუჯდა — მან 1/32-ე ფინალში ჩილელ მსოფლიოს ჩემპიონ დენისე ასტრიდ ვან ლემოენს, რომელთანაც მსოფლიოს პირველობა ჰქონდა ნაგებული, დამაჯერებლად 6:0 მოუგო, მაგრამ 1/16 ფინალში კიდევ უფრო ძლიერი მეტოქე შეხვდა — მეორე ნომრად განთესილი სამხრეთკორეელი სუნ-ჯინ ლი, რომელთანაც 2:6 დამარცხდა.

ესებუა მიზანზე მეტად კონცენტრაციის ნაკლებობამ დააღალატა — ის სათანადოდ ვერ განეწყო საკვალიფიკაციო სროლებისთვის,

რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მედლისთვის ბრძოლა არ იწყება ფინალური ეტაპით, საჩემპიონო გზას მშვილდოსნები პირველი ეტაპიდანვე მიუყვებიან და ფსიქოლოგიურ განწყობას, კონცენტრაციას შეჯიბრების თავიდან ბოლომდე ინარჩუნებენ. რატომ ვერ მოახერხა ესებუამ თავიდანვე მობილიზება და იყო თუ არა ეს მწვრთნელის ბრალი. ცხადია, მწვრთნელის ფაქტორი ამ დროს უმნიშვნელოვანესია, მაგრამ არა გადამწყვეტი. სპორტსმენის კარიერაში არის მომენტები, როდესაც საკუთარ თავს თვითონ უნდა მიხედოს — განწყობაზეც და ხასიათზეც თავად იზრუნოს. ვფიქრობთ, ეს ის შემთხვევა იყო, როცა სეუნი ვერაფერს იზამდა — ქრისტინეს თავად უნდა მოეხერხებინა მობილიზება, საკვალიფიკაციო ეტაპის დამაჯერებლად დაძლევის შემთხვევაში კი ბევრად შორს წავიდოდა. ამის თქმის საბაბს კორეელთან ნასროლი შედეგიც გვაძლევს — ესებუამ 12 ცდიდან ორი ისარი მოარტყა ათიანში, ოთხი ცხრიანში, ხოლო ექვსი — რვიანში. ასეთი შედეგით ის უთუოდ მოგებულნი გამოვიდოდა შედარებით სუსტ მეტოქესთან, მაგრამ სუნ-ჯინ ლიმ ქართველზე უკეთ ისროლა — მან ოთხი ათიანი, ექვსი ცხრიანი და ორი რვიანი მოაგროვა და სეტებში 3:1 მოიგო. ჰოდა, ესებუას ნაადრევი მარცხიც უფრო მეტად ქართული ხასიათის ბრალი გვგონია, ვიდრე სხვა რამის.

**ნიკა კოპაძე**







## სალუქვაკის მეზობილა

29 ივლისს ლონდონის ოლიმპიადაზე პნევემატური იარაღიდან 10 მეტრზე სროლის შეჯიბრში ნინო სალუქვაკემ ჯამური 376 ქულა დააგროვა და ფინალურ საუკეთესო რვაში ვერ მოხვდა — 9 ქულა დააკლდა.

1 აგვისტოს სალუქვაკე 25 მეტრზე სპორტული პისტოლეტით სროლის შეჯიბრში ჩაება და ფინალში მოხვედრის მეტი შანსი ჰქონდა, ვიდრე 10 მეტრზე პნევემატური პისტოლეტით სროლაში, მაგრამ საბოლოოდ, ფინალში მოსახვედრად 3 ქულა დააკლდა. ქართველი მსროლელი სამკაოდ ახლოს იყო ფინალთან. მან ჯამში 581 ქულა დააგროვა და მხოლოდ ორი ქულა დააკლდა ფინალისთვის ბრძოლის გასაგრძელებლად. ხოლო სამი ქულით მეტი რომ აელო, პირდაპირ ფინალში მოხვდებოდა, მედლებისთვის ბრძოლის გაგრძელების კარგი შანსით, რადგან მთელი სამეჯიბრო ცხრილი ძალზე მჭიდროდ გამოდგა — მეორე და მე-17 საკვალიფიკაციო შედეგებს შორის მხოლოდ 6 ქულა იყო სხვაობა. ამგვარად, ნინო სალუქვაკე თავის მეშვიდე ოლიმპიურ თამაშებზე 10 მეტრზე შეჯიბრში 49 მონაწილეს შორის 33-ე გახლდათ, ხოლო 25 მეტრზე შეჯიბრში 39 მონაწილეს შორის მე-15 ადგილს დასჯერდა.

## ქართველების პარალიმპიადა

ზაფხულის ოლიმპიური თამაშების დასრულების შემდეგ, ორიოდე კვირაში, ოლიმპიადის მთავარ ქალაქს პარალიმპიელი სპორტსმენები სტუმრობენ და გულშემატკივარს სპორტის სხვადასხვა სახეობაში ნაჩვენები შედეგებით აოცებენ. სწორედაც რომ აოცებენ, რადგან ოლიმპიადაზე მოპოვებული მედალი თავისთავად უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს. აი, პარალიმპიადაზე მოგებული ვილდო კი სულაც პატარა გმირობის ტოლფასია. გეცოდინებათ, პარალიმპიურ თამაშებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სპორტსმენები სტუმრობენ და გამარჯვებისთვის ძალისხმევასაც არ იშურებენ.

ლონდონში მიმდინარე პარალიმპურ თამაშებში ქართველი პარალიმპიელები 1 სექტემბრიდან ჩაერთნენ. მანამდე კი ლონდონის პარალიმპიურ სოფელში აღიმართა საქართველოს დროშა, მოგვიანებით კი საქართველოს პარალიმპური დელეგაციისათვის ლონდონში საქართველოს საელჩოდ საგანგებო მიღებაც გამართა. საქართველოს დელეგაცია პარალიმპურ თამაშებზე მეორედ მონაწილეობს.

2008 წლის პეკინის პარალიმპიურ თამაშებზე საქართველოს ძალოსანი იაგო გორგოძე წარმოადგენდა. ლონდონის პარალიმპიურ თამაშებში ჯამში 165 ქვეყნის დაახლოებით 4200 პარალიმპიელი გა-

მოვიდა. პარალიმპირი დელეგაციის წევრებთან ერთად ბრიტანეთის დედაქალაქში იმყოფებოდა მომღერალი ნინი ბადურაშვილიც, რომელმაც კომპანია „ბრავო რეკორდსთან“ ერთად ქართველი პარალიმპელების მხარდასაჭერი სიმღერა ჩაწერა.

1 სექტემბერს მედლისათვის ნოლქიმში შოთა ომარაშვილმა (60 კგ), იბრაძოლა, 3 სექტემბერს კი ძალები 100 მეტრზე ბრასით ცურვაში 100 პროცენტით უსინათლო — ნიკოლოზ თვაურმა მოსინჯა. ომარაშვილმა შეჯიბრება უქულოდ დაასრულა, თვაურმა კი 100 მეტრი 1.28.37 გაცურა და ბოლო ადგილზე გავიდა, თუმცა თავისი რეკორდი მთელი 6 წამით გააუმჯობესა.

გიორგი წასიძე (პარალიმპური კომიტეტის გენერალური მდივანი): „პარალიმპიადაზე ორი სპორტსმენით პირველად გამოვედით, რაც ძალიან კარგია. ნიკა თვაურმა საკუთარი რეკორდი 6 წამით გააუმჯობესა, ეს ბიჭი საოცრად პროგრესირებს, მას ნამდვილად აქვს შანსი, რომ მომავალში უკეთესი შედეგი აჩვენოს. რაც შეეხება შოთა ომარაშვილს — ის ფიცარნაგზე ტრავმით გავიდა და ამის გამო არც ერთხელ წონის დაძლევა არ ჩაუთვალეს, თორემ სინამდვილეში წონა სამივეჯერ დაძლია. უბრალოდ ტრავმის გამო ხელი სათანადოდ ვერ გაშალა და მსაჯებმა შტანგის დაძლევა არ ჩაუთვალეს“.







# London 2012

## საათის ისრებმა გრიწვირიდან რიოზე გადაინია



ლონდონის ოლიმპიური თამაშები ვისთვის წარმატებული იყო და ვისთვის წარუმატებელი, ზოგისთვისაც — იმედისმომცემი. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოს ოლიმპიური ნაკრებიც, რომელმაც შვიდი მედლით დაასრულა ის, რისთვისაც ოთხი წლის განმავლობაში ემზადებოდა.

ლონდონის ოლიმპიური თამაშების 10,820 ათლატს შორის საქართველო 35 სპორტსმენით იყო წარმოდგენილი. აქედან, რასაც არაერთხელ გაეცა ხაზი, 27 ახალგაზრდა იყო, რომლებმაც, ზუნებრივია, ოლიმპიური ნათლოვაც მიიღეს, ზოგმა კი ყოველივე მედლითაც აღნიშნა. სპორტის 26 სახეობიდან ქართველმა ოლიმპიელებმა 11-ში მოსინჯეს საკუთარი შესაძლებლობები. ასეთი შესაძლებლობა მათ 39 დისციპლინიდან 15-ში მიეცათ.

## ლონდონი ღათვლილია

ღაჯივი „უკეთ, ვიღრა პაკიწვი,“ მშპ-მ იხსნა. ეს დევიზი საქართველოს ნაკრებს არ გამოუვიდა. არ გამოუვიდა ოქროს მედელების მხრივ, თორემ წინა ოლიმპიური თამაშებისგან განსხვავებით, სადაც სამი ოქრო და ამდენივე ბრინჯაო გვექონდა, ლონდონში ერთით მეტი მედალი მაინც აღმოგვაჩნდა, ზოგადად კი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში 7 მედალი აქამდე არ გვექონია. აი, მანამდე კი, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, საქართველოს მასზე ბევრად მეტი მედალიც დაუსაკუთრებია.

ქართველ ოლიმპიელთა შორის მხოლოდ ერთი იყო ოლიმპიური ჩემპიონი — ტყვიის მსროლელი ნინო სალუქვაძე და ორიც ოლიმპიური თამაშების პრიზიორი — თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ოთარ თუშიშვილი და გიორგი გოგუშვილი.

და მაინც, თუ ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას შევეცდებით, ვინ რა და რამდენი მედალი მოიპოვა, ნაირგვარი განზომილებების დახმარებით სტატისტიკა მოვიშველიოთ.

ლონდონში საქართველოს წარმომადგენლებმა ერთი ოქროს, სამი ვერცხლის და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ამგვარად საქართველომ მედელების ცხრილში მექსიკასთან 39-ე ადგილი გაიყო. მაგრამ თუ ჯილდოების საერთო რაოდენობით ვიმსჯელებთ, ქართველმა ოლიმპიელებმა შვიდი მედლით 31-ე ადგილი დაიკავეს. შვიდი მედალი დაისაკუთრა ეთიოპიამაც. აქედან გამომდინარე, ამავე შეფარდებით, საქართველომ, მექსიკასთან და ეთიოპიასთან ერთად, 31-ე ადგილი გაიყო. ხაზს ვუსვამ — მედელების რაოდენობის მხრივ. ისე კი, ეთიოპიელთა შვიდი მედიდან სამი ოქროსია.

ლოლიმპიური თამაშების დასრულების შემდეგ იწყება მსჯელობა — მედელების ჩათვლის ცხრილში მოწინავეთა შედეგები ჯილდოების ხარისხობრივი მაჩვენებლით განისაზღვროს, როგორც ეს ახლა ხდება, თუ რაოდენობრივით. მსჯელობაში საკუთარ სიტყვას ამბობენ მეცნიერებიც, რომლებიც იმავე ცხრილს უფრო ღრმად უკირკიტებენ და რადიკალურად განსხვავებული დასკვნებიც გამოაქვთ. ამ მხრივ საყურადღებოა The Guardian-ის ბლოგერი საიმონ როჯერსის მიერ პრინციპულად განსხვავებული სისტემა, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტს (მშპ), მოსახლეობისა და გუნდის წევრთა რაოდენობას.





22-გზის ოლიმპიური ჩემპიონი მაიკლ ფელპსი

ამგვარი სისტემის შემუშავებაში მონაწილეობდნენ ლონდონის „იმპერიალ კოლეჯის“ მეცნიერებიც, რომელთა დათვლებითაც საქართველოს 204 ქვეყანას შორის, მე-19 ადგილი უკავია და არა 39-ე.

თუ მხოლოდ მოსახლეობის და მედლების რაოდენობის შეფარდებას გავითვალისწინებთ, მაშინ ჩვენი ქვეყანა 21-ე ადგილზე აღმოჩნდება (ამავე განზომილებით საქართველო პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე მერვე იყო), ცალკე მშპ-ის მიხედვით კი მერვეზე.

ამგვარ ბუნალტერიაში ჩაერია BBC-იც, რომელმაც სათვალავში მიიღო ამა თუ იმ ქვეყნის ოლიმპიელთა და მათ მიერ მოპოვებული მედლების რაოდენობათა შეფარდება, პროცენტულად აისახა კიდეც ჯამში. ამგვარად ბრიტანული ტელერადიომაუნწყებლის გამოანგარიშებით საქართველომ მეოთხე ადგილი დაიკავა! კერძოდ, 35 სპორტსმენიდან შვიდმა მედალი დაისაკუთრა, ეს კი 20-პროცენტია მანველებელია.

ამავე დათვლებით 41 პროცენტით პირველ ადგილზეა მონტენეგრო, რომელიც ლონდონში 34 სპორტსმენით წარსდგა და 14 მედალს დაეუფლა. მეორე საფეხურზეა აშშ-ის ნაკრები — 542 ათლეტი, 208 მედალი და ჯამური 38 პროცენტი, მესამეზე კი იამაიკა: 50 სპორტსმენი, 18 მედალი და 36-პროცენტია მანველებელი.

და რაკი ციფრებზე ვსაუბრობთ, ისიც ვთქვათ, რომ ლონდონის ოლიმპიური თამაშების ყველაზე ახალგაზრდა მედალოსნად მოგვევლინა 15 წლის მექსიკელი ალექსანდრა ოროზკო ლოზა, რომელმაც წყალში ხტომაში (10 მ. კოშკურა. სინქრონული ხტომები) ვერცხლი მოიპოვა, ყველაზე ასაკოვანი კი 56 წლის ახალზელანდიელი მარკ ტოდია, რომელმაც ბრინჯაოს ცხენოსნობაში (გუნდური) გამოკრა ხელი.

ამასთან დაკავშირებით ისიც ვთქვათ, რომ ქართველთაგან ყველაზე ახალგაზრდა ოლიმპიური ჩემპიონი ტყვიის მსროლელი ნინო სალუქვაძეა, რომელმაც სეულის ოლიმპიურ თამაშებზე ჩემპიონობა 19 წლისამ დააჭაშნიკა, და არა ლაშა შავდათუაშვილი, ვისაც ხშირად შეცდომით მოიხსენიებენ ყველაზე ახალგაზრდა ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონად. თუმცა, შავდათუაშვილი ყველაზე ახალგაზრდა ოლიმპიური ჩემპიონია ქართული ძიუდოს ისტორიაში.

ლონდონის საიუბილეო XXX ოლიმპიური თამაშები ისტორიის საკუთრებაა. ისევე როგორც ის შედეგები თუ მიღწევები, რომლებმაც ადამიანის შესაძლებლობებს ახალი ზღვარი დაუნესა. სპორტის რვა სახეობაში 32 მსოფლიო რეკორდი დამყარდა. აქედან ყველაზე მეტად თავი გამოიღო მოცურავეებმა — რვა რეკორდი. და თუ რეკორდსმენ ქვეყანათა ნუსხას გადავხედავთ, მასში საუკეთესოთა შორის საუკეთესოები აღმოჩნდნენ ჩინელები, ბრიტანელები და ამერიკელები, რომლებმაც ყველაზე მეტი — ხუთ-ხუთი რეკორდი დაამყარეს.

რეკორდებიცაა და რეკორდებიც. ლონდონის ოლიმპიურ აუზში ამერიკელმა მაიკლ ფელპსმა ცურვაში ოთხი ოქროსა და ორი ვერცხ-

ლის მედლით საჩემპიონო ყულაბა 22 ჯილდომდე გაზარდა, რაც მას ყველა დროის ყველაზე უზემედალოსან სპორტსმენად წარმოგვიჩინს.

...მედალოსანთა ( გათამაშდა მედლების 302 კომპლექტი — 302 ოქრო, 304 ვერცხლი, 356 ბრინჯაო) მარაქაში საქართველოც ისევე გაერია, როგორც რვა ათეულზე მეტი ქვეყანა. არადა, ოლიმპიურ რგოლებში 204 ქვეყანა იყო გადახლართული.

ოთხ ნელინადში რიო დე ჟანეიროს ჯერი დადგება. იმედია, საქართველოს რიოში უკეთესი მაჩვენებელი ექნება, ვიდრე ეს იყო ლონდონში, მით უმეტეს, რომ ახალი თაობა მოდის. ასე რომ, საათის ისრები გრინვიჩიდან რიოზე უკვე გადაწეულია.

## გიგა გურასაშვილი

Rank by Gold	Country	Gold	Silver	Bronze	Total
1	United States of America	46	29	29	104
2	People's Republic of China	38	27	23	88
3	Great Britain	29	17	19	65
4	Russian Federation	24	26	32	82
5	Republic of Korea	13	8	7	28
6	Germany	11	15	14	44
7	France	11	11	12	34
8	Italy	8	9	11	28
9	Hungary	8	4	5	17
10	Australia	7	16	12	35
11	Japan	7	14	17	38
12	Kazakhstan	7	1	5	13
13	Netherlands	6	6	8	20
14	Ukraine	6	8	9	23
15	New Zealand	6	2	5	13
16	Cuba	6	3	6	15
17	Islamic Republic of Iran	4	5	3	12
18	Jamaica	4	4	4	12
19	Czech Republic	4	3	3	10
20	Democratic People's Republic of Korea	4	0	2	6
21	Spain	3	10	4	17
22	Brazil	3	5	9	17
23	South Africa	3	2	1	6
24	Ethiopia	3	1	3	7
25	Croatia	3	1	2	6
26	Belarus	2	6	5	13
27	Romania	2	5	2	9
28	Kenya	2	4	5	11
29	Denmark	2	4	3	9
30	Azerbaijan	2	2	6	10
30	Poland	2	2	6	10
32	Turkey	2	2	1	5
33	Switzerland	2	2	0	4
34	Lithuania	2	1	2	5
35	Norway	2	1	1	4
36	Canada	1	5	12	18
37	Sweden	1	4	3	8
38	Colombia	1	3	4	8
<b>39</b>	<b>Georgia</b>	<b>1</b>	<b>3</b>	<b>3</b>	<b>7</b>
39	Mexico	1	3	3	7
41	Ireland	1	1	3	5
42	Argentina	1	1	2	4
42	Slovenia	1	1	2	4
42	Serbia	1	1	2	4
45	Tunisia	1	1	1	3
46	Dominican Republic	1	1	0	2
47	Trinidad and Tobago	1	0	3	4



1 ოქროს და 3-3 ვერცხლ-ბრინჯაო ანუ ჯამში 7 მედალი — ასეთი შედეგით დავასრულეთ გამოსვლა ივლის-აგვისტოს მიჯნაზე ლონდონში გამართულ ზაფხულის XXX ოლიმპიურ თამაშებზე. „ნისლიან ალბიონზე“ ქართველთაგან ყველაზე უკეთ 20 წლის გორელი ძიუდოისტი **ლაშა შავდათუაშვილი (66)** გაისარჯა — კარალეთელი ბიჭი, რომელმაც ოლიმპიადის საგზური სულ ბოლო შეჯიბრებაზე გაინაღდა, „ExCel centre“-ში მსოფლიოს ჩემპიონ იაპონელთა თუ ლამის მამისტოლა ხალხის გა-

როგორი შედეგია ეს, გვაძლევს სიამაყის საშუალებას თუ უფრო მეტი მიზეზი მოგვცა დაფიქრებისა და ანალიზისთვის? გააჩნია, რას ავიღებთ ნარმატების საზომად — რაოდენობას თუ ხარისხს. მონაპოვარს რაოდენობით თუ განვსჯით, მაშინ საამაყოდ გვექონია საქმე, რადგან 7 მედალი ჩვენთვის საუკეთესოა ოლიმპიადებზე გამოსვლის ისტორიაში, მაგრამ საყოველთაო ჭეშმარიტებით, მთავარი ხომ ხარისხია და ამ მხრივ თავმოსანონი არაფერია. თავად განსაჯეთ — ათენში ორი

არცთუ ძლიერი უნგრელი უნდა დაემარცხებინა ფინალში გასასვლელად. შეიძლება ითქვას, ბედმა ფინალის საგზური სამივეს ხონჩით მიაართვა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ გამოიყენეს, სწორედ ის ერთი ნაბიჯი ვერ გადადგეს. ასეთი შანსის ვერგამოყენება არის კი მათთვის ნარმატება?

ლონდონში ჩვენი მთელი ოლიმპიური მონაგარი მხოლოდ „ExCel centre“-მა დაიტია, სხვა არენებზე კი პირნმინდად მოგვეცარა ხელი. ამ ყოველმხრივ რეგრესს ერთი სამწუ-



# რა დაგვიტოვა ოლიმპიადამ

ალბიონურ ნისლში დანახული ქართული ჯლუს-მინუსები

რემოცვაში ციბრუტივით იტრიალა, უშიშრად იბრძოლა და მთელი ალბიონის რა გითხრათ, მაგრამ საქართველო კი ოქროსფრად ნამდვილად გაანათა. ძიუდოისტთა გარდა, ჩვენს ოლიმპიურ ყულაბას მძლეობი მოჭიდავეებმა შეჰმატეს. აქედან ბერძენ-რომაელთა წილად თითო ვერცხლი და ბრინჯაო მოდის — ბორჯომელი **ლევან ლაში (60)** მხოლოდ ფინალში დამარცხდა, ხობელმა **მანუჩარ ცხადაიამ (66)** კი ნახევარფინალში წაიფორხილა და საბოლოოდ მესამეზე გავიდა. თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა 2-2 ვერცხლ-ბრინჯაო დაისაკუთრეს — ვიცე-ჩემპიონები გორელი **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (55)** და თბილისელი მძიმე-წონოსანი **დავით მოძმანაშვილი** გახდნენ, ყაზბეგელი **დავით მარსაგიშვილი (84)** და გორელი **გიორგი გოგშელიძე (96)** კი მესამეზე გავიდნენ.

ოქრო გვექონდა, პეკინში — სამი, ახლა კი — ერთი! თან, რაოდენობაზე და 7 მედალზე აქცენტირებისას, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ერთი გარემოება — იმ სამი ბრინჯაოსანიდან, ობიექტურად, მეტის მოლოდინი გვექონდა. ცხადია, ოლიმპიური მედალი გამორჩეულად ფასეულია და არ გეგონოთ, მის დაკნინებას ვცდილობდეთ, მაგრამ მიგვაჩნია, რომ იმ წილისყრაში, იმ რეალობაში სამივე მათგანს ბევრად მეტისთვის უნდა მიეღწია. ლონდონში ხომ ბედმა არნახულად გაგვიმართლა და ამ ტრიოდან, მაგალითად, მარსაგიშვილს ფინალამდე ასცდნენ მთავარი კონკურენტები — ტიტულიანი და მეტ-ნაკლებად ანგარიშგასანევიც კი არავინ ჰყავდა ქვეჯგუფში. დაახლოებით ამავე ვითარებაში აღმოჩნდა გოგშელიძეც. ცხადაიასაც ერთი

ხარო ფაქტიც დავმატა, რაც ოლიმპიადებზე ლამის სიმპტომურ შეცდომად გვექცა — ატლანტაში ძიუდოისტ **დავით ხახალიაშვილის** ვერანონვა ხომ მოუშორებელ ლაქად დარჩა, ლონდონში კი მოკრივე **მერაბ თურქაძეს** შეემთხვა ანალოგიური ამბავი. ლიცენზიააღებული სპორტსმენი ოლიმპიადაზე ჩაიყვანეს და იმდენი „მოახერხეს“, რომ რინგზე გასვლის საშუალება არ მიეცა. რა უნდა დავარქვათ ამას: დაუდევრობა, უპასუხისმგებლობა, ელემენტარული საშეჯიბრო წესების არცოდნა... ფაქტი ის არის, რომ ლონდონში კიდევ ერთხელ ვჭამეთ სირცხვილი.

სამწუხაროდ და სავალალოდ, ამჯერად მედლების გეოგრაფია საბედისწერო ყულფივით დავინროვდა — ადრე თუ ძალოსნობა, კრივი და ტყვიის სროლაც გვეშველებოდა ყუ-



ლაბის შევსებაში, ამჯერად მხოლოდ საჭიდაო სახეობების იმედად დავრჩით. წინა ოლიმპიადებზე ბათუტსა და პლაჟის ფრენბურთშიც ცოტა დაგვაკლდა მედლებამდე, ახლა კი პირველში ბევრად ჩამოვრჩით კვარცხლბეკს, მეორეში კი საერთოდ ვერ მოვიპოვეთ საგზური.

ლონდონში 35 ლიცენზიანტით ვიყავით წარმოდგენილი. პეკინშიც ამდენი სპორტსმენი გვყავდა, მაგრამ საგზური იყო ორით ნაკლები, რადგან პლაჟბურთში ორ-ორ კაცი გვყავდა, ანუ ოთხი ფრენბურთელი — ორ საგზურზე. აღსანიშნავია, რომ ოთხივე მათგანი ნატურალიზებული ბრაზილიელი იყო, ახლა კი ასეთი ერთი გვყავდა — პოლონელი მძლეოსანი **მასიემ როჩევიჩი**. სამწუხაროდ, ამჯერად ზოგიერთ ლიცენზიანტთან მიმართებაში სერიოზული ეჭვებიც გაჩნდა იმის გამო, რომ მათი შედეგები საგრძნობლად ჩამორჩა სალიცენზიო ტურნირში ნაჩვენებს. იმ ერთ შეჯიბრებაზე გაივლევს, სალიცენზიო ნორმატივი შეასრულეს და მორჩა, მერე თითქოს აღარც ყოფილან. ამჯერად მხოლოდ ორი „ველური ბარათი“ გვქონდა — ველოსპორტსა და ჩოგბურთში ქალთა წყვილებში. სამაგიეროდ, პეკინში თუ სპორტის 12 სახეობაში ვიყავით წარმოდგენილი, ლონდონში — 11 დაგვრჩა. ამჯერად საგზურები ვერ მოვიპოვეთ ტანვარჯიშში, მშვილდოსნობასა და კრიკში კი ადრინდელი რაოდენობა გავანახევრეთ. ლონდონში პირველად მოხდა, რომ ცურვაში საგზური ჩვენივე შედეგით მოვიპოვეთ და არა „ველური ბარათით“. ეს 17 წლის თბილისელმა **ირაკლი ბოლქვაძემ** შეძლო, რომელიც ოლიმპიადის შემდეგ ჭაბუკებში ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა — ამ სახეობაში ესეც პირველი მიღწევაა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ.

ამ 11 სახეობიდან ყველაზე დიდ იმედებს კვლავაც საჭიდაო სახეობებზე — ძიუდოზე, „თავისუფალსა“ და ბერძნულ-რომაულზე ვამყარებდით, მეორე რიგში კი ტყვიის სროლის, მშვილდოსნობის და ძალოსნობისა გვეიმედებოდა. სამწუხაროდ, „მეორე რიგში“ სრული იმედგაცრუება გვერგო! განსაკუთრებით შოკისმომგვრელი გამოდგა ძალოსანთა წარუმატებლობა, უპირველესად კი — გია მაჭავარიანის ფიასკო, რომელსაც ბედმა ზედ სტარტზე ჩინებული საჩუქარი უძღვნა — ასპარეზობის წინა დღეს ბრძოლას მოულოდნელად გამოაკლდნენ ძირითადი კონკურენტები, რუსი სპორტსმენები. ბოროტი ენები ამბობენ, რომ მათ დოპინგის შეეშინდათ, თუმცა ეს მათი პრობლემაა, ჩვენთვის კი სასიამოვნო ფაქტი იყო, რომ ამით კვარცხლბეკზე ადგილი ქართველს მოუსუფთავეს. მაჭავარიანის შედეგები ნამდვილად იძლეოდა ოპტიმიზმის საფუძველს, მაგრამ ოლიმპიურ ფიცარნაგზე ჩვენებურს ორ მოძრაობაში ხუთჯერ გაუვარდა შტანგა ხელიდან და მხოლოდ ერთი ცდა გამოიყენა! ჩვენი ძალოსნებიდან მძიმეწონოსან **ირაკლი**

**თურმანიძეს** თუ გამოვარჩევთ, რომელმაც ლონდონში პირადი შედეგი გააუმჯობესა და მეხუთეზე გავიდა.

სროლის სახეობებში — ტყვიის სროლასა და მშვილდოსნობაში თითო სპორტსმენის იმედად ვიყავით, თუმცა სპორტსმენებსაც გააჩნია: ნინო სალუქვაძე თავის მეშვიდე ოლიმპიადებზე გამოდიოდა, ხოლო მშვილდოსანი ქრისტიანე ესეზუა ბრიტანეთში მსოფლიოს ვერცხლის მედალოსნად ჩავიდა (საქართველოსთვის ეს მსოფლიოს პირველი მედალია პირად პირველობაში). ესეზუამ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მარცხისთვის ჩილელ დენიზე ასტრიდ ვან ლემონენს რევანში კი აუღო, მაგრამ საკვალიფიკაციოში სუსტად გამოსვლა ვეღარ აანახლავდა. სალუქვაძესაც ხელი მოეცარა — ვერც ერთ სახეობაში ფინალში ვერ მოხვდა. სერიოზულად გაგვანბილეს ძიუდოსტებმაც, სადაც ორი გუნდი ვიხილეთ — შავდათუაშვილი და დანარჩენი ექვსეული. სამწუხაროდ, მათ შორის სხვაობა ისეთი იყო, როგორც — ცასა და დედამინას შორის. კარალეთელ ტალანტს თუ ყველაფერი გამოსდიოდა, დემორალიზებულ, ფსიქოლოგიურად დათრგუნულ, ტრავმირებულ და არასწორი მომზადებით გადავლილ ექვსეულს არაფერი გამოსდიოდა, მოძრაობაც კი უჭირდა ტატამზე. ეს რომ არა, იქნებ სხვა სინჯის მედლები მაინც მოეპოვებინათ და საერთო მარაგი გაემდიდრებინათ.

ოქროს გარეშე დარჩენა ტვირთად აწევს ჭიდაობის ფედერაციასაც იმის მიუხედავად, რომ 13-დან 6 მედალი მოიპოვეს, ანუ გუნდის თითქმის ნახევარი კვარცხლბეკზე ავიდა. რომ არა მსაჯთა თავნებობა, შედეგი რაოდენობრივადაც და ხარისხობრივადაც უკეთესი იქნებოდა. მაგალითად, ფინალში ხინჩეგაშვილს გამარჯვების იმდენად დიდი შანსი წაართვეს, რომ იმ შეხვედრის მსაჯთა ბრიგადა ერთიანად დასაჯეს დისკვალიფიკაციით, თუმცა ეს მაინც არაფერია იმასთან შედარებით, რაც ბერძენ-რომაელ **ვლადიმერ გეგეშიძეს** (84) გაუკეთეს — თამამად შეიძლება ითქვას, ის უმედლოდ დატოვეს.

მოჭიდავეთაგან უფრო უკეთ „თავისუფლები“ გამოვიდნენ, რომლებიც სრული გუნდით — 7 სპორტსმენით იყვნენ წარმოდგენილი და მათგან 4-მა მედალი მოიპოვა. არადა, ოლიმპიადის წინა წლებში ორივე გუნდი სერიოზული პრობლემების წინაშე იდგა და ლიცენზიების მოპოვება გაუჭირდა. განსაკუთრებით — ბერძენ-რომაელებს, რომლებმაც შარშან მსოფლიოზე მხოლოდ ერთი მედალი და საგზური ირგუნეს. საბედნიეროდ, ოლიმპიადისთვის მიზანმიმართული მზადების პერიოდში ორივე მწვრთნელი — **ზაზა თურმანიძემ** და **ბეგი დარჩიამ** დაამტკიცეს, რომ გუნდის მომზადება ძალუფთ და ლონდონში სრულიად გარდაქმნილი გუნდები ჩაიყვანეს. ამის მიუხედავად, მაინც მიგვაჩნია, რომ გარ-

კვეულ ასპექტებში თანამედროვე მიღწევებს ჩამოვრჩით და სავარჯიშო სისტემა გასაუმჯობესებელია.

ერთი სიტყვით, გარკვეული წარმატებების მიუხედავად, ამ ოლიმპიადამ ბევრი საზრუნავიც დაგვიტოვა, რადგან მთელ რიგ ასპექტებში რეგრესია. ეს მით უფრო გასაკვირია, რომ ამ მოსამზადებელ ციკლში, ადრინდელთან შედარებით, დაფინანსება ბევრად იყო გაზრდილი. მაშ რა მოხდა, გაზრდილი ფინანსების პირობებში რატომ მივიღეთ ცუდი შე-



დეგი, თუნდაც ხარისხობრივი მაჩვენებლით, რატომ შემცირდა წარმატებული სახეობების გეოგრაფია და რატომ გამოვედით უფრო ნაკლებ სახეობებში? ვფიქრობ, მიზეზი მართვის პრობლემაშია — სამწუხაროდ, წინა მოსამზადებელ ციკლში სპორტი მონოპოლიზებული იყო პოლიტიკის მიერ და ფედერაციების ხელმძღვანელებად უმეტესად პოლიტიკიდან მოსულეები გვევლინებოდნენ, ისინი კი სახეობის შიდა სამზარეულოს კარგად არ იცნობდნენ. შესაბამისად, ვერც ეფექტურად მართავდნენ ფედერაციებს და რაც ყველაზე უარესია, მწვრთნელები არ იყვნენ თავისუფალნი თავიანთ არჩევანში. იმედია, მომავალ ოლიმპიურ ციკლში ასე აღარ იქნება.

**ირაკლი თაყვაძე**



# სტუმრად ქართულ სახლში



ოლიმპიური თამაშებისას მიღებული პრაქტიკაა, რომ მისმა მონაწილე ქვეყნებმა შეჯიბრების დღეებში მასპინძელ ქალაქში საკუთარი ქვეყნის ისტორია, კულტურა, სპორტული მიღწევები წარმოადგინონ. საამისოდ ქართულმა დელეგაციამაც იზრუნა და ლონდონის პრესტიჟულ უბანში, ემილი ბენკის ქუჩაზე „ქართული სახლი“ ააშენა. აქ არაერთი ღონისძიება და ერთგვარი თამაშური შეხვედრები მოეწყო. მაგალითად, „ქართული სპორტის დღე“, „ქართული კულტურის დღე“, „ქართული ღვინის დღე“, „ქართული სამზარეულოს დღე“...

ქართული სახლი, ცხადია, ყველა მსურველისთვის ღია იყო. მაშინ, როცა ქართველი ოლიმპიელები ქვეყნის წარმოსაჩენად სპორტულ სარბიელზე იხარჯებოდნენ, ქართული სახლი ლონდონელებს და მათ სტუმრებს ჩვენი ქვეყნის კულტურას, ხელოვნებას, ტრადიციებსა და, რა თქმა უნდა, სპორტულ მიღწევებს აცნობდა.

ქართული სახლის გახსნის ცერემონიული ღამე შედგათუშვილის ოლიმპიურ ჩემპიონობას დაუკავშირდა, რაც უკვე იმის წინაპირობა იყო, რომ საღამო ამაღლებულ ნოტაზე ჩაივლიდა. ვარაუდი გამართლდა. სტუმრები მისალმებას მილოცვით იწყებდნენ. „შვიდკაცამ“ მრავალჯამიერი დააგუგუნა, მოცეკვავეთა ანსამბლმა „კავკასიონმა“ ცეცხლი დაანთო, სამშობლოს მონატრებული ქართველი ემიგრანტ-

ები კი ცრემლებს ვერ იკავებდნენ; საპატიო სტუმრები — საერთაშორისო ოლიმპიური ოჯახის წევრები, სპორტულ ფედერაციათა ხელმძღვანელები, ვეტერანი სპორტსმენები თუ უბრალოდ მეგობრები ქართულ კერძებსა და ღვინოსაც აგემოვნებდნენ. ეცნობოდნენ ქართულ კულტურას, განსაკუთრებით კი მოიხიბლნენ ფიროსმანის ტილოთი — „მეთევზე“, რომელიც, ჩემდა გასაკვირად, ორიგინალი აღმოჩნდა.

„ქართულ სახლს“, რომელსაც სწორედ მსგავსი შეხვედრებისთვის ერთგვარი ნავსაყუდელის ფუნქცია აკისრია, ხშირად სტუმრობდნენ ჩვენი სათვისტომოს წარმომადგენლები. „ქართული სახლის“ დიასახლისმა, მსოფლიოს საქადრაკო ოლიმპიადების ექვსგზის ჩემპიონმა ნანა ალექსანდრიამ გახსნის







ქართული სიმღერების ბრიტანული გუნდი „მასპინძელი“

ცერემონიაზე მოსულ საზოგადოებას წარუდგინა ქართული სათვისტომოს უზუცესი წევრი, 105 წლის ალექსანდრე ბესტავაშვილი და მისი ორი ქალიშვილი.

ბატონი ალექსანდრე ემოციურად მოგვესალმა და კავკასიელებს ერთ მუშტად შეეკერისკენ მოგვიწოდა.

ემოციური გამოდგა ბატონი ალექსანდრესა და 20 წლის ოლიმპიური ჩემპიონის შეხვედრაც. ბესტავაშვილი, შავდათუაშვილის მსგავსად, წარმოშობით გორიდანაა და საქართველოდან სწორედ 20 წლის გაქცეულა, რამდენიმე წელი საფრანგეთში და ბელგიაში დაუყვია, 1940 წლიდან კი ბრიტანეთში ცხოვრობს.

სათვისტომოს უზუცესმა წევრმა საკუთარი კუთხის შვილი გულში ჩაიკრა, სახეზე ხელი თბილად მოუთათუნა და ახალი გამარჯვებები უსურვა.

სასიამოვნო მოულოდნელობა იყო ქართული სიმღერების ბრიტანული გუნდის „მასპინძელის“ სტუმრობაც, განსაკუთრებით სასიამოვნო იყო „მასპინძელის“ „შვიდკაცასთან“ ექსპრომტად შესრულებული სიმღერა, რომელმაც ემილი ბენკის ქუჩაზე ქართული სული გააღვივა.

### გიგა გურასაშვილი



ლაშა შავდათუაშვილი და ლონდონის ქართული სათვისტომოს უზუცესი წევრი ალექსანდრე ბესტავაშვილი







...გულახდობლივად გამორჩეული და მიზნების მიღწევისთვის დაბადებული — ასე შეიძლება დახასიათდეს საქართველოს სპორტის ისტორიაში მამაკაცთა შორის ყველაზე ახალგაზრდა ოლიმპიური ჩემპიონი. კარალეთელი ბიჭის ცხოვრება ძიუდომ გაამრავალფეროვნა. ბოლო ორი წლის განმავლობაში, მისი კარიერა არაერთხელ მდგარა საფრთხის წინაშე. ყველაზე ემოციურად ლაშა 2011 წელს იხსენებს: „იმისთვის, რომ შემენარჩუნებინა შანსი ძიუდოში დავრჩენილიყავი, ზედიზედ რამდენიმე ტურნირი უნდა მომეგო. ბოლოს კი, საქართველოს ჩემპიონატზე უნდა გამოვსულიყავი წარმატებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამხედრო სავალდებულო სამსახურში განვწვევა წელიწადნახევრით მიწვევდა, რაც მთელი კარიერის დასრულებას ნიშნავდა.“

მოძიება, რომელიც ტურნირზე ჩემს გამგზავრებას დასჭირდა.“ ...ოჯახის იმედები ლაშამ პირველივე ტურნირზე გაამართლა. ამას უკვე ახალი სურვილები მოჰყვა და ოლიმპიადის სარეიტინგო ქულებისთვის ბრძოლა დაიწყო. ეს ბრძოლა მისი გამარჯვებით დასრულდა.

„როდესაც ლონდონში კენჭისყრის შედეგებს გავეცანი, მივხვდი, რომ წარმატების მიღწევა ურთულესი საქმე იქნებოდა; ძალიან სახელოვანი სპორტსმენები მონაწილეობდნენ და მათ უმრავლესობასთან სხვადასხვა ტურნირზე წაგებული მქონდა. ნებისმიერ შეჯიბრზე სპორტსმენისთვის ყველაზე ძნელი ნახევარფინალური ეტაპია. ერთი წაგებით საოცნებო მედალს შორედები, გამარჯვებით კი, მინიმუმ ვერცხლის პრიზიორი ხარ. ფინალში ჩემზე 12 წლით უფროს ძიუდოისტთან ყველა ღონე უნდა

# ბასეირნება ოლიმპიურ ჩემპიონთან

„წლის დასაწყისში წარმოუდგენლად მიმაჩნდა, რომ ლონდონში გავემგზავრებოდი, თუმცა, სადაც კი შანსი მომეცა, ყველგან მაქსიმუმში გააფაქტე და საბოლოოდ, საქართველოს ძიუდოისტთა ოლიმპიურ ნაკრებში ბოლო ლიცენზიანტის სტატუსით მოვხვდი.“

ზაფხულის 30-ე ოლიმპიური თამაშების ერთადერთ ქართველ ჩემპიონთან პირველი ვრცელი ინტერვიუ ჩემპიონობიდან რამდენიმე დღეში, ლონდონის ცენტრში, ბუკინგემის სასახლის საიხლოვეს ჩავწერე.

20 წლის ლაშა შავდათუაშვილმა დიდი ბრიტანეთის დედაქალაქი პირველად საზოგადოებრივი მაუწყებლის გადამღებ ჯგუფთან, ფოტორეპორტიორ გიორგი ჭანიშვილთან და მეგობარ ბაჩო ტატალაშვილთან ერთად დაათვალიერა.

ოლიმპიური სოფლიდან ქალაქის ცენტრამდე, ჩემპიონთან ერთად, ლონდონის ყველაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტი — მეტროთი ვიმგზავრეთ. ბუკინგემის სასახლესთან ჩემპიონმა პირველი სამახსოვრო ფოტოები საკუთარი ფოტოაპარატით გადაიღო, შემდეგ კი, უამრავი ავტოგრაფი დაარიგა, თუმცა, ბევრმა გამვლელმა არც კი იცოდა, რომ სამახსოვრო ფოტო და ავტოგრაფი ოლიმპიური ჩემპიონისგან მიიღო. ინტერვიუს დაწყებამდე ლაშამ ლონდონზე პირველი შთაბეჭდილება ასე გამოხატა: „ჩემი სამშობლოს შემდეგ, აქ მეორედ დავიბადე. ლონდონში ჩემი დიდი ოცნება ახდა.“

საბოლოოდ, ჟინმა და მონდომებამ პირველი ალიარება მოუტანა და მის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო — ეფიქრა საერთაშორისო ასპარეზობებზე წარმატებით გამოსვლაზე. ოჯახს ლაშას დასახმარებლად თანხების მოძიება დასჭირდა და ახალგაზრდა სპორტსმენი საკუთარი სახსრებით გაემგზავრა საერთაშორისო ტურნირზე. „მთელი ღამე ფიქრობდი, როგორ მოახერხეს მშობლებმა იმ თანხის

მეხმარა, რომ ოქრო მომეგო... ორთაბრძოლის შემდეგ უნგრელმა მომილოცა. სულ 2008 წელი მახსენდებოდა, როცა პეკინის ოლიმპიურ თამაშებს ვუყურებდი და მიხაროდა, რომ ჩემი ქვეყნის წარმომადგენელი — ირაკლი ცირეკიძე ჩემპიონი გახდა. ოლიმპიადას თბილისში ვუყურე, რადგან ჩემი სოფელი ომის ეპიცენტრში იყო... ვოცნებობდი, მეც განმეცადა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დგომის გრძნობა.“







ჩვენი ნაკრების ავსტრიელ მწვრთნელს პიტერ ზაიზენბახერს გუნდში ყველაზე ახალგაზრდა წევრისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა და მეოთხედფინალში ბრიტანელი სპორტსმენის დამარცხების შემდეგ, ლაშას გამოსვლა მოკლე ინტერვიუში ასე შეაფასა: „ის მხოლოდ რამდენიმე თვეა, რაც ჩვენთან ვარჯიშობს. ასაკით იმდენად პატარაა, რომ ზოგიერთი რთული დავალების მიცემაც კი გვიჭირდა; მაგრამ ლაშა ჩემპიონის თვისებებით არის დაჯილდოებული და მიზანს აუცილებლად მიაღწევს.“ ამ სიტყვებიდან ორი ორთაბრძოლის შემდეგ, „ექსელის“ საგა-მოფენო ცენტრის ძიუდოს დარბაზში, უკვე საქართველოს დროშა ფრიალებდა.

ლონდონის „ქართულ სახლში“ მონყობილი საზეიმო საღამოს დასასრულს, როდესაც ლაშასთან პირველი სატელევიზიო ინტერვიუ ჩავწერე, ქართული სახლის დიასახლისმა ნანა ალექსანდრიამ სპორტსმენს წარმატება მიულოცა, მადლობა გადაუხადა თავდადებისთვის: „ლაშა, შენ შეგიძლია ბრაზილიაშიც ჩემპიონი იყო და მთელი გონება მხოლოდ სპორტისკენ მომართე, იმ სფეროსკენ, რომელმაც შენ აღიარება, ქვეყანას კი უდიდესი სიხარული მოუტანა!“

ჩვენი ჩემპიონი ჩემპიონობისთვის ბრძოლას აგრძელებს...

**ოთარ გიორგაძე**

# ბეთქილ შუკვანის ღრამა

„ამდენი ხანია ძიუდოში ვტრიალებ და ასეთი უსამართლობა არასოდეს მინახავს. ამაზრზენი მსაჯობა“ — აღშფოთებას ვერ მალავდა საგამოფენო ცენტრ „ექსელის“ ძიუდოს დარბაზის ტრიბუნაზე მჯდომი ვეტერანი ძიუდოსტი, ნაკრების მწვრთნელი გიორგი ვაზაგაშვილი ბეთქილ შუკვანისა და ფრანგი სოფიან მილუს დაპირისპირებისას.

60 კილოგრამ წონითკატეგორიაში მერვედფინალური შეხვედრა პირველიდან მეხუთე წუთამდე ქართველი ძიუდოსტის აშკარა უპირატესობით წარიმართა. შუკვანი მონინალმდეგეს გამალებით უტყევდა, მილუ კი საერთოდ არ ჭიდაობდა და ამის მიუხედავად, მთელი ხუთი წუთის განმავლობაში, შიდათი უმცირესი ქულაც კი არ დაუკარგავს. დაუსჯელი პასიურობაც რომ არ ვახსენოთ, საკამათო ეპიზოდები ისედაც მრავლად დაგროვდა. თუნდაც ჩვენებურის იუკოდ შეფასებული ვაზარი და კიდევ ერთი, მინიმუმ ვაზარად ჩასათვლედი გდება, რომელიც გაურკვეველ მიზეზთა გამო სულაც შეუმჩნეველი დარჩა. საფინალო სირენამდე ხუთი წუთი ადრე კი, მაშინ, როდესაც შუკვანი იუკოს იგებდა, მოულოდნელად მოდუნდა და მეტოქეს გდების შესრულების საშუალება მისცა, ბეჭებზე დავარდა და ოლიმპიურ თამაშებს ნაადრევად დაემშვიდობა.

„მსაჯების უსამართლო გადაწყვეტილებებმა ისე ამანერვიულა, საერთოდ გავითიშე. ველარც დროს ვაკონტროლებდი და ველარც მონინალმდეგის მოქმედებას. არც ხალხის ხმა მესმოდა. არ მახსოვს, რა და როგორ მოხდა. ასე დამცირებულად და დაჩაგრულად თავი არასოდეს მიგრძენია,“ — განაცხადა ბეთქილ შუკვანმა მარცხიდან რამდენიმე დღეში, თბილისში გაკეთებულ კომენტარში. მან წაგებაში ქართული სპორტული დელეგაციის რამდენიმე მაღალჩინოსანი დაადანაშაულა, აქაოდა, ჩემი პოლიტიკური შეხედულების გამო ვერ კიდევ ლონდონში გამგზავრების დღიდან, მძიმე ფსიქოლოგიური ზენოლის ქვეშ ვიყავი და ბოლოს სულაც გაუსაძლისი გახდა ჩემი ყოფაბა.

ძიუდოსტმა ოლიმპიური სოფელი მალულად დატოვა და მაშინ, როდესაც ქართული დელეგაციის წევრთა უმრავლესობას იგი საკუთარ ნომერში გამოკეტილი ეგონა, სპორტსმენი უკვე საქართველოში იყო და საგანგებო პრესკონფერენციას ატარებდა.

შუკვანი-მილუს დაპირისპირების შეფასება საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს,

ვლადიმერ ნუცუბიძესაც ვთხოვეთ: „პირველი გდება ვაზარს იმსახურებდა და მე ასეც მივცემდი, თუმცა არც იუკო იყო დანაშაული. უფრო საკამათოდ მეორე ეპიზოდს მივიჩნევ, რომელიც საერთოდ არ შეფასდა. როცა ამის თაობაზე მსაჯებს დავეკითხე, რატომ არ მიეცით ქულა-მეთქი, მიპასუხეს, რომ გდება კონტროლის გარეშე იყო შესრულებული, ანუ ჩავლება არ ჰქონდა აღებული, ისე გაუკეთაო.“



ბეთქილ შუკვანის პირადი მწვრთნელის, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი დამრიგებლის, ბორის ფირცხელიანის კომენტარი ასეთია:

„ნებისმიერი, ვისაც ძიუდოს არათუ ექსპერტობაზე, ელემენტარულ ცოდნაზე აქვს პრეტენზია, მოვიდეს, ერთად ვუყუროთ ვიდუოჩანანერს და 100 პროცენტით დარწმუნდებიან სიმართლეში. კარგი იქნება, ძიუდოს სპეციალისტები თუ შევიკრიბებით და ერთხელ და სამუდამოდ, საერთო აზრზე შევჯერდებით. არ შეიძლებოდა, რომ ეს მხოლოდ შემთხვევით ცუდი მსაჯობა ყოფილიყო. ეს იყო წინასწარ შეკვეთილი სიბინძურე, მაგრამ არ მინდა იმაზე ვისაუბრო, რასაც დასაბუთებით ვერ დავამტკიცებ.“





# ლონდონის საქართველოები

ლონდონის ერთ, ჩვეულებრივ სიმწვანეში ჩაფლულ მყუდრო ქუჩას კითხვა-კითხვით მივაგებით – ეკლესიას ვეძებდით. თითქოს დანიშნულების ადგილზე ვიყავით, მაგრამ ეკლესია არ ჩანდა. არადა, სადღაც ამ იყო. ის იყო ეჭვი შეგვეპარა მისამართის სისწორეში, რომ ერთ-ერთ ეზოსთან საქართველოს ოლიმპიური ნაკრების უნიფორმაში გამომწყობილი დელეგაციის წევრები დავლანდეთ.



ეკლესიის ღობეზე მიმაგრებული ქართული აბრის დანახვისას კი თავში ყველაფერი გადატრიალდა. მორჩა — საქართველოში ვართ.

ეს საქართველო დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის ეპარქიაში ლონდონის მაცხოვრის შობის სახელობის საკათედრო ტაძრის მოძღვარმა ილუმენმა დოროთემ (ზაზა ბარბაქაძე) და ქართულმა სათვისტომომ დაგვახვედრა.

მასპინძლებმა ქართულ დელეგაციას ისეთი დახვედრა მოუწყეს, ბევრს საქართველოში რომ შემურდებოდა. ეკლესიის უკანა ეზოში, სახელდახელოდ გაშლილ კარავში მრევლი ფუსფუსებდა. კაცები მაყალზე აშიშხინებულ მწვადებს დასტრიალებდნენ და თან ღვინოს ეზიდებოდნენ,





ქალბატონები სუფრას აწყობდნენ. იქაურობა რაღაცით ერთ კოხტა ქართულ სოფელს წაგავდა, სადაც მეზობლები ყველა თავისას ეზიდება სახლიდან და არ იცის, როგორ გასიამოვნოს.

მანამდე მამა დოროთემ ეკლესიის კარი შეგვიღო და აგვისტოს ომში დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადა.

ტაძარი, დაახლოებით ორი წლის წინათ დიდ ბრიტანეთში მცხოვრები თამაზ სომხიშვილის დახმარებით შეიძინეს, მერე კი ეკლესია უკვე მისი ქართული მრევლის

საკუთრებაში გადავიდა. ტაძარი მე-19 საუკუნეშია აგებული და მას ერთ-ერთი უნიკალური ვიტრაჟიც აქვს.

მრევლის წევრთა გადმოცემით, ტაძარი, რომელიც დღეს უკვე ქართველებს ეკუთვნის, ორი საუკუნის წინ ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა ააგო. შემდეგ რატომღაც სარწმუნოებაზე გული აუცრუვდა, რელიგიურ ცხოვრებას ჩამოშორდა და ეკლესიაც დახურა. ორი წლის წინათ, სწორედ მისი მემკვიდრისგან იქირავეს ტაძარი ქართველებმა იმ პირობით, რომ ერთ წელიწადში შეისყიდდნენ.

იმ დღეს ეკლესიის სტუმართა შორის, რა თქმა უნდა, იყვნენ ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი, ვერცხლის მედლის მფლობელი რევაზ ლაშხი და ბრინჯაოსანი მანუჩარ ცხადაია. იყვნენ ისინიც, რომლებსაც ოლიმპიურ თამაშებზე არ გაუმართლათ და უმედლოდ დარჩნენ.

ძირითადი მოვლენები მაყალთან ვითარდებოდა, ოლიმპიელებსაც მისკენ გაექცათ თვალიც და ხელიც. ჩემპიონებმა, პრიზიორებმა თუ მათმა თანაგუნდელებმა თავადაც ააშიშინეს მწვადები. ასე რომ, მათი ხელით მორთმეულსაც ყველამ გაუსინჯა გემო.

მას შემდეგ, რაც სუფრა იკურთხა და პირველი ჭიქაც შეისვა, პირველი, რაც ითქვა და ხაზი გაესვა, ეს ნახელავის — ვინც რა მოამზადა თუ შექმაზა — მათი ქება-დიდება იყო.

აქეთური-იქითურის გაზიარებისა და მოკითხვის შემდეგ სასაუბრო თემა, რა თქმა უნდა, ოლიმპიური თამაშები იყო. გვეკითხებოდნენ საქართველოზეც. გვეუბნებოდნენ, საინფორმაციო საშუალებებით თვალ-ყურს ვადევნებთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, მაგრამ პირველი პირისგან მოსმენილი სჯობსო. ჩვენც, ვისაც რა გვახსენდებოდა, იმაზე ვლაპარაკობდით. ლონდონელი ქართველების დიდი ნაწილი მხოლოდ იმაზე წუხდა, რომ თანამემამულეთა ასპარეზობებს მხოლოდ ტელევიზორით ადევნებდა თვალ-ყურს.

ყველაზე რთული მაინც მათთან დამშვიდობება იყო. პირობასაც კი გვადებინებდნენ, აქ თუ კიდევ მოხვდებით, აუცილებლად გვესტუმრეთო.



**გიგა გურასაშვილი**





### ოლიმპიურ მორევში

გინდა თუ არა, ლონდონის გიჟურ რიტმს უნდა აჰყვეთ და თუ ოლიმპიური დედაქალაქის ფეხით გადატყეპნას ისურვებთ, ორი ნყვილი სპორტული ფეხსაცმელი მაინც დაგჭირდებათ. თითქმის რგამილიონიან ქალაქში ყველანაირი გადაადგილების საშუალება არსებობს, მაგრამ უფრო პრაქტიკული აქ მაინც ანდერგრაუნდია, გნებავთ — თიუბი, ჩვენებურად კი მეტრო.

ოლიმპიურმა თამაშებმა მნიშვნელოვანი კვალი დაატყო ლონდონის ქუჩებს. ისედაც დიდ და ჭრელ ქალაქს, დანარჩენი სამყაროდან უამრავი ტურისტი შეესია. არა, ტურისტების ნაკლებობას არც აქამდე უჩიოდნენ, მაგრამ თამაშებისას ყველაფერი სხვაგვარად იყო, მაგრამ ლონდონი ყველას და ყველაფერს იტევდა, ოღონდ, ოლიმპიურ რკალს მიღმა გზასაცდენილს ზოჯერ მეკარგებოდა იმის შეგრძნება, იქ ლონდონში ოლიმპიურ თამაშებს მასპინძლობდნენ.

ინგლისელებს გადატვირთული გრაფიკის გამო ცხოვრების სტილის შეცვლა მოუწია.

### თიუბი

ანდერგრაუნდში გარკვევა, რომელიც მსოფლიოში უძველესია, არცთუ იოლი საქმე აღმოჩნდა.

საგანგებოდ ოლიმპიური თამაშებისთვის ლონდონის მერიამ და ტრანსპორტის დეპარტამენტმა დაამზადეს პლაკატები, რომლებიც თიუბის გარკვევაში გვეხმარებოდა. გამოფენი-

# ჭრელი ლონდონი

ლონდონის ოლიმპიურმა თამაშებმა ისევე სწრაფად ჩაიძროლა, როგორც პლანეტის უსწრაფესმა ადამიანმა უსაინ ზოლტმა 100 მეტრი. ლონდონის ოლიმპიური თამაშები ისეთივე მდიდარი გამოდგა, როგორიც ყველა დროის საუკეთესო მოცურავე მაიკლ ფელქსის მედლების კოლექციაა. და მაინც, კალიდოსკოპურად ჭრელი თამაშები გარადან დანახულ ლონდონზე არანაკლებ ჭრელი გამოდგა. მოგვიანებით THE SIDNEY MORNING HERALD იტყვის: „ამ თამაშებს ჰქონდა სიღნაღი გაქანება, ათენური დახვეწილობა, აპკინური ეფექტურობა, პრიტანული ნოუ-ჰაუ და გამჭრინტობა“. სპორტულ პატალიაზე ჩემი მხრიდან თხრობა ცოტა უაღვილო იქნება, რადგან უაქრადიტაციოდ მყოფი და თამაშების გარადან შემხედვარე ოლიმპიურ ცნობისმომყვარეობას, მცირე გამონაკლისის გარდა, ლონდონის ქუჩაგვი ხეტილით და მუზეუმების მონახულაგვით ვიკაყოფილავდი.





ლი ჰქონდათ კიდევ ისეთი სარეკლამო დაფები, რომლებიც ოლიმპიური არენებისკენ უბიძგებდა ლონდონელებსა თუ მის სტუმრებს.

ამგვარად შემუშავებულმა ხრიკმა გაჭრა კოდეც.

მგზავრთა გუნება-განწყობაზე მოხეტიალე მუსიკოსებიც მუშაობდნენ. უკრავდნენ გასამრჯელოს თუ შემონირულობის სანაცვლოდ. ეგაა, ამ მხრივ, ბრიტანელებში დიდი ერთუზიანობა არ შეინიშნებოდა — ხურდა ფული არცთუ თვალშისაცემად ეღვარებდა სცენის წინ მოწყობილ ერთგვარ საღარო ქუდში.

თვალშისაცემი იყო ვაგონებში მოკალათებულთა ხელში გადაშლილი გაზეთები — ძირითადად, 68-გვერდიანი „ინინგ სტანდარტი“, რომლებიც უფასოდ რიგდებოდა ცენტრალურ თუ საკვანძო ხაზებზე და რომლის ნახევარზე მეტი გვერდი ოლიმპიურ ამბებს ამცნობდა საკუთარ მკითხველს.

ლონდონის მინისტრებში აშკარა დემოკრატიას. აქ მშვიდად შეგიძლია დანაყრდე, დალიო, დაიძინო და ტანსაცმელიც კი გამოიცვალო. ერთადერთი აკრძალვა მგონი მხოლოდ სიგარეტის მოწვევას ეხება და ამას ყოველ ფეხის ნაბიჯზე გახსენებენ.

## ლონდონის ოლიმპიური ნუსხილი

ლონდონის ოლიმპიური თამაშებისას ფაქტობრივად ყოველდღე იწერებოდა მოშილიფებულ ტრიბუნებზე — ორგანიზატორებმა ბილეთები არასწორად გაანაწილესო.



საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი გამოდგა, რომ კომენტარი საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმაც გააკეთა, რომელიც დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ დევიდ კამერონთან ერთად რამდენჯერმე გამოჩნდა ტრიბუნებზე.

ამასობაში ცარიელი ტრიბუნებით შენუხებულმა ბრიტანელებმა ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, იმ ლაფსუსის მიზეზს მიაგნეს. ამბობდნენ, კორპორატიული ბილეთები ასე უპრაგონოდ არ უნდა გაგვეცაო.

ერთადერთი, სადაც ანშლაგი ვიხილეთ, ეს გახსნის საზეიმო ცერემონიალი იყო, რომელსაც უშუალოდ ტრიბუნებიდან 80 ათასმა დამიანმა მიადევნა თვალ-ყური. იყო რამდენიმე იშვიათი გამოჩაკლისიც, როდესაც ტრიბუნა გვარიანად შეივსო, მაგრამ წინასწარ განსაზღვრულ მაჩვენებელთან დიდად მოსატანი არაა.

Financial Time-ის შეფასებით, ოლიმპიური დედაქალაქი აჩრდილს დაემსგავსა. ქალაქის ცენტრალური ქუჩებიც კი დაცარიელდა, რადგან ბევრი ლონდონელი ტურისტების მოზღვაგების შიშით მალაზიებში, თეატრებსა და მუზეუმებში სიარულისგან თავს იკავებდნენ.

განსაკუთრებული აუციოტაჟი არც ლონდონის სასტუმროებში შეიმჩნეოდა. სასტუმროებმა კლიენტთა მოსაზიდად ფასებიც დააგდეს.

## პოპი!

ინგლისელი პოლიციელი ისეთივე სადარბაზო ბარათია ალბიონისთვის, როგორც ბიგ ბენი, ორსართულიანი წითელი ავტობუსი, წითელივე სატელეფონო ჯიხური და ბევრი სხვა რამ.

ლონდონის ოლიმპიური თამაშებისთვის ქვეყნის ხელისუფლებამ, მთელი ინგლისის მასშტაბით, პოლიციელებთან მალემსრობები აფრინა, ჩამოდით, დაგვეხმარეთო. და რას აკეთებენ ბობები, როგორც მათ აქ ეძა-

ხიან? დგანან მეტროსადგურის, უფრო სწორად, ანდერგრაუნდის ბაქანზე თუ ოვერგრაუნდის შესასვლელებთან, ოლიმპიურ არენებთან, მის მისადგომებთან და, საერთოდ, იქ, სადაც ყველანაირი ხალხი ირევა. შეიძლება ფეხებში არც გებლანდებიან, მაგრამ წამიერად შეუძლიათ ათეულით ან ოცეულით გამოჩნდნენ.

უჩვეულო ისაა, რომ ბევრი სამართალდამცავი დღემდე ცეცხლსასროლი იარაღის გარეშე დადის, არსენალში კი მხოლოდ ხელკეტი და ბორკილები აქვთ. ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ბობების ერთი ნაწილი ასე უიარალოდ გამოიყურება, მაგრამ არიან კბილებამდე შეიარაღებულნიც.

შეიარაღებულები დანარჩენი თანამშრომლებისგან ფორმითაც განსხვავდებიან. ალბათ მათი ფუნქციაც განსხვავებულია თანამომხმეებისგან.

ლონდონის ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოებისთვის ქალაქის მერიამ ცენტრალურ უბნებში, განსაკუთრებით კი ოლიმპიურ პარკსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განათავსა პოლიეთილენის ურნები, რათა შიგ ჩაყრილი ნაგავი ხილული გამხდარიყო.

ასეა, თუ ოლიმპიურ თამაშებს მასპინძლობ, პოლიციამ და უსაფრთხოების სამსახურმა ნაგავიც უნდა აკონტროლოს.

\*\*\*

დიდი ბრიტანეთი თავისუფალი ქვეყანაა, მაგრამ, ამ მოხალისეების გადაძვივით, თავისუფლებას ვერ ვგრძნობ. შენს თითოეულ მოძრაობას აკვირდებიან. ბიჭი ხარ და ცოტა ხნით გაჩერება გაბედე. ნამსვე მინიდან ამოიზიდება პოლიციელი ან მოხალისე და შენიშვნას მოგცემს: KEEP MOVING!

ლონდონში გაჩერება აკრძალულია!

**გიგა გურასაშვილი**



# ერთი დღე უიმბლდონზე

ლონდონის თაგაპაგის მორიგი დღე, 2 აგვისტო უჩვეულოდ დაიწყო. ის იყო, დილით EXCEL-ის საგამოფანო კომპლექსში კიუდოზა ნასასპლელად გავეშადა, რომ სასტუმროში განაგვის სირინები ჩაერთო და ერთი ალიაქოთი ატყდა.



მაღე კარზე დამლაგებელმა გოგონამაც დააკუნა და სასწრაფოდ ნომრის დატოვება მომთხოვა. მაშინ კი ვიკადრე და, რადგან ლიფტები გათიშული იყო, სასტუმროს სხვა მოზინადრეების მსგავსად, კიბეებზე დავეშვი. ფოიეში მომსახურე პერსონალიც კი აღარ ჩანდა, მთელი NOVOTEEL-ი ეზოში იყო გამოფენილი. ზოგი აუღელვებლად, ირონიული ღიმილით გამოდიოდა სასტუმროდან, ზოგიც გიჟივით გამორბოდა საშიში ზონიდან.

არავინ იცის, რა ხდება. ვხედავთ, როგორ შედის უშიშროების სამსახურის რამდენიმე კაციანი ჯგუფი სასტუმროში და ცოტა ხანში სირენებიც ითიშება. მაღე NOVOTEEL-ის კარები იღება და მენეჯერები ათასი ბოლიმით ყველას უკან ეპატიჟებიან. საგანგაშო არაფერია, ეტყობა ვიღაცამ ნომერში სიგარეტი გააბოლა და მთელი სასტუმრო ყირაზე დააყენა. ნებისმიერი მაღალი დონის სასტუმ-

როში სახანძრო უშიშროების წესებს ისედაც მკაცრად იცავენ, ოლიმპიადის დღეებში კი შესაძლო ტერაქტების თავიდან ასაცილებლად ყურადღება გაათმავებულისა და ამჯერად ევაკუირებულთა შორის ჩვენ მოვხვდით.

ამასობაში ერთი საათი დავკარგე. 100 კგ ნონის ძიუდოსტა შეჯიბრება უკვე დაწყებულია. კოლეგებს ვურეკავ და ლომერ ჟორჟოლიანის ამბავს ვეკითხები. მატყობინებენ, რომ ჩვენს ძიუდოსტს მეორე წრეში დაუსრულებია ასპარეზობა. ძიუდოზე წასვლას აზრი აღარ აქვს, ამიტომ სჯობს უიმბლდონისკენ ავილო გეზი.

როცა ლონდონიდან აკრედიტაციასთან ერთად ქალაქის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უფასო მგზავრობის ბარათი მივიღე, ვიფიქრე, რომ ამ ბარათით იშვიათად ვისარგებლებდი და სპორტულ ბაზებზე ძირითადად მედიის ავტობუსებით ვიმოძრავებდი. მაგრამ, მსოფლიოში უძველესი ლონდონის მეტრო ისეთი მოსახერხებელი აღმოჩნდა, რომ სწორედ მეტრო გახდა ჩემთვის გადაადგილების მთავარი საშუალება.

ახლაც სასტუმროდან უიმბლდონამდე მეტროთი მივემგზავრები. ლამის ყველა, ვინც ვაგონშია, მსოფლიოში ყველაზე ცნობილ კორტებზე მოდის. ხანდაზმულ სიმპათიურ წყვილს ამერიკული დროშა მოაქვს, ესენი აშკარად დები უილიამსების გულშემატკივრები არიან. აგერ როჯერ ფედერერის ფანები, წითელ მაისურებში გამოწყობილი შვეიცარიელი ახალგაზრდები. დელ პოტროს ქომაგ არგენტინელ ბიჭებს კი ლეო მესის 10-ნომრიანი მაისურები აცვიათ.

ამ ხაზზე უიმბლდონი ბოლო გაჩერებაა. თუმცა ვიდრე მეტროს სადგურიდან საჩოგბურთო ცენტრამდე მიხვალთ, თხუთმეტიოდე წუთი ფეხით მოგიწევთ სიარული. ეს ფრიად სასიამოვნო გასეირნებაა. მთელს გზაზე მწვანეში ჩაფლული ერთი ან ორსართულიანი კომუნა სახლებია, ყვავილებით მორთული კარ-ფანჯრებითა და ხელისგულისოდენა

ეზოებით. ადგილობრივები არსად ჩანან, ქუჩაში მხოლოდ ის ხალხი მოძრაობს, ვინც უიმბლდონის კორტებზე მიდის. გარშემო ყველგან მიმართულების მაჩვენებელი ფირნიშებია, ძალიანაც რომ გინდოდეს, არ დაიკარგები. კორტებთან ახლოს კი ვოლონტიორები მორიგებენ და ბილეთიან მაყურებლებსა და აკრედიტებულ პირებს სხვადასხვა მიმართულებით უშვებენ.

მოხალისე გოგონას დახმარებით მედიის შესასვლელი მოვძებნე, კონტროლი გავიარე და საჩოგბურთო მექაში აღმოვჩნდი. არც კი ვიცი, ამ კორტებიდან რამდენი ტელერეპორტაჟი მინახავს და რამდენი დოკუმენტური ფილმი უიმბლდონის შესახებ. ალბათ ამიტომაც მაქვს ისეთი განცდა, რომ აქ უკვე ნამყოფი ვარ. ცენტრალური არენისკენ მივდივარ. მარჯვნივ ჩამწკრივებულ კორტებზე წყვილთა მატჩები მიმდინარეობს. ერთ-ერთ კორტთან ზღვა ხალხია შეკრებილი, აშკარაა, იქ რომელიღაც ვარსკვლავი ვარჯიშობს. რომელიღაც კი არა თვით როჯერ ფედერერი ყოფილა. როჯერი მეოთხედფინალში ამერიკელ იზნერს







ხედება, ამ თამაშს მალე ვნახავ, ამიტომ გზას ვაგრძელებ და დიდ ტაბლოზე მეოთხედფინალური მატჩების განრიგს ვსწავლობ. დღეს აქ ნამდვილი ვარსკვლავთცვენა იქნება!

სამწუხაროდ, ქართველი ჩოგბურთელი ბისთვის ოლიმპიადა უკვე დასრულებულია. ანა ტატიშვილიმა პირველ წრეში ლუქსემბურგელ შტეფანი ფოგტს იოლადა აჯობა 6:2, 6:0, მეორე წრეში კი ტურნირზე მე-16 ნომრად განთესილ რუს ნადია პეტროვასთან დამარცხდა — 3:6, 7:5, 6:2. წყვილთა თანრიგში ანა ტატიშვილიმა და მაკა ჩახნაშვილიმა პირველივე წრეში დაასრულეს ასპარეზობა. ქართულმა



დეუტმა ანდრეა კლუპაჩისა და კატარინა სრე-ბოტნიკის სლოვენური წყვილთან სამ პარტიამში წააგო — 6:7, 6:3, 2:6.

პირველი კორტიდან ისეთი ოვაციები იმის, აშკარაა, იქ ბრიტანელების მთავარი იმედი ენდი მარი თამაშობს. მართლაც, შოტლანდიელი ჩოგბურთელი ესპანელ ნიკოლას ალმაგროს ხედება. მატჩი მარის დიდი უპირატესობით მიმდინარეობს, მის მიერ ჩაგდებულ ყველა ბურთს ტრიბუნები აღტაცებული ყიჟინით ხედეზიან. ენდი ორ პარტიამში იმარჯვებს და ნახევარფინალში გადის. მასპინძლებიც ხანგრძლივი ოვაციით აცილებენ თავის ჯილას. ჯერ არავინ იცის, რომ ეს ოლიმპიადა მარის ბენეფისად იქცევა. შოტლანდიელი ნახევარფინალში ნოვაკ ჯოკოვიჩს დაამარცხებს, ფინალში კი როჯერ ფედერერს მოუგებს და ოქროს ირგუნებს. ენდომ უსიამოვნო ტრადიცია დაარღვია, 1908 წლის ლონდონის თამაშებიდან მოყოლებული, ბრიტანეთს ხომ ჩოგბურთში ოლიმპიური ჩემპიონი არ ჰყოლია.

ხანმოკლე პაუზის შემდეგ პირველ კორტზე სერენა უილიამსისა და კაროლინ ვოზნიაცკის ორთაბრძოლა იწყება. სერენას უპირატესობა აშკარაა, ამერიკელი კორტზე უმოწყალოდ დაარბენინებს მეტოქეს, რომელიც მგონი წინასწარაა შეგუებული დამარცხებას. უცებ ტრიბუნები ქოლგებით ქრელდება, განვიმდა. მატჩის კომისარი მოთამაშეებს ეთათბირება, შემდეგ არენაზე მწყობრად შემორბიან ვოლონტიორები, რომლებიც ორივე მხრიდან მწვანე ბრეზენტს შლიან და რამდენიმე წამში კორტს საფარქვეშ აქცევენ. ტრიბუნებს არავინ ტოვებს. უიმბლდონი წვიმის გარეშე წარმოუდგენელია, ყველა ლაბადებითა და ქოლგებით არის მოსული და შეხვედრის გაგრძელებას მშვიდად ელოდება.

მალე გამოიადარა. ვოლონტიორებმა კორტს ბრეზენტი სწრაფად მოხსნეს, აკურატულად დაკეცეს და ოსტატობისთვის ტაშიც დაიმსახურეს. ჩოგბურთელები კორტზე დაბრუნდნენ და სერენა უილიამსმა ვოზნიაცკის განადგურება სწრაფადვე დაასრულა. სერენას ოლიმპიადაზე ღირსეული წინააღმდეგობა ვერავინ გაუწია. ამერიკელმა ნახევარფინალში ვიქტორია აზარენკა დაჩაგრა, ფინალში კი მარია შარაპოვას აყარა შავი დღე და ჩემპიონი გახდა. მეორე ოქრო სერენამ ვინუსთან ერთად წყვილთა თანრიგში მოიპოვა და დამტკიცა, რომ დღეს ქალთა ჩოგბურთში მას ნამდვილად არა ჰყავს ბადალი.

პირველ კორტს ვტოვებ და უიმბლდონის კომპლექსს ვათვალიერებ. სიამოვნებით შევეუერთებოდი მწვანე მდელოზე წამოწოლილ ასობით ადამიანს, რომლებიც გიგანტურ ეკრანზე ადევნებენ თვალს ტელერეპორტაჟებს, ანაც ხელოვნურ ნაკადულებთან ჩამოვჯდები, მაგრამ ცენტრალურ კორტზე ჯოკოვიჩისა და ცონგას მატჩი იწყება და მათ ორთაბრძოლას უნდა მივადევნო თვალს.



ამ დღეს ცენტრალურ კორტზე როჯერ ფედერერისა და ჯო ვიზნერის, მარია შარაპოვასა და კიმ კლაისტერსის მატჩებიც ვნახე. სალამოსკენ გვარიანად აცივდა და უიმბლდონის თავზე ღრუბლები ისევ მოჯარდნენ. ის იყო სანვიმარში გავცხვიე, რომ უკნიდან ვილაცხამ დამიძახა. ჩემი კოლეგა ელგუჯა ბერიშვილი აღმოჩნდა. ერთმანეთს ბოლო ინფორმაციები გაუცვალეთ. გუჯამ ძიუდოს ამბები მიაბო, მე — უიმბლდონის. ჯერჯერობით მხოლოდ ლამა შავდათუაშვილის ოქრო გვაქვს და ვზჭობთ, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები. წინ ხომ კიდევ ოლიმპიადის 10 დღეა.

გვარიანად შებინდებული იყო, როცა უიმბლდონზე ბოლო მატჩი დასრულდა და ათასობით ადამიანი მეტროსა და ავტოსადგომებისკენ დაიძრა. ჩვენც ვემშვიდობებით მსოფლიოში ყველაზე ცნობილ საჩოგბურთო კომპლექსს, თუმცა მანამდე ცენტრალური კორტის ფონზე ფოტოებს ვიღებთ. უიმბლდონზე ვინიტიტით ძალიან კმაყოფილი ვარ, ერთ დღეში თანამედროვე ჩოგბურთის უამრავი ვარსკვლავი ვნახე. ახლა უნდა ვიყოჩალო, მეტრომდე სწრაფად მივიდე და სასტუმრომდეც დროულად მივაღწიო. ხვალ ძიუდოისტთა ტურნირი მთავრდება და დილაადრიან EXCEL-ის საგამოფენო კომპლექსში უნდა ვიყო.

**თამარ ბალაშაძე**





ერთი სოფელი ჯეელი ქალაქელ მეგობრებს ფეხბურთზე წაუყვანიათ. დაწყებულია თუ არა მატჩი, ეს ჯეელი ამდგარა და სტადიონიდან გამოსულა, მაგი ნაყურები მაქვს მეო!

პირველი საკალათბურთო ოლიმპიური მატჩი, რომელსაც მე დავესწარი, აშშ-ესპანეთის შეხვედრა იყო 1992 წელს ბარსელონაში. და აი, ერთგვარი დეჟავუ ზუსტად 20 წლის შემდეგ: ისევ ოლიმპიადა, ისევ აშშ-ესპანეთი, ისევ დრიმტიმი, ისევ ამერიკელთა გამარჯვება...


თუმცა ლონდონის კვალობაზე თბილისელიც ალბათ სოფელად ჩანს და აშშ-ესპანეთიც ნაყურები მქონდა, იმ ანეკდოტის გმირისგან განსხვავებით, დარბაზიდან გამოვედი კი არა, ნანახით მონუსხული, მანამდე არ აუდექი ადგილიდან, სანამ ტრიბუნები მთლიანად არ დაიცალა და ტაბლოც არ ჩააქრეს.

საკუთარი თავისა მშურდა: გინდ სოფელი დამიძახეთ და გინდ — ქალაქელი, მე ერთადერთი ქართველი აღმოვჩნდი, რომელიც ორივე დრიმტიმის ფინალურ მატჩებს დაესწრო!

ყოველგვარ ხელობას აქვს თავისი მომაბეზრებელი ერთფეროვნებაო, წერს ედიშერ ყიფიანი თავის ყველაზე ცნობილ მოთხრობაში „ჰობოი“. რატომღაც მგონია, რომ „ყოველგვარ ხელობაში“ იგი ჩემს ხელობას, ჟურნალისტიკას არ გულსხმობდა. როგორ შეიძლება, ერთფეროვანი და თანაც მომაბეზრებელი იყოს ჟურნალისტიკა, როცა, რაგინდ ხელოსნურ დონეზე, თუნდაც ყოველდღე ასსტრიქონიან ინფორმაციას შტამპავდეს, ჟურნალისტს მუდამ სიახლესთან აქვს საქმე — თუ ახალ ადამიანთან, თუ ახალ ფაქტთან, თუ ახალ მოვლენასთან... როგორ შეიძლება ვინმემ ერთფეროვნებად ჩათვალოს სპორტული ჟურნალისტის მიერ ოლიმპიადების, მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატების და თუნდაც ეროვნული პირველობების რეგულარული გაშუქება რაგინდ ერთსა და იმავე სახეობაში. ედიშერ ყიფიანი ძველ ჰობოისტზე წერდა, მის ყოველდღიურ ერთფეროვნებაზე, ეს ზოგადი ფრაზაც ამაღ დაისაჭიროვა და ხომ არ დაწერდა, ჟურნალისტიკის გარდაო. ჟურნალისტიკა იქ არაფერ შუაშია და თანაც იქნებ ედიშერ ყიფიანი ფიქრობდა, რომ ჟურნალისტიკა სულაც ხელოვნებაა და არა ხელობა.

მისი პირველი წიგნი „ბურთი და მოედანი“ სწორედაც ჟურნალისტური იყო, ამასთან — სპორტულ-ჟურნალისტური. ასე რომ, ჟურნალისტიკაზე არაფრით იტყოდა, მომაბეზრებელი ერთფეროვნებაო.

ედიშერ ყიფიანის ეს ფრაზა სწორედ ედიშერ ყიფიანის სახლში მახსენდება ლონდონში. ამჯერად უმცროს ედიშერ ყიფიანზე ვამბობ, მწერლის შვილიშვილზე. ის ახლა შინ არ არის, საერთოდაც არ არის ლონდონში



## დრიმტიმიდან დრიმტიმად

— დასთან და დედასთან ერთად თბილისშია წასული. მე მას ჯერ არ ვიცნობ, არ მინახავს. მე არც უფროს ედიშერ ყიფიანს ვიცნობდი — მესამე კურსზე ვიყავი, როცა ის გარდაიცვალა 1972 წელს. მე ყიფიანთა ოჯახის „შუა რგოლთან“ ვმეგობრობ — ლევან, იგივე ლელო ყიფიანთან, ედიშერ-უფროსის შვილთან და ედიშერ-უმცროსის მამასთან, ჩემს მასპინძელთან. ახლა არც ის არის ლონდონში, რამდენიმე დღით იტალიაში წავიდა თავის საქმეებზე. 12 აგვისტოა, მარტო ვარ ყიფიანების ლონდონურ სახლში და ინფორმაციითა თუ ემოციებით დატვირთულს, ფურცელზე გადაამაქვს ჩემი დღევანდელი შთაბეჭდილებები.

ტელევიზორში ლონდონის ოლიმპიადის დახურვის რეპორტაჟია — უალრესად მასშტაბური სანახაობა. დახურვის ბილეთი ჯიბეში მიდევს, მაგრამ სტადიონზე არ წავსულვარ, პირდაპირ „შინისკენ“ წამოვედი — არ მინდოდა კალათბურთელთა ფინალზე მიღებული შთაბეჭდილება რაგინდ გრანდიოზული სანახაობით გადამეფარა.

ზუსტად 20 წელიწადია, ოლიმპიურ თამაშებზე დავდივარ, როგორც აკრედიტებული ჟურნალისტი; ზუსტად 20 წელიწადია, ქართველ ოლიმპიელთა გამოსვლებზე ვწერ; ზუსტად 20 წელიწადია, მათი გულშემატკივარი და მემბრანე ვარ. ყოფილა, ოლიმპიადას ისე

ჩაუვლია, ქართველ სპორტსმენთა ასპარეზობის გარდა, სხვას ვერაფერს დავსწრებოვარ, მხოლოდ ტელეეკრანზე მინახავს. თუმცა ყველას ვუმტკიცებ, რომ თანამედროვე ტექნიკის პირობებში სპორტული ასპარეზობის ცქერა ტელევიზიით სჯობს — უფრო სრული და მრავალმხრივი წარმოდგენა გექმნება ნებისმიერ მატჩსა თუ ორთაბრძოლაზე, უფრო „ახლოდან“ ხედავ ყველაფერს, უფრო „შიგნიდან“, თავისი შენელებებითა და გამეორებებით, — მაგრამ სტადიონზე თუ სპორტულ დარბაზში ყოფნას, სპორტულ დღესასწაულში უშუალო მონაწილეობას მაინც სხვა ხიბლი აქვს.

როგორ გინდა, უშუალოდ არ დაესწრო ლეგენდარული მაიკლ ფელპსის ერთ გაცურვას მაინც, როგორ გინდა, უშუალოდ არ ნახო ლეგენდარული უსაინ ბოლტის ერთი ათნამიანი გარბენი მაინც, როგორ გინდა, ერთხელ მაინც არ დაესწრო სპორტულ ასპარეზობას ნამდვილ უიმბლდონზე ან ნამდვილ უემბლიზე, როგორ გინდა, საკუთარი თვალით არ ნახო დრიმტიმის ერთი მატჩი მაინც!

რა დამავიწყებს 1992 წლის კალათბურთელთა ფინალს — ამერიკელთა ოცნების გუნდმა ხორვატები რომ დაამარცხა. იმ მატჩს ბარსელონაში, უფრო ზუსტად კი — მის სატელეცქერა ბადალონაში, სამი ქართველი ჟურნალისტი ვესწრებოდი: თამარ ბალავაძე, ელგუჯა ბერიშვილი და მე. მთლიანად, რა თქმა უნდა ვერა, მაგრამ იმ საღამოს ამ მატჩმა დროებით ქართველთა მიერ წინა დღეებში მოპოვებული სამი ოქროსა და ხუთი ბრინჯაოს მედალიც კი გადაგვაყინა.

ლონდონში გამგზავრებამდე, ქართველ სპორტსმენთა გამოსვლების გარდა, სწორედ ფელპსი, ბოლტი, უემბლი, უიმბლდონი და დრიმტიმი მოვინებე მიზნად, მაგრამ მოხდა ისე, რომ კალათბურთზე წასვლა ფინალამდე ვერაფრით მოვახერხე — ხან რამ შემიშალა ხელი, ხან — რამ, ფინალზე კი — წურას უკაცრავად! — ეს ჩემი აკრედიტაცია საკმარისი არ არის, დამატებით კიდევ ბილეთია საჭირო, თუმცა უფასო, მაგრამ მაინც ბილეთი, რომელსაც ფინალში არამონაწილე ქვეყნების დელეგაციებზე საორგანიზაციო კომიტეტი ლიმიტირებულად გასცემს. საქართველოდან აკრედიტებულ 15 ჟურნალისტს სულ სამი ბილეთი გვერგო. წასვლა ყველას გვინდა. ჩვენ შორის ერთადერთი ქალია — თან იმ ბარსელონური ფინალის თეიმთხილველი, თამარ ბალავაძე. თუმცა თავადაც ძალიან მინდოდა, ჩემთვის გავიფიქრე, თუ მე შემხვდა და თამრიკოს არა, დაუთმობ-მეთქი. კენჭი საჭიდაო დარბაზის პრესცენტრში ვყარეთ: მე არ შემხვდა. არც თამრიკოს შეხვდა. არც ელგუჯას. არადა, კარგი იქნებოდა, მე თუ არა, რომელიმე ქართველი ჟურნალისტი



მანც ყოფილიყო ორივე დრიმტიმის ფინალური მატჩების თვითმზილველი. თუმცა ახლები, რომელთათვისაც ლონდონის თამაშები პირველი თუ მეორე ოლიმპიად იყო, სხვაგვარად ფიქრობდნენ — თქვენ ის ფინალი მანც გაქვთ ნანახი, სამართლიანობა ის იქნება, ეს ჩვენ ვნახოთო.

სანდრო კოტორაშვილს, რომელსაც ჩვენ გან ერთადერთს ჰქონდა ფოტოჟურნალისტის აკრედიტაცია, ერთი ბილეთი უკონკურსოდ ერგო. ის ორი დანარჩენი ბილეთი კი ემზარ ზენაიშვილსა და ნუგზარ რუხაძეს შეხვდათ.

ხოლო მე უბილეთოდ დავრჩი და ჩემი ოლიმპიადაც ამით დამთავრდა. ხვალ მთელ დღეს მუზეუმებში ვივლი, გვიან საღამოს დახურვაზე მივალ და მორჩა. რა იზამ, ნილისყრა ნილისყრა... ამ დროს ნუგზარ რუხაძე მოდის და კალათბურთის ფინალის ბილეთს მანვდის, ვიცი, რომ შენ ჩემზე მეტად გინდაო! ჩვენ ერთმანეთი ჯერ კიდევ მაშინ გავიცანით, და თანაც საზღვარგარეთ მოგზაურობაში, სანამ ოლიმპიადებზე სიარულს დავიწყებდი. ლონდონში კიდევ უფრო დავმეგობრდით.


შევცბი. გამიხარდა. დავიბენი. თავიდან შორს დავიჭირე. მაგრამ ნუგზარი ისე გულწრფელად და ისეთი დაბეჯითებით მთავაზობდა ბილეთს, უარის თქმა აღარ გამოდიოდა.

თამრიკო? — ჩემი კენჭისყრამდელი განწყვეტილება არავინ იცოდა, მაგრამ საკუთარ თავთან ვერ ვიყავი მთლად მართალი. მეორე მხრივ, ბილეთი რომ თამრიკოსთვის დამეთმო, ნუგზართან იქნებოდა უხერხული. ვერ დავუმაღლე და ვუთხარი კიდევ ეს ყველაფერი თამრიკოს, როცა ჭიდაობიდან უკან ვბრუნდებოდი რასელ სკვერზე.

მერე ის დიდი საკალათბურთო ფინალი იყო ლონდონში: დრიმტიმ-2 და ესპანეთი. რა თქმა უნდა, არ მოვეყვები მატჩის პერიოპტივების აღწერას, ეს თამაში კალათბურთის ყველა გულშემამტკივარმა ნახა. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ, განსხვავებით 20 წლის წინანდელი ფინალისაგან, აქ პირველ სამ პერიოდში ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს შეიძლებოდა, ამერიკელები დამარცხებულიყვნენ. იყო მომენტები, როცა ნავარო და ძმები გასოლები ჯობნიდნენ ამერიკელ ვარსკვლავებს და ესპანეთი წინაც გადიოდა ანგარიშში. ერთხელ 5 ქულითაც კი დანინაურდა. მეორე და მესამე პერიოდები ესპანელებმა სულ თითო ქულით წააგეს. მაგრამ დაინყო ბოლო პერიოდი და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა — ამერიკელებმა 107:100 გაიმარჯვეს.

მე აქ აუცილებლად უნდა ჩამოვწერო ოლიმპიურ ჩემპიონთა შემადგენლობა:

ტაისონ ჩანდლერ, კევინ დიურანტ, ლებრონ ჯეიმს, რასელ უესტბრუკ, დერონ უილიამს, ანდრე იგუოდალა, კობი ბრაიანტ, კევინ



ლაგ, ჯეიმს ჰარდენ, კრის პოლ, ენტონი დევის და კარმელო ენტონი.

ესპანელებიც უნდა ჩამოვთვალო:

პაუ გასოლ, რუდი ფერნანდეს, სერხიო როდრიგეს, ხუან-კარლოს ნავარო, ხოსე კალდერონ, ფელიპე რეიეს, ვიკტორ კლავერ, ფერნანდო სან-ემეტერიო, სერხიო ლულ, მარკ გასოლ, სერჟ იბაკა, ვიკტორ სადა.

მოედნიდან საკმაოდ შორიდან ვიჯექი. შორს და ზემოთ. და თუმცა ყველაფერი მშვენივრად ჩანდა, ფოტოს გადაღება არც მიცდია. საამისოდ სადღაც მოედანთან ახლოს „კოტორა“ ირჯებოდა. მხოლოდ მატჩის შემდეგ ჩავაჩხაკუნე რამდენჯერმე. საფინალო სასტვენის შემდეგ მატჩის სამი გმირი, დრიმტიმის სამი ლიდერი — ლებრონ ჯეიმს, კევინ დიურანტ და კობი ბრაიანტ ჟურნალისტების გარემოცვაში მოქცეულიყვნენ და ასევე დარჩნენ ჩემს ფოტოზე.

ეს ესპანელთა და ამერიკელთა მესამე ოლიმპიური ფინალი იყო. საერთოდ, ესპანეთი კალათბურთელთა ოლიმპიურ ფინალებში მონაწილეობის სიხშირით მეოთხე გუნდია მსოფლიოში აშშ-ის, საბჭოთა კავშირისა და

იუგოსლავიის შემდეგ. პირველად აშშ და ესპანეთი ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის გადამწყვეტ მატჩში შეხვდნენ ერთმანეთს, მეორედ კი ოთხი წლის წინათ ბეიძინში. ორივე მატჩი ამერიკელებმა მოიგეს — ლოს-ანჯელესში 96:65 და ბეიძინში 118:107. სხვაობა უფრო და უფრო კლებულობს: 31, 11, 7. თუ ასე გაგრძელდა და ამ გუნდებს კვლავ მოუწიათ ოლიმპიადის ფინალში შეხვედრა, იქნებ უკვე ესპანეთმა მოიგოს.

ლონდონში ოთხი წლის წინანდელი ფინალის თერთმეტი მონაწილე ასპარეზობდა: ამერიკელები — კობი ბრაიანტ, ლებრონ ჯეიმს, კრის პოლ, დერონ უილიამს და ენტონი კარმელო; ესპანელები — რუდი ფერნანდეს, ხოსე კალდერონ, ხუან-კარლოს ნავარო, ფელიპე რეიეს და ძმები გასოლები.

ამერიკა-ესპანეთის წინა ორი ფინალი მე არ მინახავს. მე ძირითადად დრიმტიმებიან ფინალებზე ვარ „დასპეციალებული“!

პირველ დრიმტიმიან ფინალს, აკი ვთქვი, 1992 წელს დავესწარი ბადალონაში.

თუმცა ფინალამდე, ესაც ვთქვი, აშშ-ესპანეთის თამაშს დავესწარი, რომელიც





ამერიკელებმა 41 ქულის სხვაობით მოიგეს — 122:81. პირველივე ფოტო, რომელიც იმ მატჩზე გადავიღე, საკმაოდ საინტერესო გამოვიდა: კადრში მოხვდა მოედანზე იმ მომენტში მყოფი ათივე მოთამაშე! მელოუნი, დრექსლერი, პიპენი და მულინი რკალზე ჩარიგებულან, ხოლო ოთხი ხორვატით გარშემორტყმული იუინგი ბურთს კალათში ტყნის.

ხოლო ლონდონის ოლიმპიურ სტადიონზე ოლიმპიადის საზეიმო დახურვის ცერემონიალი მიდის და მიგრიალებს. მე კომპიუტერს ვუზივარ ყიფიანების ლონდონურ ბინაში და მხოლოდ ცალ თვალს ვადევნებ ამ ყველაფერს, ყურიც ტელევიზორისკენ მაქვს მიყრობილი, ძირითადად კი ინტერნეტში ბარსელონის ოლიმპიადის ამბებს „ვსერჩავ.“

იმ პირველმა ლეგენდარულმა დრიმტიმმა მაშინ 117:85 დაამარცხა ხორვატები. ბლომად სურათები გადავიღე. მაშინ მე მქონდა ფოტოჟურნალისტის აკრედიტაცია და ფოტოების გადაღება ჩემი უშუალო მოვალეობა იყო.

მოდე, იმ ფინალის მონაწილეებსაც გავიხსენებ.

პროფესიონალ კალათბურთელთა პირველი ოლიმპიური გუნდის შემადგენლობა დღეს კალათბურთის ყველა მოყვარულმა ზეპირად იცის:

ლარი ბერდ, ირვინ „მეჯიქ“ ჯონსონ, დევიდ რობინსონ, პატრიკ იუინგ, სკოტი პიპენ, მაიკლ ჯორდანი, კლაიდ დრექსლერი, კარლ მელოუნი, ჯონ სტოკტონ, კრისტოფერ მუ-

ლინი, ჩარლზ ბარკლი, კრისტინ ლეტნერი.

გუნდის თანაკაპიტნები იყვნენ ლარი ბერდი და მეჯიქ ჯონსონი.

ოთხი წლის შემდეგ, 1996-ში, ამ გუნდის ათ მოთამაშეს ამერიკის ეროვნული საკალათბურთო ლიგის ისტორიაში 50 საუკეთესო მოთამაშეთა შორის მიუჩინენ ადგილს.

სხვათა შორის, თუ არ ვცდები, ამერიკელი კალათბურთელები ოლიმპიური თამაშების მონაწილე პირველი მილიონერები იყვნენ ისტორიაში.

ჯორდანი, იუინგი და მულინი, რომლებმაც მანამდე რვა წლით ადრე მოიპოვეს ოლიმპიური ოქროს მედლები, როგორც მოყვარულებმა, ბარსელონაში მეორედ გახდნენ ოლიმპიური ჩემპიონები. ხოლო ბარკლი, რობინსონი, სტოკტონი, მელოუნი და პიპენი ოქროს მედლებს მეორედ ოთხი წლის შემდეგ, ატლანტაში მოიპოვებენ.

სხვათა შორის, ზოგიერთ წყაროში ის ატლანტური გუნდიც, თავის შაკილ ოწნილითა და ჰაკიმ ოლეიჯოუნით, ასევე დრიმტიმად არის მოხსენიებული.

ბარსელონაში დრიმტიმმა ყველა მატჩი საშუალოდ 44-ქულიანი უპირატესობით მოიგო და ყველა მატჩში 100 ქულაზე მეტი მოაგროვა. ამერიკელთა უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ მათ მწვრთნელ ჩაკ დელის მთელი ტურნირის განმავლობაში არც ერთი წუთმსვენება არ აუღია, ხოლო მათი მონაწილემდეგენი იმითიც ბედნიერები იყვნენ,

რომ ამერიკელებთან უხდებოდათ თამაში და, მატჩისწინა ფოტოებისა და ლეგენდარული კალათბურთელების ავტოგრაფების გარდა, აღარც არაფერი უნდოდათ.

ამერიკის კალათბურთელთა გუნდი ერთადერთი გუნდია სპორტის ისტორიაში, რომელსაც ოლიმპიადა უმედლოდ ერთხელაც არ დაუტოვებია, 14-ჯერ იყო ოლიმპიური ჩემპიონი, ერთხელ ვერცხლის და ორჯერ ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. ოლიმპიურ ასპარეზზე მათ მხოლოდ ოთხი მატჩი წააგეს — ორჯერ (მიუნხენსა და სეულში) საბჭოთა კავშირთან და თითოჯერ — შუერტო-რიკოსთან და ლიტვასთან (ათენში).

თუ 1988 წლამდე ოლიმპიურ ტურნირებში მხოლოდ ევროპელ და სამხრეთამერიკელ პროფესიონალებს შეეძლოთ გამოსვლა, სეულში დაკავებული მე-3 ადგილის შემდეგ ამერიკელებსაც მიეცათ ამის უფლება და პირველი „ოცნების გუნდი“ სწორედ 1992 წლის ოლიმპიადისთვის შეიკრიბა. ამისთვის წლების განმავლობაში იბრძოდა კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი ბორისლავ სტანკოვიჩი და ბოლოს, როგორც იქნა, თავისას მიაღწია: 1989 წლის 17 აპრილს ფიბას კონგრესზე მისი წინადადება გავიდა 56 ხმით 13-ის წინააღმდეგ. სხვათა შორის, ამერიკელები სწორედ ამ 13-ში იყვნენ! ეროვნული ასოციაცია არცთუ დიდი ენთუზიაზმით შეუდგა გუნდის ფორმირებას, მაგრამ მას შემდეგ, რაც 1991





ნლის 18 თებერვლის ნომერში ჟურნალმა „სპორტს ილუსტრეტიდმა“ მომავალ გუნდს დრიმტიმი — „ოცნების გუნდი“ უწოდა, ენ-თუზიაზმმაც იმატა და საკალათბურთო საზოგადოების მხარდაჭერამაც.

ხოლო ბარსელონის თამაშებზე დრიმტიმი ისეთივე სიახლე და ღირსშესანიშნაობა იყო, როგორც კომუნისტური რეჟიმებისაგან თავდახსნილი, ახლად დამოუკიდებლობაგამოცხადებულ ქვეყანათა გუნდები.

სწორედ ერთი ამათგანი იყო ხორვატიის კალათბურთელთა ნაკრებიც, რომელმაც ოლიმპიადის ვერცხლის მედლები დაიმსახურა.

ეს ხორვატი კალათბურთელთა ყველაზე დიდი წარმატება იყო ისტორიაში. მათ ბარსელონაში მხოლოდ ორი მატჩი წააგეს და ორივე დრიმტიმთან — ფინალსა და ქვეჯგუფში. ამ მატჩებში დაფიქსირებული 32-ქულიანი და 33-ქულიანი სხვაობები მინიმალური იყო ბარსელონაში ამერიკელთა მიერ ჩატარებულ მატჩებს შორის.

ბარემ „ბარსელონელ“ ხორვატებსაც ჩამოვთვლი:

დრაჟენ პეტროვიჩი, ველიმირ პერასოვიჩი, დანკო ცვეტიჩანიჩი, ტონი კუკოჩი, ვლადან ალანოვიჩი, ფრანკო არაპოვიჩი, ზან ტაბაკი, სტოიკო ვრანკოვიჩი, ალან გრეგოვიჩი, არიან კომაზევიჩი, დინო რაჯა, არამის ნაგლიჩი.

ჩემს ფოტოებზე ბარსელონური ფინალის არაერთი მომენტია ასახული. ერთ მათგანზე ცხრა კალათბურთელი და ორივე მსაჯია

ალბეჭდილი, ოლონდ არა ფართან, არამედ მოედნის ცენტრში. იუინგი ბურთზეა ამხტარი, ბერდი, ჯორდანი და პიპენი ბურთის მისაღებად არიან მზად. ეს-ესაა იწყება მატჩის მეორე ტაიმი, თუმცა უკვე ყველაფერი გარკვეულია — დრიმტიმი იმ მომენტისთვის მთელი 14 ქულით იგებდა შეხვედრას, ხოლო ხორვატია იმთავითვე გარანტირებული მეორე ადგილითაც ბედნიერი იყო.

ლონდონის ოლიმპიადამ ამომწურავი პასუხი გასცა კითხვას, რომელია უფრო ძლიერი — ის პირველი დრიმტიმი თუ „ოცნების გუნდი“-2012. წლევანდელი გუნდი, თუმცა კი ყველა დანარჩენს აღემატებოდა და ყველა მატჩი მოიგო, იმდენად მაღლა არ იდგა სხვებზე, რამდენადაც ოცი წლის წინანდელი; მას მეტოქეებად სხვებთან ერთად ტუნისისა და ნიგერიის ძალიან სუსტი გუნდები შეხვდა, ხოლო ლიტვასთან სულ ხუთი ქულით მოიგო. ბარსელონაში ამერიკელებმა რვა მატჩიანი ტურნირი 350-ქულიანი სხვაობით დაამთავრეს, ლონდონში კი ასევე რვა მატჩში სხვაობა „მხოლოდ“ 257 ქულა იყო.

ლონდონის ოლიმპიადის დახურვის ცერემონიალი კი მართლა გრანდიოზული სანახაობა აღმოჩნდა თავისი სუპერვარსკვლავებით: ჯორჯ მაიკლითა და ანი ლენოქსით, ნაომი კემპბელითა და კეიტ მოსით, Elbow-ით და Kaiser Chiefs-ით, Muse-ით და Pet Shop Boys-ით, Queen-ით და The Spice Girls-ით, Take That-ით და The Who-თი...

ერთხანს ვინანე კიდევ, რომ არ წავედი. განა ამათი ცოცხლად ნახვა კი ნაკლებ შთამბეჭდავი იქნებოდა?

თუმცა ტელევიზიით ცქერასაც, აკი ვთქვი, თავისი უპირატესობა აქვს. შთაბეჭდილებებით პირთამდე სავსეს, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ყველა ეს ვარსკვლავი ვეება ეკრანიდან ყიფიანების ლონდონურ ბინაში შემოჭრას ან იმ ვეება ეკრანში ჩემს შეთრევას ლამობდა.

ტელეეკრანის გვერდით ორი სპორტული ჯილდოა, ორი თასი. ისინი პატარა ყიფიანების მოპოვებულთა — ედიშერისა და ანასტასიასი. ედიშერ ყიფიანს ინგლისის მოფარკავეთა ჩემპიონატი მოუგია 13 წლამდე ასაკის ბიჭებში, ტასო კი მთელი ბრიტანეთის ჩემპიონი გამხდარა 12 წლამდე ასაკის გოგონებში.

ამასობაში დახურვის ცერემონიალი დასასრულს მიუახლოვდა. მე ბარგი ჩალაგებული მაქვს. ლეპტოპსაც ჩავდე და მორჩა. სვალ დილით თბილისს მივემგზავრებით.

ლონდონიდან საქართველოს დელეგაცია ერთი ოქროს, სამი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედლით ბრუნდება.

ედიშერ და ანასტასია ყიფიანები ჯერ პატარები არიან. ოთხი არა და რვა ან თორმეტი წლის შემდეგ, ვინძლო, საქართველოს ოლიმპიურმა დელეგაციამ მათი მედლებიც მიითვალოს.

ააატა ნაცვლიშვილი





# მეტრო, უემბლი, ექსელის დარბაზი

ლონდონის „ექსელის“ დარბაზში ოლიმპიადის მეორე დღესვე ლაზა შავდათუაშვილის მოპოვებულია ოქროს მომდევნო ორი კვირის განმავლობაში დანარჩენი ოლიმპიური არენების მისამართი დამავიწყა და სხვა ქართველი მოჭიდავეების წარმატების მომლოდინე, „ექსელის“ ტატამსა თუ საჭიდაო ხალიჩას ალაც მოვშორებოვარ. არადა, სანახავ-სამუშაო, იცოცხლეთ, იმდენი იყო... თუმცა, მაღა ხომ ჭამაში მოდის. საქართველომ ლონდონის ოლიმპიადაზე მონაწილეობა ისე დაიწყო, უკეთესს რას ინატრებდი და იმის შიშით, ჩვენების მორიგ ოქროსა და ქართულ ჰიმს არ დავაკლდა-მეთქი, „ექსელის“ დარბაზიდან ფეხიც არ მომიცვლია. ლონდონიც — რომელი რაიონული ცენტრია, ერთი დარბაზიდან გამოსვიდი და მეორეს ორ-სამ გაჩერებაში მიაღბა?!

იმ დღეს „უიმბლდონზე“ ჩოგბურთელთა ფინალი იყო. მასპინძელთა კერპი ენდი მარი როჯერ ფედერერს ხვდებოდა. ბერძნულ-რომაულად მოჭიდავე ზურაბ დათუნაშვილი კი მეოთხედფინალში გასულიყო და ოლიმპიურ მედალს უახლოვდებოდა. ჩვენიანის წარმატების იმედად, ცხადია, სხვაგან ნასვლაზე არც მიფიქრია, თუმცა დათუნაშვილმა მეოთხედფინალი რომ დათმო, დარბაზში წამით არ შეეყოვნებულვართ და „უიმბლდონს“ მივაშურეთ. პლანეტის ორ უძლიერეს ჩოგბურთელს შორის მატჩი, ჩვენი ვარაუდით, მინიმუმ სამ საათს კი უნდა გაგრძელებულიყო. ამ ფიქრებით ჩავედით კიდეც ლონდონის მეტროში, იქაურად „ანდერგრაუნდში“, მაგრამ რად გინდა, ვიდრე მსოფლიოს საჩოგბურთო მექამდე მივიდოდით, გზაში უფროსმა კოლეგამ და მეგობარმა სწორედ „ექსელის“ დარბაზიდან დაგვირეკა, თავს ტყუილად ნუ დაილლით, მარი ფედერერს 2:0 ამარცხებს და მესამე სეტშიც ანგარიში მას მიჰყავსო. ანგარიშის წაყვანა კი ნიშნავდა, რომ შუა გზიდან უნდა მოვბრუნებულიყავით. წინ ხომ ერთი საათის გზა გვედო.

კიდეც რამდენიმე დღე „ექსელის“ დარბაზში დაინყო და დამთავრდა, ჩვენების მედლები კი ალარ ჩანდა. ჰოდა, ამ მოლოდინ-მოლოდინში, ოლიმპიადაზე პირველად მყოფი, მსოფლიოს სპორტის ვარსკვლავების უნახავი დავრჩებოდი, გამოცდილ ელგუჯა ბერიშვილს რომ არ ეთქვა, ოლიმპიურ თამაშებზე მძლე-ოსნობას თუ არ დაესწარი, ჩათვალე, არც ოლიმპიადა გინახავსო. სწორედ ამ სიტყვებით შეგულბიანებულმა მხოლოდ ამ ოლიმპიურ სტადიონს და უკვე შემოდია ვთქვა, რომ ოლიმპიადაზე ვიყავი! მიუხედავად იმისა, რომ





იმ დღეს 200 მეტრზე სირბილში მხოლოდ ნახევარფინალები იყო, იმ ემოციებს, რაც პლანეტის ყველაზე სწრაფი ადამიანის — უსაინ ბოლტის გარბენს თან სდევდა, კაცი ძნელად თუ დაივინყებს. 80 ათასი მაყურებელი წამით გაინაბა, მერე კი მთელმა სტადიონმა ისე იხუვლა, გვერდით მჯდომს ხმას ვერ მიაწვდენდი. ბოლტმა, მთელი ძალით 200-დან, ალბათ, 50 მეტრი თუ ირბინა და იმხელა უპირატესობა მოიპოვა, ფინიშამდე დარჩენილი მანძილი პუბლიკისთვის თავმოსანონად დაფარა. ცხადია, ხაზიც პირველმა გადაკვეთა, ბლიც ინტერვიუები ჩამოარიგა და თვალს მოეფარა. თუმცა რალა მოეფარა, როცა ნახევარი ლონდონი სწორედ უსაინ ბოლტის გამოსახულებიანი სარეკლამო ბანერებით გახლდათ აჭრელებული. იმ დღეს ოლიმპიურ სტადიონზე რამდენიმე ფინალი იყო, მაგრამ ბოლტის გარბენი და სავესტ სტადიონის განახევრება, ერთი გამოდგა.

წერა მეტნილად ფეხბურთზე მინევეს და ლონდონიდან, აბა, „უემბლის“ უნახავი როგორ დავბრუნებულიყავი?! არადა, ფეხბურთის ფინალი ჩვენთვის ოქროს უმთავრესი კანდიდატის დავით მარსაგიშვილის ჭიდაობას დაემთხვა. ჯერ ისევ ჭიდაობა, მერე — ფეხბურთი, არ გამოდიოდა. იგივე მოხდებოდა, რაც „უიმბლდონზე“ ნასვლისას შეგვემთხვა. თუმცა გამოსავალიც ვნახე. ჯერ ფეხბურთი და მერე ჭიდაობა. ოლონდ, ამისათვის მარსაგიშვილსა და მძიმეწონოსან დავით მოძმანაშვილს მეოთხედფინალებამდე არ უნდა ნახეფორხილათ. „ექსელში“ გადამწყვეტი ბრძოლები ნამუაღლევს იყო, მექსიკა-ბრაზილია „უემბლიზე“ კი ოდნავ ადრე.

ლონდონის უდიდესი მეტროს სადგურსაც ასევე ჰქვია — „უემბლი“ და ერთ-ერთი ხაზის ბოლო გაჩერებაა. ჩვეულებრივ, მატარებელი როცა ბოლო გაჩერებას უახლოვდება, ნელ-ნელა იცლება ხოლმე. იმ დღეს პირიქით იყო. გაჩერებიდან გაჩერებამდე ვაგონი ხალხით ივსებოდა. ბრაზილია-მექსიკის ფინალი ჯერ კიდევ მეტროში დაიწყო. ყველანაირად მრავალფეროვან და მრავალენოვან ლონდონის „ანდერგრაუნდში“ ორი ფერი და ორი გაგება სჭარბობდა, აქეთ ბრაზილიელები, იქით — მექსიკელები. ქომაგობა ძალიან დამუხტული ჩანდა. სპონტანურად ისეთი სანახობა იმლებოდა, მსგავსის დადგმას კარგი რეჟისორიც ძნელად მოახერხებდა. რაც იმ დღეს მეტროში ვნახე, მთელი ოლიმპიადაც ეს არის — ზეიმი და სანახობა, ოლონდ ანტურაჟია სხვაგან სხვა...

მეტრო „უემბლიდან“ სტადიონ „უემბლიმდე“ ფეხით ხუთი წუთის გზაა, თუმცა მაშინ მანძილი ნახევარ საათამდე გაზრდილიყო. ასე ყოფილა ყოველთვის, როცა „უემბლიზე“ ფეხბურთია, ხოლო როცა ლონდონში ფეხბურთია, სტადიონზე ანშლაგია. „უემბლის“ თალი მეტროს სადგურიდან კარგად მოსჩანს. უახ-



ლოვდები ამ თალს და გული უკვე სხვანაირად ფეთქვას, გრძნობ, რომ რალაც არაჩვეულებრივთან ძალიან ახლოს ხარ. კიდევ წუთი და თვალნი ლეგენდარული „უემბლი“ იშლება. ოლიმპიადის ფინალურ შეხვედრამდე ამ განახლებულ სტადიონზე რამიმე დიდი მატჩი არ ჩატარებულა, მაგრამ „უემბლი“ ხომ ისაა, სადაც თამაში და თუნდაც ტრიბუნაზე ყოფნა, ბავშვობიდან საოცნებოა...

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ ბრაზილიელებს კი ოლიმპიადა არასდროს მოეგოთ. ამის გაკეთებას ისინი სწორედ ლონდონში აპირებდნენ. არ გამოუვიდათ. მთლად უწვერული

ბიჭებით დაკომპლექტებულმა მექსიკამ მომავალი ვარსკვლავების ბრაზილია უსიტყვოდ დაჯაბნა. ბრაზილიის ნაკრებისთვის ლონდონის თამაშებიც წარუმატებლად დასრულდა. ოლიმპიურ ოქროზე ოცნება კი ბრაზილიის ნაკრებმა პელესთან ერთად ლონდონიდან რიოში ნალეზულ ოლიმპიურ ცეცხლს გააყოლა.

თუმცა რიომდე ისევ ლონდონის „ანდერგრაუნდი“ და „ექსელი“ იყო, ჩვენთან დავით მოძმანაშვილს ოქროსთვის უნდა ეჭიდავა, დავით მარსაგიშვილს კი ბრინჯაო ელოდა...

**კობა ინასარიძე**





„ბამარპოზა! როზორ ხართ?“ — მოგვმართა სახეგაბადრულმა ბრიტანელმა მასპინძელმა ქალბატონმა ოლიმპიადის გასაშუქებლად ჩასულ სამ ქართველ ჟურნალისტს. ლუსი გიბსონი აღმოსავლეთ ლონდონის ერთ წყნარ უბანში ცხოვრობს და მასთან თბილისელმა თამუნა ვეფხვაძემ დაგვაკავშირა. თამუნა ლონდონის ქართულ ეკლესიაში გალობს. უფრო ადრე ბრიტანულ-ქართულ ანსამბლ „მასპინძელი“ მღეროდა. ლუსი წლების განმავლობაში ამ ანსამბლს ხელმძღვანელობდა და რომ გაუგია, ოლიმპიადაზე აკრედიტებული ქართველები ბინას ვეძებდით, თამუნას შეხმინა.

ასეთი მასპინძლის გამოჩენით ჯერ კიდევ ლონდონში გამგზავრებამდე ვინონებიდი თავს. ჩასვლის და დაბინავების დღეს კი მივხვდი, რომ სატრაბახოდ საქმე მართლა მქონდა. ერთ-ერთ ოთახში, რომელიც ლუსიმ გამოგვიყო, მხოლოდ ქართული ხალხური სიმღერების 300-ზე მეტი დისკით შევსებული თაროები იდგა. იქვე იყო ფანდურიც. ჩვენთვის გამოთავისუფლებულ თაროებზე კი ლათინური შრიფტით ეწერა: STUMARI. მოკლედ, ყველა პირობა გვქონდა, თავი მაქსიმალურად შინაურ ატმოსფეროში გვეგრძნო.

საქმეში კი ლუსი გიბსონი ლონდონში ჩასვლიდან რამდენიმე დღეში ვნახეთ, როდესაც ბრიტანეთის ქართულმა სათვისტომომ ოლიმპიურ ჩემპიონ ლაშა შავდათუაშვილს ოფიციალური შეხვედრა მოუწყო. საქართ-

# საქართველოზე შეყვარებული ბრიტანელი ლუსი

## აღმოსავლეთ ლონდონის ბრიტანულ-ქართული ზღაპარი

ველოდან საგანგებოდ ოლიმპიური თამაშებისთვის ჩაყვანილ ანსამბლ „შვიდეკაცას“ ადგილობრივი „მასპინძელი“ ენაცვლებოდა. ათამდე ბრიტანელი მრავალხმიან ქართულ სიმღერებს ისეთი სისუფთავით და სიზუსტით ასრულებდა, ყველა აღფრთოვანდა. ლუსი თავად არ მღეროდა, მაგრამ ყველა სიმღერისას ანსამბლის წევრების შორიხხლოს ტრიალებდა და ღიღინებდა.

„ბოლო წლებში ძირითადად ასეა ხოლმე — გვიყვება ლუსი გიბსონი — შვილისა და პირადი საქმეების გამო ისეთი აქტიური წევრი ვეღარ ვარ, მაგრამ მაინც ვცდილობ, ანსამბლის გვერდით რაც შეიძლება ხშირად ვიყო. „მასპინძელს“ 2002 წელს შევუერთდი. ერთი წლის შექმნილი იყო. ქართულ სიმღერებს მანამდეც ვმღეროდი მეგობრებთან ერთად. ჩვენი ანსამბლის შეკვრის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ქართული ტრაგედია გახდა — ანსამბლ „მთიების“ ხელმძღვანელი ედიშერ გარაყანიძე, მისი მეუღლე და ქალიშვილი ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ. გადარჩა მხოლოდ ვაჟი, გიგი, რომელიც კომაში იყო და სწორედ მასზე ფინანსური ზრუნვა გადაწყვიტეს ჩემმა მეგობრებმა. იმართებოდა კონცერტები და გამომუშავებულ თანხას გიგის ვუგზავნიდით. კომადან რომ გამოვიდა, მამის საქმე გააგრძელა. 2004, 2006 და 2008 წლებში თბილისში ჩავედით და კონსერვატორიაში ვიმღერეთ, ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმზე. 2008 წელს განსაკუთრებით საამაყო იყო ჩემთვის საქართველოში სიმღერა. ომი ორიოდ თვის დასრულებული იყო და მაშინ ჩამოსვლისგან ბევრმა უცხოურმა გუნდმა შეიკავა თავი. ჩვენ პირიქით, სიამოვნებით დავთანხმდით შემოთავაზებას, რითაც თქვენი ქვეყნის მხარდაჭერა გამოვხატეთ. მაშინ გიგი გარაყანიძე უკვე თავად გვინევდა მასპინძლობას. მისი სახით საქართველო-

ში „მასპინძელს“ უდიდესი მეგობარი ჰყავდა. სამწუხაროდ, გიგი ამ რამდენიმე თვის წინ მოულოდნელად გარდაიცვალა. ანსამბლის წევრები ერთმანეთს ვურეკავდით. ეს ჩვენთვის შოკი იყო. გახსენებაც არ მინდა“.

ამ სიტყვებზე ლუსი ისეთი სევდიანი გახდა, ვეცადე თემა შემეცვალა.

— რომელი ქართული სიმღერა გიყვარს ყველაზე ძალიან?

— ძლიერი და მრავალხმიანი სიმღერები უფრო მომწონს. მაგალითად, „ზამთარი“. საქართველოს თითქმის ყველა კუთხის სიმღერებს ვმღერი და ყველას თავისი ხიბლი და ისტორია აქვს. მაგალითად, გავიგეთ, რომ სიმღერას „მზე შინა“ თურმე ბავშვს დაბედებიდან მეშვიდე დღეს უმღერიან. როდესაც შვილი შემეძინა, მეშვიდე დღეს მთელი „მასპინძელი“ ჩემთან შეიკრიბა ქართული ტრადიციის შესასრულებლად. დაძინებისას კი პიტერს „იავნანას“ ვუმღეროდი ხოლმე და ეს სიმღერა თვითონაც იცის. უკვე სკოლაში დადის და სიმღერის ნიჭიც აქვს. ასე რომ, მისი სახით „მასპინძელს“ კიდევ ერთი წევრი ეზრდება.

რაც შეეხება ანსამბლისთვის სახელის დარქმევის ისტორიას, ლუსიმ ნახევრად ხუმრობით გაიხსენა, ერთ-ერთი მომღერლის ქართველ მეუღლეს ქართული სიტყვები ჩამოვართვლევივით და ყველაზე მეტად მასპინძელი მოგვეწონათ. თუმცა იქვე დასძინა, რა თქმა უნდა, სიტყვის მნიშვნელობაც მშვენივრად ვიცოდით, ამ საქმეში ქართველები გამორჩეულები ხართო და სოფელ წინანდალში გატარებული ერთი კვირა გაიხსენა.

ლუსი გიბსონის კოლექციაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი ანსამბლ „წინანდალს“ უჭირავს. იხსენებს — წლების წინ, ქმარს საზღვარგარეთ კონფერენციაზე გავყვევი, ის თავის საქმეს აკეთებდა, მე კი მთელი კვირა „წინანდალის“ დისკოდან სიმღერების ტექსტები ფურცელზე გადმოიქონდა და მარცვალ-მარცვალ ვიზეპირებდით.







ამჟამად ლუსის მთავარი საქმე რადიოა. BBC-ში, ხმის რეჟისორად მუშაობს და საკმაოდ დაკავებულიცაა. სასაუბრო დროის ნაწილიც სწორედ ბრიტანეთის უმსხვილესი ტელეკომპანიის ოფისისკენ მიმავალ გზაზე გავატარეთ. შემდეგ კი ჩვენმა მასპინძელმა მისაღებში სტუმრებზე სპეციალური საშვები გამოანერგა და BBC-ის უზარმაზარი შენობის თითოეული კუთხე-კუნჭული დაგვათვალიერებინა.

თბილისში დასაბრუნებლად აეროპორტის გზას დილის 7 საათზე უნდა დავდგომოდით. წინა დღეს ლონდონელი ქართველების მონახულება და დამშვიდობება გადავწყვიტეთ. შინ გვიან დავბრუნდით. ლუსის უკვე ეძინა, თუმცა დაძინებამდე ჩვენს ოთახში, სანოლზე ბრიტანული სუვენირები დაელაგებინა. დილაადრიან მაინც ადგა და სახლიდან წინასწარ მომზადებული ქართული ტექსტით გამოგვაცვალა.

#### ოთარ მაგლაკელიძე



## THE BRITISH LUCY ENAMORED OF GEORGIA



“GAMARJOB! ROGORA KHAR?” – the smiling British lady asked three journalists who arrived in London for the coverage of 2012 summer Olympics, and said it in Georgian to our surprise. Lucie Gibson lives in one of the quiet districts of London and Tamuna Vepkhvadze from Tbilisi acquainted us with her. Tamuna chants in the choir of Georgian church in London. Earlier she sang in the Georgian-British choir “Maspindzeli” (“Host”). Lucie has led this choir for years and got in touch with Tamuna when learned the Georgians accredited to the Olympics were looking for a flat in London.

I was boasting about having such kind of host yet before my departure for London. I understood that there was an actual reason for boasting when I arrived in London and took up my residence. In the room, which Lucie allocated for us there were shelves with more than 300 CDs of Georgian folk songs and “fanduri” (Georgian folk musical instrument) next to them. There was a sign in English “Stumari” (“Guest”) on the shelves, which our hostess had freed for us. In short, we had all conditions to feel ourselves as if we were at home.

We saw Lucie Gibson in deed in some days after our arrival in London when Georgian association in Britain arranged official reception for Lasha Shavdatuashvili who had become Olympic champion in London. The Georgian ensemble “Shvidkatsa” (“Sevens”) which specially arrived in London for Olympic Games and the local British choir “Maspindzeli” were changing each other when sang Georgian songs during the reception. Everybody was excited how the ten British singers were performing Georgians songs so accurately and sensibly. Lucie did not sing herself. She was crooning walking back and forth near the ensemble.

Said Lucie Gibson, “I have no longer been an active member of the choir for the last several years because of care for my child and my personal affairs. However, I always try to be near the choir as often as possible. I joined “Maspindzeli” in 2002

when the choir was one year old. I used to sing Georgian songs before together with my friends. One of the main reasons behind creation of this choir was the tragedy that happened in Georgia. Edisher Garakanidze, leader of ensemble “Mtiebi”, his wife and daughter died in a car accident. Only his son Gigi survived.

He was in coma and my friends decided to take financial care of him. We held concerts and sent the earned money to Gigi. He recovered after a half year and continued his father’s deed. We arrived in Tbilisi in 2004, 2006 and 2008 and sang at Tbilisi Conservatoire at the international symposium of traditional polyphony.


I was particularly proud to sing in Georgia in 2008. That time many foreign ensembles refrained from visiting Georgia because the war had ended just two months ago. Nevertheless, we willingly accepted the suggestion to come and thereby we expressed our support to your country. Gigi Garakanidze hosted us. He was a great friend of “Maspindzeli” in Georgia. Unfortunately, he died several months ago. Members of our ensemble were anxiously calling each other because it was a real shock for us. I do not want to remember this any longer.”

Now Lucie’s main work is radio. She works as sound editor in BBC and is quite busy. We talked on the way to the office of the biggest British TV channel. Then, she arranged special permissions for guests in the reception and showed us all places of a huge building of BBC.

I had to get up early in the morning at 7 o’clock to get to the airport. I decided to visit the Georgians living in London and see them off the day before my departure. I returned home too late and Lucie was already sleeping. But before going to bed, she put British souvenirs on my bed. She got up early and saw us off with the Georgian text specially prepared beforehand.

OTAR MAGLAKELIDZE





# შეიქმნა ევროპისკენი



## ეპროგნოსტიკა 2013 შესარჩევი ეტაპი

18.08.2012, თბილისი  
საქართველო-რუმინეთი 80:64  
(24-18, 20-21, 16-10, 20-15)

21.08.2012, სარაევო  
ბოსნია-საქართველო 95:96  
(9-28, 29-26, 34-23, 23-19)

24.08.2012, თბილისი  
საქართველო-ლატვია 79:76  
(21-20, 20-16, 23-17, 15-23)

27.08.2012, ალმერე  
ჰოლანდია-საქართველო 91:88  
(15-19, 24-28, 25-20, 27-21)

02.09.2012, სიბიუ  
რუმინეთი-საქართველო 74:91  
(21-24, 18-23, 20-22, 15-22)

05.09.2012, თბილისი  
საქართველო-ბოსნია 103:107  
(16-20, 27-20, 31-32, 29-35)

08.09.2012, რიგა  
ლატვია-საქართველო 70:73  
(13-7, 11-24, 21-17, 25-25)

11.09.2012, თბილისი  
საქართველო-ჰოლანდია 97:89  
(25-21, 29-22, 18-16, 25-30)

### საქართველომ 9 მთა, 8 მატჩი გადაიარა და სლოვენის მიაღმა

სლოვენიური ლეგენდის მიხედვით, კოლხეთიდან წასული იაზონი გემით მდინარე ლიუბლიანას მიაღმა, სადაც ადგილობრივებს მწვანე ურჩხულის დამარცხებაში დაეხმარა. სწორედ ამიტომ, დღეს ქალაქ ლიუბლიანის სიმბოლო მწვანე ურჩხულია. საკითხავია, მაინც რაში დასჭირდა იაზონს სლოვენიაში ჩასვლა, მაშინ, როცა კოლხეთთან მისი სამშობლო ელადა უფრო ახლოსაა, ვიდრე სლოვენია.

თუმცა ალბათ, ის უფრო დაგაინტერესებთ, ჩვენ რატომ გავიხსენეთ უძველესი ლეგენდა მაშინ, როცა საქმე გვაქვს საკალათბურთო მიმოხილვასთან. გიპასუხებთ:







იაზონის მსგავსად, საქართველოს საკალათბურთო ნაკრებმაც რთული და ხიფათიანი გზა განვლო ვიდრე სლოვენიას მიაღწევდა — 2012 წლის აგვისტოში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპზე ბოსნიასთან, ლატვიასთან, ჰოლანდიასა და რუმინეთთან იომა, ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდა და სლოვენიაში გასამართი ევრობასკეტის საგზური მოიპოვა. ევროპის უპირველესი საკალათბურთო ფორუმი 2013 წლის 4 სექტემბერს დაიწყო. საქართველოს ეროვნული გუნდი მდინარე ლიუბლიანას მისადგომებთან კარგად მომზადებული უნდა მივიდეს, რადგან იქ არაერთი ურჩხული დახვდება, მწვანეც

(სლოვენია), წითელიც (ესპანეთი, რუსეთი), ცისფერიც (იტალია)... მათი შიშით ფარქვემჭიანჭველა ვერ გაჭაჭანებულა და ფარსზემით — ბუზი. თუმცა ჩვენი კალათბურთელები გრანდებთან პაექრობას უკვე მიეჩვივნენ. მათ 2011 წელს ლიტვაში გამართულ ევრობასკეტზე დაინახეს, რომ საკალათბურთო გიგანტებთან ბრძოლაც შეიძლება და გამარჯვებაც. ამიტომ, სლოვენიაში მხოლოდ საქართველოს დროშის ასაფრიალებლად არ ჩავლენ.

თუ გაინტერესებთ, რა გვაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს, გიპასუხებთ — გუნდის შემადგენლობა და გამოცდილება.

### მინუს სამი

2012 წლის შესარჩევი მატჩებისთვის ნაკრების კალათბურთელები უმთავრესად კლუბებში ემზადებოდნენ. თამამად შეიძლება ითქვას, ზაზა ფაჩულიას კარიერაში საუკეთესო სეზონი ჰქონდა. იგი „ატლანტას“ სასტარტო ცენტრი იყო და გუნდიც წარმატებულად ასპარეზობდა. ასევე ხუთეულში დაიმკვიდრა ადგილი მეორე ცენტრმა გიორგი შერმადინმა — მისმა „კანტუმ“ ევროლიგაზე არაერთი ლამაზი თამაში ჩაატარა და დაგვანახა, რომ გიორგი ნამდვილად ევროლიგის დონის მეფარეა.





ამავე გუნდში გამოდიოდა მანუჩარ მარკოშვილი, რომელმაც ტოპ-16-ის ბოლო მატჩში უაღვირისთან 32 ქულა მიითვალა და ტურის საუკეთესოდ გამოცხადდა. ამით ყველაფერი ნათქვამია.

ვიქტორ სანიკიძემ იტალიურ „ვირტუსში“ სეზონი საშუალოდ ორმაგი დუბლით დაამთავრა და უმაღლეს ევროგრანდი „მონტეპასკის“ ყურადღება მიიქცია. ვიქტორთან ერთად ნაკრებში ფორვარდის პოზიციაზე თორნიკე შენგელია ირჯებოდა, რომელსაც ზამთარში ტრავმის გამო სამი თვე გაუცდა, თუმცა გაზაფხულზე ფორმა აკრიფა, ბელგიის ჩემპიონატის ფინალური სერიაც ითამაშა და ივლისში, ეფექტური თამაშით NBA-ს „ბრუკლინ ბეთსისგან“ ორწლიანი კონტრაქტი დაიმსახურა.

ევრობასკეტზე მიღებული მუხლის ტრავმა მარტისთვის სრულად მოიშუშა გამთამაშებელმა გიორგი ცინცაძემ, თბილისურ „ოლიმპში“ ფორმაც აღიდგინა და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ერთ-ერთი საუკეთესოც იყო. „ოლიმპში“ ასევე კარგი სეზონი ჰქონდა პლეიმიეიქერ ლაშა გამყრელიძეს, ხოლო ნიკა ცქიტიშვილმა ირანულ „მაჰრამში“ სეზონის დასრულებისას გვითხრა: „მოვიგე ირანის ჩემპიონატი და დასავლეთ აზიის საკლუბო პირველობა. თუ აქამდე კლუბში დიდი დატვირთვა არ მქონდა, წლებულს თითქმის შეუცვლელად ვითამაშობდი. შევიძინე ის, რაც მთელი კარიერა მაკლდა — სათამაშო პრაქტიკა. ასე რომ, ნაკრებში სულ სხვა მოთამაშე ვიქნები.“

...თუმცა მწვრთნელმა იგორ კოკოშკოვმა ცქიტიშვილი, ვლადიმერ ბოისა და ლაშა გამყრელიძე ეროვნულში არ მიიწვია. ამის მიზეზად ჯერ გუნდის გაახალგაზრდაება დასახელდა, შემდეგ ითქვა — ისეთი მოთამაშეები არ წავიყვანეთ, რომლებსაც აქვთ ამბიცი, რომ სათამაშოდ 5-10 წუთი არ იკმარონ. იგორ კოკოშკოვმა ისიც თქვა, გუნდი წარმატებული მაშინ კი არ არის, როცა 12 საუკეთესო თავმოყრილი, არამედ მაშინ, როცა თორმეტივე ერთმანეთს სათანადოდ ავსებენო...

გამოგიტყდებით, საბოლოოდ მაინც ვერ მივხვდით, რა იყო სამი გამოცდილი კალათბურთელის არგამოძახების მიზეზი. ერთის თქმა კი შეიძლება: მწვრთნელი მათზე უარყოფითად სულაც არ ლაპარაკობდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროპის ჩემპიონატისთვის ნაკრებში მათ დაბრუნებაზე ფიქრობს.

შემადგენლობაზე მსჯელობა ნატურალიზებულით უნდა დავასრულოთ. უფრო სწორად, ნატურალიზირებულებით: ჯერ კორი ფიშერის გაქართველების ამბავი შევიტყვეთ, შემდეგ — ჯეიკობ პულენის. კი თქვეს, სასტარტო გამთამაშებელი ამერიკელი იქნება და მას გიორგი ცინცაძე შეცვლისო, მაგრამ

წინასწარ ცხადი იყო, რომ ასე არ მოხდებოდა, რადგან გიორგი ორივეზე ერთი-ორად გამოცდილია. პულენსა და ფიშერს საქართველოში ჩამოსვლამდე ევროპაში მხოლოდ ერთი წელი ჰქონდათ ნათამაშები. მწვრთნელი მათ ამხანაგურ მატჩებში რიგრიგობით ცდიდა და ოფიციალურებისთვის საუკეთესოც შეარჩია — ჯეიკობი.

## საკონტროლოები

დასაწყისში ბერძენთა ლეგენდარული გმირი იაზონი ვახსენეთ. ჩვენც ჩავსხდეთ „ჯვაროსნების“ გემში, მივყვეთ დინებას და ვიმოგზაუროთ 8 ქვეყანაში. იგორ კოკოშკოვის განვრთნილმა გუნდმა შეკრების პირველი ეტაპი ავსტრიაში გაიარა. იქიდან ესტონეთში გადავიდა, დაუპირისპირდა მასპინძლებს (90:76 მოიგო), ჩეხებს და ჩაატარა რეკორდმატჩი აშშ-ის კოლეჯების ნაკრებთან. ამერიკელებთან შეხვედრაში ორი ოვერტაიმი დაფიქსირდა და საქართველოს ნაკრებმა თავის ისტორიაში ყველაზე მეტი, 124 ქულა ჩააგდო. თუმცა მეტოქისგან 129 მიიღო.

ჩვენი „ხომალდი“ ტალინიდან ავსტრიაში დაბრუნდა, მასპინძლებს ამხანაგურად გაეჯიბრა (77:89), რის შემდეგაც დაიწყო მზადება თბილისის საერთაშორისო ტურნირისთვის. აგვისტოს დასაწყისში გვეწვინებენ ძველი მოძმეები: ესტონეთი, ბელორუსი და უკრაინა. ჩვენმა გუნდმა სამივე დაამარცხა, განსაკუთრებით შთამბეჭდავად კი უკრაინასთან გამოიყურებოდა — 95:69.

ამხანაგური მატჩები ამით არ დასრულებულა — საქართველოს ნაკრებმა საკონტროლო გასროლა გერმანიაში შესარულა, თუმცა უნოვიცკოს გუნდთან ვერაფერი გააწყობა.

## ოთხიდან სამი

რუმინეთი, ბოსნია, ლატვია, ჰოლანდია — ამ გუნდებთან „ვიჭიდავეთ“ ევროპის ჩემპიონატის სამი საგზურისთვის. ლოგიკურად, მომდევნო ეტაპზე ჩვენ, ლატვიელები და ბოსნიელები უნდა გავსულიყავით. ასეც მოხდა, თუმცა ადგილების გადანაწილებას თითოეულმა ნაკრებმა დიდი ენერჯია შეაღია. ჰოლანდიასა და რუმინეთთან ზედა სამეულმა ყველა მატჩი მოიგო, გარდა ერთისა — მხოლოდ საქართველო დამარცხდა ჰოლანდიაში. ამ წაგებამ ჯგუფში პირველი ადგილისკენ მიმავალი გზა გადაგვიჭრა.

როგორც შემდეგ გვითხრეს, ჰოლანდიაში ჩვენი გუნდი გადაღლილი იყო, ღამით ჩავიდა და სასტუმროში შესვლისასაც რამდენიმე საათით შეაყოვნეს. ამას დაერთო







თორნიკე შენგელია – მეოთხე ქართველი კალათბურთელი NBA-ში

ორი პრობლემა: მხარის ტრავმის გამო ვერ იასპარეზა ვიქტორ სანიკიძემ და ისედაც 6-7 კაციტ მოთამაშე ნაკრებს მეოთხე პერიოდისთვის სათანადო ენერჯია აღარ შემორჩა. ჰოლანდიელებმა კი 13 სამქულიანი ჩააგდეს და 91:88 მოიგეს.

საქართველოში დაბრუნებულმა იგორ კოკოშკოვმა განაცხადა — ვინმეს წინასწარ რომ შემოეთავაზებინა სანჯის ოთხ მატჩში სამი მოგება, სიამოვნებით დავთანხმდებოდიო. არადა, შეიძლებოდა ნაუგებლები ვყოფილიყავით და ისიც არ იყო გამორიცხული, რომ ოთხიდან სამი წაგვეყო. აი, რატომ:

რუმინეთთან შესარჩევი ეტაპის გახსნით მატჩში ზაზა ფაჩულიას ადგილი გიორგი შერმადინმა დაიკავა, ეფექტურადაც გაისარჯა და დაგეგმილი გამარჯვება მოვიპოვეთ — 80:64. მომდევნო ორ შეხვედრაში კი ბოლო წამებზე ფორტუნამ ჩვენი მხარე დაიჭირა. ბოსნიაში 96:95 გავიმარჯვეთ, ლატვიასთან — 79:76.

სარაევოში გადაწყვეტი ბოსნიელთა უკანასკნელი შეტევა გამოდგა, რომლის დროსაც ბურთი ნიჰად დედოვიჩმა მიიღო, ფარ-

ქვეშ შევიდა, სადაც ზაზა ფაჩულია დახვდა. ბოსნიელი დაიბნა, ვერც ისროლა, ვერც პასი შეასრულა, ბურთიცა და გამარჯვებაც ჩვენ დაგვრჩა. არადა, პირველ მეოთხედში საქართველოს ნაკრები დაფრინავდა, მეტოქეს სწრაფი შეტევების წყალობით 28:9 მოუგო...

ბოსნიიდან სამშობლოში დაბრუნებულმა ქართველებმა აინარს ბაგაცკისის ლატვიას უმასპინძლეს. მატჩის შემდეგ ზაზა ფაჩულიამ თქვა — შემთხვევით მოვიგეთო. თავად განსაჯეთ: მეოთხე პერიოდის დასრულებამდე 8 წამით ადრე (76:76) მარეკს მეფერისი საჯარიმოს ხაზზე დადგა, ორივე ტყორცნა ააცილა და საპასუხოდ, საქართველოს ნაკრების ფორსირებული შეტევა უკანახაზელმა ჯეიკობ პულენმა სამქულიანი სროლით დაასრულა. მაშინ, როცა ყველა ოვერტაიმს ელოდა, ბურთი ლატვიელთა კალათის რგოლში ჩაემვა და დარბაზიც აფეთქდა. ისევე, როგორც ბოსნიაში, ამჯერადაც შეგვეძლო მშვიდად მოგება, მაგრამ ჩვენმა გუნდმა მეოთხე პერიოდში 14-ქულიანი ფორა გაანიავა.

ჰოლანდიასთან წაგებაზე უკვე გითხარით და ასე დასრულდა პირველი წრე.

#### მშვიდად

ყველა ხედვობდა, რომ ჩვენი გუნდის თამაშში რაღაცა იყო შესაცვლელი, რათა ბოლო ნუთებზე ჩავარდნივსან მომდევნო ოთხ შეხვედრაში მაინც დაგვეღწია თავი. ეს ყველაზე უკეთ იგორ კო-







კოშკოვმა იცოდა და თქვა კიდევ — ვეცდებით დამრტყმელი ხუთეული მეოთხე პერიოდისთვის საბრძოლო კონდიციებით შემოვინახოთო. ამის მისაღწევად ორი ხერხი გამოიყენა: ოდნავ მეტად დატვირთა სათადარიგოები და დააგდო თამაშის ტემპი. თუ პირველ წრეში ქართველები სწრაფი შეტევებითა და აგრესიული დაცვით ცდილობდნენ მეტოქეთა გატეხვას (მეოთხე პერიოდამდე კარგადაც გამოსდიოდათ), მეორე წრეში პოზიციური შეტევების რაოდენობამ იმატა.

მეხუთე მატჩი რუმინეთში ჩავატარეთ და ზახას გარეშე 91:74 ვიმარჯვეთ. თორნიკე შენგელიამ 23 ქულა და 10 მოხსნა მოაგროვა. ამას მოჰყვა ბოსნიასთან თბილისური შეხვედრა, რომლის დროსაც ილბალმა უზინდებურად აღარ გადმოგვხედა: საფინალო სირენამდე 27 წამით ადრე მანუჩარ მარკოიშვილმა მაღალი კლასი კიდევ ერთხელ გამოავლინა და სამქულიანით 105:103 დაგვანიწაურა, თუმცა ამის შემდეგ მირზა ტელეტოვიჩმა ურთულესი მოძრაობით, შორი მანძილიდან ქართველთა გამანზილებელი სამქულიანი ჩააგდო. პოლო 10 წამში მოგება მაინც შეგვეძლო, ჯეიკობ პულენმა ბურთი მოედნის ცენტრში მიიღო და დაუფიქრებლად ისროლა, არადა, მის მარჯვნივ თავისუფალი მანუჩარი იდგა, რომელსაც კალათისკენ მიმავალი დერეფანი გახსნილი ჰქონდა. საბოლოოდ, ჯგუფის ყველაზე სანახაობრივ შეხვედრაში ბოსნიელებმა 107:103 მოიგეს. შესარჩევის დასრულების შემდეგ პულენმა თქვა — ვიცი, მქონდა შეცდომები და მერწმუნეთ, გაისად სულ სხვანაირი ჩამოვალო.

ქართველებმა ევრობასკეტის საგზური ოფიციალურად ლატვიაში გაინადღეს — 73:70. ეს იყო აკადემიური, მშვიდი გამარჯვება, ჩვენი კალათბურთელები ახალგაზრდა ლატვიელებს სისწრაფეში არ აჰყენენ და მთელი 40 წუთი ჩვენი კარნახით წარიმართა. ზახა ფაჩულიამ და თორნიკე შენგელიამ ეს შეხვედრა ტრავმირებულიებმა ჩაატარეს. სწორედ ფეხის ტკივილის გამო მათ მომდევნო მატჩში (ჰოლანდიასთან) მონაწილეობა ვეღარ მიიღეს.

მიუხედავად იმისა, რომ 11 სექტემბერს საფეხბურთო ზეიმიც იყო (საქართველო-ესპანეთი) და ჰოლანდიასთან დაპირისპირებაც არაფერს წყვეტდა, სპორტის სასახლეში ქართველ კალათბურთელთა შრომის დასაფასებლად 9 ათასი გულშემატკივარი მივიდა და სლოვენისკენ მხურვალე აპლოდისმენტებით გააცილა.

სათქმელი კალათბურთელებსაც ჰქონდათ: „ნარინჯისფრებთან“ 97:89 მოგების შემდეგ მათ დიდი პლაკატი გაშალეს წარწერით — „მადლობა გულშემატკივარს!“.

ვაჟა სიმონიშვილი

# საქართველოს კალათბურთის ეროვნული ნაკრების

საქართველოს  
კალათბურთის

ეროვნული ნაკრების



ქარვა





# კენჭისყრა

## ესპანეთი გამომგვცდის, ხორვატიას გამოვცდით?

2012 წლის 18 ნოემბერს ევრობასკეტის წილისყრა ორიგინალურ გარემოში ჩატარდა — ლონისძიებას პოსტონას გამოქვაბულში უმასპინძლა. წილისყრას დაესწრნენ კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ბესიკ ლიპარტელიანი და გენერალური მდივანი მერაბ რატიშვილი.

საქართველოს ნაკრები **C** ჯგუფში ევროპის მოქმედ ჩემპიონ ესპანეთთან და მასპინძელ სლოვენიასთან მოხვდა. ამ უკანასკნელთ ევრობასკეტი 2011-ზეც ვეთამაშეთ და დაძაბულ ბრძოლაში 75:87 დავმარცხდით. შედეგზე დიდი გავლენა მოახდინა სლოვენელთა მიერ ჩაგდებულმა 15-მა სამეტულიანმა.

ჯგუფის ფავორიტი ესპანეთი იმ იშვიათთაგანია, რომელსაც საქართველო არ შეხვედრია. კარგია, რომ ამ გუნდს ჯგუფის ბოლო მატჩში დავუპირისპირდებით და იმედია, ლალ, სანახაობრივ თამაშს ვიხილავთ.

მეორე ევროპული გუნდი, რომელსაც საქართველო ისტორიაში პირველად „დაეჭიდება“ ხორვატიაა. იგი მომდევნო ეტაპზე გამსვლელი სამეულისთვის ბრძოლაში ქართველთა ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი უნდა იყოს.

მეტოქედ კარგად ნაცნობი გუნდიც გვერგო: ჩვენს ნაკრებს პირველი ოფიციალური შეხვედრა პოლონეთთან აქვს ჩატარებული — 1995 წელს (68:91). მეორედ პოლონელებს 2010 წელს თბილისში ვუმასპინძლეთ და ვაჯობეთ (84:65), რის შემდეგაც მეტოქის ლიდერმა **მარცინ**



**გორტაძმა** აღიარა — **ზაზა ფაჩულიამ** გამანადგურაო. განმეორებით შეხვედრაში, პოლონეთში 58:67 დავმარცხდით.

მეექვსე კალათიდან **C** ჯგუფში ჩეხეთი მოხვდა, რომელთანაც ოფიციალურ შეხვედრებში უარყოფითი ბალანსი გვაქვს (0:3), თუმცა სადღეისო შემადგენლობის მიხედვით ვერ ვიტყვით, რომ ჩეხები ჩვენზე უკეთესები არიან.

დანარჩენს სლოვენიაში გასამართი მატჩები გვარკვევს. თითო ჯგუფიდან სამ-სამი საუკეთესო გავა და შეიკვრება ორი ექვსგუნდიანი ქვეჯგუფი, რასაც მეოთხედფინალი მოჰყვება, სწორედ ისე, როგორც 2011 წლის ევრობასკეტზე.

### საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი:

— საქმე ასარჩევად რომ ყოფილიყო, A ჯგუფში მოხვედრას ვისურვებდი, სადაც ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია არიან თავმოყრილნი. რაც შეეხება ჩვენს ჯგუფს, აქ ევრობასკეტის ფავორიტი ესპანეთია. სლოვენია შინ თამაშობს და ის ჯგუფიდან გასვლის მეორე პრეტენდენტი იქნება. ამ გუნდს 2011 წელსაც ვეთამაშეთ და იმ შეხვედრის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ უშანსოდ არ ვართ. წილისყრის დასრულების შემდეგ ხორვატიის კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენელი მოვიდა და გვითხრა — თანაბარი, დაძაბული თამაში გვექნებაო. ხორვატებს მაღალი დონის გუნდი ჰყავთ და მეორე ადგილისთვისაც შეუძლიათ ბრძოლა. პოლონეთთან და ჩეხეთთან გამარჯვება რეალურია. თუ მომდევნო ეტაპზე გასვლა გვინდა, ეს უნდა შევძლოთ. თუმცა მთავარია, ვინ როგორ შეხვედება უშუალოდ მატჩებს. მხედველობაში მაქვს შემადგენლობა, ტრავმები... ერთსაც დავამატებ: წინასწარი სქემის მიხედვით, თუ ჯგუფიდან გავვდით, მომდევნო ეტაპზე პირველივე მატჩში რუსებს (იმ შემთხვევაში, თუ მათაც გადალახეს სანჯისი ბარიერი) დავუპირისპირდებით.

### A ჯგუფი

საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, უკრაინა, ბელგია, ისრაელი.

### B ჯგუფი

მაკედონია, ლიტვა, მონტენეგრო, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ლატვია, სერბეთი.

### C ჯგუფი

ესპანეთი, სლოვენია, ხორვატია, პოლონეთი, საქართველო, ჩეხეთი.

### D ჯგუფი

რუსეთი, საბერძნეთი, იტალია, ფინეთი, თურქეთი, შვედეთი.



## კალენდარი

**4 სექტემბერი**  
საქართველო-პოლონეთი

**5 სექტემბერი**  
საქართველო-ხორვატია

**7 სექტემბერი**  
სლოვენია-საქართველო

**8 სექტემბერი**  
საქართველო-ჩეხეთი

**9 სექტემბერი**  
საქართველო-ესპანეთი







## SECOND TIME AT EUROBASKET

**GEORGIAN NATIONAL BASKETBALL TEAM WENT A DIFFICULT WAY TO ACHIEVE ITS PRIMARY GOAL - GAIN A TICKET TO THE EURO BASKET TO BE HELD IN SLOVENIA ON SEPTEMBER 4, 2013. THE GEORGIAN TEAM WAS THE SECOND AT THE QUALIFIERS OF THE EUROPEAN CUP IN AUGUST 2012.**

THE GEORGIAN national teams coached by Igor Kokoshkov had the first cycle of preparation in Austria before the official qualifier matches. Then the team moved to Estonia and beat the host team 90:76. Afterwards the team played against the Czechs and then conducted record match against the combined team of US colleges. This match accompanied with two overtimes in which Georgian team scored 124 points - the largest number of points in its history, against 129 scored by the US team. Georgian team returned to Austria and played a friendly match against the host team with unfavorable result (77:89), however. Having finished the overseas tour, the team began the preparation for Tbilisi international tournament. At this tournament in August Georgian team beat national teams of Estonia, Belarus and Ukraine. The Georgians played particularly impressive against Ukraine and won the game 95:69. The concluding friendly match was against the German team but the Georgians lost it.

The national teams of Romania, Bosnia, Latvia and Holland were contenders of Georgian team in the qualifiers groups for three tickets to the Europe Cup. Georgians, Latvians and Bosnians were forecasted to be the most probable teams qualified for the second stage. The forecast came true but the teams had to work hard to win the desirable places in the

group. Bosnian and Latvian teams won all games. The Georgians lost the match against Holland and this defeat deprived our team of the opportunity to be the first in the group.

As we learned afterwards, the Georgian team was overtired when arrived in Holland at night and the accommodation in the hotel took several hours. Besides, the Georgian team missed Viktor Sanikidze who could not play because of shoulder trauma. The team with only 6-7 key players exhausted its energy by the fourth and final period. The Dutch team managed to make thirteen successful three-point throws and finally won the match 91:88.

The Georgians started the qualifying round with the match against Romania. Giorgi Shermadini who substituted for the injured Zaza Pachulia was efficient and the Georgian team won the match 80:64. The Georgian team was apparently lucky in the two following matches and fortune favored us on the very last seconds. Georgia beat Bosnia 96:95 and then defeated Latvia 79:76 with a narrow margin. In the return match against Latvia Georgians lost a 14-point advantage and won the match with narrow margin 79:76. Zaza Pachulia, Georgian team's leader, said after the match, "we have won the match by chance." One can judge by himself whether Pachulia was rightful. Mareks Mejeris of Latvian team missed two penalty throws just 8

seconds before the end of the fourth period when the score was drawn (76:76). While everybody expected overtime Jacob Pullen of the Georgian team crowned the final attack with a resulting three-point shot and brought a difficult victory to the Georgians to the applause of spectators. The first period ended with such result.

Everybody was aware of that Georgian national team had to change something in its play in order to safeguard itself from failures in the last minutes of the game in the remaining matches. The Georgian team who missed its leader Zaza Pachulia beat 91:74 the host team in Romania. Zaza's substitute Tornike Shengelia had scored 23 points, and ten rebounds. However, the sport fortune was against us in the match with Bosnian team in Tbilisi. Manuchar Markoishvili advanced the Georgian team with three-point shot 105:103 just 27 seconds before the final siren. However, Mirza Teletovich grieved the Georgians by three point shot in answer. Bosnian team won 107:103 this most spectacular match in the group. Pulen admitted to his mistake after the match and assured the Georgian fans to return for the next season in a far better shape. The Georgians officially obtained a ticket to Euro-basket by beating 73:70 the Latvian team in Latvia. That was a calm and somehow academic victory. The Georgian basketball players did not accept a rush pace of the game suggested by the young Latvian team and imposed their own scenario on the contender during the whole match. Zaza Pachulia and Tornike Shengelia were suffered of trauma when played that match with trauma and that was why they missed the next match against Holland. Although the match against Holland on September 11 was deciding nothing, as many as nine thousand fans came to Sport Palace to the support the Georgian team. The applaudive crowd blessed the players on their way to the forthcoming Euro-basket in Slovenia.

The basketball players had their say as well. After the victory over the "oranges", they unfolded the big poster with inscription "Thank you fans"

**VAZHA SIMONISHVILI**







# მესუთუდ!

ევროპული ოფისა





რაგბი ძველი, ტრადიციული თამაშია. დროს თავისი მოაქვს, მაგრამ ბევრი რამ, რაც იმ უამიდან მოდის, რჩება — ვერ შეცვლი. ჰოდა, ამ ოვალური ბურთით სირბილი ვინც უფრო ადრე დაიწყო, თამაშის წესებსაც ის კარნახობს, ყველაზე მაგარიც ის არის. ასე იყო აქამდე და, ალბათ, ასე იქნება მომავალშიც. ჩვენი მიზანი რთულია — გოგოლებთან მიახლოება და ტოლწონად თამაში. მაგათთან გაჯიბრება სხვა ჯანსა და კლასს ითხოვს. საქართველოს ნაკრები იზრდება და ვითარდება. ეს რთული და ხანგრძლივი პროცესია. სახელიან გუნდებთან ჭიდილს თავისებური მიჩვევა და ალღოს აღება უნდა. ნაკრებს დრო სჭირდება. დრო და მხარში დგომა. მთავარია, რომ ქართული „პორჯღალი“ წინ მიდის.

### ახალი მწვრთნელები

რაგბის კავშირის თავკაცებმა მსოფლიოს თასის დასრულების შემდეგ ხელები დაიკაპინეს და ნაკრების ახალი მწვრთნელის ძიებას ლამის მთელ დედამიწაზე შეუდგნენ. საქმისადმი ასეთი გამორჩეული მიდგომა და მონდომება გასაკვირი სულაც არ იყო — ქართული რაგბის შეფები გამოცდილ, სახელიან და ახალ ეტაპზე გადასასვლელად მომართული ნაკრების მთავარ მწვრთნელს ეძებდნენ, რომელიც ქართულ გამონვევას ახალი ენერგიით შეეჭიდებოდა. სურვილი ერთია და ჯიბე — მეორე. ნაცადი, ჭკვიანი სპეციალისტის დაქირავებას გვარიანად მსუყე ქისა სჭირდება. ჰოდა, რა გასაკვირია, ამ ამბავმა საქმე რომ გაართულა და ერთხელ სულაც ხელის მოწერამდე მიყვანილი კონტრაქტი ჩაშალა. ასეა თუ ისე, ბევრი მსჯელობის და რაგბის ამქარში სახელგავარდნილი სპეციალისტების რჩევა-დარიგებებით შეგულიანებულმა რაგბის კავშირმა ნაკრების მწვრთნელად დანიშნა ახალზელანდიელი მილტონ ჰეიგი, თანამემწედ და შერკინების გამწვრთნელად კი მიუჩინა თანამემამულე კრის გიბსი, ვისთან ერთადაც მუშაობა ჰეიგმა თავად ისურვა.





მილტონ ჰეიგი და გია ნიჟარაძე

**ბია ნიჟარაძე:**

„ყველანი ერთად გავაგრძელებთ ყოველდღიურ, რუტინულ საქმეს. ქართულ რაგბის აქვს პოტენციალი, რომ ოთხ წელიწადში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგას. თუ დავინახავ, დავირჩევ ვერ ვასრულავ და საქმის კეთებას სხვა უკეთ შეიძლება, მაშინ ერთი დღეც არ დავრჩები ამ თანამდებობაზე.“

ჰეიგი-გიბსის ტანდემმა საქმე ერთად დაიწყო, თუმცა მოგვიანებით გიბსს ოჯახურმა პრობლემებმა კონტრაქტის განწყვეტის და სამშობლოში დაბრუნებისკენ უბიძგა. „ჩემთვის დიდი პატივი და გამოწვევაა საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა. წინ საინტერესო სამუშაო მელოდება. „ბორჯღალოსანთა“ თამაშის შესახებ წარმოდგენა ზეღანდიაში, მსოფლიო თასზე გამოსვლის შემდეგ შემიქმნა. ჩემი მიზანია, რომ ნაკრების სათამაშო დონე გაიზარდოს და იმაზე უკეთესი გახდეს, ვიდრე იყო მსოფლიო თასზე,“ — თქვა ჰეიგმა თბილისში ჩამოსვლის დღეს.

**ბია ნიჟარაძე, 4 წლით**

23 იანვარს სასტუმრო „ქორთიარდ მერი-ოტში“ გაიმართა რაგბის კავშირის წევრთა საერთო თავყრილობა, რომელმაც ახალი, 4-წლიანი ვადით კავშირის პრეზიდენტად აირჩია მოქმედი თავკაცი გია ნიჟარაძე. აქვე გადაწყდა, რომ რაგბის კავშირის გამგეობის წევრთა რაოდენობა გაზრდილიყო — 7 ძველ წევრს 6 ახალი შემატებოდა, მათ შორის — ნაკრების ყოფილი თავკაცი, შოტლანდიელი რიჩარდ დიქსონი, რომელიც მწვრთნელის პოსტის დატოვების შემდეგ საქართველოში დარჩა და აქტიურ საქმიანობას აგრძელებს.

**გია ნიჟარაძე:** „ყველანი ერთად გავაგრძელებთ ყოველდღიურ, რუტინულ საქმეს. ქართულ რაგბის აქვს პოტენციალი, რომ ოთხ წელიწადში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგას. თუ დავინახავ, დავირჩევ ვერ ვასრულებ და საქმის კეთებას სხვა უკეთ შეიძლება, მაშინ ერთი დღეც არ დავრჩები ამ თანამდებობაზე.“

**ერთი თასი – 2012**

უკრაინაში მძიმე მეტეოროლოგიურმა პირობებმა რაგბის ერთა თასის კალენდარში

ცვლილებები შეიტანა. ნაკრებს 2012 წლის სეზონი დნეპროპეტროვსკში უკრაინასთან 4 თებერვლის მატჩით უნდა დაეწყო, მაგრამ სტადიონ „მეტეოროს“ მოყინვის გამო მხარეები თამაშის გადადებაზე შეთანხმდნენ. ამგვარად, ჰეიგის დებიუტი გადაიდო, რამაც დიდწილად განაპირობა მომდევნო შეხვედრის ბედი. ერთის მხრივ, გადახალისებული შემადგენლობა და მეორეს მხრივ, ახალი მწვრთნელი — თავისი განსხვავებული მიდგომებით და მოთხოვნებით, რასაც 11 თებერვალს მადრიდში ესპანეთთან მარცხი მოჰყვა — 18:25.

„ბორჯღალოსნებმა“ საკმარისზე მეტი შეცდომა დაუშვეს და სათამაშო უპირატესობის ქულეზად გარდაქმნა ვერ შეძლეს. ესპანელებმაც და ქართველებმაც სამ-სამი ლელო დადეს, თუმცა მასპინძლები კარში უფრო ზუსტად ურტყამდნენ, რამაც სხვაობა შვიდი ქულა შეადგინა. ჰეიგის ნაკრებს ლელოები შეაშველეს დიმიტრი ბასილიამ, ირაკლი მაჩხანელმა და ლევან ჩილაჩავამ. ერთი ჯარიმა კი მერაბ კვირიკაშვილმა გაიტანა.

25 თებერვალს ერთა თასის მეორე თამაშში „აფჭალაზე“ შედგა — „ბორჯღალოსნებმა“ ფეხმარდ პორტუგალიას ოთხი ლელო გაუტანეს და 32:7 დაამარცხეს. ჰეიგმა მეტოქეს ესპანეთთან შედარებით შესამჩნევად გაძლიერებული შემადგენლობა დაახვედრა, რაც ანგარიშზეც აისახა. გუნდში იყვნენ და კარგადაც ითამაშეს მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაცადმა მორკინალებმა — მამუკა გორგოძემ, ვატო კოლელიშვილმა, შალვა სუთიაშვილმა, ვასილ კაკოვინმა და დავით ქუბრიაშვილმა. თვალსაჩინოდ ითამაშა ბოლო დროს ნაკრების ძირითად გამაინჯებელმა მერაბ შარიქაძემ, ვინც ლელო დადო და ნაკრებს გამარჯვებაში შეეშველა. მის გარდა, მეტოქის დამწუხრება შეძლეს გიორგი შკინინმა, რევაზ ბელქანიამ და დავით ქუბრიაშვილმა. სამი გარდასახვა და ორი საჯარიმო მიითვალა მერაბ კვირიკაშვილმა.



10 მარტს ბუქარესტში „ბორჯღალოსნებმა“ დაძაბულ ბრძოლაში 19:13 დაამარცხეს რუმინეთი და ანთიმოზ ივერიელის სახელობის თასი შეინარჩუნეს. ლელოთი გამოირჩა დავით კაჭარავა, ხოლო 1 გარდასახვით და 4 ჯარიმით — მერაბ კვირიკაშვილი. დაძაბულობამ პიკს ბოლო 20 წუთში უწია, როცა ინგლისელმა არბიტრმა წითელი ბარათით გააძევა კოლელიშვილი. რუმინელებმა რამდენიმეწუთიანი იერიში მიიტანეს ქართველთა ლელოსთან, მაგრამ „ბორჯღალოსნებმა“ თავგანწირვით დაიცვეს საკუთარ ჩათვლის მოედანი.

17 მარტს „მიხეილ მესხზე“ ჰეიგის ბიჭებმა 46:0 შეარცხვინეს რუსეთის ნაკრები და ერთა თასზე პირველი ადგილი დაიბევეს. ლელო გაიტანეს — ორჯერ ირაკლი მაჩხანელმა, თითოჯერ მამუკა გორგოძემ, გიორგი ჩხაიძემ, ლევან დათუნაშვილმა და გიორგი ნემსაძემ. 5 გარდასახვა და 2 ჯარიმა მერაბ კვირიკაშვილმა მიითვალა. ეს თამაში ამ გუნდებს შორის რიგით მე-16 იყო, აქედან 14 მატჩი საქართველომ მოიგო. ბოლო შეხვედრაში დამყარდა ორი რეკორდი: „ბორჯღალოსნებმა“ 46-ქულიანი სხვაობით პირველად მოუგეს „დათვებს“ და რუსეთმა პირველად დაასრულა საქართველოსთან თამაში უქულოდ.



## საქართველოს ნაკრების ყველა მატჩი 2012 წელს

11 თებერვალი

მადრიდი. ერთა თასი

ესპანეთი 25:18 საქართველო

25 თებერვალი

თბილისი. ერთა თასი

საქართველო 32:7 ჯორჯია

10 მარტი

ბუქარესტი. ერთა თასი

რუმინეთი 13:19 საქართველო

17 მარტი

თბილისი. ერთა თასი

საქართველო 46:0 რუსეთი

9 ივნისი

თბილისი. ერთა თასი

საქართველო 33:3 უკრაინა

16 ივნისი

დენვერი. ტესტმატჩი

აშშ 36:20 საქართველო

24 ივნისი

ვანკუვერი. ტესტმატჩი

კანადა 31:12 საქართველო

17 ნოემბერი

თბილისი. ტესტმატჩი

საქართველო 22:25 იაპონია

24 ნოემბერი

თბილისი. ტესტმატჩი

საქართველო 19:24 ფიჯი



საქართველო — ჯორჯია (32:7)





ჩვენმა ნაკრებმა 9 ივნისს „ავჭალაზე“ 33:3 დაამარცხა უკრაინა, გადაასწრო ესპანეთს და რუმინეთს და 13 ნელინადში მეხუთედ დაეუფლა ერთა თასს. საკმაოდ არეულ და არასანახაობრივ მატჩში ქართველებმა მეტოქეს ხუთი ლელო დაუდეს, რომელთაგან ირაკლი ყიასაშვილმა ოთხი გარდასახა. უკრაინელებმა კი ერთადერთი საჯარიმოთი უპასუხეს. სტუმართა ლელო ორ-ორჯერ დალაშქრეს ვახტანგ მაისურაძემ და ირაკლი მაჩხანელმა, ერთხელაც — მერაბ შარიქაძემ.

## A-ნაკრები

21-31 მარტს მორაგბეთა A-ნაკრები ბრიტანულ ტურნეზე გაემგზავრა, სადაც სამი თამაში გამართა ადგილობრივ გუნდებთან. მეორე ნაკრებს კვლავ „ლელოს“ თავკაცი ლევან მაისაშვილი წვრთნის. საინტერესოა, რომ გუნდს ბრიტანეთში ახლდნენ ნაკრების მწვრთნელები — მილტონ ჰეიგი, კრის გიბსი და ტორინ ბერჯესი. A-ნაკრებმა პირველ თამაშში დამაჯერებელად (25:8) დაამარცხა ინგლისის მეორე ლიგის „ეშერ რაგბი“. ქართველთა მხრიდან ლელოები გაიტანეს ბექა ბინაძემ, ირაკლი ჩხიკვაძემ, დავით ჩიტძემ, გიორგი თხილაიშვილმა და ირაკლი გეგენავამ. გარდასახვების დროს კი ჩვენს დამრტყმელებს მიზანმა უმტყუნა.

რამდენიმე დღეში მაისაშვილის განვრთნილებმა მეორე შეხვედრაც მოიგეს — უელსის „პრემიერშიპის“ კლუბების ნაკრები 36:32 დაამარცხეს. ეს შეხვედრა, წინასთან შედარებით, გაცილებით დაძაბული გამოვიდა, რადგან მეტოქე იყო ბევრად ძლიერი. განვმარტოთ — უელსური გუნდი არ იყო დაკომპლექტებული იმ ოთხი სუპერ-გუნდის მოთამაშეებისგან, რომლებიც ევროტურნირებზე თამაშობენ. ჩვენი A-ნაკრების მეტოქე რეალურად წარმოადგენდა უელსის მეორე ლიგის კლუბების ნაკრებს, თუმცა უელსს, ცხადია, ამ დონეზეც საკმაოდ განაფული მორაგბეები ჰყავს. ქართველებმა მეტოქეს ლია და კომბინაციური თამაში შესთავაზეს და 5 ლელო დაუდეს, საპასუხოდ კი მხოლოდ 2 მიიღეს. მეტოქეს ლონიერი შერკინება ჰყავდა და ჩვენები ხშირად ჯარიმდებოდნენ, რის შემდეგაც უელსელები საჯარიმოებით აგროვებდნენ ქულებს. ქართველთა მხრიდან ლელოები დადეს შალვა მამუკაშვილმა, დავით ჩიტძემ, გიორგი კაჭარავამ, ირაკლი

ჩხიკვაძემ და ჯაბა კიკვიძემ. ერთი ჯარიმა და ორი გარდასახვა საბა ნიკოლაევამ მიითვალა. მესამე ბრიტანული დაპირისპირება ჩრდილოეთ უელსის კლუბების ნაკრებთან დასრულდა „ბორჯღალოსანთა“ გამარჯვებით 25:17. ასე რომ, ქართველებმა ბრიტანული ტურნე გამარჯვებულებმა მოილიეს.

## ვეტირანები

მაისის დასაწყისში ქართულმა სამოყვარულო კლუბმა „დევებმა“, „შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე ინგლისურ ვეტერანთა გუნდ „ცრონს“-თან ამხანაგური მატჩი გამართა და მეტოქე 31:14 დაამარცხა. ინგლისური გუნდი თბილისს ლევან ვასაძის ხელშეწყობით ეწვია, ვინც ამ კლუბის ღირსებას 2008-2009 წლებში იცავდა. „დევების“ რიგებში საწყის 30 წუთში განსაკუთრებით გამოირჩეოდა 9 ნომერი — ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელი მილტონ ჰეიგი, რომელსაც ტრიბუნებიდან მეუღლე და ორი ქალიშვილი ქომაგობდა.

## ამერიკული ტურნი

ივნისში საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ამერიკულ ტურნეში გაემგზავრა და იქ ამერიკის და აშშ-ის ნაკრებებთან ორი ტესტმატჩი გამართა. ამერიკაში გადახალისებული შემადგენლობით ჩასულ „ბორჯღალოსნებს“ ორივე მეტოქემ სასტარტო შემადგენლობები დაახვედრა და 2010 წელს თბილისური მარცხისთვის სარევენოდ მოემზადა. 16 ივნისს, ჰეიგის განვრთნილები დენვერში აშშ-ის ნაკრებს დაუპირისპირდნენ და 20:36 დაამარცხდნენ. ქართველებმა ორი განსხვავებული ტაიმი ჩაატარეს — პირველი 8:28 ნააგეს, მეორეში კი ბურთზე კონტროლი მოიპოვეს და სხვაობა 11 ქულამდე შეამცირეს, რაც გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ამერიკელებს ლელოები დაუდეს მერაბ კვირიკაშვილმა, მერაბ შარიქაძემ და დავით კაჭარავამ. ჯარიმა იმავე კვირიკაშვილმა, ხოლო გარდასახვა ლაშა მალაღურაძემ გაიტანა.

23 ივნისს, საქართველომ ამერიკულ ტურნეზე მეორე თამაშიც ნააგო, ამჯერად კანადასთან — 12:31. ჩვენები ხშირად ცდებოდნენ როგორც დაცვაში, ასევე შეტევაში







## რუმინეთი — საქართველო (13:19)

და მონინალმდეგეს ქულების დაგროვების შესაძლებლობას აძლევდნენ. ქართველთა მხრიდან ძალისმიერი ლელოები გაიტანეს რევაზ ბელქანიამ და შალვა მამუკაშვილმა, გარდასახვა კი — მერაბ კვირიკაშვილმა.

## მსოფლიოს ალაფა

იენისში აშშ-ის ქალაქ სოლტ-ლეიკ-სი-ტიში 20-წლამდელ მორაგბეთა ტურნირი — მსოფლიო ალაფა გაიმართა. შეჯიბრების ფორმატის მიხედვით, გათამაშებაში მონაწილეობდა 8 ნაკრები, საუკეთესო კი 2013 წელს ითამაშებს საფრანგეთში 12-გუნდიან მსოფლიოს ჩემპიონატზე. ქართველმა 20-წლამდელებმა წარმატებით ჩააბარეს პირველი გამოცდა და 31:17 დაამარცხეს კანადელი თანატოლები. შოტლანდიელი სპეციალისტის იან სმიტის განვრთნილ „ბორჯღალოსნებს“ გარკვეული დრო დასჭირდათ კონცენტრაციისთვის და პირველ ნახევარში მდევრის როლშიც იყვნენ, მაგრამ მერე ყველაფერი თავის ადგილას დადგა.

„ბორჯღალოსნებმა“ მეორე შეხვედრა ბევრად იოლად — 43:7 მოუგეს ზიმბაბვეს, ექვსი ლელო დაუდეს და მხოლოდ ერთი გაუშვეს. სათქმელია, რომ ყველა ლელო უკანახაზელებს ანგარიშზეა, რომლებიც გონივრულად იყენებდნენ მორკინალთა მიერ მოპოვებულ უპირატესობას და საკმაოდ გამართულ რაგბს თამაშობდნენ. ჯგუფის მესამე მატჩში სმიტის გუნდი იაპონიასთან 33:36 დამარცხდა და მსოფლიოს ალაფისთვის ბრძოლას გამოეთიშა. მართალია, ნაკრები ფინალისკენ სავალ გზას ასცდა, თუმცა ბრინჯაოს ფინალში გავიდა და იქ ტონგასთან 29:31 დამარცხდა. საბოლოოდ, სმიტის შეგირდებმა 8 გუნდს შორის მეოთხე ადგილი დაიკავეს.

## ასაკობრივი ნაკრებები

მარტის მიწურულს და აპრილის დასაწყისში ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში 18-წლამდელ მორაგბეთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართა, სადაც რვა მონაწილეს შორის საქართველოს ნაკრებიც იყო. ქართველ მორაგბეებთან ერთად ევროპირველობაზე ითამაშეს — პორტუგალიამ, ინგლისმა, საფრანგეთმა, უელსმა, ირლანდიამ,





ქართულმა მორაინალმა მამუკა გორგოძემ ორ კვირაში ორი მატჩი ჩაატარა „ბარბაროსთა“ რიგებში. ივლისის მინურულს „ბარბაროსებში“ ირლანდიას შეხვდნენ და ურთულეს ჯახში 29:28 აჯობეს. გორგოძე ძირითად შემადგენლობაში იყო და ერთ-ერთი აქტიურიც გახლდათ.

შოტლანდიამ და იტალიამ. ევროპის პირველობა პირველი პრეცედენტი იყო, სადაც ექვსი ერის ქვეყნებთან ერთად ტურნირში ქვედა ექვსეულის გუნდებიც თამაშობდნენ. ევროპის ჩემპიონატზე რვავე გუნდს 3-3 თამაში უნებდა და ყველა ადგილი თამაშდებოდა.

ილია მაისურაძის განვრთნილმა გუნდმა სანცისი შეხვედრა 8:58 წააგო ინგლისთან, 7 ლელო მიიღო და მხოლოდ თამაშის მიწურულს შეძლო პრესტიჟის ლელოს დადება — ეს მესამეხაზელმა შალვა შამიაშვილმა მოახერხა. მომდევნო შეხვედრაში პატარა „ბორჯღალოსნებმა“ იტალიის ნაკრებთან საოცრად გულიანად ითამაშეს და ურთულესი შეხვედრა 20:18 მოიგეს. ლელოები გაიტანეს რევანზ ბროძელმა და გიორგი ფრუიძემ, თითო გარდასახვა-ჯარიმა რევანზ ჯინჭველაშვილმა ჩაინერა, ერთი გარდასახვა ზუსტად ნიკა ამაშუკელმა დაარტყა, ერთიც რევანზ ბროძელმა. ევროპირველობის ბოლო შეხვედრაში მაისურაძის ბიჭები შოტლანდიასთან 10:29 დამარცხდნენ და რვაგუნდიანი ტურნირი მეექვსე ადგილზე დაასრულეს.

ოქტომბრის მიწურულს პორტუგალიამ უმასპინძლა 17-წლამდელ და 19-წლამდელ მორაგბეთა ტურნირებს. კერძოდ — მომავალ წელს ჩასატარებელ 18-წლამდელთა ევროპის პირველობის და 20-წლამდელთა ალაფის შესარჩევ ეტაპებს. საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა 50:13 დაამარცხა გერმანია, შემდეგ ბელგიას 55:6 სძლია და 2013 წლის ევროპის ჩემპიონატის საგზური მოიპოვა. ტურნირის ბოლო მატჩში პორტუგალიასთან დაპირისპირებას მხოლოდ ის უნდა გაერკვია ელიტაში მონიავის სახელით ვინ შევიდოდა, თორემ ქართველებსაც და პორტუგალიასაც ევროპირველობის საგზური ჯიბეში ედოთ. დავით ჩავლეიშვილის ბიჭებმა 33:17 იმარჯვეს.

17-წლამდელებისგან განსხვავებით, მიზანს ვერ უწიეს 19-წლამდელებმა და 2013 წელს ჩილეში გასამართი ალაფის საგზური პორტუგალიას დაუთმეს. ქართველებმა ესპანეთს 31:13, რუმინეთს კი 20:11 მოუგეს, მაგრამ გადამწყვეტ შეხვედრაში მასპინძელთა ნაკრებთან 10:23 დამარცხდნენ და უსაგზუროდ დარჩნენ.

## შვიდკაცას სერიები

შვიდკაცა რაგბის ნაკრებმა პორტუგალიის ქალაქ ალგარვეში საკვალიფიკაციო ტურნირზე მეოთხე ადგილი დაიკავა და 2013 წელს მოსკოვში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოიპოვა. კახა ალანას და პალიკო ჯიმშელაძის მიერ განვრთნილი ნაკრები პორტუგალიაში უკეთესი შემადგენლობით გაემგზავრა, ვიდრე ბოლო წლებში 7-კაცა რაგბის ტურნირებზე გამოდიოდა. გუნდში იყვნენ 15-კაცა რაგბის ეროვნული ნაკრების წევრები, რამაც შედეგი მოიტანა. საკვალიფიკაციო ტურნირზე ევროპის 12 ნაკრები მონაწილეობდა, მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს კი ხუთი მონინავე იღებდა.

ჩვენმა გუნდმა ოთხგუნდიან ჯგუფში სამივე თამაში მოიგო, გერმანიას (21:10) და ბელგიასთან (19:7) ერთად ფავორიტი საფრანგეთი 33:17 დაამარცხა და პირველი ადგილით გავიდა მეოთხედფინალში, სადაც უკრაინას 19:12 აჯობა და ნახევარფინალში გასვლით პროგრამა მაქსიმუმი შეასრულა. ქართველე-

## საქართველო — რუსეთი (33:3)





ბი ნახევარფინალში პორტუგალიასთან 12:19 დამარცხდნენ, ხოლო მესამე ადგილისთვის შეხვედრაში საფრანგეთთან 12:24 დაიჩაგრნენ.

### ლეგიონის აზვები

იანვარში 24 წლის ჯაბა ბრეგვაძე ოფიციალურად გახდა „ტულუზის“ მოთამაშე. ბრეგვაძე საფრანგეთში ჩავიდა, სამედიცინო შემოწმება გაიარა, გუნდთან ერთად ივარჯიშა და ფრანგულ სუპერ-კლუბთან ხელშეკრულება გააფორმა. მოგვიანებით, კიდევ ერთი გრანდის, შოტლანდიური „ედინბურგის“ მაისური ნაკრების მესამეხაზელმა, შერკინების შემკვერელმა დიმიტრი ბასილაიამ მოიწერა. სქოთების მთავარი მწვრთნელი მაიკლ ბრედლი, რომელიც თავის დროზე საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი იყო, ახლა „ედინბურგის“ თავკაცია და 26 წლის ქართველით სეზონის დაწყებამდე დაინტერესდა. მსოფლიოს თასზე ბასილაიას დამაჯერებელმა თამაშმა კი სქოთთა თავკაცს კონტრაქტის გაფორმებისკენ უბიძგა.

მაისში ქართველი მორკინალის დავით ზირაქაშვილის ფრანგულმა კლუბმა „კლერმონმა“ დასაანანი მარცხი იწვნია ირლანდიურ „ლენსტერთან“ და ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის „შეინეკენის თასისთვის“ ბრძოლას ნახევარფინალიდან გამოეთიშა. დავით ზირაქაშვილი ძირითად გუნდში იყო და საკმაოდ კარგადაც ითამაშა.

ქართველმა მორკინალმა მამუკა გორგოძემ ორ კვირაში ორი მატჩი ჩაატარა „ბარბაროსთა“ რიგებში. ივლისის მინურულს „ბარბაროსები“ ირლანდიას შეხვდნენ და ურთულეს ჯახში 29:28 აჯობეს. გორგოძე ძირითად შემადგენლობაში იყო და ერთ-ერთი აქტიურიც გახლდათ. კლუბ-ნაკრები „ბარბაროსები“ 2 ივნისს უელსის მთავარქალაქ კარდიფში მასპინძელთა ნაკრებს შეხვდა და 21:30 დამარცხდა. გორგოძე ამჯერადაც ძირითადში იყო.

საკლუბო სეზონის ბოლოს ჯაბა ბრეგვაძის და აქვსენტი გორგაძის „ტულუზმა“ საფრანგეთის ჩემპიონატის ფინალში 18:12 დაამარცხა დავით ქუბრაიშვილის და ლევან ჩილაჩავას „ტულონი“ და შარშან მოპოვებული ტიტული შეინარჩუნა. ფინალურ შეხვე-



საქართველო — რუსეთი (46:0)







საპარტიველო — იაპონია (22:25)



დრაში მონაწილეობა არ მიუღიათ „ტულუზის“ ქართველ მორკინალებს — ბრეგვაძე ტრავმირებული იყო, ხოლო გიორგაძე 23-კაციან განაცხადში ვერ მოხვდა. „ტულონის“ მხრიდან ქუბრიაშვილი სასტარტო შემადგენლობაში იყო, ჩილაჩავა კი შეცვლაზე შევიდა.

### ტანა უმაგა თბილისში

8 ნოემბერს თბილისს ეწვია მსოფლიო რაგბის ლეგენდა — ახალზელანდიელი ტანა უმაგა, ვინც ნაკრების მთავარ მწვრთნელს მილტონ ჰეიგს 17 და 24 ნოემბერს იაპონიასთან და ფიჯისთან ტესტმატჩებში ნაკრების მზადებაში დაეხმარა. რაგბის ქომაგმა, ცხადია, კარგად იცის — უმაგა უკანა ხაზის მოთამაშე იყო, წლების განმავლობაში ქარიშხალივით დაჰქროდა და მეტოქეებს რისხვას სცემდა. ეს კუნთმაგარი კაცი ჩვენი ნაკრების თავკაცთან ერთად ზელანდიაში მუშაობდა. თბილისში ჩამოსულმა ჰეიგმა თქვა კიდევ, გამორიცხული არ არის, მოგვიანებით უმაგა ბიჭების განვრთნაში დაგვეხმაროსო და აი, შედეგიც — უმაგა თბილისში ჩამოვიდა და ნაკრების მორაგებებს ფასდაუდებელი გამოცდილება გაუზიარა. ზელანდიელი ვარსკვლავის სტუმრობამ ორ კვირას გასტანა, თუმცა ნაკრების თავკაცებს და რაგბის კავშირს ტანა უმაგასთან დაკავშირებით სხვა გეგმები აქვთ — მათი მიზანია უმაგა ნაკრებში 2015 წლის მოფლიოს თასის დროსაც მოიწვიონ და სამწვრთნელო შტაბში ამუშაონ. გამოვა თუ არა ეს ამბავი, დრო გამოაჩენს.



## ნოემბრის ტისტაპი

17-24 ნოემბერს საქართველოს ნაკრებმა თბილისში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე ორი ტესტმატჩი გამართა. „ბორჯღალოსნებმა“ იაპონიის და ფიჯის გუნდებს უმასპინძლეს და არსებობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი ტესტმატჩები ჩაატარეს. ეს თამაშები ქართველებისთვის თვისობრივად განსხვავებული იყო და უდიდეს ინტერესს იწვევდა. მილტონ ჰეიგის გუნდს პასუხი უნდა გაეცა ათასგზის დასმულ შეკითხვაზე — იყო თუ არა მზად საქართველოს ნაკრები უფრო მაღალ დონეზე სათამაშოდ, ვიდრე ეს ერთა თასია. „ბორჯღალოსნებმა“ დასმულ კითხვას ასეთი პასუხი გასცეს — ჩვენი ნაკრები იაპონიის და ფიჯის დონის ნაკრებებთან ღირსეულად, დამაჯერებლად სათამაშოდ მზად არის, თუმცა მათ დასამარცხებლად გარკვეული დრო კიდევ სჭირდება.

მილტონ ჰეიგის ბიჭები იაპონიის და ფიჯის გუნდებთან გამარჯვებასთან ახლოს კი იყვნენ, თუმცა ბოლო წუთებზე დამარცხდნენ. ასეთი მაღალი დონის მატჩების მოგებას სხვა გამოცდილება სჭირდება. ეს გამოცდილება კი ლონიერ, დახვეწილ გუნდებთან თამაშში მოდის. ბოლო დროს საქმე ისე მიდის, ამ მხრივ ვითარება გადასხვაფერდება — „ბორჯღალოსნებს“ კლასიან და ტოლსწორ გუნდებთან ჭიდილი უფრო ხშირად მოუწევთ. ვაკეში გამართულ პირველ ტესტმატჩში ჰეიგის გუნდი იაპონიასთან ზედ ბოლო წუთზე მიღებული არეკნით 22:25 დამარცხდა. აქ ქართული ქულები მარტო მერაბ კვირიკაშვილმა აგროვა — ლელო-გარდასახვას 5 საჯარიმოც მიაყოლა. ფიჯისთან 19:24 ნაგებულ მატჩში კი ლელო კაპიტან ირაკლი აბუსერიძის ლაზათიანი პასით დავით ხინჩაგვიშვილმა, გარდასახვა და 4 ჯარიმა კი კვირიკაშვილმა მიითვალა.

ლექსო მაისურაძე

## საპარტიველო — ფიჯი (19:24)





# FIVE TIME CHAMPION

## NEW COACHES

After finishing the world cup 2011, leaders of Georgian Rugby Union energetically started to search new coach for the Georgian national team and spread the search process almost worldwide. Such a diligent approach was natural because bosses of Georgian rugby were seeking for experienced and titled coach who would fit the current demands of the Georgian national team and would help it elevate to the new and higher level. Finally, Georgian Rugby Union appointed Milton Haig as chief coach to the Georgian national rugby team and Chris Gibbs as his deputy according to Haig's request. Haig and Gibbs started to work together.

er. However, later on family problems forced Gibbs to terminate the contract and return to homeland.

## NATIONS' CUP 2012

Hard weather conditions in Ukraine made changes to the schedule of the Rugby Nations Cup. Georgian team expected to start the 2012 season on February 4 by the match against Ukraine. However, because of icing up the "Meteor" stadium in Dnepropetrovsk the parties agreed to put the match off and this delay postponed Haig's debut as Georgian team's coach. This postponement predetermined largely outcome of the following matches. Reshuffled team on the one hand and a new coach with different viewpoints on the other, resulted in the defeat 18:25 in the match against the Spaniard team in Madrid on February 11.

The second match of the Nations' Cup was held on February 25 in Georgia. Georgian "Lelos" made seven tries on the opponent's half of field in the contest with the Portuguese team and won the match 32:7. The victory was result of the changes, which Haig made in the team in order to strengthen it after the unsuccessful match in Spain. He included in the team Mazurka Gorgodze, Vakhtang Kolesishvili, Shalva Sutiashvili, Vasil Kakovin and David Kubriashvili with experience in the world championships. The changes turned out to be justified and largely predetermined the victorious score of the game.

On March 10, the "Lelos" beat the Romanian team in a tough game in Bucharest and kept the title of Antimoz Iverieli Cup holder. David Kacharava made a try on the opponent's half of field and Merab Kvirikashvili successfully performed a conversion and four penalty kicks.

On March 17, in Tbilisi the Georgian team humiliated the Russian by slashing score 46:0 and secured the first place in the Nations Cup. Irakli Machkhaneli, Mamuka Gorgodze, Giorgi Chkhaidze, Levan Datunashvili and Giorgi Nemsadze successfully made tries on the opponent's half of field. Merab Kvirikashvili recorded five conversions and two accu-

rate penalty kicks. That was the 16<sup>th</sup> match between Russian and Georgian teams and 14 matches ended with victory of Georgia. The last match established two records. The "Lelos" beat the "Bears" with 46-point difference for the first time and that was the first time when Russia could not score a single point in the game against Georgia.

On June 9, the Georgian team hosted the Ukrainian and beat it 33:3. The match turned out to be chaotic and less spectacular. The Georgians made five tries and Kiasashvili made four conversions of them. They outdid teams of Spain and Romania by this victory and won Nations Cup for the fifth time during 13 years.

## A-TEAM

Georgian rugby A-team conducted a tournament in Great Britain for March 21-23 and played three matches against local teams. The second national team of Georgia is still coached by "Lelo" head Levan Maisashvili. Coaches of the major team Milton Haig, Chris Gibbs and Torin Berdges accompanied the team. A-team won convincing victory (25:8) in the first match against "Asher Rugby" from the second league and beat 36:32 the combined team of Wales "premiership" clubs. The third and final match with the combined team of the clubs from Northern Wales also ended with the victory of the Lelos 25:17.

## AMERICAN TOUR

In June, Georgian national rugby team traveled to the United States and conducted two test matches with the combined team of America and USA. The "Lelos" arrived in the US with reshuffled staff. The hosts met them with starting staff and were prepared to rake revenge for the defeat in Tbilisi in 2010. On June 16, the "Lelos" played with the US team in Denver and lost the game 20:36. On June 23, Georgian team lost 12:31 its second game in the American tour and this time against Canadian team. The Georgians were making frequent mistakes both in defense and in attacks allowing thereby the contender to score points.





## AGE TEAMS

In late March and early April Madrid (Spain) hosted European championship of U-18 rugby teams and Georgian team was among the eight entrants, including Portugal, England, France, Wales, Scotland, Ireland and Italy. That European championship was the first precedent of the tournament when teams from the lower grade participated together with the six leading teams. Each of the eight teams had to play three games. Georgian U-18 team coached by Iliia Maisuradze lost 8:58 the game with England but then won 20:18 the very tough game against the Ital-

ians. In the final game of the European championship the Georgian team lost the duel with Scottish team 10:29 and occupied the sixth place among the eight.

Portugal played host to the rugby “Trophy” tournaments of U-17 and U-19 teams. U-17 fought for gaining the right of competing at European U-18 championship. On the first day, they beat Germany 50:13 and then defeated Belgium 55:6. This victory allowed the Georgians to get ticket to the 2013 European championship. As for U-19 team, they failed to achieve the goal and ceded to Portuguese team the ticket to the 2013 championship in Chile.



Tana Umaga

## TANA UMAGA IN TBILISI

On November 8, Tana Umaga of New Zealand, legend of the world rugby, visited Tbilisi. He rendered assistance to the Georgian team's chief coach Milton Haig in the training of the team for the test matches against teams of Japan and Fiji on November 17 and 26. Rugby fans know well that Umaga was a player of the back line and he was successfully fighting opponents. This strongman used to work with Haig in New Zealand. When came to Tbilisi as a coach Haig said Umaga might help in drilling the Georgian rugby players. His words transformed in deeds. Umaga came to Tbilisi and shared his invaluable experience with Georgian rugby team.

LEXO MAISURADZE



# ვებუტი თავდასხმელს!..



ნომბერს ეგვიპტის ნაკრებთან ჩატარებული ამხანაგური მატჩი თემურ ქეცვიანასათვის საიუბილეო იყო. მისი ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრებმა 25-ე შეხვედრა ჩაატარა. ქეცვიანა უკვე სამი წელიწადია საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელია. ამ დროის განმავლობაში ჩვენმა უპირველესმა გუნდმა 9 მატჩი მოიგო, 8 ფრედ ითამაშა და 8 ნააგო (პურთიების სხვაობა — 22:23).





თემურ ქეცბაია

ეს სტატისტიკური მაჩვენებლები შემთხვევით არ მოგვიყვანია: გავისვენოთ, თუ როგორი კატასტროფული შედეგით დაამთავრეს საქართველოს ნაკრებში მოღვაწეობა ქეცბაიას უცხოელმა წინამორბედებმა, ექტორ რაულ კუპერმა და კლაუს ტოპმიოლერმა. არადა, იგივე კუპერსა თუ ტოპმიოლერს არც საერთაშორისო ასპარეზზე გამოცდილება დაეუნებათ და არც — კვალიფიკაცია, მაგრამ ფაქტია, რომ მათი ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრებს წინსვლა არ ჰქონია. უფრო, პირიქით იყო — 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი საქართველოს ნაკრებმა მოუგებლად დაამთავრა, რაც ჩვენი ნაკრების ისტორიაში მანამდე არასდროს მომხდარა. რა თქმა უნდა, კუპერის მერე მოსულ ქეცბაიასგანაც არავინ ველოდით სას-

წაულს (ანუ, ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლას), თუმცა ქართველი მწვრთნელის სადებიუტო ციკლი ისე დაიწყო, გულშემბატკივარს იმედი ჩაცსახა. მერე ახალი, ამჯერად მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დრო დადგა, მაგრამ წილისყრამ ამკარად არ დაგვინდო და ისეთ ჯგუფში მოვხვდით, III ადგილის დაკავება უდიდეს წარმატებად რომ მიიჩნევა!

...როგორ შეიძლება შეფასდეს გასული, 2012 წელი საქართველოს ნაკრებისთვის? ფიასკოს ნამდვილად ვერ ვუნოდებთ: ოთხი ოფიციალური მატჩიდან ერთი მოგება, ერთი ფრე და ორი წაგება; აქვე, განვმარტოთ, რომ იმ ორი მარცხიდან ერთი (დღესდღეობით მართლაც უძლეველ ესპანეთის ნაკრებთან), ასე ვთქვათ, „გეგმიურიც“ იყო; თუმცა, ნუ დაგვავინწყდება, რომ პლანეტის საუკეთესო გუნდთან მატჩში საქართველოს ნაკრებს სულ მცირედი დააკლდა ხმაურიანზე-ხმაურიანი სენსაციის მოსახდენად. მოკლედ, ოთხ შეხვედრაში 4 ქულა ავიღეთ, თუმცა, ძალიან დიდი იყო იმის შანსი, რომ ფინეთსა და ბელორუსთან ჩატარებულ ორ გასვლით შეხვედრაში ერთის ნაცვლად, სულ მცირე, სამი ქულა აგვეღო. რა თქმა უნდა, ამ მართლაც „სიკვდილის ჯგუფში“ პირველ-მეორე ადგილის დაკავებას საქართველოს ნაკრებს ვერავინ მოსთხოვს, მაგრამ ჩვენი ნაკრების თამაშის ხარისხი რომ უკეთეს შთაბეჭდილებას უნდა ტოვებდეს, ფაქტია. გასაგებია, რომ ქართველ გულშემბატკივარს (პლუს, ქართულ სპორტულ მედიას) ჩვენი ნაკრების „ფრთხილი“ სათამაშო სტილი არ მოსწონს და ქართული ფეხბურთი ერთ დროს რითაც გამოირჩეოდა (კომბინაციური და შემტევი თამაში), ლამის არის, ყვე-

**საქართველო – ბელარუსი (1:0)**



**საქართველოს ნაკრების ყველა მატჩი 2012 წელს**

- 29. 02. **საქართველო — ალბანეთი 2:1** (ამხანაგური შეხვედრა)
- 24. 05. **საქართველო — თურქეთი 1:3** (ამხანაგური შეხვედრა, ნეიტრალურ მოედანზე)
- 15. 08. **ლუქსემბურგი — საქართველო 1:2** (ამხანაგური შეხვედრა)
- 07. 09. **საქართველო — ბელორუსი 1:0** (მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი)
- 11. 09. **საქართველო — ესპანეთი 0:1** (მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი)
- 12. 10. **ფინეთი — საქართველო 1:1** (მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი)
- 16. 10. **ბელორუსი — საქართველო 2:0** (მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი)
- 14. 11. **საქართველო — ეგვიპტა 0:0** (ამხანაგური შეხვედრა)

**2012 წელს საქართველოს ნაკრებმა ჩაატარა 8 მატჩი: 3 მოიგო, 2 ფრედ დაასრულა და 3 წააგო; გურთიბის შეფარდება — 7-8;**





ესპანეთის ეროვნული ნაკრები



საქართველოს ეროვნული ნაკრები

ლას დაგვაინყდეს. თუმცა, ასეთ და მსგავს რეპლიკა-შენიშვნებზე თემურ ქეცბაიას საკუთარი არგუმენტები მოჰყავს: რა შემსრულებლებიც მყავს, სათამაშო სტილს იმისდა მიხედვით ვირჩევო! კი ბატონო, თანამედროვე ფეხბურთში დაცვითი ფუნქციების იდეალურად შესრულებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ თავდაცვიდან შეტევაზეც ხომ უნდა გადავიდეს გუნდი და მეტოქეს „საკუთარი“ თამაში მოახვიოს? სამწუხაროდ, ამ კომპონენტში აშკარად მოვიკოჭლებთ, აღარაფერს ვამბობთ ერთ, მართლაც გადაუჭრელ პრობლემაზე: მხოლოდ ბოლო სამი წელიწადი კი არა, უფრო დიდი ხანია ნაკრებში არ გვყავს

გოლის გამტანი ცენტრფორვარდი! თავად განსაჯეთ: 2012 წელს მეტოქეთა კარში გატანილი 7 გოლიდან მხოლოდ ერთია თავდამსხმელის (ლევან მჭედლიძე) ანგარიშზე, ხოლო ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი წლეულს სულაც... ცენტრალური მცველია (ალექსანდრე ამისულაშვილი) 2 გოლით!..

...ჩვენს ნაკრებში მეკარის პრობლემა აღარ არსებობს — გიორგი ლორიამ ესპანეთთან მართლაც ზღაპრულად ითამაშა; დაცვაში ორი გამორჩეული ფეხბურთელი გვყავს — ალექსანდრე ამისულაშვილი და გურამ კაშია, არაფერი დაეწუნება ნაკრების ახალ კაპიტანს ჯაბა კანკავას „საყრდენის“ ამპლუაში; თორ-

ნიკე ოქრიაშვილი, დავით თარგამაძე, სანდრო კობახიძე, ჯანო ანანიძე, ლევან ყენია, — ამ კრეატიულ ნახევარმცველებს არაორდინარული გადაწყვეტილების მიღება უყვართ და კონკრეტული მატჩის ბედის გადაწყვეტაც შეუძლიათ, მაგრამ მეტოქის კარზე „დაგვილი“ თავდამსხმელი ჯერჯერობით არ გამოჩნდა.

...2013 წელს საქართველოს ნაკრებს ოთხი ოფიციალური მატჩი ელოდება: შინ და გარეთ საფრანგეთს უნდა შევხვდეთ, მერე ესპანელებს უნდა ვესტუმროთ, „ჩვენნაირ“ ფინეთს კი თბილისში ვუმასპინძლებთ...

**გია ტუხაშვილი**

**საქართველო – ესპანეთი (0:1)**





## THE MATCHES HELD BY GEORGIAN NATIONAL TEAM IN 2012

**29. 02.**  
**GEORGIA-ALBANIA 2:1**  
(friendly match)

**24. 05.**  
**GEORGIA-TURKEY 1:3**  
(friendly match)

**15. 08.**  
**LUXEMBURG-GEORGIA 1:2**  
(friendly match)

**07. 09.**  
**GEORGIA-BELARUS 1:0**  
(World Cup qualifiers)

**11. 09.**  
**GEORGIA-SPAIN 0:1**  
(World Cup qualifiers)

**12. 10.**  
**GEORGIA-FINLAND 1:1**  
(World Cup qualifiers)

**16. 10.**  
**BELARUS-GEORGIA 2:0**  
(World Cup qualifiers)

**14. 11.**  
**GEORGIA-EGYPT 0:0**  
(friendly match)



# SEEKING FOR FORWARD

The friendly match with Egypt team on November 14 was the jubilee for Temur Ketsbaya, chief coach to the Georgian national football team, which has conducted its 25<sup>th</sup> game under Ketsbaya's leadership. Ketsbaya has been coach to the Georgian national team for three years already. During this period, the team won nine matches, played in a draw eight and lost eight. The ratio of goals was 22:23. In 2012, Georgian national team conducted eight matches, won three, played in a draw two and lost three. The ratio of goals is 7:9.

How can we evaluate the year of 2012 for the Georgian national football team? Hardly can we call it a fiasco. Of the four official matches the team won one, played in a draw eight and lost two. Out of the two defeats one can be considered "planned" given that Georgian team's contender was the world champion team of Spain. However, Georgian team almost created a surprise when it was a step away to play in a draw the match with the world champion. Georgian team scored four points in four matches. Although, it stood a good chance to score at least three scores instead of one in the two away matches against teams of Belarus and Finland. Of course, nobody can demand from the Georgian team to take either first or second place in such a strong group. Meanwhile, it is evident that quality of the Georgian team's play leaves much

to be desired. It is quite understandable that Georgian fans and Georgian sport media dislike a "cautious" style of play, which Georgian team employs. We have almost forgotten that Georgian football has always been distinguished by creative and attacking style of play. However, Temur Ketsbaya has its own reasoning for the critics. "I select the style of play according to the kind of performers I have in the team," he says.

It goes without saying that ideal defense is very important in the modern football. At the same time it is equally important that a good team must be able to organize attack and impose its "own" game on the rival. Unfortunately, we apparently lag behind in this component of play to say nothing about the still unresolved problem of having a good forward in the team. For more than three Georgian national team lacks a center forward able to score goals. Out of seven goals in 2012 only one is scored by forward (Levan Mchedlidze). It is surprising that defender Levan Amisulashvili with two goals is the team's best goal-scorer in 2012! In 2013, Georgian team will conduct four official matches. It will play with French team at home and away, then it will conduct away match with the Spaniards and finally will host Finland team in Tbilisi.

**GIA TUKHASHVILI**





დილა – მარითიგუ (0:2)

# პირველური რეალობა

...2012 წლის ზაფხულში, როცა ევროპაში ახალი საფეხბურთო სეზონი დაიწყო, ერთობ უსიამოვნო ფაქტის წინაშე დავდექით: ბოლო 20 წლის განმავლობაში პირველად მოხდა, რომ ევროპის ტოპ-ლიგებში (ესპანეთი, ინგლისი, გერმანია, იტალია, საფრანგეთი) არც ერთი ქართველი არ თამაშობს! თუმცა, ტოპ-ლიგებს ვინ ჩივის, ჰოლანდიის ჩემპიონატში მოასპარეზე გურამ კაშიას გარდა, მეტ-ნაკლებად „ნორმალურ“ საფეხბურთო ქვეყნებშიც ვეღარ ნახავთ ქართველ ლეგიონერებს; კიდევ კარგი, რუსეთსა და უკრაინაში ჯერ

კიდევ „აფასებენ“ ქართველ ფეხბურთელებს და ამ ორ ქვეყანაში მოასპარეზე ჩვენებურებიც თავიანთ კლუბებში წამყვან მოთამაშეებად მიიჩნევიან. არადა, როცა რომელიმე ქვეყნიდან ფეხბურთელთა მიგრაცია, ფაქტობრივად, ჩერდება, ამ პროცესს ორი მიზეზი უნდა ჰქონდეს: ან, ადგილობრივი ჩემპიონატის დონე უნდა იყოს ისეთი მაღალი, ფეხბურთელმა სხვაგან წასვლაზე რომ არ იფიქროს, ან კიდევ, იმ ქვეყანაში ფეხბურთის საერთო დონის დაცემა! სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში მწარე რეალობასთან გვაქვს

დილა – ანოტოსისი (0:1)



საქმე: 1990 წლიდან მოყოლებული (ანუ, პირველი ეროვნული ჩემპიონატიდან), ჩვენთან შიდა პირველობის დონე უკან და უკან მიდის! ამ ყველაფრის ნათელი დადასტურება კი ყოველ ზაფხულს ხდება, როცა ქართული გუნდებისათვის ევროტურნირები, ფაქტობრივად, პირველ ან, უკეთეს შემთხვევაში, მეორე ეტაპზე მთავრდება...

ევროტურნირებზე ქართული გუნდების წლებიდანელი „მონაგარი“ განსახილველი არც არის, მანამდე კი საქართველოს ჩემპიონატზე ვისაუბროთ და ჯერ წინა სეზონი გავიხსენოთ. სეზონი, რომელიც მართლაც უცნაური და სკანდალური გამოდგა:

## საქართველოს ჩემპიონის ვინაობა კაპიტანთა ბაიკაჟა, თასის ფინალი კი, უკაცრავად და, მართლაც ფეხბურთის აპოკალიფსა აგდება იყო!

მოდი, ჯერ ჩემპიონატზე ვთქვათ, რომლის ახალმა და „ნოვატორულმა“ დებულებამ ჯერ კიდევ სეზონის მსვლელობისას უამრავი მითქმა-მოთქმა გამოიწვია; შეგახსენებთ, რომ იმ დებულების თანახმად, ჩემპიონატში მონაწილე 12 გუნდი პირველ ეტაპზე ორ წრედ თამაშობდა; მეორე ეტაპზე 8 საუკეთესო გუნდს მხოლოდ ერთმანეთში ნათამაშები შედეგები გადაწყვებოდათ, ხოლო IX-XII ადგილზე გასული გუნდები ახალ ტურნირს იწყებდნენ პირველი ლიგის ოთხ საუკეთესო გუნდთან, ოღონდ განულებელი ქულებით. ვერ ვიტყვით, ვისი იდეა იყო, მაგრამ ფაქტია, რომ კურიოზულ სიტუაციებთან გვეკონდა საქმე: პირველ ეტაპზე ამა თუ იმ გუნდს „უფლება“ ჰქონდა რომელიმე სუსტ მეტოქესთან თამაში წავგო! ანუ, მასთან მოპოვებული 3 ქულა მეორე ეტაპზე მაინც არაფერში გამოადგებოდა და ამიტომაც იყო, რომ თითქ-





ტორკაედო — აქტობა (1:1)

და იურიდიულადაც) გამარჯვებული უნდა ჰყავდეს და ბოლო ტურიდან მეორე დღეს (!) დანიშნულ აღმასკომის სხდომაზე (ანუ, კაბინეტში) ჩემპიონად „ზესტაფონი“ დასახელდა! სკანდალურ სეზონს არანაკლებ სკანდალური გაგრძელება ჰქონდა: ჯერ კიდევ 2011 წლის შემოდგომაზე ჯერ „ხმადაბლა“, მერე კი „ხმაბალა“ ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ საქართველოს თასი ფინანსურად მოლონიერებულ და შინაგან საქმეთა სამინისტროს პატრონობის ქვეშ მოქცეულ გორის „დილას“ უნდა აედო. ასეც მოხდა:

მემთხედფინალისა თუ ნახევარფინალის წილისყრისას სომ „რატომღაც“ უმართლვადით გორელებს და გვირად სუსტი მატოქაევი სვდებოდნენ, აი, ფინალში კი ყველაფერი ვნახეთ, ფეხბურთის გარდა.

არადა, „დილას“ ისეთი სოლიდური შემადგენლობა ჰყავდა, არავის დახმარება არ სჭირდებოდა, ისე მოიგებდა საქართველოს თასს. და ეს დამტკიცდა კიდევ: ევროტურნირებზე მოასპარეზე ქართული გუნდებიდან საუკეთესო შედეგი სწორედ „დილას“ ჰქონდა — სულ მცირედი დააკლდა ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად.

და ბოლოს, წინა სეზონის ერთ-ერთ მთავარ მოულოდნელობაზეც ვთქვათ: 1990 წლიდან მოყოლებული, პირველად მოხდა, რომ თბილისის „დინამომ“ სეზონი პირველ სამეულს მიღმა დაასრულა; ასევე პირველად მოხდა, რომ დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში თბილისის „დინამოს“ ევროტურნირებზე არ უასპარეზია...

გია ტუხაშვილი

მის ყოველ ტურში ვხედავდით „საჭირო“ თუ „არასაჭირო“ თამაშებს! მეტსაც ვიტყვით: პირველი ეტაპის განმავლობაში ერთდროულად ორ ცხრილს ვადგენდით: „ჩვეულებრივსა“ და „ვირტუალურს“ და გულშემოტივარი კი არა, ზოგიერთი კლუბის ხელმძღვანელს პირველი ეტაპის ბოლომდე ვერ გაერკვია, თავისი გუნდი რეალურად რომელ ადგილზე იმყოფებოდა! თუმცა, ასე თუ ისე. პირველი ეტაპი ჩამთავრდა და როცა გვეგონა, ყველანაირი გაუგებრობა წარსულს ჩაბარდაო, თურმე ვცდებოდით; „ზესტაფონმა“ და „მეტალურგმა“ სეზონი ერთნაირი ქულებით დაამთავრეს და ჩემპიონობაც ორივემ იხეიმა! მოკლედ, ორხელისუფლებიანობა იყო, უფრო ზუსტად, გვყავდა „დე-ფაქტო“ ჩემპიონიც და „დე-იურეც“; თუმცა, მოგეხსენებათ, რომ ჩემპიონატს ერთი (ფაქტობრივადაც

**ჩემპიონთა ლიგა  
II საკვალიფიკაციო ეტაპი**

ნაფთხი (აზერბ.) — ზანსტაფონი 3:0  
ზანსტაფონი — ნაფთხი 2:2

**ევროპის ლიგა  
I საკვალიფიკაციო ეტაპი**

ტაუტა (ალბ.) — მეტალ. (რუსთ.) 0:3  
მეტალურგი — ტაუტა 6:1  
ტორკაედო (ქუთ.) — აქტობა (ყაზ.) 1:1  
აქტობა — ტორკაედო 1:0

**ევროპის ლიგა  
II საკვალიფიკაციო ეტაპი**

მეტალ. (რუსთ.) — კლზანი (ჩხ.) 1:3  
კლზანი — მეტალურგი 2:0  
ორსუსი (დანი.) — დილა (გორი) 1:2  
დილა — ორსუსი 3:1

**ევროპის ლიგა  
III საკვალიფიკაციო ეტაპი**

დილა — ანორთოსისი (კვიპროსი) 0:1  
ანორთოსისი — დილა 0:3

**ევროპის ლიგა  
კლვი ოფი**

მარტიმუ (პორტ.) — დილა 1:0  
დილა — მარტიმუ 0:2



მეტალურგი — ტაუტა (6:1)





# ამათ მაინც გაგვახარეს!..

ნენტის შვიდ საუკეთესო გუნდთან ერთად ქართველმა ჭაბუკებმაც იასპარეზეს. მათ წარმატებით დაძლიეს ჯგუფური ბარიერი და ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც დრამატულ ბრძოლაში პოლანდიელ თანატოლებთან დამარცხდნენ. მართლაც არ იყო პატარა ამბავი: საქართველოს 17-წლამდეელთა ნაკრები ევროპის ოთხ საუკეთესო გუნდში მოხვდა!

აღსანიშნავია სხვა ასაკობრივი ნაკრებების მომდევნო წარმატებებიც. ჯერ იყო და კახა კაჭარავას ხელმძღვანელობით მოას-

პარეზე საქართველოს 19-წლამდეელთა ნაკრებმა წარმატებით გაიარა შესარჩევი ეტაპი და ელიტ-რაუნდში ასპარეზობის უფლება მოიპოვა. ანალოგიური შედეგი ჰქონდა საქართველოს 17-წლამდეელთა ახალი ფორმაციის ნაკრებსაც: გიორგი დევდარიანის გუნდმა ამ შემოდგომაზე თბილისში ჩატარებული ჯგუფური ეტაპი ასევე წარმატებით დაძლია და მომავალ წელს ელიტ-რაუნდში ითამაშებს.

**გია ტუსაშვილი**

დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში სანაკრებო დონეზე ერთი-ორი გამონათება თუ გვქონია. რაც შეეხება ასაკობრივ ნაკრებებს, აქ შედარებით უკეთესი ვითარებაა. 2012 წელს საქართველოს 17-წლამდეელთა ნაკრებმა დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო შედეგი აჩვენა. პირველი, მართლაც სასიამოვნო მოულოდნელობა ის იყო, როცა ვასილ მაისურაძის დამოძღვრილმა საქართველოს 17-წლამდელებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვეს. იმის მიუხედავად, რომ ელიტ-რაუნდის (ანუ, ერთ-ერთი შესარჩევი ეტაპის) მატჩები თბილისში ტარდებოდა, საქართველოს ნაკრებს ჯგუფის ფავორიტად არავინ მიიჩნევდა. ერთის მხრივ, ყოველივე ეს ლოგიკურიც იყო: ჩვენი ჭაბუკების მეტოქეები ხომ უკრაინელი, ინგლისელი და ესპანელი თანატოლები იყვნენ. ქართველებმა ყველა სასიამოვნოდ გაგვაკვირვეს და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს.

ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი მაისში, სლოვენიაში ჩატარდა და კონტი-







# ძალიან უბრალო წერილი

ილია კაპუნაშვილი

**ბ**ადავწყვიტეთ მარტივ გზას დავადგეთ და ამ წერილში სულ ანბანური ჭეშმარიტებები ვილაპარაკოთ. ასე მაგალითად, სექტემბრის თვე 2006 წელსაც იყო და 2012-შიც. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები 2006 წელსაც არსებობდა და 2012-შიც. თბილისში, წერეთლის გამზირზე, ეროვნული სტადიონი ექვსი წლის წინაც იდგა და დღესაც დგას — ამით იმასაც ვამბობთ, რომ 2006 წლის სექტემბრიდან 2012-ის სექტემბრამდე 6 წელიწადი გავიდა. ხსენებულ სტადიონზე საფეხბურთო მატჩი, რომელმაც აჟიოტაჟი გამოიწვია 2006-შიც გაიმართა და 2012-შიც. ჩვენი ნაკრების მეტოქე მაშინაც დიდი გუნდი იყო და ახლაც — თუმცა ახლანდელ მეტოქეს უფრო მეტი შარავანდედი მოსავს. საქართველო 2006-შიც დამარცხდა და 2012-შიც. თუმცა იყო განსხვავებებიც: ექვსი წლის წინ, ნაკლები შარავანდედის მქონე უზიდანო საფრანგეთთან 0:3 წავაგეთ, გასულ სექტემბერს კი ევროპის, მსოფლიოს და ისევ ევროპის ჩემპიონ ესპანეთთან 0:1.

კიდევ რა განსხვავება იყო? ვფიქრობთ ის, რომ 2006 წელს საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები ფრანგი ვარსკვლავების წინააღმდეგ მოედანზე ლამის სანერი კალმებით გავიდნენ მათთვის ავტოგრაფები რომ ეთხოვათ და შთამომავლობისთვის ამ საოცარი დღის დამადასტურებელი „ნივთმტკიცება“ დაეტოვებინათ, 2012 წელს კი მოთამაშებმა კალმები შინ დატოვეს და მართალია ულამაზო, სულის შეხუთვამდე ჩაკეტილ-ჩახსურული ფეხბურთით, მაგრამ კინაღამ ფრეს გამოჰკრეს ხელი — მეტოქემ თამაშის მიწურულს გაიტანა (რაც, კაცმა რომ თქვას, ლოგიკური იყო) გამარჯვების გოლი. ეს, 2006-ისა და 2012-ის აჟიოტაჟით სავსე შეხვედრებს, რასაკვირველია განასხვავებდა ერთმანეთისგან, მაგრამ თავადვე ატყობთ, რომ განსხვავება იყო დამოკიდებულებაში და არა ფეხბურთის ხარისხში. ამიტომ, ვინმემ რომ მკითხოს ამ ექვსი წლის განმავლობაში წინ თუ წავინეთო, დაბნეული შევხედავ და ხელეხს გავასავსავებ.

ისე, რას გადავეკიდე მაინცდამაინც ამ ექვსი წლის წინანდელს... მითხარით, გეთაყვა, ქართული ფეხბურთი თუნდაც ათი და თუნდაც ორი წლის წინანდელთან შედარებით წინ წავიდა? ნუ, ის ვიცი, რომ 2015-ის 12 აგვისტოს ევროპის სუპერთასი თბილისში გათამაშდება, მაგრამ ეგ რაღაც ქართული ფეხბურთის წინსვლა არ მგონია. ისიც ვიცი, რომ აქა-იქ ასაკობრივმა ნაკრებებმა იყოჩაღეს და ძალიან გამიხარდა. ამ გუნდების მოთამაშეების და მწვრთნელების შექების სურვილი გამიჩნდა, მაგრამ მომკალით და ჩვენს ფეხბურთში გლობალურ ცვლილებას მაინც ვერ ვხედავ.

და, ვფიქრობ, სწორედ აქ მივადექით ძალიან მნიშვნელოვან კითხვას: რას უნდა ვუნოდოთ ქართული ფეხბურთის წინსვლა? თუ მსოფლიოში მიმდინარე ამბებს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ სადაცაა საუკუნე გახდება, რაც დიდ სანაკრებო შეჯიბრებებში წარმატებას თითზე ჩამოსათვლელი გუნდები აღწევენ. აქედან გამომდინარე, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონობაზე მაინცდამაინც არ უნდა ვიფიქროთ. ფინალურ ეტაპზე მოხვედრა კი სხვა საქმეა. თუ ეს შევძელით, მართლა უნდა ვთქვათ წარმატებას მივალნიეთო. რაც შეეხება საკლუბო ფეხბურთს, აქაც იგივე სურათია — ევროტასებს მხოლოდ, ეგრეთ წოდებული დიდი კლუბები იგებენ, პატარები კი დიდ კომერციულ ორომტრიალში თითო კაპიკს მოწინააღმდეგე და თუ კარგი ფეხბურთელი აღზარდეს, იმათაც დიდ კლუბებს მიჰყიდნიან. გამოდის, რომ ჩვენთვისაც წარმატება ხსენებული შეჯიბრებების ჯგუფურ ეტაპზე ფეხის შედგმა იქნება.

და რჩება კიდევ ერთი რამ: ეროვნული ჩემპიონატი! ქვეყნები, რომელთაც თავიანთი ნაკრებები შიგადაშიგ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე გაჰყავთ, ხოლო კლუბებს აქა-იქ ევროლიგისა და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპებზე ათამაშებენ, თავიანთ შიდა ჩემპიონატებს ისე მაინც ატარებენ, სამეგრელოს სოფლებში ჩემი ბავშვობისდროინდელ ცოლიანებისა და უცოლოების შეჯიბრებებს რომ სჯობს. ჩვენ? თუმცა, თქვენ საიდან უნდა იცოდეთ ჩემს ბავშვობაში სამეგრელოს სოფლებში ცოლიანები და უცოლოები როგორ თამაშობდნენ.





## იბერიული გაბრწყინება

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ისტორიაში, ქართულმა კლუბებმა სათამაშო სახეობებში ბევრჯერ გაგვასარეს: ფეხბურთში, კალათბურთში, ხელბურთში, რაგბში, წყალბურთში...

წარმატება ჩვენთვის უცხო ხილი არ გახლდათ, მაგრამ დიდი საერთაშორისო წარმატებებით განებივრებული მაინც არ ვყოფილვართ.

ზუსტად 50 წლის წინ, თბილისის „დინამოს“ საკალათბურთო გუნდმა ჟენევაში ჩემპიონთა თასის ფინალში მადრიდის „რეალი“ დაამარცხა და ევროპის საკლუბო ჩემპიონი გახდა.

1981 წლის 13 მაისს ნოდარ ახალკაცის თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი ევროპის თასების მფლობელთა თასს დაეუფლა, 1982 წელს კი იგივე გათამაშების ნახევარფინალამდე მიაღწია.

ეს ყველაფერი ისეთი კაშკაშა ამბავი იყო, საბჭოური წყვილია დიკ რომ განათა. მაგრამ ეს იყო და ეს. მოჭიდავეები და მოჭადრაკეები მსოფლიოს მუდამ კვარცხლბეკიდან თუ გადმოჰყურებდნენ, სათამაშო სახეობების რა მოგახსენოთ, განსაკუთრებით, დამოუკიდებლობის პერიოდში. მეტიც, რეგრესი და უკუსვლა

აშკარა იყო. გაჭირვებამ, ფინანსურმა კრიზისმა და ათასმა სხვა პრობლემამ ქართული კლუბებისა და ნაკრებების გამოსვლას უარყოფითი კვალი დაატყო.

ამ კუთხით, 2012 წელი გამორჩეული აღმოჩნდა: ჯერ ვასილ მაისურაძის განვრთნილი 17-წლამდელთა საფეხბურთო ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ოთხ საუკეთესო გუნდს შორის მოხვდა.

შემოდგომაზე კი ფუტსალში საქართველოს ჩემპიონი, თბილისის „იბერია სტარი“ უეფას თასის (ფუტსალის ჩემპიონთა ლიგა) ოთხთა ფი-







**უეფას გადაწყვეტილებით, უეფას თასის ფინალურ ტურნირს 2013 წლის 27-29 აპრილს თბილისი უმასპინძლებს.**

ნალში გავიდა. ეს წარმატება, პირველ ყოვლისა, ახალგაზრდა ბიზნესმენის, „იბერია“ პრეზიდენტის, **ვასო წერეთლის** დამსახურებაა. წლების წინ ჩაფიქრებულ მიზანს წლეულს მიაღწია. ამაში 47 წლის ბრაზილიელი სპეციალისტი **სერჯიო ბენატი** დაეხმარა, რომელსაც გუნდი წლეულს, ზაფხულში ჩააბარა.

ბენატი 1989 წელს ჰოლანდიაში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებული და საუკეთესო ბომბარდირი გახდა, შემდეგ კი მწვრთნელადაც ივარგა — მისი განვრთნილი ბელგიური „მარლერუა“ 2005 წელს უეფას თასს დაეუფლა.

ბრაზილიელი სპეციალისტის დარიგებულმა „იბერია სტარმა“ უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე შესარჩევი ციკლის ორი შეხვედრა მოიგო, საფრანგეთის „სპორტინგთან“ (3:2) და ბერძნულ „ათინა 90“-თან (3:1), მასპინძლებთან, სლოვენურ „ლიტასთან“ დამარცხდა (1:2) და ელიტ რაუნდში თამაშის უფლება მეორეადგილოსნის სტატუსით მოიპოვა.

უეფას-ს თასის ელიტ-რაუნდის D ჯგუფის მატჩებს თბილისის სპორტის სასახლემ 11-დან 14 ოქტომბრამდე უმასპინძლა. საქართველოს ჩემპიონმა გაიბრწყინა: იტალიის ნაკრების საბაზო გუნდი „ლუპარენსე“ 6:1 გაანადგურა, უნგრულ „დიორ ეტოსთან“ ფრეს დასჯერდა (2:2), გადამწყვეტ შეხვედრაში კი ევროპის ფუტსალის გრანდი, ლისაბონის „ბენფიკა“ დაძაბულ ბრძოლაში 7:4 დაამარცხა და ევროპის საუკეთესო კლუბების ოთხთა ფინალში „სიკვდილის ჯგუფიდან“ გააღწია!

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ეს იყო საუკეთესო შედეგი, რომელიც რომელიმე კლუბს უჩვენებია. მართალია, ფუტსალი ჩვენთან არც ისე პოპულარული სახეობა იყო, მაგრამ „იბერიაში“ ის გულშემმატიკივარს უკვე შეაყვარა, უამრავი თანამდგომი შეიძინა და დიდი სიხარული მოგვანიჭა.

ფუტსალის უეფას თასის ელიტ-რაუნდის სხვა ჯგუფების გამარჯვებულები გახდნენ „ბარსელონა“ (A ჯგუფი), ალმატის „ყაირატი“ (B) და მოსკოვის „დინამო“ (C). ისინი „იბერია სტართან“ ერთად, ევროპის საკლუბო ჩემპიონის ბედს 2013 წლის აპრილში გაარკვევენ.

**მერაბ მამულაშვილი**



# IBERIAN SPARKLE

**THE INTERESTING** event occurred in the Georgian sport in the fall of 2012. Champion of Georgia in futsal “Iberia Star” managed to reach the final of fours of UEFA Futsal Cup (Champions’ League of Futsal). This success is largely the merit of young businessperson Vakhtang Tsereteli, who is president of “Iberia Star.” This year he achieved the goal nurtured for a long time. Brazilian specialist 47-year old Sergio Benatti who came to coach the team this summer helped Tsereteli to achieve the goal.

“Iberia Star” Tbilisi led by Benatti won two matches in the UEFA Futsal Cup qualifiers. They beat “Sporting” (France) 3:2 and “Atina-90” (Greece) 3:1 and lost 1:2 the game against the host team Slovenian “Litia” winning thereby the second place in the group and the right to play in the elite round Group D.

Tbilisi Sport Hall hosted matches of UEFA Futsal Cup elite round Group D during October 11-14. Georgia’s perennial champion Iberia Star shined in the match against “Luparense C/5” (Italy) and beat it 6:1. Then Iberia Star ended in a draw 2:2 the match with Hungarian Györi ETO FC, beat 7:4 SL Benfica, 2010-Cup winner, and reached the final stage to join the best four European teams.

That was the best result shown by any club in the history of independent Georgia. Futsal was not very popular in Georgia but what Iberia Star managed to do was that it made this sport lovable for Georgian fans. Futsal has gained numerous supporters and gave us a great joy.

**MERAB MAMULASHVILI**





ევროპის ჩემპიონატი  
ჩალინაზინსკი. 26-28 აპრილი

ვარლამ ლიპარტელიანი  
90 კგ — ოქრო

ლევან ჟორჟოლიანი  
100 კგ — ვერცხლი

ამირან პავინაშვილი  
60 კგ — ბრინჯაო

ლავა შავდათუაშვილი  
66 კგ — ბრინჯაო




ვარლამ ლიპარტელიანი



ლიპარტელიან-სულემინის ფინალი

# მესამე და სამართალი



მოხსნილი პაუზის შემდეგ, საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედლის გემო გაიხსენა. 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ვარლამ ლიპარტელიანმა საერთო ქართული მოლოდინი ხომ დააგვირგვინა, ერთი უსიამოვნო ტრადიციაც დაარღვია — ორი უშედეგო მცდელობის შემდეგ, ევროპირველობის გადამწყვეტი შეხვედრა სასურველი შედეგით დაასრულა. ჩელიაზინსკურ ჩემპიონატზე ქართველმა გულშემოტკივარმა ძველებურად საბრძოლოდ შემართული და უნაკლოდ მოჭიდავე ლიპარტელიანის დაბრუნებით გაიხარა.

„ევროპის ჩემპიონატს ოლიმპიური თამაშებისთვის მოსამზადებელი ციკლის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად მივიჩნევთ. გუნდმა ოპტიმალურ ფორმას აგვისტოში უნდა მიაღწიოს, მაგრამ წარმატებისთვის ბრძოლა ბიჭებს ამჟამინდელი კონდიციებითაც შეუძლიათ,“ — უთხრა ჩელიაზინსკურ ევროპირველობაზე გამგზავრების წინ ქართველ ჟურნალისტებს ნაკრების აესტრიელმა დამრიგებელმა პეტერ ზაიზენბახერმა.

14-კაციანი ქართული შემადგენლობის ნახევარზე მეტს მართლაც შეეტყო, რომ სასურველ კონდიციამდე ჯერ კიდევ აკლდა, მაგრამ ვარლამ ლიპარტელიანის შემთხვევაში ყველაფერი სხვაგვარად იყო. ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი, რომელმაც წინასაბჭურნიროდ ერთი შეკრება ზაიზენბახერის გარეშე, ბაკურინაში გაიარა, ფიზიკუ-

რი მზადყოფნითაც და ტაქტიკურადაც ამკარად გამორჩეული იყო ქართულ გუნდში.

ოქროს გზას ლიპარტელიანი ევროპირველობებზე ყველა სინჯის მედლის მომგროვებელი ესპანელის, დავიდ ალარზას ძლევით შეუყვია — მეტოქეს გაფრთხილებით გასცდა. ბრიტანელ ვინსტონ გორდონს მესამე წუთის დასაწყისში მოუშთავრა საქმე, აზერბაიჯანელ ტიმურ ალიხანოვს იუკო ილეთად აუღო, ხოლო ვაზარი შიდოებით, ფრანგი რომენ ბუფე კი ორწუთნახევარში დააიპონა. ლიპარტელიანმა ფინალში მასპინძელთა ჯილას, გრიგორი სულემინს ულამაზესი გდებით მოუგო. მარცხით გაბრაზებულმა და იმედგაცრუებულმა რუსმა ხელის ჩამორთმევაც არ ინება, თითქოს შედეგი უსამართლო ყოფილიყო.

ლიპარტელიანის გაჩემპიონებიდან ოციოდ წუთში, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლის უფლების მოპოვება ლევან ჟორჯოლიანსაც (100 კგ) შეეძლო, მაგრამ მიზნამდე ბოლო ნაბიჯი დააკლდა — ფინალში უბერებელ ებრაელთან, არიელ ზევეთან ვაზარზე წამოეგო, ჩამორჩენა ველაფრით აღმოფხვრა და ვერცხლის მედალი მოიპოვა. ამ შეხვედრამდე ჟორჯოლიანმა სამი მეტოქე ჩამოიშორა: პოლონელი რაფალ ფილეკი, ბელორუსი იაუჰენ ბიადულინი და გერმანელი დინო პფაიფერი.

არიელ ზევემა ჟორჯოლიანის ძლევამდე ძირითად ბადეში ირაკლი ცირეკიძის დამარცხებაც მოასწრო. ქართველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ევროპირველობამდე სამი თვე





ლომერ ჟორჟოლიანი



ამირან პაპინაშვილი



ლაშა შავდათუაშვილი

დისკვალიფიკაციის გამო ტატამს მიღმა გაატარა და რუსეთში ჩვეულად ჭიდაობა გაუჭირდა. ჩემპიონატი ისე ჩაამთავრა, ილეთი არ გაუკეთებია, მაგრამ ამის მიუხედავად, მინიმუმ ნახევარფინალში გასვლას მაინც იმსახურებდა. საუბარია სწორედ ზევეთან ჩატარებულ მეოთხედფინალურ შეხვედრაზე, რომელშიც ქართველმა ძირითად და განსაკუთრებით დამატებით დროში მეტოქეს აქტიურობით აშკარად აჯობა. დამატებით დროში მსაჯებმა ზევეი პასიურობის გამო შიდოთიც დასაჯეს, მაგრამ ჰანტიში სრულიად მოულოდნელად მისი კომონსფერი აღმები აღმართეს. რეპეშაჟის ნახევარფინალში გადართულმა ცირეკიძემ აზერბაიჯანელ ელმარ გასიმოვთან ორი იუკოთი წააგო და საბოლოოდ, მეშვიდე ადგილს დასჯერდა. ამ ორ მარცხამდე ქართველმა ძიუდოისტმა ლატვიელი იევეგენის ბოროდავკოს უილეთოდ (ორი შიდოთი) დამარცხება მოასწრო.

ევროპის ჩემპიონატი ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ბოლო ტურნირი იყო. ქართველებს შვიდი წონითი კატეგორიიდან ექვსში ლონდონის საგზური უკვე განაღებულნი ჰქონდათ. ერთადერთი სანერვიულო წონად 66 კილოგრამი რჩებოდა, რომელშიც ახალგაზრდა ლაშა შავდათუაშვილი მიზანთან ძალიან ახლოს იდგა.

ძიუდოისტმა, რომელიც ორწლიან სალიცენზიო მართობში ფინიშამდე ოთხი თვით ადრე ჩაერთო, წარმოუდგენელი რამ შეძლო — იმდენი ქულა დააგროვა, რომ ჩელიაბინსკში მიზნის მისაღწევად საწყისი ეტაპის გა-

დალახვა ჰყოფნიდა. ლაშამ კი ევროტატამზე ისე ყოჩაღად იჭიდავა, თავიდანვე ნათელი გახდა, არათუ ლიცენზიის, ჩემპიონატის მოგების ერთ-ერთი რეალური კანდიდატი იყო.

სომეხი არმენ ნაზარიანისა და უკრაინელი სერგეი დრეზოტის ძღვევის შემდეგ, მეოთხედფინალში, მსოფლიო რეიტინგის მეორეადგილოსანთან, რუს ალიმ გადანოვთან გაფრთხილებებით წააგო, მაგრამ მარცხის რეალური მიზეზი არა გადანოვის უპირატესობა, არამედ ტატამის მსაჯის არაობიექტური გადაწყვეტილებები აღმოჩნდა.

დამამშვიდებელ ეტაპზე შავდათუაშვილმა ესპანელი სუგოი ურიარტე და ფრანგი დავიდ ლაროში დაამარცხა და უფროსთა ნაკრებში ევროდებიუტი ბრინჯაოთი აღნიშნა.

ბრინჯაოს მედლით მოიარა ევროპირველობა ამირან პაპინაშვილმაც (60 კგ), რომელმაც ოქრო-ვერცხლის შანსი ნახევარფინალში დაკარგა, რუს ბესლან მუდრანოვთან წაგებით. იქამდე პაპინაშვილმა სლოვენელი მატიაჟ ტრბოვჩი, ებრაელი არტიომ არშანსკი და ჰოლანდიელი ხეროენ მუურენი იპონ-იპონ ჩამოიცილა. რეპეშაჟის ფინალში კი ტიტულიანი ავსტრიელი ლუდვიგ პაიშერი წმინდადვე დაამარცხა.

ინდივიდუალური პირველობის შედეგებით შედგენილ საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრები მხოლოდ რუსეთს ჩამორჩა, თუმცა ოფიციალური გუნდური ევროპირველობა ჯერ კიდევ წინ იყო.

ოთარ მაღლაკელიძე



საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი პეტერ ზაიზენბახერი



# LIPARTELIANI'S THIRD AND SUCCESSFUL ATTEMPT

**EUROPEAN CHAMPIONSHIP  
CHELYABINSK, APRIL 26-28, 2012**

**VARLAM LIPARTELIANI (90 kg) – gold  
LEVAN ZHORZHOLIANI (100 kg) – silver  
AMIRAN PAPINASHVILI (60kg) – bronze  
LASHA SHAVDATUASHVILI (66 kg) – bronze**

Georgian national Judo team has remembered the taste of gold medal after a four-year long pause. Varlam Liparteliani (90 kg) crowned the Georgians' expectations by winning the gold medal and thereby broke the unpleasant tradition which followed him for the past years. He won the gold medal of the European championship after the two repeated unsuccessful attempts before. The Georgian fans at the European championship saw Liparteliani in his habitual shape and with competitive spirit.

On his way to the gold medal Liparteliani first beat David Alarza, winner of all prizes of European championships, and then defeated British Winston Gordon for three minutes. Yuko and Vasari were enough for Varlam to beat Timur Alikhanov from Azerbaijan and it took

him two, 5 minutes to beat the Roman Buffe (France) by Ippon. Varlam beat the Russian team's favorite Grigori Suleiman with a spectacular throw in the final duel.

another Georgian entrant Levan Zhorzholiani (100 kg) could also climb to the highest step of the pedestal like Liparteliani and he was a step away from the gold medal. However, Levan lost the final duel against Ariel Zeev (Israel) who won Vasari at the beginning and Levan could not make up the gap during the whole duel, which left him with silver medal. Zhorzholiani beat Rafael Filek (Poland), lauhien Biadulin (Belarus) and Dino Pfeiffer (Germany) on his way to the final.

This European championship was the tournament giving licenses to the forthcoming Olympic Games. The Georgians had guaranteed tickets to London Olympics in the six weight categories out of seven. Only 66 kg weight category remained a subject of concern. The young Georgian judoka Lasha Shavdatuashvili was very close to the purpose. He engaged in the two-year marathon for Olympic license just four month before the finish and accomplished what seemed unbelievable for many. He scored the number of points, which were enough to get the Olympic license even in case of winning the first stage at the European championship in Chelyabinsk. Lasha overdid and marked his debut at the European arena by bronze medal. Amiran Papinashvili (60 kg) also became bronze medalist.

In the team competition based on the results of individuals Georgian national team was the runner-up after the winner Russia. However, the official team competition of Europe was ahead and Georgian team stood a chance to win.

**OTAR MAGLAKELIDZE**



ევროპის გუნდური ჩემპიონატი  
ჩელიაბინსკი. 29 აპრილი

**საქართველოს ნაკრები  
ოქრო**

ლაშა შავდათუაშვილი – 66 კგ  
ზებედა რეხვიაშვილი – 73 კგ  
ნუგზარ ტატალაშვილი – 73 კგ  
ავთანდილ ჭრიკიშვილი – 81 კგ  
ზურაბ ზვიადაური – 90 კგ  
ვარლამ ლიპარტელიანი – 90 კგ  
ზვიად ხანჯალიაშვილი – +90 კგ  
ადამ ოქრუაშვილი – +90 კგ

## საქართველოს ჰიზნის თანხლებით





ევროპის ჩელიაბინსკური  
გუნდური პირველობა  
საპარტიველოს ნაკრების  
გაჩემპიონებით დაპირისპირდა.  
ფინალში პეტარ ზაიზენბახარის  
გუნდმა გადაჭედო  
ტრიუმფის მხარდაჭერით  
დაგუნდური მასპინძელი  
რუსეთის ნაკრები დაამარცხა.



ტურნირში კონტინენტის რვა გამორჩეული გუნდი ჩაერთო. შესაბამისად, შეჯიბრება პირდაპირ მეოთხედფინალებით დაიწყო. ქართულ ხუთეულს (გუნდური პირველობა 5 ნონით კატეგორიაში ტარდება) პირველ მეტოქედ თურქეთი ერგო და შეხვედრა 5:0 დასრულდა. ქულები ლაშა შავდათუაშვილი (66 კგ), ზებედა რეხვიაშვილი (73 კგ), ავთანდილ ჭრიკიშვილი (81 კგ), ზურაბ ზვიადაური (90 კგ) და ზვიად ხანჯალიაშვილი (+90 კგ) აიღეს.

ნახევარფინალში, საფრანგეთის წინააღმდეგ საბრძოლველად ზაიზენბახარმა შემადგენლობაში სამი ცვლილება განახორციელა. რეხვიაშვილი ნუგზარ ტატალაშვილით ჩაანაცვლა, ზვიადაური — ვარლამ ლიპარტელიანით, ხოლო ხანჯალიაშვილი — ადამ ოქრუაშვილით. სამივე სიახლემ გაამართლა. ტატალაშვილმა ჟილ ბონომეს ორი გაფრთხილებით მიღებული იუკოთი აჯობა, ლიპარტელიანმა ივ მეთიუ დაფრევილი დააიპონა, ხოლო ოქრუაშვილმა კირილ მარე გააკრა ბეჭებზე. შავდათუაშვილი დიმიტრი დრაგინთან მტკივნეულ ილეთზე მოჰყვა, ჭრიკიშვილმა კი ლუის პიტრისთან ვაზარ-იუკოთი წააგო. რუსებმა ფინალამდე ბრიტანელები და პოლონელები ჩამოიშორეს.

ფინალში შავდათუაშვილი შალვა ქარდავამ შეცვალა, მაგრამ გამოცდილ მუსა მოგუშოვთან ვერაფერს გახდა. ამ უკანასკნელმა ვაზარით იმარჯვა და მასპინძლები 1:0 დაწინაურდნენ. ნუგზარ ტატალაშვილმა ბათრაზ კაიტმაზოვისთვის შესრულებული ულამაზესი წმინდა გდებით ანგარიში გაათანაბრა. ჭრიკიშვილმა არსენ შმახოვს შეხვედრის ბოლო ნუთზე მოპოვებული იუკოთი აჯობა და ჩემპიონობის უპირობო ფავორიტი უკვე საქართველოს ნაკრები გახდა. ტატალაშვილმა ევროპის ჩემპიონი ვარლამ ლიპარტელიანი უნდა გამოსულიყო, კირილ ვოპროსოვის წინააღმდეგ.

ქართულმა გუნდმა ჩემპიონის ტიტული სწორედ 90-კილოგრამიანთა დაპირისპირებაში მოიპოვა. ლიპარტელიანმა ჩელიაბინსკის დარბაზში შეკრებილ მაყურებლებს მორიგი ეფექტური იპონი ანახა, რითაც ადამ ოქრუაშვილისა და მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონ ალექსანდრ

მიხაილინის დაპირისპირებას აზრი დაუკარგა. შეხვედრა რუსმა ვარსკვლავმა შებოჭვით მოიგო. ევროპის გუნდური პირველობა კი საქართველოს ჰიმნით დაგვირგვინდა. 2002 წლიდან მოყოლებული ქართველმა დიუდოსტებმა მეხუთედ მოიპოვეს ევროპის გუნდური ჩემპიონის ტიტული.

მთარ მაღლაკალიძე







# WITH GEORGIAN ANTHEM

EUROPEAN TEAM CHAMPIONSHIP  
CHELYABINSK, APRIL 29, 2012

GEORGIAN TEAM – GOLD

THE TEAM competition of the Judo European championship in Chelyabinsk (Russia) ended with the victory of the Georgian national team coached by Peter Seisenbacher. The Georgian judokas defeated the host Russian team despite a fervent support of fans from the crowded tribunes.

The tournament with eight strongest teams of Europe started right from the quarterfinals. Turkey was the first rival of the five-strong Georgian team (team competition is held in the five weight categories) and Georgian team convincingly won 5:0 the contest. Lasha Shavdatuashvili (66kg), Zebeda Rekhviashvili (73kg), Avtandnil Chrikishvili (81kg), Zurab Zviadauri (90kg) and Zviad Khanjaliashvili (+90kg) earned victorious points.

Georgia faced France in semifinal and Peter Seisenbacher made three substitutions in the team. He substituted Rekhviashvili for Nugzar Tatalashvili, Zviadauri for Varlam Liparteliani and Khanjaliashvili for Adam Okruashvili.

All substitutes proved to be justified. Tatalashvili defeated Jill Bonome by Yuko, Liparteliani beat Ivo Matthew by Ippon and Okruashvili won over Kiril Mare. Shavdatuashvili lost to Dmitri Dragin and Chrikishvili lost to Luis Pietre by conceding Yuko and Vasari. The Russians defeated British and Polish teams on the way to the final.

Shavdatuashvili was substituted for Shalva Kardava in the final contest. The latter, however, could not compete as equal the experienced Musa Mogushkov who won the duel by Vasari and the hosts advanced 1:0. Nugzar Tatalashvili beat Batraz Kaitmazov by Ippon and equalized the score. Chrikishvili beat Arsen Pshmakhov by Yuko won at the very last minute of the duel. Varlam Liparteliani beat Kiril Voprosov and the Georgian team became winner. Since 2002, Georgian national team won European team championship for the fifth time.

OTAR MAGLAKELIDZE



მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი  
სალვადორ დე ბაია, ბრაზილია  
28 ოქტომბერი

საქართველოს ნაკრები  
ბრინჯაო

შალვა ქარდავა – 66 კგ  
ზებედა რეხვიაშვილი – 73 კგ  
ნუგზარ ტატალაშვილი – 73 კგ  
ავთანდილ ჭრიკიშვილი – 81 კგ  
ვარლამ ლიპარტელიანი – 90 კგ  
ლევან მარტიაშვილი – +90 კგ

## ბრინჯაოს დაბრუნება





საქართველოს ძიუდოსტთა ნაკრების ავსტრიელ მთავარ მწვრთნელს, პიტერ ზაიზენბახერს საქართველოს ძიუდოს ფედერაციასთან გაფორმებული კონტრაქტის ვადა ლონდონის ოლიმპიური თამაშებით ამოწურა და თანამდებობაც ისე დატოვა, ახალი ხელშეკრულების გაფორმებაზე არც ერთ მხარეს არ დასცდენია სიტყვა. ნაკრები უმწვრთნელოდ დარჩა. ძიუდოს ფედერაცია კი უპრეზიდენტოდ. გიორგი ალექსიძემ თანამდებობა საკუთარი ინიციატივით დატოვა.

წინასწარი ინფორმაციით, ზაიზენბახერის შემცვლელი 5 ოქტომბრისთვის დაინიშნული საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის შემდეგ, ფედერაციის ახალ პრეზიდენტს უნ-

მოცდა კი მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი იქნება, 28 ოქტომბერს, ბრაზილიის ქალაქ სალვადორ დე ბაიაში, — განაცხადა ირაკლი ცირეკიძემ ნაკრების თავკაცად დასახელებიდან რამდენიმე წუთში.

მწვრთნელთა ახალმა გუნდმა ნაკრების კანდიდატებს სავარჯიშოდ დიღმის აკადემიაში უხმო, მაგრამ სრული საბრძოლო შემადგენლობის შემოკრება ვერაფრით მოხერხდა. ტრავმების, პირადი პრობლემების თუ ერთობლივი წვრთნების იგნორირების გამო ჯერ ვარჯიშებს, შემდეგ კი ბრაზილისთვის შევსებულ განაცხადს ლაშა შავდათუაშვილი, ბეთქილ შუკვანი, ამბაკო ავალიანი, ლევან ნიკლაური, ზვიად ხანჯალი-

ტელიანი (+90 კგ) და ლევან მარტიაშვილი (+90 კგ) მოიგეს.

ოქრო-ვერცხლის შანსი ცირეკიძის გუნდმა მეოთხედფინალში, იაპონიასთან მარცხით დაკარგა და ამ ბრძოლაში გადამწყვეტი სწორედ მძიმეწონოსანთა დაპირისპირება აღმოჩნდა. მარტიაშვილი გამოცდილ მეტოქესთან — დაიკი კამიკავასთან ვერას გახდა და იაპონელებმა 3:2 მოიგეს. მძიმეწონოსანთა დაჭიდებამდე ქარდავა და ჭრიკიშვილი გაცილებით დაბალრეიტინგიან მასააკი ფუკუოკასთან და კეიტა ნაგამიმასთან დამარცხდნენ. ნუგზარ ტატალაშვილი (+73 კგ) ბრწყინვალე იპონით სძლია მსოფლიოს პრიზიორ იასუჰირო ავანოს, ხოლო ლიპარტელიანი ასევე იპონით სძლია მასაში ნიშიამას.

რეპეშაჟში გადართული ქართული გუნდი კუბას დაუპირისპირდა და ამ შეხვედრის ბედი პირველმა სამმა წონამ გადაწყვიტა. ქარდავამ, რეხვიაშვილმა და ჭრიკიშვილმა გუნდს „ბრინჯაოს ფინალი“ გაუნაღდეს. ძნელი სათქმელია, უმოტივაციოდ დარჩენის ბრალი იყო თუ სხვა რამე მიზეზის, დარჩენილ ორ წონაში ქართველებმა იპონებით წააგეს. ლიპარტელიანი ემლი გონზალესთან დავარდა ბეჭებზე, მარტიაშვილი კი ხოსე არმენტეროსმა შებოჭა.

მესამე ადგილისთვის, სამხრეთ კორეასთან ბრძოლაში ქარდავამ ბო-ბაე ჰვანგს ორი შიდოთი აჯობა, ტატალაშვილი დონგიუ სეუსთან იპონზე დავარდა, ჭრიკიშვილმა მეტოქის ტრავმის გამო უბრძოლველად აილო ქულა, ხოლო გადამწყვეტი გამარჯვება საქართველოს ნაკრებს ლიპარტელიანი მოუტანა, რომელმაც დონგ ჰან კვაკი მსაჯს ორ წუთში ოთხჯერ გააფრთხილებინა. მარტიაშვილმა გუამ ჩოს ძლევიტ ანგარიში 4:1 გახადა. ქართველი მძიმეწონოსანი ვაზარ-იუკოს აგებდა, როდესაც აზიელი ფეხში შევიდა და მოხსნეს.

დასასრულ, ისევ ირაკლი ცირეკიძის კომენტარი, ამჯერად უკვე ტურნირის შემდგომი: „ეს ჩემი სადებიუტო შეჯიბრება იყო მწვრთნელის რანში და ვფიქრობ, უკმაყოფილო არ უნდა ვიყო. მთელმა გუნდმა საკმაოდ კარგად იჭიდავა და პატარა ხარვეზები რომ არა, უკეთესი სინჯის მედლის მოპოვებაც შეიძლებოდა“.

#### მთარ მაღლაკალიძე



და დაესახელებინა, მაგრამ ამ საკითხს ოფიციალური წერტილი არჩვენებამდე თითქმის ერთი თვით ადრე დაესვა. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ან უკვე ყოფილმა მინისტრმა და ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა დავით ხახალეიშვილმა საზოგადოებას ნაკრების ახალი თავკაცი, ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე წარუდგინეს. მან კი ასისტენტებად ლაშა გუჯეჯიანი და გიორგი ვაზაგაშვილი დაასახელა.

„ეს უკვე ნიშნავს, რომ აქტიური სპორტული კარიერა საბოლოოდ დავასრულე და ახალ ამბლუაში გადავინაცვლე. მწვრთნელობაზე ფიქრი დიდი ხნის წინ დავიწყე, ხოლო მას შემდეგ, რაც ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობა გათავისუფლდა, თვითონ მივმართე ინიციატივით ძიუდოს ფედერაციას და სპორტის სამინისტროს. მათგან ნდობა მივიღე და მზად ვარ, ახალ სირთულეს შევეჭიდო. პირველი გა-

აშვილი და ადამ ოქრუაშვილი დააკლდნენ. შემადგენლობის დაკომპლექტებისას, ცირეკიძემ ყველაზე სარისკო გადაწყვეტილება მძიმე წონაში მიიღო, სადაც სიაში ლევან მატიაშვილი შეიყვანა. ახალგაზრდებს შორის ევროპის მოქმედ ჩემპიონს უფროსებში ამ რანგის შეჯიბრებაზე იქამდე არასოდეს ეჭიდავა.

ინდივიდუალური პირველობებისგან განსხვავებით, გუნდურში შვიდის ნაცვლად მხოლოდ ხუთ წონით კატეგორიაში ტარდება შეხვედრები: 66, 73, 81, 90 და +90 კილოგრამებში. გამარჯვებული ნაკრები სწორედ ამ ხუთი წონის დაპირისპირების საერთო შედეგით ვლინდება.

ქართულმა ხუთეულმა ჩემპიონატი მერვედფინალით გახსნა, სადაც ბრიტანეთის ნაკრები უპრობლემოდ დაჩაგრა — 5:0. თავიანთი შეხვედრები შალვა ქარდავამ (66 კგ), ზებედა რეხვიაშვილმა (73 კგ), ავთანდილ ჭრიკიშვილმა (81 კგ), ვარლამ ლიპარ-



ოლიმპიური წალი იყო და  
ქიუდოს საერთაშორისო  
ფედერაციამ სატურნირო  
კალენდარს, ზედმეტი  
გადატვირთვისგან თავის  
არიღების მიზნით, რამდენიმე  
მნიშვნელოვანი ტურნირი  
მოაკლო. მათ შორის, მსოფლიოს  
ასაკობრივი ჩემპიონატებიც.  
შესაბამისად, ჭაბუკებსა და  
ახალგაზრდებს სეზონის  
შეთავრეს შეჯიბრებად  
ევროპირველობა შერჩათ.



ლევან მატიაშვილი



კობა მჭედლიშვილი



ერეკლე არხოზაშვილი

# 13 მედალი ევროტატამიდან

ჭაბუკებს შორის კონტინენტის ჩემპიონ-პრიზიორები 22-24 ივნისს, მონტენეგროს ქალაქ ბარიში გამოვლინდნენ. ახალგაზრდები კი ხორვატიის ქალაქ პორეჩში გავიდნენ ევროტატამზე.

ჭაბუკთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გია თენაძემ მონტენეგროში ვაჟთა გუნდი თითქმის სრული შემადგენლობით იახლა. თითოეულ წონაში ორ-ორი სპორტსმენის დაყენება შეეძლო და ეს ქვოტა ყველა წონაში გამოიყენა, 66 კილოგრამის გარდა, სადაც არჩევანი მხოლოდ ბაჩანა ბოლქვაძეზე შეაჩერა. მანაც, იმედი არ გაუცრუა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ეს ევროპირველობის მეორე დღეს მოხდა. იქამდე კი, პირველი დღე ბარის ტატამზე ქართული სცენარით ჩაჭიდებდა — მედლები სამ წონით კატეგორიაში გათამაშდა და სამივეს ფინალში ჩვენებურმა იჭიდავა.

50 კილოგრამში ჩემპიონის ტიტული ერეკლე არხოზაშვილმა მოიპოვა, რომელმაც ფინალის გზაზე, ოთხი მეტოქიდან სამი: სლოვაკი მარტინ მაიერი, იტალიელი ანგელო პანტანო და აზერბაიჯანელი ელნურ აბასოვი იპონებით დაამარცხა. რუსეთის სახელით მოჭიდავე პაულაკ გალიიანს ვაზარით აჯობა. გადამწყვეტ შეხვედრაში კი გერმანელ მორიტი პლაფკის ორ წუთში მოუმთავრა საქმე.

მეორე ოქრო საქართველოს ნაკრებს კობა მჭედლიშვილმა (60 კგ) მოუტანა. ფინალში ბელორუს დმიტრი მინკუსთან ვაზარიუკოს აგებდა და მეტოქეს იპონი შეუსრულა. ფინალამდე კი ფრანგი ჟოლან ფლორიმონი და რუსი მანუჩარ კოდირი იუკოებით, ხოლო შვედი ჟოელ მანკოვიჩი და სერბი მარკო გრანდინი წმინდად ჩამოცილა.

თენაძის გუნდს პირველ დღეს, ოქროს სრული კომპლექტის შესაკრავად ბექა ნათათრალიშვილის ერთადერთი მოგება დააკლდა. 55 კილოგრამში მოჭიდავე ქართველი ჭაბუკი საჩემპიონო ბრძოლაში ბელორუს ილხან ბაბაზადასთან დამარცხდა და ვერცხლს დასჯერდა. ამ შეხვედრამდე ნათათრალიშვილმა ჰოლანდიელი გლენ კოპერის, სერბი მილან ბუნჩიჩის, ფრანგი დაიკი ბოუბასა და გერმანელი დევენ ვალდენბურგის იოლად ძლევა მოასწრო. ამავე წონაში კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე გიორგი კაციაშვილი ავიდა. საჩემპიონო ბრძოლას ისიც ბაბაზადამ ჩამოაცილა, მეოთხედფინალში.

ნაკრებს ბოლო — მეექვსე მედალი დავით რამაზაშვილმა (90 კგ) მოუტანა. ესტონელი ევგენი კუზნეცოვის, უკრაინის სახელით მოჭიდავე ნოდარ ლაბაძის, რუსეთის ნაკრების ნევერ შოთა ვანიევისა და რუმინელი ლონუტ ვასიანის იპონ-იპონ ძლევის შემდეგ, რამაზაშვილი ფინალში გავიდა. ევროპის ჩემპიონობამდე კი მხოლოდ კარენ პალიანის (რუსეთი) დამარცხება დააკლდა. სწორედ პალიანმა მოუგო ამავე წონაში მოჭიდავე მეორე ქართველს — გიორგი გველესიანს. ეს შეხვედრა პირველ წრეში შედგა და გველესიანი ტურნირს უმაღლესად გამოეთიშა.

ქართველი ძიუდოისტი ევროსამეულში 81 კილოგრამ წონით კატეგორიაშიც შევიდა, ოღონდ სანდრო მაქაცარიას ბრინჯაო გერმანელთა აქტივში ჩაინერა. სწორედ მაქაცარიამ დაასრულებინა ჩემპიონატი საქართველოს ნაკრების ორივე წევრს — ნიკოლოზ შერაზადაშვილს მერვედფინალში, ხოლო ნიკა მოველიძეს რეპეშაჟის ფინალში.

ჭაბუკებმა ევროპირველობა სამივე სინჯის ორ-ორი მედლით და გუნდური მეორე ადგილით დაასრულეს.

ახალგაზრდებმა ევროტატამიდან ჭაბუკებზე ერთით მეტი მედალი გამოიტანეს, მაგრამ ხარისხობრივად უმცროსებს ვერ აჯობეს. პორეჩის დარბაზში საქართველოს ჰიმნი ერთადერთხელ აუღერდა, მას შემდეგ, რაც ლევან მატიაშვილი (+100 კგ) გაჩემპიონდა. ევროპის შარშანდელი ახალგაზრდული ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა მიმეწონოსანმა ამჯერად გაცილებით დამაჯერებლად იჭიდავა.

ოქროს გზას მატიაშვილი ესტონელი ჰენრიხ სილდვეერის ვაზარით ძლევით შეუყვია. თურქი სემიზ ადიამანი სამ წუთში ორჯერ დასცა ვაზარზე, რუს პეტრ კაკოვიკინს უქულო ძირითადი და ოქროს დროის შემდეგ პანტივით აჯობა. ნახევარფინალსა და ფინალში კი უკრაინელი მეტოქეები დაამწუხრა — ანდრეი კოლესნიკი ვაზარით, ხოლო მიკიტა დიბრინი — იპონით. გადამწყვეტ შეხვედრაში მატიაშვილმა მესამე წუთის მიწურულს მონინალმდეგეს იუკო აუღო და იქვე შებოჭა.

ლევან მატიაშვილამდე ხორვატიული ევროპირველობის ფინალში გია გუგავას გუნდის ოთხმა წევრმა იჭიდავა: ლერი ტელიძემ (55 კგ), ვაჟა მარგველაშვილმა (60 კგ), ფრიდრიხ გიგანმა (73 კგ) და ბექა ღვინიაშვილმა (81 კგ), მაგრამ გადამწყვეტი გამარჯვების მოპოვება ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო. ლევან გუგავამ (73 კგ) და გურამ თუშიშვილმა (100 კგ) კი საერთო ქართულ მონაგარს ბრინჯაოები შემატეს.

ოთარ მაღლაკელიძე



# ჭაბუკური სიუხვე

“ახალგაზრდული ნაკრების შენებას თავიდან ვინყებთ. ასაკობრივი ზღვარი გუნდის თითქმის ყველა ტიტულოვანმა წევრმა გადალახა. ახლა მათ ადგილებს შედარებით გამოუცდელი სპორტსმენები დაიკავებენ და დიდი ალბათობით, ეს სანყის ეტაპზე შედეგიანობაზეც აისახება, მაგრამ საგანგაშო არაფერია. ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია” — ეს კომენტარი საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ნუგზარ სხირელმა ჯერ კიდევ შარშანდელი ზეკვირეული სეზონის შეჯამებისას გააკეთა. 2011 წელი სხირელის გუნდისთვის საოცრად წარმატებული იყო — 4 ოქროს, 3 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში.



ბამოცდელი სპეციალისტის პროგნოზი გამართლდა — წლეულს ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე ახალმა თაობამ, ძველთან შედარებით, მოკრძალებული შედეგი აჩვენა. ახალგაზრდულმა ნაკრებმა სეზონი ოქროს გარეშე ჩამთავრა. ევროხალიჩიდან სხირელის გუნდმა სულაც, ერთადერთი ბრინჯაო გამოიტანა, მაგრამ სულ რაღაც თვენახევარში, გაცილებით ძლიერ შეჯიბრებაზე — მსოფლიოს ჩემპიონატზე კვარცხლბეკზე სხირელის ათეულის ოთხი წევრი ავიდა.

ევროპირველობაზე თავი მხოლოდ ჯუმბერ ყველაშვილმა (74 კგ) ისახელა — ბრინჯაოს მედლით. მერე კი, მსოფლიოზეც იმავე სინჯის მედალი მოიპოვა.

ტაილანდში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართული გუნდიდან ყველაზე შედეგიანად ლაშა ტალახაძემ (55 კგ) და კონსტანტინე ხაბალაშვილმა (66 კგ) იჭიდავეს — ორივე ფინალში გავიდა, მაგრამ უმაღლეს ტიტულამდე თითო ნახევრი დააკლდათ. მძიმე-

წონოსანმა გენო პეტრიაშვილმა კი ევროპის შარშანდელი პირველობის ბრინჯაოს ამჯერად მსოფლიოს ბრინჯაო მიამატა.

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდულმა ნაკრებმაც ოქროს გარეშე მოიარა სეზონის უმთავრესი ტურნირები. ვლადიმერ ადიეშვილის შეგირდების ანგარიშზე სამ-სამი ვერცხლი და ბრინჯაო მოდის. ყველაზე სტაბილურად ირაკლი ქაჯაია (96 კგ) გამოვიდა, რომელმაც ბრინჯაოს დუბლი შეასრულა. წონითი კატეგორიების მიხედვით კი საუკეთესო შედეგი მძიმე წონას ჰქონდა. ლევან არაბულმა ევროპის ჩემპიონატის ფინალში გააღწია და დამარცხდა, შოთა გოგისვანიძემ კი მსოფლიოს პირველობაზე გამოიმუშავა ვერცხლი. გოგისვანიძის გარდა, მსოფლიოს უმაღლეს ტიტულამდე ერთი მოგება დააკლდა თორნიკე ძამაშვილს (74 კგ), ხოლო რობერტ ქობლაშვილმა (84 კგ) ნაკრების საერთო მონაგარს თავისი წილი ბრინჯაო ევროხალიჩიდან შემატა.

გაცილებით შთაბეჭდავია ჭაბუკთა წლიური მონაგარი. განსაკუთრებით საამაყო ბერძენ-რომაელების გარჯაა. ვაჟა კრავეიშვილის გუნდმა ევროპირველობაზე ორი ოქრო და ერთი ბრინჯაო გამოიმუშავა. კატეგორიებში ჩატარებული პირველობა ნაუგებლად რამაზ ზოიძემ (46 კგ) და ირაკლი შავაძემ (50 კგ) ჩამთავრეს. ნიკა გავაშელი (76 კგ) კი მესამე ადგილს დასჯერდა. ზოიძე ოქროს დუბლსაც მიუახლოვდა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში დამარცხდა. არადა, იგი ბაქოს ხალიჩაზე მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის რანგში გავიდა, ოღონდ შარშან წარმატებას უმსუბუქეს წონაში — 42 კილოგრამში მიაღწია.

ზოიძის გარდა აზერბაიჯანში, მსოფლიოს პირველობის ფინალში კიდევ ოთხმა ქართველმა იჭიდავა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნახევარი გუნდი ფინალში გავიდა, მაგრამ გადამწყვეტი შეხვედრის მოგება კი ვერც ერთმა ქართველმა სპორტსმენმა ვერ შეძლო. ზოიძის გარდა ვერცხლის მედლებით საქართველოში გენადი ჩიტაძე (42 კგ), ბაკურ გოგოლი (54 კგ), გელა ბოლქვაძე (63 კგ) და ბექა კანდელაკი (100 კგ) დაბრუნდნენ. ნიკა გავაშელმა კი ევროპულ ბრინჯაოს მსოფლიოსაც მიამატა. ევროპირველობაზე კრავეიშვილის ათეულმა საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე 6 ოქროს მომგებ აზერბაიჯანს ჩამორჩა.

თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკთაგან სეზონი ოქროთი მხოლოდ ომარ გურჯიძემ (69 კგ) ჩამთავრა. მან აზერბაიჯანულ მსოფლიოს ჩემპიონატზე იმარჯვა. იქამდე კი ევროპული ბრინჯაოს მოპოვებაც მოასწრო, თან ზედიზედ მეორედ. შარშან გურჯიძე პრიზიორი ერთი წონითი კატეგორიით დაბლა — 63 კილოგრამში გახდა. წლეულს ამავე წონაში ტარზან მაისურაძემ ევროკონკურენციაში დაიკავა მესამე ადგილი. 100 კილოგრამში ანალოგიური შედეგი ბექა კახეთელიძემ აჩვენა.

ოთარ მაღლაკელიძე

## ომარ გურჯიძე





ევროპის ჩემპიონატი  
ბელგრადი. 6-9 მარტი

დავით მარსაგიშვილი  
84 კგ – ოქრო

ბესიკ გუჩაშვილი  
55 კგ – ვერცხლი

დავით სუციშვილი  
74 კგ – ვერცხლი

მალხაზ ზარქუა  
60 კგ – ბრინჯაო

დავით მოქანაშვილი  
120 კგ – ბრინჯაო




დავით მარსაგიშვილი

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა 2012 წლის ევროპირველობა, რომელსაც ბელგრადში უმასპინძლა, საქართველოს ჰიმნით, ოლონდ ორგანიზატორთა შეცდომის გამო, ძველი ჰიმნით დაგვირგვინდა. 84 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე დავით მარსაგიშვილმა კონტინენტის უძლიერესი მოჭიდავის ნოდება ისე დამაჯერებლად მოიპოვა, ჩასაფრებულ კრიტიკოსებსაც კი არაფერი დაუტოვა სათქმელი. არადა, სპორტში და მით უმეტეს, ჭიდაობაში ჩემპიონობა ყოველთვის ყველაზე ძლიერს რომ არ ნიშნავს, ხშირად გვინახავს. თუნდაც 2011 წლის ევროპირველობაზე, როდესაც იმავე მარსაგიშვილს უკვე მოპოვებული ოქროს მედალი უცერემონიოდ ჩამოსხნეს.

მაშინ ქართველის მეტოქე რუსეთის ნაკრების ნეერი ანზორ ურიშვეი იყო და როდესაც წილისყრამ ისინი ბელგრადშიც სატურნირო ბადის სხვადასხვა მხარეს განთესა, სპეციალისტებიც და გულშემმატკივრებიც მოსალოდნელ ქართულ-რუსულ ფინალზე და რევანშზე ალაპარაკდნენ.

მალხაზ ზარქუა




მარსაგიშვილმა გადამწყვეტ ბრძოლამდე ოთხი ბარიერი დაძლია. მაკედონიელი დეიან ბოგდანოვი, ესპანეთის სახელით მოჭიდავე ბორის ანდონოვი, რუმინელი გეორგიტა შტეფანი და თურქი სერდარ ბოკე ორ-ორ პერიოდში დაჩაგრა.

მარსაგიშვილ-ურშიშვილის დაანონსებული ფინალი არ შედგა. მსოფლიოს 2010 წლის ბულგარელმა ჩემპიონმა მიხაილ პეტროვ-განეევმა ურიშვეი მეოთხედფინალში ჩატოვა და მოგვიანებით თავად გავიდა ფინალში.

მარსაგიშვილმა გამოცდილ მეტოქესაც პერიოდდაუკარგავად მოუშთაფრა საქმე, ოლონდ თუ სხვებს იღეთებით აუზნია თავგზა, განევიტან გაცილებით ფრთხილი ტაქტიკა აირჩია და ორივე ორნუთეულში თითო ქულა იკმარა.

ბესიკ გუჩაშვილსა (55 კგ) და დავით სუციშვილს (74 კგ) ოქრომდე თითო ნაბიჯი დააკლდათ. გუჩაშვილმა ევროპული ფინალი უკვე მეორედ წააგო. პირველად ოქროს შანსი ხელიდან 2009 წელს გაუშვა. ამჯერად წინ ევროპის

დავით სუციშვილი



# ქართული ოქროს გვირგვინი





მოქმედი ჩემპიონი, რუსთის ნაკრების წევრი ჯამალ ოთარსულთანოვი გადაელობა (ცნობისთვის, 2011 წლის ფინალში ვლადიმერ ხინჩეგაშვილიც სწორედ ოთარსულთანოვთან დამარცხდა). ფინალამდე გუჩაშვილმა ოთხი მეტოქე ჩამოიშორა: ლიტველი შარუნას ჟურკისი, თურქი აჰმედ პეკერი, უკრაინელი იგორ ხავალჯი და მოლდოველი ალექსანდრე ჩირტუაკა.

დავით ხუციშვილმა საფინალო გზაზე თურქ სონერ დემიტრას, გერმანულ აიდინ არგუნს, ბულგარულ კირილ სტოიჩევი ტერზიევსა და აზერბაიჯანელ ალექსანდრე გოსტიევს მოუგო. ამასთან, ოთხივე შეხვედრა ისე ჩაამთავრა, არც ერთი მეტოქისთვის არათუ პერიოდი, ერთი ქულაც არ დაუთმოია. გადამწყვეტ ბრძოლაში კი რუსეთის სახელით მოჭიდავე აფხაზს, მსოფლიოს ორგზის და ევროპის უკვე სამგზის ჩემპიონ დენის ცარგუშს ველ-არაფერი მოუხერხა. თუმცა პირველი პერიოდი უქულოდ გაილია და ცარგუშმა ქულა იღბლის წყალობით აიღო — მსაჯმა ტომრიდან ხუციშვილის მეტოქისთვის სასურველი ფერის ბურთულა ამოიღო.

მაღლაზ ზარქუამ (60 კგ) და დავით მოძმანაშვილმა (120 კგ) ქართულ მონაგარს ბრინჯაოები შემატეს. ზარქუა ოქრო-ვერცხლისთვის ბრძოლას მეოთხედფინალიდან გამოეთიშა — მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის აზერბაიჯანელ ვერცხლის პრიზიორ ტოგრულ ასგაროვთან წაგებით. დამამშვიდებელ ეტაპზე კი თურქ მუნირ რეჩეპ აკტაშსა და რუმინელ გეორგე ბუკურს აჯობა.

დავით მოძმანაშვილი ტურნირში პირდაპირ მეორე წრიდან ჩაერთო და ძირითად ბადეს პირველივე ბრძოლით გამოეთიშა — უნგრელ დანიელ ლიგეტის ორი პერიოდის ფრედ დასრულების შემდეგ, მესამეში 8:7 კი მოუგო, მაგრამ საბოლოო გამარჯვება მაინც უნგრელს დარჩა, რადგან ორი სამქულიანი გდება ჰქონდა შესრულებული. „ბრინჯაოს ფრონტზე“ გადართულმა მოძმანაშვილმა ესპანელი ხოსე კუბა ვასკესი და ბულგარელი დიმიტარ ანგელოვ კუმჩევი პატარა ბავშვებივით დაჩაგრა — საერთო ჯამში 21 ქულა აართვა, ისე, რომ თავად ერთიც არ დაუკარგავს.

ოთარ თუშიშვილს (66 კგ) ევროსამეულში მეოთხედ შესასვლელად ერთადერთი გამარჯვება დააკლდა. 1999, 2001 და 2010 წლების ევროპირველობების ბრინჯაოს პრიზიორი სერბეთში მეხუთე ადგილს დასჯერდა. ქართული შვიდეულიდან ყველაზე უშედეგოდ ნაკრების ლიდერი გიორგი გოგშვილიძე (96 კგ) გამოვიდა. თურქ სერჰატ ბალჩისთან სამპერიოდის ბრძოლაში დამარცხდა და მალე რეპეშაჟში გადართვის შანსიც დაკარგა, რადგან ბალჩი ფინალამდე ვერ მივიდა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა 52 ქულა დააგროვა და პირველ ადგილზე გასულ რუსეთს 8 ქულით ჩამორჩა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# GEORGIAN GOLD CROWN

**EUROPEAN CHAMPIONSHIP  
6-9 MARCH 2011, BELGRADE**


**DAVID MARSAGISHVILI (84 kg) – gold**  
**BESIK GUCHASHVILI (55 kg) – silver**  
**DAVID KHUTSISHVILI (74 kg) – silver**  
**MALKHAZ ZARKUA (60 kg) – bronze**  
**DAVID MODZMANASHVILI (120 kg) – bronze**

EUROPEAN CHAMPIONSHIP 2012 in freestyle wrestling in Belgrade ended with Georgian national anthem but in because of the tournament's hosts the old anthem was played. Despite this petty flaw the championship turned out to be quite successful for the Georgian national team. David Marsagishvili (84kg) won gold medal so deservedly that nothing was left to say by his critics.

Marsagishvili paved the way to the final by beating Macedonian Dane Bogdanov, Boris Andonov (Spain), Georgita Stefan (Romania) and Serdar Boke (Turkey). In the final Marsagishvili wrestled against Mikhail Petrov-Ganev, 2010 world champion, and beat him by gained one-one point two times.

Besik Guchashvili (55 kg) and David Khutsishvili (74 kg) were only a step away from a gold medal. Guchashvili lost the final of European championship yet for the second time. Previously he lost the chance to win gold in 2009. Guchashvili beat four rivals. Sharunas Zhurkys (Lithuania), Ahmed Peker (Turkey), Alexandru Chirtuaka (Moldova) and Igor Khavadge. In the decisive round Guchashvili lost the duel with the current champion of Europe Jamal Otarsultanov.

David Khutsishvili beat Soner Demitras (Turkey), Eidan Argun (Germany), Kiril Stoychev Terziev (Bulgaria) and Alexander Gostiev (Azerbaijan) before reaching the final. Despite that he successfully conducted four duels without losing even a set the decisive round was not so successful. Davit wrestled against two-time world and three-time European champion Denis Tsargush of Russia. The first set ended without points for each contestant. However, the lot gave a point to Tsargush. Khutsishvili lost points in the second set and took the second place.



**Besik Guchashvili**


Malkhaz Zarkua (60 kg) and David Modzmanashvili (120 kg) added bronze medals to the prize-box of Georgian national team. Zarkua dropped out of the contest for silver and gold medals at the quarterfinal stage after losing the duel against Togrul Asgarov (Azerbaijan). Meanwhile, he was successful in Repechage where he beat Munir Rechep Aktash (Turkey) and George Bukur (Romania).

David Modzmanashvili started participation from the second round – 1/8 final and lost chance of gold-silver medal. He lost to Daniel Ligeti (Hungary) who was bronze medalist at last European Championship. Modzmanashvili could fight for bronze only after being forced to go to Repechage. He easily beat Jose Cuba Vasquez (Spain) and Dimitar Angelov-Kumchev (Bulgaria) and scored total 21 points without losing a single.

Georgian team gained total 52 points in the team competition and took the second place having lagged 8 points behind the winner Russian team.

**OTAR MAGLAKELIDZE**



**David Modzmanashvili**





ევროპის ჩემპიონატი  
ბელგრადი. 10-11 მარტი

მანუჩარ ცხადაია  
74 კგ — ვერცხლი



მანუჩარ ცხადაია

# პერსონალის ექსპერიმენტი



საძარბაველოს ნაკრები ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ბელგრადში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე გადახალისებული შემადგენლობით გამოვიდა. მთავარი მწვრთნელის ბეგი დარჩიას, თავად მოჭიდავეებისა და ქართული ჭიდაობის გულშემმატიკვირების ძირითადი ყურადღება ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ტურნირებზე იყო გადატანილი, რომლებიც სწორედ გაზაფხულზე ტარდებოდა და რადგან ევროპირველობამდე საქართველოს ნაკრების წევრებს სალიცენზიო მართონში სახარბიელო შედეგიანობა ვერ ჰქონდათ, ბელგრადში შესუსტებული შემადგენლობის ჩაყვანა არც არავის გაუპროტესტებია.

დარჩიამ შვიდი წონითი კატეგორიიდან ხუთში განაცხადში საქართველოს ჩემპიონები შეიყვანა. 55 და 84 კილოგრამებში კი ევროხალიჩაზე ქემალ ხარაბაძე და ვლადიმერ გეგეშიძე გაიყვანა.

აქვე ორ ექსპერიმენტზეც ვთქვათ. ნაკრების გამოცდილი წევრები რევაზ ლაშვი და მანუჩარ ცხადაია საქართველოს ჩემპიონატზე ჩვეულზე მაღალ წონით კატეგორიებში გამოვიდნენ, რადგან იქაც გაჩემპიონდნენ, მთავარმა მწვრთნელმა ისინი ზედმეტი წონის კლებას ევროპირველობაზეც აარიდა. ლაშვი ბელგრადში ევროპის მოქმედი ჩემპიონის (60 კილოგრამში) სტატუსით ჩავიდა, მაგრამ ახალ წონაში — 66 კილოგრამში ტურნირის საწყისი ეტაპიდანვე გამოეთიშა, ხორვატ დომინიკ ეტილინგერთან ნაგებით. ლაშვისგან განსხვავებით, ცხადაიას ლონდონის ოლიმპიური საგზური ევროპის ჩემპიონატამდე ჰქონდა განაღდებული, მაგრამ სამომავლოდ 74 კილოგრამში დამკვიდრების სურვილით, ამ წონაში თავის გამოცდის შანსი მწვრთნელს თავად სთხოვა. ამ შემთხვევაში ექსპერიმენტმა გამართლა — საქართველოს 2009 წლის საუკეთესო სპორტსმენმა სერბულ ხალიჩაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ფინალამდე ცხადაიამ გერმანელი ფაბიან იანიკე, ავსტრიელი ფლორიან მარშალი, ფრანგი კრისტოფ რენე მარსელ ჟენო და ლიტველი ალექსანდრ კაზაკევიჩი ორ-ორ პერიოდში ჩამოიცილა, გადამწყვეტ ბრძოლაში კი მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონთან, რუს რომან ვლასოვთან დამარცხდა. ეს შეხვედრაც ორი პერიოდი გაგრძელდა. პირველში ვლასოვმა 7:2 მოიგო, ხოლო მეორე მისთვის სასურველი ფრით (1:1) დასრულდა.

ცხადაიას მედალი ქართული გუნდისთვის ერთადერთი აღმოჩნდა სერბულ ევროპირველობაზე. გუნდის სხვა წევრთაგან შედარებით შედეგიანად ირაკლი ჭოჭუამ (60 კგ) და ვლადიმერ გეგეშიძემ იჭიდავეს — ორივემ მე-7 ადგილი დაიკავა. ჭოჭუა ძირითად ბადეს მერვედფინალიდან გამოეთიშა, ბულგარელ ივო ანგელოვთან ნაგების გამო. იქამდე ბრიტანელ ტერენს ბოსონს და ესტონელ ანარ ზეინალოვს ორ-ორ პერიოდში გაუსწორდა. ხოლო მას შემდეგ, რაც ივო ანგელოვმა ფინალში ჭიდაობის უფლება მოიპოვა, ჭოჭუა რეპეშაჟის ნახევარ-

ფინალში გადაერთო, სადაც რუს არსლან აბდულმინთან დამარცხდა.

გეგეშიძემ ფრანგი მელონინ ნუმონვისა და ჩეხეთის სახელით მოჭიდავე არტურ ომაროვის იოლად ძლევის შემდეგ, ოქრო-ვერცხლისთვის ბრძოლის გაგრძელების შანსი მეოთხედფინალში დაკარგა, ბულგარელ ხრისტო დიანოვ მარინოვთან მარცხით. რეპეშაჟში კი სამსეტიან დაძაბულ შეხვედრაში უნგრელ ვიქტორ ლორინცთან ნააგო.

სოსო ჯაბიძემ (96 კგ) ევროპირველობა ბელორუსი ტიმაფეი ძინიჩენკას იოლად ძლევიტ გახსნა, მაგრამ შემდეგ ერთ-ერთ ფავორიტთან, რუსეთის სახელით მოჭიდავე რუსტამ ტოტროვთან სამპერიოდიან დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა. 96 კილოგრამში კვარცხლბეკზე ერთი ქართველი მაინც ავიდა — შალვა გადაბაძემ ბრინჯაოს მედალი აზერბაიჯანის ნაკრებს მოუტანა.

გურამ ფერსელიძე (120 კგ) საწყის ეტაპზევე მომავალ ჩემპიონს, თურქ რიზა კაიაალპს დაუმორისპირდა და ტიტულოვან მეტოქესთან ვერაფერს გახდა. იქამდე ქართველმა მძიმეწონოსანმა ლატვიელი იგორს კოსტინისი ჩამოიშორა. რეპეშაჟში კი პირველსავე შეხვედრაში, კიდევ ერთ უხვტიტულა მეტოქესთან — სომხეთის ნაკრების წევრ იური პატრიკევიანთან დამარცხდა.

ქემალ ხარაბაძე (55 კგ) ხალიჩაზე ერთადერთხელ გავიდა — საწყის ეტაპზევე ნააგო ბელორუსის ნაკრების წევრ ელბეკ ტაჟიევიანთან.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ქართულმა შედეგულმა 19 ქულა დააგროვა და უჩვეულოდ დაბალი, მე-9 ადგილი დაიკავა.

ოთარ მაღლაკელიძე



# SILVER EXPERIMENT

CHAMPIONSHIP OF EUROPE  
MARCH 10-11, 2011 DORTMUND

MANUCHAR TSKHADAYA (74 kg) – silver

**GEORGIAN** national Greco-Roman wrestling team appeared reshuffled at the European championship in Belgrade. The attention of Georgian team's chief coach Begi Darchia and Georgian fans was mainly drawn to the tournaments giving licenses to the Olympic Games. Those tournaments were held in spring. Since members of the Georgian national teams had not succeeded much in the license tournaments before the European championship, nobody protested the arrival of relatively weak team in Belgrade.

Here we have to say about the two experiments according to which the experienced members of the national team Revaz Lashkhi and Manuchar Tskhadaya competed in the heavier weight categories. Since they became champions, chief coach decided not to force them to lose weight for the European championship. Lashkhi arrived in Belgrade as active champion of Europe in 60kg weight category but competed in 66 kg. Probably that was a reason for his dropping out of the tournament at the initial stage after losing the duel with Dominick Etlinger (Croatia). Tskhadaya had already secured for him London Olympic license in difference from Lashkhi who had yet to win the license. In order to establish himself in the new weight category of 74 kg Tskhadaya asked the coach to give him a chance to test his strengths in this weight group. In this case the experiment has turned out to be lucky. Tskhadaya, who was named Georgia's best sportsman in 2009, won silver medal in Belgrade.

Tskhadaya held five matches in Belgrade. He beat German Fabian Janick, Austrian Florian Marchel, French Christophe Rene Marchel Guenot and Lithuanian Alexander Kazakevic in two sets. In the final match he lost to the World Champion Russian Roman Vlasov. This duel also lasted for two sets. Vlasov won the first set 7:2. The second one also ended in a draw (1:1) and left Manuchar Tskhadaya with silver medal, which turned out the sole award for Georgian team at that European championship.

Of the other Georgian entrants Irakli Chochua (60 kg) and Vladimer Gegeshidze (84kg) showed relatively good results. Both of them occupied the seventh place.

OTAR MAGLAKELIDZE

ქართული კრივისთვის განვლილი სეზონი წარუმატებელი გამოდგა. ასაკობრივმა ნაკრებებმა ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ვერ იყორალეს, ეროვნული გუნდის ერთადერთმა ლიცენზიანტმა კი ოლიმპიადაზე რინგზე გასვლა და ბრძოლაში ჩაბმა ვერ მოახერხა.

თებერვალში ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე, სადაც რინგზე 35 ქვეყნის 150-მდე მოკრივე გამოვიდა, რვა წონით კატეგორიაში ძალები მოსინჯეს ქართველმა მოჩხუბრებმაც. განსაკუთრებით იყოჩალა შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორმა მიხეილ ბახტიძემ (მძიმე წონა), რომელმაც სტარტზე გამოცდილ სერბ მეტოქეს — მილუტინ სტანკოვიჩის სძლია, ნახევარფინალში კი რუსი ანდრეი აფონინი 6 ქულით დაამარცხა. გადამწყვეტ პაექრობაში კუბელ სავონს უნდა შეხვედროდა, მაგრამ მწვრთნელებმა იგი შეჯიბრებიდან მოხსნეს.

აპრილში ტრაბზონის სალიცენზიო საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა, სადაც ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რამაზ ფალიანმა რვა შეგირდი წაიყვანა. მათგან მხოლოდ მერაბ თურქაძემ (56 კგ) იყოჩალა. პირველ წრეში მან ჩეხი ველკი (18:4) დაამარცხა, მერე რუმინელ ანდინას (21:11) სძლია და ნახევარფინალში გავიდა. რადგანაც ამ წონაში ოთხი საგზური თამაშდებოდა, თურქაძემ მიზანს მიაღწია — ლონდონის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია მოიპოვა.

ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ივნისის მინურულს ჩატარდა ჭაბუკ მოკრივეთა ევროპის პირველობა, რომელშიც 10 ქართველმა მოკრივემ იჩხუბა.

ჩვენი ჭაბუკებიდან მხოლოდ ორმა უნია ნახევარფინალს, სადაც ორივე მასპინძელს დაუპირისპირდა — 63 კილოგრამ წონით კატეგორიაში ნუკრი ადამია ზდრავკო პოპოვთან დამარცხდა ექვსი ქულით — 10:16. 70 კილოგრამში კი რატი ტლაშაძე ივანოვთან 12:16 დაიჩაგრა და ადამიას დარად ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

ოლიმპიურ თამაშებზე მოკრივეთათვის და მთლიანად ქართული დელეგაციისთვის ცუდი ამბავი მოხდა — მერაბ თურქაძემ (56კგ) წონის ნორმატივი ვერ ჩააბარა და ოლიმპიადას გამოეთიშა — ანონვისას მოკრივეს ზედმეტი გრამები აღმოაჩნდა და შეჯიბრებიდან მოიხსნა. 27 ივლისს თურქაძემ წონა ჩააბარა, თუმცა მეორე დღეს იგივე ველარ შედლო...



ალექსანდრე დოკვაძე

## უსახური სეზონი

დეკემბრის დასაწყისში ერევანმა ახალგაზრდა მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლა. ქართველი მოკრივეებიდან ყველაზე უკეთ გამოვიდა ალექსანდრე დოკვაძე (81 კგ), რომელმაც ბრინჯაოს მედალის მოპოვება შეძლო. დოკვაძე ახალი თაობის მოკრივეებიდან ერთ-ერთი გამორჩეული მოჩხუბარია და ასაკობრივ შეჯიბრებებზე მუდმივად ყოჩალობს. ჩვენებური სანყის წრეში ისვენებდა, შემდეგ კი აზერბაიჯანელი რაჰიმოვი ჩამოიცილა — მეტოქეს დისკვალიფიკაცია მისცეს. დოკვაძემ მესამე წრეში დამაჯერებლად დაჯაბნა თურქი ქემ კილიკი — 18:5 და მეოთხედიფინალში გავიდა, სადაც ირანელ სიავახ ომიდის ეჩხუბა — პირველი რაუნდი 1:2 დათმო, მაგრამ მომდევნო ორ რაუნდში მეტოქეს აჯობა 3:1, 4:3 და საბოლოოდ 8:6 გაიმარჯვა, ნახევარფინალში გავიდა და ბრინჯაოს მედალი გაინაღდა. ქართველ მოკრივეს უკეთესი სინჯის მედალის დასაკუთრებაც შეეძლო, მაგრამ ნახევარფინალში შოტლანდიელ ანტონი ფორესტთან დამარცხდა — 7:13.

ნიკა კოვალიანი



მსოფლიოს ჩემპიონატი  
მინსკი. 9-11 ნოემბერი

**გიორგი ბაინდუროვი**  
90 კგ — ოქრო

**ლომერ ჟორჟოლიანი**  
100 კგ — ვერცხლი

**ნუკრი ბერაია**  
52 კგ — ბრინჯაო

**ჯესო ბერულავა**  
74 კგ — ბრინჯაო

**ნიკოლოზ კუციანი**  
82 კგ — ბრინჯაო

**ირინე ლეონიძე**  
(80 კგ) — ბრინჯაო



გიორგი ბაინდუროვი



ლომერ ჟორჟოლიანი

# სამბისტებმა ყულაბა გააჰსეს

ევროპის ჩემპიონატი  
მოსკოვი. 17-21 მაისი

**უშანგი კუზანაშვილი**  
57 კგ — ოქრო

**ნოდარ მატრაველი**  
+100 კგ — ოქრო

**ბენადი ჩირბაძე**  
52 კგ — ვერცხლი

**ლევან ნახუცრიშვილი**  
68 კგ — ვერცხლი

**ბესარიონ ბერულავა**  
74 კგ -ვერცხლი

**მირიან პავლიაშვილი**  
100 კგ — ბრინჯაო

**ირინე ლეონიძე**  
80 კგ — ვერცხლი

**შორენა შარაძე**  
64 კგ — ბრინჯაო

ძარტველმა სამბისტებმა ასე თუ გააგრძელეს მალე მათი მედლების ყულაბა გადაიხსება და იქ მედლის ჩასაგდებად ადგილი აღარ დარჩება — ეს ხუმრობით, სერიოზულად კი სამბისტები აგრძელებენ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე დიდი როდენობით მედლების მოპოვებას და ქომაგის გახარებას. წლეულს, თავი ჭაბუკების და ახალგაზრდების დარად დიდებმა ცამოიჩინეს და ევროტურნირებიდან გამარჯვებულები დაბრუნდნენ.

აპრილში რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში ჩატარდა ჭაბუკ და ახალგაზრდა სამბისტთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც წარმატებით გამოვიდა საქართველოს ნაკრები — ჯამში 16 მედა-

ლი მოიპოვა. აქედან 5 ოქროა, 7 — ვერცხლი და 4 — ბრინჯაო. განსაკუთრებით კარგად ჭაბუკებმა იჭიდავეს, რომელთა წილადაც 9 მედალი მოდის — 3 ოქრო, 4 ვერცხლი და 2 ბრინჯაო. ამ ასაკში ევროპის ჩემპიონები ომარ ნიაზაშვილი (70 კგ), უშანგი მარგანი (75 კგ) და ზაურ მამარდაშვილი (87 კგ) გახდნენ. ანალოგიურ მიღწევამდე მხოლოდ თითო მოგება დააკლდათ იოსებ მელაძეს (52 კგ), ზაზა როსტომაშვილს (60 კგ), ლევან კირკიტაშვილს (65 კგ) და გიორგი ლაზუაშვილს (+87კგ) — ეს ბიჭები ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ; ბრინჯაოს კი ლერი ბედინაძე (48 კგ) და ჯონი ჭითანავა (81 კგ) დაეუფლნენ. ახალგაზრ-





დებში 7 ჯილდო ხარისხობრივად ასე გადანაწილდა — 2 ოქრო, 3 ვერცხლი და 2 ბრინჯაო. პირველობა შმაგი ლაგაზაურმა (62 კგ) და ამირან იანვარაშვილმა (82 კგ) მოიპოვეს. ფინალში ავთანდილ მზარეულიშვილი (48 კგ), მიხეილ ჩოხელი (74 კგ) და უშანგი კოკაური (+100 კგ) გავიდნენ, მაგრამ დამარცხდნენ და მეორე ადგილზე დარჩნენ. ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ გიორგი მესაბლიშვილს (57 კგ) და ალექსანდრე მილდიანს (90 კგ). გუნდური ადგილები ჭაბუკებში ასე გადანაწილდა — საქართველო, რუსეთი და სომხეთი. ახალგაზრდებში კი სამეული რუსეთმა, საქართველომ და მოლდოვამ გადაინაწილეს.

მაისში სამბისტა ნაკრებმა მოსკოვში დასრულებულ ევროპის პირველობაზე 2 ოქროს, 4 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა და ტურნირზე მეოთხე ადგილი დაიკავა რუსეთის, ბელორუსისა და უკრაინის შემდეგ. ევროპის ჩემპიონები გახდნენ — უშანგი კუზანაშვილი (57 კგ), და ნოდარ მეტრეველი (+100 კგ). გამოსვლა ვერცხლის მედლებით დაასრულეს გენადი ჩირგაძემ (52 კგ), ლევან ნახუცრიშვილმა (68 კგ) და ბესარიონ ბერულავამ (74 კგ), ხოლო მირიან პავლიაშვილი (100 კგ) ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. ქართული დელეგაციის 8 მედლიდან ორი ქალმა სამბისტებმა მოიპოვეს — ვერცხლი ირინა ლეონიძემ (80 კგ) და ბრინჯაო შორენა შარაძემ (64 კგ).

21-24 სექტემბერს ესტონეთის დედაქალაქ ტალინში გამართულ კადეტთა ევროპის პირველობაზე საქართველოს ნაკრებმა 7 მედალი მოიპოვა. ამ ასაკობრივ კატეგორიაში პირველად გამართულ ევროპირველობაზე ქართველმა სამბისტებმა 5 ოქროს, 1 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიგეს და გუნდურ პირველობაში ჩემპიონები გახდნენ. ოქროს მედლების მფლობელები გახდნენ თორნიკე ნაგლიაშვილი (46 კგ), ჯაბა ქურდიანი (50 კგ), გიორგი მეტრეველი (60 კგ), ირაკლი გოგია (78 კგ) და დავით ოზბეთელაშვილი (84 კგ), ვერცხლის მედალი მიხეილ ახალაურმა (+ 84 კგ), ბრინჯაო კი ჯემალ ბურჩუბაძემ (66 კგ) დაისაკუთრა.

ოქტომბერში ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გამართა ჭაბუკ და ახალგაზრდა სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი, სადაც ჭაბუკები 7 მედალს და გუნდურ მე-2 ადგილს გამოიჩინეს, ახალგაზრდულმა ნაკრებმა კი ერთით ნაკლები მედალი მოიპოვა და გუნდურ ჩათვლაში მე-3 პოზიცია დაიჭირა. ჭაბუკებმა მედლები ასე გადანაწილეს — ომარ ნიაზაშვილი (70 კგ)

მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს — ილია ოთიაშვილმა (87 კგ), ლევან კირკიტაშვილმა (65 კგ) და უშანგი მარგაიანმა (75 კგ). ბრინჯაოსნები გახდნენ ირაკლი კუპატაძე (48 კგ), გიორგი ნათათრალაშვილი (56 კგ) და გიორგი ლაზუაშვილი (+87 კგ). ახალგაზრდული ნაკრებიდან ჩემპიონობა ირგუნა ამირან იანვარაშვილმა (82 კგ), ვერცხლს დასჯერდნენ ირაკლი ლომიძე (68 კგ) და უშანგი კოკაური (+100 კგ), ბრინჯაო კი არავის დაუთმეს გივი ნადარეიშვილმა (52 კგ), მიხეილ ჩოხელმა (74 კგ) და თემურ ხაჩიძემ (90 კგ). გუნდურ ჩათვლაში ორივე ასაკობრივ ჯგუფში რუსები გაჩემპიონდნენ. ჭაბუკებში მეორე-მესამე ადგილებზე საქართველო და სომხეთი გადანაწილდნენ, ახალგაზრდებში — ყაზახეთი და საქართველო.

9-11 ნოემბერს ბელორუსის დედაქალაქ მინსკში გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონატი სამბოში, სადაც საქართველოს ნაკრებმა ექვსი მედალი მოიპოვა — 1 ოქრო, 1 ვერცხლი და 4 ბრინჯაო. მსოფლიოს ჩემპიონი გახდა გიორგი ბაინდუროვი (90 კგ), რომელმაც მთელი ტურნირი დამაჯერებლად იჭიდავა, ფინალში კი დაამარცხა რუსი ედუარდ კურგინიანი. ვერცხლის მედალი მოიპოვა ლევან ჟორჟოლიანმა (100 კგ), ბრინჯაოს მედლები ერგოთ — ნუკრი ბერაიას (52 კგ), ბესო ბერულავას (74 კგ), ნიკოლოზ კუციას (82 კგ), ქალთა შორის კი ირინე ლეონიძეს (80 კგ). ექვსი მედლით საქართველოს დელეგაციამ მესამე გუნდური ადგილი დაიკავა რუსეთის და მასპინძელი ბელორუსის შემდეგ.

#### ლექსო ალექსიძე

#### ელგუჯა ბერიშვილი



ეს ფოტოები 2012 წლის 1 ივლისს არის გადაღებული. ჩემი თხოვნით, საქართველოს სამბოს ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გაბრიელ ბარჯაძემ სხვადასხვა თაობის სახელოვანი სამბისტები ერთად შეკრიბა, რათა გამოსაცემად თითქმის გამზადებულ „ქართული სპორტის ოქროს წიგნი“ რამდენიმე ექსკლუზიური ფოტოს შეტანა მოგვესწრო. შეკრებილთა შორის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი არჩილ ჩოხელიც იყო, რომელიც რამდენიმე თვის წინ საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. ძველი ამბები გავისხენით, ახალიც ვთქვით, ფოტოები გადავიღეთ და ერთმანეთს დავემშვიდებთ. თურმე, ეს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა იყო — არჩილ ჩოხელი 28 აგვისტოს ლობოტას ხეობაში მიმდინარე ანტიტერორისტული ოპერაციის დროს სნაიპერის ტყვიას ემსხვერპლა. საქართველომ კიდევ ერთი დიდი სპორტსმენი და ღირსეული მამულიშვილი დაკარგა.







# სირეკიძის ევროპული ოქრო

ძალოსანთა განვლილ სეზონს უდავოდ შედეგიანი ეთქმის. ვანო გრიჭუროვის შეგირდებმა ევროპის ჩემპიონატზე ორი მედალი დაისაკუთრეს. რაულ ცირეკიძე (85 კგ) ევროპის ჩემპიონი გახდა და ოქროს მედალი ჩაიხუტა. ახალგაზრდა ირაკლი თურმანიძემ (+105 კგ) კი, რომელზეც მწვრთნელთა შტაბი დიდ იმედებს ამყარებს ბრინჯაოს მედალი არავის დაუთმო. უმედლოდ არც ჭაბუკთა ნაკრები დარჩენილა, ამათ მედლის გარდა სხვადასხვა შეჯიბრებაზე ხელშესახები შედეგები მიიღეს და სამომავლო პერსპექტივაც გამოაჩინეს. უახლოეს პერიოდში ასაკობრივ ნაკრებებში დაოსტატებული და მოლონიერებული ბიჭები ხომ ეროვნულ ნაკრებში უნდა გამორჩნდნენ და ოქროს მედლებს იქიდან შეუტეონ.

აპრილში თურქეთის ქალაქ ანტალიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე რაულ ცირეკიძე (85 კგ) დამაჯერებლად გამოვიდა და ევროპის ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა. ცირეკიძე თავის ნონაში ერთადერთი ძალოსანი იყო, რომელმაც ატაცსა და აკვრაში ექვსივე ცდა გამოიყენა და ჩემპიონის ტიტულიც დამსახურებულად მოიპოვა. ცირეკიძემ პირველ მოძრაობაში 160, 163 და 165 კგ დაძლია და მხოლოდ თურქ ფატიჰ ბაიდარს ჩამორჩა, რომელმაც 166-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა. რაულმა მცირე ვერცხლის მედალი მოიპოვა აკვრაშიც, სადაც თანმიმდევრულად 193, 196 და 200-კილოგრამიან შტანგას გაუმკლავდა. ამ მოძრაობაში ქართველზე კილოგრამით მეტი გერმანელმა ტომ შვარცბახმა ასწია. ცირეკიძემ ჯამში 365 კგ მოაგროვა და ოქროს მედალიც სამართლიანად დაიმსახურა, მეორე ბაიდარი (359 კგ.) გახლდათ, ბრინჯაო კი რუმინელ გაბრიელ სინკრაიანს ერგო, რომელიც თურქ ძალოსანს მხოლოდ პირადი წონით ჩამორჩა.

ევროპირველობის ბოლო დღეს ფიცარნაგზე ირაკლი თურმანიძე (+105 კგ) გავიდა. მან ატაცში ყველა ცდა წარმატებით გამოიყენა, მესამე ცდაზე 195 კილოგრამი აიტაცა. აკვრაში 228 კილო დაიმორჩილა და ჯამური 423 კილოთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ჩემპიონი რუსი რუსლან ალბეგოვი გახდა, ვინც ორჭიდის ჯამში 429 კილო დაძლია, ვერცხლი კი 424 კილოთი გერმანელმა მათიას შტეინერმა დაისაკუთრა.

ავგისტოს ბოლოს დაიწყო და სექტემბრის პირველ რიცხვებამდე გასტანა რუმინეთის ქალაქ კონსტანტაში გამართულმა 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატმა, სადაც ირაკლი გაბრიჩიძემ (62 კგ) ატაცში 117 კილოგრამი, ხოლო აკვრაში 132 კილო დაძლია და ჯამური 249 კილოთი ვერცხლის მედალი მოიპოვა.

დეკემბერში ისრაელის ქალაქ ეილათში გაიმართა 20-წლამდელ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი. ჩვენი ნაკრები ევროპირველობაზე 5 ძალოსანით წარსდგა, მედლების მოპოვება კი შოთა მიშველიძემ (62 კგ), გიორგი ლომთაძემ (69 კგ) და მძიმეწონოსანმა ლაშა





**რაულ ცირეკიძე და ირაკლი თურმანიძე**

ტალახაძემ შეძლეს. ვერცხლის მედალი მოიპოვა ქუთაისელმა შოთა მიშველიძემ, რომელმაც ორჭიდში 281 კილოგრამი (126+155) დააგროვა. 69 კილოგრამში ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა გიორგი ლომთაძე. ეილათის ფიცარნაგზე ლომთაძემ ორჭიდის ჯამში 310 კგ (143+167) დაძლია. ამასთან, ატაცში 143 კილოს დამორჩილებისთვის მცირე ოქროს მედალი მოიპოვა, რაც საქართველოს ახალი რეკორდია ამ ასაკის ძალოსანთათვის. ევროპის ჩემპიონატის დასკვნით დღეს ფიცარნაგზე მძიმეწონოსანი ლაშა ტალახაძე ავიდა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ორჭიდის ჯამში ტალახაძემ 412 კილოგრამი დააგროვა.

**ლექსო ალექსიძე**

**შოთა მიშველიძე**



**გიორგი ლომთაძე**



**რაულ ცირეკიძე**

„ჩემპიონობაზე ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, მაგრამ ის კი ვიცოდი, რომ სამეულისთვის ბრძოლა რეალურად შემძლო. მოსამზადებელი პერიოდი კარგად გავიარე და ფიზიკურადაც და რაც მთავარია, ფსიქოლოგიურადაც მზად ვიყავი მაღალი შედეგისთვის. ასეთ კარგ ფორმაში აქამდე არც ერთ დიდ ტურნირს არ შევხვედრივარ. ატაცში სამივე მისვლაზე დავიმორჩილე სიმძიმე და ეს მართლაც ძალიან დიდი მუხტი იყო. პირველადგილოსან თურქ ფათიჰ ბაიდარს მხოლოდ ერთი კილოგრამით ჩამოვრჩი, მაგრამ აკვრაში უკვე 7 კილოგრამით ვაჯობე. სასწაულად აუჩიტირებელი ვიყავი. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ვიდექი და მთელი დარბაზი საქართველოს ჰიმნს უსმენდა. ევროპის ჩემპიონატამდე ვანო გრიჭუროვა მითხრა, რომ შედეგისთვის მზად ვიყავი და ყველაზე მთავარი იყო, ამაში საკუთარი თავი დამერწმუნებინა. მწვრთნელის სიტყვებმა ჩემზე მართლა საოცრად იმოქმედა. თურქეთში ყოფნისას მუდმივი კონტაქტი გვქონდა და აქედანაც ძალიან მეხმარებოდა. საქართველოს ნაკრებს გრიჭუროვის სახით უძლიერესი თავკაცი ჰყავს და დარწმუნებული ვარ, მისი შრომა შედეგს მომავალშიც არაერთხელ გამოიღებს“.



# ელენა ბრინჯაო მოხაზა

22 წლის მოციგურავე ელენე გედევანიშვილი წლეულს მეორედ გახდა ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი, რაც პატარა ამბავი სულაც არაა. ელენემ ევროპაზე მოპოვებულ ბრინჯაოს მსოფლიოს ჩემპიონატზე მე-10 ადგილი მოაყოლა. ცხადია, მასშტაბები განსხვავებულია და მსოფლიოს პირველობაზე ხელშესახები შედეგის ჩვენება გაცილებით ჭირს, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ არასტაბილურობა გედევანიშვილის გამოსვლებს მუდმივად თან სდევს. იმედია, სამომავლოდ, გამოცდილებასთან ერთად, მედლების ხარისხსაც და რაოდენობასაც უცილობლად გაზრდის.

ევროპის ჩემპიონატი 24-29 იანვარს დიდი ბრიტანეთის ქალაქ შეფილდში გაიმართა. მოკლე პროგრამაში გედევანიშვილი 57,14 ქულით მეოთხე იყო, თავისუფალ სრიალში კი პრაქტიკულად უშეცდომოდ გამოვიდა — 108,79 ქულა დააგროვა და მხოლოდ ორ მონაწილეს ჩამორჩა, ჯამური 165,93 ქულა კი მესამე ადგილისთვის საკმარისი აღმოჩნდა. საინტერესოა, რომ ელენეს მიერ დაგროვილი 165,93 ქულა

მისი კარიერის საუკეთესო შედეგია. შეფილდში მასზე უკეთ მხოლოდ ევროპაზე მეოთხედ გაჩემპიონებული იტალიელი კაროლინ კოსტნერი და ფინელი კირა კორპი გამოვიდნენ.

მარტის ბოლოს და აპრილის დასაწყისში საფრანგეთის ქალაქ ნიცაში მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდა, სადაც ელენე გედევანიშვილი მე-10 ადგილზე გავიდა. გედევანიშვილს მოკლე პროგრამაში საკმაოდ კარგი შედეგი — 58.49 ქულა ჰქონდა, რამაც მე-7 ადგილი მოუტანა და თავისუფალი პროგრამის ნინ გულშემატკივარს მოლოდინი გაუჩნდა, რომ ელენე საპრიზო ადგილისთვის შეძლებდა ბრძოლას. მაგრამ, თავისუფალი პროგრამის შემდეგ (90.71 ქულა) გედევანიშვილმა ჯამური 149.20 ქულა დააგროვა და საბოლოოდ მე-10 ადგილი დაიკავა. მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედლის მფლობელი იტალიელი მოციგურავე კაროლინა კოსტნერი გახდა (189.94), ვერცხლი რუს ალენა ლეონევას (184.28) ერგო, ბრინჯაო კი იაპონელმა აკიკო სუზუკიმ (180.68) დაისაკუთრა.

ელენე გედევანიშვილი: „ევროპის ჩემპიონატზე მეორედ მოვიპოვე ბრინჯაოს მედალი. მთავარი ის იყო, რომ სრიალით დიდი სიამოვნება მივიღე და, იმედი მაქვს, ჩემი გულშემატკივრებიც კმაყოფილნი დარჩნენ. რაც შეეხება მსოფლიოს ჩემპიონატს, ისე კარგად ვიყავი მომზადებული, ძველი შედეგის გაუმჯობესებაზე ვფიქრობდი. თითქოს ყველაფერი აქეთკენ მიდიოდა, მოკლე პროგრამაში, მხოლოდ მე შევასრულე უშეცდომოდ ურთულესი კომბინაცია — სამმაგი ლუტსი სამმაგი ტულუპით. სამაგიეროდ, ყველაზე იოლ ნახტომში — ორნახევარ ბრუნში დავუშვი შეცდომა. ამიტომაც აღმოჩნდი მეშვიდე ადგილზე, თუმცა მესამე ადგილზე მყოფი ოთხგზის ევროპის ჩემპიონი იტალიელი კოსტნერი მხოლოდ 2,51 ქულით მისწრებდა, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩემ ნინ მდგომ სხვა მეტოქეებზე. საბოლოოდ კი მე-10 ადგილზე გავედი, რამაც დამალონა, მაგრამ არა უშავს, ყველაფერი ჯერ კიდევ ნინ მაქვს“.

ნიკა კოპაძე







## ELENE WON BRONZE

THIS YEAR Elene Gedevanishvili, 22-year-old Georgian figure skater, has become bronze medalist of the European Championship yet for the second time. Gedevanishvili always manages to remain among the leaders at the various international tournaments and stay close to the prizewinners' triad. However, unstable performance is considered her main shortcoming. The bronze medal won at the European championship was followed by the unexpected 10th place at the world championship.

European championship 2012 was held for January 24-29 in Sheffield (England) at the Motor point Arena. Gedevanishvili was the fourth in a short program with 57, 14 points and took the third place in the free program with 108, 79 points. The total score of 165, 93 turned enough to gain bronze medal. It is noteworthy that 165, 93 score is the best result during Elene's career. At the European championship, Elene was behind Carolina Kostner of Italy and Kiira Korpi of Finland.

At the world championship in the city of Nice (France) on March 31-April 2, Gedevanishvili showed quite good result (58, 49 point) in a short program, which put her on the 7th place, and bred expectations that he could compete for prize. However, after free program (90, 71 points) Gedevanishvili scored total 149, 20 and finally occupied the 10th place.

NIKA KOPADZE





მკლავჭიდელებმა ქომაგი  
მეღლებით კი გაანახივრეს,  
მაგრამ განვლილმა  
საზონმა მაინც ყოველგვარ  
მოლოდინს გადააჭარბა –  
ეროვნულმა ნაკრებმა საუცხოო  
წელი მოიწია და თავისივე  
დაწესებული თამასა უფრო  
მაღლა ასწია.



## კვიკვინია – მსოფლიოში პირველი

25 აპრილს, თბილისის „ივენტ ჰოლში“ საქართველოს ჩემპიონატი ჩატარდა, რომლის ორგანიზატორი იყო მკლავჭიდის ფედერაცია და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, გენერალური სპონსორი კი ქართული მთის ლუდი „მთიელი“. ჩემპიონ-პრიზიორები 8 წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ. საქართველოს პირველობაში მონაწილეობა თბილისის და რეგიონების წარ-

მომადგენლებმა მიიღეს, საუკეთესო მკლავჭიდელებისგან კი საქართველოს ნაკრები დაკომპლექტდა, რომელიც 13-20 მაისს პოლონეთის ქალაქ გდანსკში ევროპის ჩემპიონატზე გამოვიდა და ორი ოქროს და ერთი ბრინჯაოს მედალიც დაისაკუთრა. ჩემპიონი მარჯვენა და მარცხენა მკლავში გენადი კვიკვინია (110 კგ) გახდა, ბრინჯაო კი ჯაბა გეთიაშვილმა (75 კგ) მარცხენა მკლავით

ირგუნა. გდანსკშივე გაიმართა ვეტერანთა ევროპირველობა, სადაც მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტმა ერეკლე გურჩიანმა ოქრო და ვერცხლი დაისაკუთრა.

4-7 ივნისს, ბულგარეთის ქალაქმა სტარაია ზაგორამ უძლიერეს მკლავჭიდელთა შორის მსოფლიოს თასს უმასპინძლა, სადაც საქართველოდან ერთი სპორტსმენი — ვასილ დაუთაშვილი გამოვიდა. მან მეხუთე ადგილი კი დაიკავა, მაგრამ შეჯიბრების მიმდინარეობისას ლეგენდარული ამერიკელი მკლავჭიდელი ჯონ ბუნკი დაამარცხა. ქართველმა ამერიკელს ექვსრაუნდიან დაპირისპირებაში 4:2 მოუგო და უძლიერესი მეტოქისგან კომპლიმენტიც დაიმსახურა.

10-17 სექტემბერს ბრაზილიის ქალაქ სან ვისენტეში გამართულ მკლავჭიდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე ქართველმა მკლავჭიდელებმა 2 ოქროს, 2 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ყველაზე პრესტიჟულ — 110 კგ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა გენადი კვიკვინია, რომელმაც 2 ოქროს მედალი აიღო მემარჯვენეებსა და მემარცხენეებს შორის. 75 კგ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი ნიკოლოზ მათიაშვილმა (მარჯვენა მკლავი) მოიპოვა, ამავე წონით კატეგორიაში ბრინჯაო აიღო ჯაბა გეთიაშვილმა (მარცხენა მკლავი). ახალგაზრდებს შორის შეჯიბრებაში გურამ აბულაშვილმა (65 კგ) ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.



ნიკა კოპალიანი





### გენადი კვიკვინია

„მსოფლიოს ჩემპიონატისთვის კარგად ვიყავი მომზადებული და ეს შედეგმაც დაამტკიცა. ბრაზილიაში უძლიერესმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, ფინალის წინ ცოტა ვნერვიულობდი, რადგან მასპინძელ მეტოქეს ვხვდებოდი, რომელიც მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონია, მაგრამ საბოლოოდ ვაჯობე და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მეც მეოთხედ მოვიპოვე. მადლობა ყველას, ვისაც ჩემს წარმატებაში წვლილი მიუძღვის, მადლობა ქართველ გულშემამტკივრებს, რომლებიც ძალიან დიდ სტიმულს და ძალას მაძლევენ“.



### ერეკლე გურაშვილი

(მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი):

„ძალიან ძლიერი ჩემპიონატი იყო და ჩვენი გუნდი საკმაოდ შედეგიანად გამოვიდა. ცხადია, ყველაზე მეტად გენადი კვიკვინიას წარმატებამ გაგვახარა. მან ბრაზილიაში დაამტკიცა, რომ მსოფლიოს უძლიერესი მკლავჭიდელია“.

# KVIKVINIA – THE WORLD CHAMPION

ALTHOUGH GEORGIAN arms-wrestlers gave us treat with their abundant medals, the past season made us especially happy. On May 13-20, Georgian national arm-wrestling team participated in the European championship in Gdansk (Poland) and gained two gold and one bronze medals. Gennady Kvikvinia (110kg) became champion in right and left arm-wrestling. Jaba Getiashvili (75 kg) won bronze by left arm. Georgian arm-wrestlers won 2 gold, 2 silver and 2 bronze medals at the world championship in San-Vicente (Brazil) on September 10-17. Gennady Kvikvinia became world champion in the most prestigious weight category of 110 kg. He won 2 gold medals by left and right arms wrestling. Nikoloz Matiashvili won silver medal (right arm) in 75 kg weight category. Jaba Getiashvili won bronze (left arm) in the same weight category. Guram Abulashvili (65 kg) won silver and bronze medals in the youth tournament.





# ლიგაუსი ჩეპიონთა ლიგაში

**აპრილში სანწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“ გაიმართა ნოდარ გვასარიას თასის მეორე გათამაშება, რომელშიც მასპინძლებთან ერთად 1996 წელს დაბადებული ყაზახი, თურქი და ბელორუსი წყალბურთელები მონაწილეობდნენ. საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა სამივე შეხვედრა მოიგო და ტურნირის გამარჯვებული გახდა. ქართველმა წყალბურთელებმა ყაზახეთი 15:6 დაამარცხეს, ბელორუსს 16:2 აჯობეს, შვედების ბადამწყვიტ და ურთულეს მატჩში კი თურქეთი 8:7 დაჯაბნეს.**

მისში პოლონეთმა საერთაშორისო ტურნირს „სლოვინკას თასს“ უმასპინძლა, რომელზეც საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები გამოვიდა და ჩემპიონიც გახდა. ტურნირი, რომლის საჩემპიონო გზას შეუყვანენ პოლონეთი, ინგლისი, უკრაინა, ბელორუსი, ისრაელი და საქართველო საინტერესო და თვალსასიერო გამოვიდა. რევაზ ჩომახიძის განვრთნილებმა სანყის მატჩში იოლად დაჯაბნეს უკრაინელები — 12:6, შემდეგ ბრიტანელებს სძლიეს 8:5, ამის მერე ყველაზე დაძაბულ მატჩში მასპინძლებს აჯობეს — 17:14. საინტერესოა, რომ ტურნირის დაწყებამდე ერთ-ერთ ფავორიტად ისრაელის ახალგაზრდულ ნაკრებსაც მიიჩნევდნენ. არადა, ჩვენმა ბიჭებმა ყველაზე იოლად სწორედ ეს გუნდი დაამარცხეს — 13:4, ბელორუსთან კი 9:8 მოიგეს და ოქროს მედლები დაისაკუთრეს.

მაისის ბოლოს 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, რომელსაც სტამბულმა უმასპინძლა ქართველებმა სამი მატჩიდან ორი წააგეს და ფინალურ ეტაპზე თამაშის შანსი დაკარგეს. A ჯგუფში, სადაც საქართველოს მეტოქეებად თურქეთი, ბელორუსი, კვიპროსი და მოლდოვა ჰყავდა პირველი შეხვედრა კი სწორედ მასპინძლებთან გამართა და 6:10 დამარცხდა. მეორე ტურში მოლდოვას მოუგეს 11:7, მომდევნო პრინციპული პაექრო-



ბა კი ბელორუსებთან 4:7 დამთეს. მართალია, ჩვენმა ნაკრებმა ბოლო ტურში კვიპროსს დიდი ანგარიშით — 15:2 აჯობა, მაგრამ სატურნირო ცხრილზე ამას ზეგავლენა აღარ მოუხდენია — ბელორუსებმა მხოლოდ ერთი მატჩი წააგეს და თურქებთან ერთად, ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს.

იენისში სანწყლოსნო კომპლექს „ლაგუნა ვერეს“ საცურაო აუზში ჩატარდა ახალგაზრდა წყალბურთელის, ზურაბ სახელაშვილის ხსოვნის ტურნირი მინი-წყალბურთში, სადაც პირველობისთვის რვა გუნდი იბრძოდა, მათ შორის — ერთი ბელორუსიდან. ქვეჯგუფებში წრიული სისტემით გამართული პაექრობების შემდეგ ნახევარფინალში საუკეთესო ოთხეული გავიდა. საქართველოს ჩემპიონმა „ლიგამუსმა“ დაძაბულ პაექრობაში პერიოდების ჯამში 13:11 აჯობა ქვეყნის ვიცე-ჩემპიონ „თბილისს“ და ფინალში შევიდა, იქ კი „ზევიგენების“ მძლეველ (12:4) „გეო-73“-ს დაუპირისპირდა. „ლიგამუსმა“, ჩომახიძე-ლაითაძის ტანდემის განეიტრალება ვერ მოახერხა და 3:12 წააგო. ამგვარად, მთავარი პრიზი „გეო-73“-მა მოიპოვა.

ივლისში სანწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“ მესამედ გაიმართა საერთაშორისო ტურნირი „თბილისის თასზე“. მნიშვნელოვანია, რომ წინა ორი შეჯიბრების დარად, მთავარი პრიზი ამჯერადაც მასპინძლებმა მოიპოვეს. გადამწყვეტ შეხვედრაში საქართველოს ნაკრები, რომელსაც ზვიად დავითიანი წვრთნის, ბელორუსს დაუპირისპირდა და 15:10 აჯობა.

სექტემბერში „ლიგამუსი-თბილისი“, რომელმაც საქართველოს ჩემპიონატი წლეულს მესამედ მოიგო ევროპის ჩემპიონთა ლიგაში ჩაება და საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით გადალახა. საკვალიფიკაციო რაუნდის A ჯგუფში, რომელსაც სანწყლოსნო კომპლექსი „ოლიმპიკი“ მასპინძლობდა, მომდევნო ეტაპზე გასასვლელი ორი საგზურისთვის ერთმანეთს ეცილებოდნენ — ეს-

პანეთის „საბადელი“, ბელორუსის „ვიტბიში“, პოლონეთის „არკონია“ და „ლიგამუსი-თბილისი“.

ქართულმა გუნდმა სანყის მატჩში, რომელიც პოლონურ „არკონიასთან“ გამართა, ძალზედ იოლად — 16:4 გაიმარჯვა. რევაზ ჩომახიძის განვრთნილი გუნდი დაცვაში კარგად ირჯებოდა და არც მეტოქის კართან უჭირდა ხვრელების მოძებნა, რამაც უპირატესობა თავიდანვე სოლიდური გახადა და გამარჯვებულის ეინაობის დადგენა პირველი ტაიმის შემდეგაც თვალნათელი გახადა, შესვენებაზე „ლიგამუსი“ 6:0 გავიდა და საქმე გამარჯვებამდე აუღელ-





ვებლად მიიყვანა. მომდევნო შეხვედრა გაცილებით რთული გამოდგა — ჩომახიძის გუნდმა ესპანურ „საბადელს“ დაძაბულ პაექრობაში 12:11 მოუგო, მეტოქეს 4 გოლი ზურაბ რურუამ გაუტანა. სანყისი პერიოდის შემდეგ ჩვენი გუნდი 0:2 აგებდა, მაგრამ ქომაგის მხარდაჭერით გამხსნეველმა ძალები მოიკრიბა და თამაშში გარდატეხა შეიტანა. ჯგუფის ბოლო მატჩში „ლიგამუსმა“ დამაჯერებლად 16:6 დაამარცხა ბელორუსის „ვიტბიში“ და ჩემპიონთა ლიგის მომდევნო ეტაპზე გავიდა.

მნიშვნელოვანია, რომ ქართული სპორტის ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როცა ნყალბურთელთა გუნდი ევროპის ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობს. კენჭისყრის შემდეგ გაირკვა, რომ ევროპის 21 საუკეთესო კლუბი წილისყრამ ოთხ ჯგუფში გადაანაწილა. „ლიგამუსი-თბილისი“ კი ჯგუფში საბერძნეთის „ვულიაგმენს“, რუსულ „სპარტაკს“, ჰოლანდიის „შუურმანს“, გერმანიის „ვასპო-89“-სა და უნგრეთის „ეგერს“ დაუპირისპირდებოდა. ჩომახიძის შეგირდებს პირველი პაექრობა სტუმრად, სწორედ „ეგერთან“ უნდა გამართათ, მაგრამ ვიზების პრობლემების გამო უნგრეთს ვერ გაემგზავრნენ და შეხვედრა სამომავლოდ გადადეს. ჩემპიონთა ლიგის შესარჩევი ტურნირის მე-2 ტურის მატჩი „ლიგამუსმა“ ჰოლანდიაში იქაურ ჩემპიონ „შუურმანთან“ გამართა. პირველი პერიოდი სტუმრებმა 3:2 მოიგეს, დანარჩენ სამ რაუნდში მასპინძლებმა გარდატეხის შეტანა და საბოლოოდ გამარჯვება შეძლეს — 13:10 (2:3, 6:2, 2:2, 3:3).

20 ოქტომბერს თბილისმა ჩემპიონთა ლიგის გათამაშების მე-3 ტურში „ლიგამუსი-თბილისის“ და რუსეთის ერთ-ერთი უძლიერეს გუნდის — ვოლგოგრადის „სპარტაკის“ დაპირისპირებას უმასპინძლა. ქართველი ნყალბურთელები მეტოქეს თავგამოდებით კი ებრძოდნენ, მაგრამ მაინც დიდი ანგარიშით 8:15 (3:5, 1:5, 1:3, 3:2) დამარცხდნენ. რუსული გუნდი გაცილებით გამოცდილი და ძლიერია, ჩვენი გუნდი კი ჩემპიონთა ლიგაზე პირველად თამაშობს, თანაც ფონს გასვლა ლეგიონერების გარეშე უწევს, რაც საქმეს ერთი-ორად ართულებს.

საქართველოს ჩემპიონმა მომდევნო შეხვედრა 14 ნოემბერს გერმანიაში ჩაატარა და „ვასპო-89“-სთან 5:7 დამარცხდა. 28 ნოემბერს „ლიგამუსმა“ სანყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკი“ ბერძნულ „ვულიაგმენს“ უმასპინძლა და უშანსოდ 5:15 დამარცხდა. რევაზ ჩომახიძის განვრთნილები ბევრს ეცადნენ, მაგრამ გამოცდილ და ძლიერ მეტოქესთან ვერაფერს გახდნენ. ამ მარცხით ქართულმა გუნდმა საქმე კიდევ უფრო გაართულა, თუმცა ჩემპიონთა ლიგის მომდევო ეტაპზე გასვლის უმცირეს შანსს ჯერაც ინარჩუნებს, რადგან ჯგუფიდან საუკეთესო ოთხი გუნდი გადის. „ლიგამუსის“ გასვლა-არგასვლის ამბავი 2013 წელს გაირკვევა — ნყალბურთის ჩემპიონთა ლიგის თამაშები, ფეხბურთის მსგავსად, ორ წელზეა გადაწინაგებული.

ლევან ალექსიძე



## ბოლქვაძის რეკორდი

18 წლის მოცურავე ირაკლი ბოლქვაძემ დაახლოებით ერთი წელია, რაც ქომაგს თავი გააცნო — საქართველოს რეკორდიც გააუმჯობესა და ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადაზეც გამოვიდა. ეს ბიჭი, ლონდონში საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის ყველაზე ახალგაზრდა წევრი იყო და საკმაოდ ნორმალური შედეგიც აჩვენა. ბოლქვაძემ კვალიფიკაციაში დაასრულა ლონდონში გამოსვლა, მაგრამ ისე იცურავა, რომ პირადი რეკორდი გააუმჯობესა — 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში 34 მონაწილეს შორის 28-ე ადგილზე გავიდა. მან დისტანცია 2 წუთსა და 15,89 წამში დაფარა და ძველი რეკორდზე 0.46 წამით უკეთესი დრო აჩვენა. ამ დისტანციაში 16 საუკეთესოს შორის მოსახვედრად საქართველო 2.11,65 დროის ჩვენება.

საქმეში ჩაუხედავმა გულშემმატიკოვარმა 0.46 წამით გაუმჯობესებული შედეგი შეიძლება არაფრად ჩაადოს, მაგრამ სინამდვილეში საქმე სხვაგვარადაა — ცურვა ურთულესი, სპეციფიკური სპორტის სახეობაა, კიდევ უფრო რთულია ცურვის ესა თუ ის დისტანცია და ამათ შორის გამორჩეული სიძნელით გამოირჩევა ბრასით ცურვა, სადაც შედეგის გაუმჯობესება ურთულესი საქმეა და დაუღალავ, რუტინულ შრომას მოითხოვს.

მნიშვნელოვანია, რომ ბოლქვაძე, ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად საკმაოდ დამჯდარი, განონასწორებელი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს და ლონდონში გამგზავრებამდე საკუთარ შესაძლებლობებსაც რეალურად აფასებდა — მას მიზნად საკუთარი რეკორდის გაუმჯობესება ჰქონდა დასახული, რასაც მი-

აღნია კიდევ. საინტერესოა, რომ ირაკლისა და ფინალში გასულ მოცურავეთა შორის სხვაობა ძალიან დიდი არ იყო და თუ ქართველი მოცურავე მონდომებით ივარჯიშებს, გამორიცხული არ არის, მომდევნო ოლიმპიადაზე სულაც ფინალში გავიდეს.

სასიხარულოა, რომ ირაკლიმ ლონდონის საგზური მწვანე ბარათის ანუ ყოველგვარი დახმარების გარეშე მოიპოვა. ეს მან ბელგიის ქალაქ ანტვერპენში ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედლის დასაკუთრებით შეძლო. ახალგაზრდა ქართველი მოცურავის შედეგი 200 მეტრის ბრასით გაცურვა 2:15.46 წუთში ამავე დროს საქართველოს ახალი რეკორდი გამოდგა. საინტერესოა, რომ ირაკლი ბოლქვაძე დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი მოცურავე გახდა, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე მედალი მოიპოვა და ასეთი მაღალი შედეგი აჩვენა.

ევროპირველობამდე ირაკლი ბოლქვაძე და თემურ კობახიძე წარმატებულად გამოვიდნენ კიევში გამართულ უკრაინის ზამთრის ლია ჩემპიონატზე. ახალგაზრდა ქართველმა მოცურავეებმა კარიერის საუკეთესო შედეგი აჩვენეს და საქართველოს რეკორდები გააუმჯობესეს. ირაკლი ბოლქვაძემ კომპლექსურ ცურვაში 400 მეტრზე 4.33.06 შედეგი აჩვენა და მე-4 ადგილი დაიკავა, იუნიორებს შორის კი საპრიზო მე-2 ადგილი მოიპოვა. თემურ კობახიძემ კი საქართველოს რეკორდი 50 მეტრზე ბატერფლაიში დაამყარა შედეგით — 25.64.

ნიკა კოპაძე





# ამირანის ცეცხლი

## მყინვარებიდან დაშვებული ესტაფეტა

ოლიმპიური თამაშების სიმბოლო და ატრიბუტი – ოლიმპიური ჩირაღდანი აუტანიათ დედამინის უმაღლეს მწვერვალ ევერესტზე, ჩაუყრყუმა ლავებთან ოკაანაში, კოსმოსშიც გაუტყორცინათ და იქიდანაც დაუბრუნებიათ, სადაც მანამდე ყოველგვარი სატრანსპორტო საშუალება, დედამინაც მოუვლია, ზღვებიც და ოკაანეებიც...



საძრმთველოს ოლიმპიური თამაშებისთვის არ უმასპინძლია, მაგრამ ოლიმპიურ ფერხულს შეძლებისდაგვარად ჩვენც ვუწყობთ ფეხს, რისი დასტურიც „ამირანის ცეცხლის“ ესტაფეტაა, რომელსაც საფუძველი საქართველოს ოლიმპიელთა კლუბმა და მისმა სულისჩამდგმელმა, ძალოსნობაში სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა კახი კახი-აშვილმა ჩაუყარა.

...გმირი, რომელმაც კაცობრიობას ცეცხლი მოუტანა და ამისთვის ღმერთებმა კლდეს მიაჯაჭვეს, მთელ მსოფლიომ

პოპულარულია — ანტიკურ მითოლოგიაში მას პრომეთე ჰქვია, ქართულ ლეგენდებში კი მსგავსი პერსონაჟი კავკასიონზე მიაჯაჭვული ამირანია. და რაკი ცეცხლი არის ენერჯის, სიცოცხლისა და მარადიულობის სიმბოლო, ხოლო ქართული მითის გმირი, ლეგენდის თანახმად, მყინვარწვერზე მიაჯაჭვეს, ესტაფეტამ სიმბოლოურად სწორედ „ხევის პატარძლიდან“ აიღო სათავე.

„ამირანის ცეცხლის“ ესტაფეტამ 22 ოქტომბერს აიღო სტარტი, როდესაც მთამსვლელებმა ნიკა ლებანიძემ, ტატო ნადირა-

ძემ, გიორგი მაკალათიამ, მიშო ნადირაძემ, გურამ სალიამ და გიორგი ნიკლაურმა ჩირაღდანი მყინვარწვერზე აიტანეს და მის კენწეროზე მზის სხივების დახმარებით ააგვიზგიზეს. მოგვიანებით „ამირანის ცეცხლი“ სტეფანწმინდაში ჩამოიტანეს, სადაც ავტო-მოტო-ველოკოლონით ესტაფეტა თბილისისკენ გაემგზავრა. „ამირანის ცეცხლს“ გზადაგზა შეუერთდნენ ოფროუდერები, ბაიკერები, მოგზაური და გინესის რეკორდსმენი ჯუმბერ ლეჟავა, ვეტერანი ოლიმპიელები თუ მოქმედი სპორტსმენები,





პარაოლიმპიელები, ფედერაციათა წარმომადგენლები.

„ამირანის ცეცხლი“ თბილისში სამგან შეჩერდა: ოლიმპიურ კომიტეტთან, ვაკის პარკში, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროსთან, რომლის სპორტის მუზეუმშიც სიმბოლური წრე დაარტყა.

ესტაფეტა გაგრძელდა სპორტის სასახლეში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსამდე და დასრულდა საქართველოს ოლიმპიელთა კლუბის შტაბ-ბინაში, სადაც დაიდო კიდეც ბინა.

პარალელურად, ოლიმპიელთა კლუბში ამავე დღეს გაიხსნა სპორტის მუზეუმი, რომელიც შექმნილია ოლიმპიელთა კლუბის თავმჯდომარის კახი კახიაშვილისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ძალისხმევით.

გადაწყდა, რომ სიმბოლური ოლიმპიური ესტაფეტა „ამირანის ცეცხლი“ პერიოდულად ყოველწლიურად გაიმართება.

კახი კახიაშვილი იმედოვნებს, რომ „ამირან-პრომეთეს ცეცხლი“ გახდება საზოგადოებრივი ერთიანობის საყოველთაო სიმბოლო, რომელიც ხელს შეუწყობს ოლიმპიური ფა-



სეულობების და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას, რაც ოლიმპიელთა კლუბის უპირველეს პრიორიტეტს წარმოადგენს.


გარდა ამისა, პროექტის მიხედვით, ძველი თაობის სახელოვანი სპორტსმენებისგან ოლიმპიური ცეცხლი ახალ თაობას გადაეცემა. ამიტომაც ჩირაღდანი ზაფხულამდე

არ ჩაქრება, შეინახება ოლიმპიელთა კლუბში და მის მიერ ორგანიზებულ ყველა ღონისძიებაში გამოიყენებენ. კლუბის წევრების ტრადიციულ შეხვედრებზე ანთებულ ჩირაღდანს შეიტანენ წარმატებული ახალგაზრდები.

**გიგა გურასაშვილი**







# მეგობარი გაიხსენეს და არც პოეზი დაივიწყას

მთამსვლელობას უდიდესი სიხარული მოაქვს, მაგრამ, საუბედუროდ, ზოგჯერ მწვერვლებთან და საკუთარ თავთან მეზობლ კაცს იგი სიცოცხლესაც ართმევს. ბედისწერა ხშირად იქაა ჩასაფრებული, სადაც ყველაზე ნაკლებ მოსალოდნელია, მას კი ალპინიზმში ჭიმოჭრილი და ფრიად გამოცდილი მთამსვლელებიც კი თავს ვერ აღწევენ. შარშან ასე დაემართა ჩვენს ახალგაზრდა მეგობარს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გიორგი ნიკოლაძის სახელობის ალპური კლუბის წევრ გიორგი ქრისტესიაშვილს. მაშინ გიორგი სტეფანწმინდის რაიონში, ხდის ხეობაში აღმართულ მწვერვალ გორზე თანაგუნდელებთან ერ-

თად, ვინ იცის, მერამდენედ ავიდა, მათთან ერთად კარვებამდეც მშვიდობით დაეშვა, მაგრამ ის ღამე ბანაკში აღარ გაათენა — ხვალ უთუოდ სამსახურში უნდა ვიყო და მარტომ გააგრძელა გზა — ის გზა, რომელიც მრავალგზის გატკეპნა და საკუთარი ხუთი თითივით იცნობდა. და მაინც, თითქმის ხეობამდე ჩამოსული, რალაც ჭირად, იმ გზას ასცდა, ფეხი დაუცდა და უფსკრულში გადაიჩეხა.

გასულ ზაფხულს თბილისის უნივერსიტეტის ალპინიადის მონაწილეებმა ამავე უნივერსიტეტის პროფესორის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის შოთა მირიანაშვილის მეთაურობით კიდევ ერთხელ დალაშქრეს მწვერვალი და ეს ასვლა გიორგი ქრისტესიაშვილის ხსოვნას მიუძღვნეს.

2012 წელს ეს ალპინიადა უნივერსიტეტელთათვის მეორე იყო. მანამდე მისი მონაწილენი ხევსურეთში ჭაუხების მასივზე აღმართულ მწვერვალ ვაჟა-ფშაველაზე





ავიდნენ, რაც 1992 წლიდან ყოველ ზაფხულს ტრადიციისამებრ ეწყობა. ოლონდ ეგ იყო, მის მონაწილე სტუდენტობას და მათ ხელმძღვანელობას იქ ასასვლელად საკუთარი ხარჯის გაღება მოუხდათ, ან მეტი რა დარჩენოდათ, როცა უნივერსიტეტმა საზაფხულო ალპინიადების ისტორიაში პირველი ასეთი ღონისძიება აღარ დააფინანსა ისევე, როგორც შარშანწინდელი საშემოდგომო ალპინიადა.

უნივერსიტეტებმა შემოდგომაზე ბევრი დავი-დარაბისა და მრავალი ბიუროკრატიული წინააღმდეგობის დაძლევის მერე, როგორც იქნა, მესამე ალპინიადისთვის სახსრები მიიღეს, ოლონდ მათი ხელმძღვანელობისა და ინსტრუქტორ-მეთოდისტებისთვის თანხა ვედარ გაიმეტეს და, ალპინიადის მეთაურობა... ერთ ახალბედა სტუდენტს მიანდეს ისე, თითქოს ისინი სადღაც ტყის პირას საპიკნიკედ ან საექსკურსიოდ მიემართებოდნენ. არადა, მთასთან ხუმრო-

ბა რომ არ შეიძლება, ეს შარშანდელმა უბედურმა შემთხვევამაც, ვინ იცის, მერამდენედ დაადასტურა.

ასე იყო თუ ისე, საბედნიეროდ, ალპინიადის მონაწილეებს სათავეში უსასყიდლოდ, ისევე, როგორც მწვერვალ გორზე, კვლავ ვეტერანი შოთა მირიანაშვილი, დიმიტრი (მიტო) დანგაძე, მალხაზ ხუციშვილი, გაგი მახარაძე, თემურ ახალკაცი და ახალგაზრდა ბექა სუჯაშვილი ჩაუდგნენ. ისინი ისევ ხევსურეთს ეწვივნენ და ჭაუხებში ამჯერად ჩირდილის ხეობიდან ავიდნენ. იქიდან ორმოცი ახალბედა მწვერვალ გიორგი ნიკოლაძის გვერდით მდგომ ერთ უსახელო, 3200 მეტრამდე სიმაღლის პიკზე ავიდა, იმ მწვერვალს კი „ახალბედების პიკი“ ეწოდა. ამ ლაშქრობისას სტუდენტებმა მთამსვლური ნათლობაც მიიღეს, ხევსურეთის სხვა

ხეობებიც პირველად მოიარეს, ნახეს მიტოვებული სოფლები, ნასახლარები, გაეცნენ იქაურ ბუნებას, მთიელთა ყოფა-ცხოვრებას, ყოველივემ კი მათი გულები სიხარულით ალავსო და დაასევდიანა კიდეც.

ერთი სიტყვით, ამ ალპინიადების მონაწილენი, როგორც მათი წინამორბედნი, მთამსვლელობის სიყვარულით მოინამლნენ. ამიტომაც, ისინი მომავალ მწვერვალებზე ფიქრობენ და იმედაი, იქ ასასვლელად უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მათ აღარ გაანზილვებს.

**აპთანაწილ გურასაშვილი**  
**ავტორის ფოტოები**





# თბილისის თასი ტანვარჯიში

მხატვრულმა ტანვარჯიშებმა წარუმატებელი პერიოდი უკან მოიტოვეს, განვლილ საზონში რამდენიმე ტურნირზე მძლავრი მოიპოვეს და საკმაოდ მაგნიმდებელი შედეგებიც აჩვენეს. ამ ამბავში ორგანიზატორებს უნდა აღვნიშნავთ ის არის, რომ საქართველოს ტურნირზეა ძირითადად ახალგაზრდა გოგონები ყოფილან, რაც იმას ნიშნავს, რომ ტანვარჯიშის მოყვარულები მათგან უახლოეს მომავალში უფრო მნიშვნელოვან გამარჯვებებსაც უნდა ელოდონ — ახალგაზრდა დანიაელები, დაოსტალები და ბევრად ახალგაზრდა ტურნირების ოქროს მძლავრებსაც შეუძლებს.

24-26 თებერვალს მოსკოვში, ტანვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირი — „მოსკოვის გრან-პრი 2012“ გაიმართა, სადაც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრები — სალომე ფაჟავა და გაბრიელა ხვედელიძე წარმატებულად გამოვიდნენ და გუნდურ შეჯიბრებაში 28 ქვეყნის ტანვარჯიშეებს შორის მე-3 ადგილი დაიკავეს. საინტერესოა, რომ ქართველ სპორტსმენებს

მხატვრულ ტანვარჯიშში დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის მანძილზე ახალგაზრდებს შორის ასეთი შედეგი მაღალი რანგის ტურნირზე ჯერ არ უჩვენებიათ.

აპრილში იტალიურ პეზაროში დამთავრდა ახალგაზრდა მხატვრულ ტანვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირი 30 ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით. საქართველოს სპორტულ ღირსებას თანატოლებში

ქვეყნის ჩემპიონი და პრიზიორები — გაბრიელა ხვედელიძე, სოფიო ფარულავა და სალომე ფაჟავა იცავდნენ. ქართველი ტანვარჯიშეები თავდაჯერებულები გამოვიდნენ — ოთხი საგნით 103,200 ქულა მოაგროვეს და გუნდური მესამე ადგილი დაიკავეს. პირველ ადგილზე რუსები — დიანა ბორისოვა, იანა კუდრიაეცევა, იულია სინიციანა და ალექსანდრა სოლდატოვა — 105,875 ქულით გავიდნენ, მეორე ადგილი ბელორუსებს — ალიონა ბოლოტინა, მარია კადობინა, კსენია ჩელიძეკინა და ეკატერინა გალკინას — 105,625 ქულით ერგოთ. ჩვენმა გოგონებმა შეჯიბრების ფავორიტები — იტალიელები (101,400), ბულგარელები (101,300) და აზერბაიჯანელები (101,150) ჩამოიტოვეს. საგულისხმოა ისიც, რომ ჩვენებურები ცალკეული საგნებით ვარჯიშის ფინალებშიც შევიდნენ. გაბრიელა ხვედელიძემ რგოლით 25,800 ქულა მოაგროვა და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. თანაგუნდელს მხარი აუბა სალომე ფაჟავამაც — ბავთით ვარჯიშში (26,000) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

12-13 მაისს სპორტის სამინისტროს დარბაზში, საერთაშორისო ტურნირი მხატვრულ ტანვარჯიშში, „თბილისის თასი — 2012“ დასრულდა, რომელშიც 10 ქვეყანა მონაწილეობდა — ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, რუსეთი, სომხეთი, ჩეხეთი, პოლონეთი, უზბეკეთი, აზერბაიჯანი და საქართველო. საბოლოო ჯამში, საპრიზო სამეულებში რამდენიმე ქართველი გოგონა შევიდა. რგოლით ვარჯიშში — გაბრიელა ხვედელიძე 25.15 ქულით ჩემპიონი გახდა, ბურთით ვარჯიშში სოფიო ფარულავამ 25.875 ქულით ვერცხლი მოიგო, გურზებით იმავე, ხვედელიძემ 24.9 ქულით იჩემპიონა, ხოლო ბავთით — სალომე ფაჟავა 25.25 ქულით ვერცხლს გამოჩა.

3 ივნისს, რუსეთის ქალაქ ნიჟნი ნოვგოროდში მხატვრულ ტანვარჯიშში ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონატი დასრულდა, სადაც 34 ქვეყნის წარმომადგენლები, მათ შორის ქართველები გამოვიდნენ. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების გოგონებმა — გაბრიელა ხვედელიძემ, სოფიო ფარულავამ და სალომე ფაჟავამ გუნდურში 104.325 ქულა მოაგროვეს და რუსეთისა (109.850 ქულა) და ბელორუსის (106.550 ქულა) ნაკრებების შემდეგ მესამე ადგილი დაიკავეს. ცალკეულ საგნებში გაბრიელა ხვედელიძემ გურზებით წარდგენისას 26.075 ქულა მოაგროვა და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა, ბურთით ვარჯიშში სოფიო ფარულავას 26.200 ქულით მე-5 ადგილი ერგო, ხოლო სალომე ფაჟავა 25.850 ქულით მეექვსე ადგილზე გავიდა.

ალექსანდრა მაისაშვილი







შუაში — თამარ სიჭინავა

# ულისანზიო ნახტომი

წყალში მსტომელებმა ჭოლა ჭანტურია მ და შოთა კორახაშვილმა საოლიმპიადო ეკლიან გზაზე შემართებით კი იარეს, მაგრამ ურთულეს გამოწვევას ბოლომდე მინც ვერ გაუძლეს და ულიცენზიოდ დარჩნენ.

იენისში მინსკში დამთავრდა წყალმსტომელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ალექსანდრე გუჯაბიძემ 10-მეტრიანი კოშკურიდან ხტომაში 19-წლიანთა შორის ოქროს მედალი მოიპოვა, 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში კი 384 ქულით ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ამასთან, 16 წლის გოგონათა პაექრობაში 13 წლის თამარ სიჭინავამ ბრინჯაოს მედალი ირგუნა.

ივლისში სოფიაში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირში, სადაც 13 ქვეყნის წყალში მსტომელები მოგროვდნენ, 19-წლამდელთა შორის 10-მეტრიანი კოშკურიდან ხტომაში ალექსანდრე გუჯაბიძემ 369 ქულით მესამე ადგილი დაიკავა და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში გუჯაბიძემ მე-5 ადგილი დაიკავა, 16-წლიანებში თამარ სიჭინავა მე-6 ადგილით დაკმაყოფილდა.

24-26 ივლისს იტალიის დედაქალაქ რომში შედგა ახალგაზრდა წყალში მსტომელთა საერთაშორისო ტურნირი. 19-წლამდელელებში 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ალექსანდრე გუჯაბიძემ — ორი წლით უფროსებთან პაექრობაში 434 ქულით ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა, ხოლო 16-წლამდელელებში 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში თამარ სიჭინავამ 310,85 ქულით ოქროს მედალი მოიპოვა. გამარჯვებულს 20,20 ქულით ჩამორჩა ნორვეგიელი ანა ვილდე თექსენი, რომელსაც ვერცხელი ერგო, 284 ქულით მესამე იყო იტალიელი ფრანჩესკა ზაგალიდინი.

ლევსო ალექსიძე

## 0,1 ქულა მედლაზე

ტყვიის სროლაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნინო სალუქვაძემ, რომელმაც გულშემატკივარი მედლებით გაანებივრა, ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე სასურველი შედეგი ვერ აჩვენა, თუმცა ნაგებაც სპორტის განუყოფელი ნაწილია და წარმოუდგენელია სპორტსმენი ამა თუ იმ შეჯიბრებიდან მუდამ მედლით დაბრუნდეს. მით უფრო, სალუქვაძეს 25 მეტრიდან სპორტული პისტოლეთი შეჯიბრებაში ცოტა დააკლდა ფინალში მოსახვედრად და მერე რა მოხდებოდა, კაცმა არ იცის...

იანვარში მიუნხენში გამართა ტრადიციული დიდი საერთაშორისო ტურნირი პნეემატური იარაღიდან სროლაში, სადაც ჩვენი ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი მეექვსე ადგილზე გავიდა 485,2 ქულით, ნინო უჩაძე კი 375-ით — 44-ე პოზიციას დასჯერდა. სალუქვაძემ საკვალიფიკაციო ეტაპი საკმაოდ კარგი შედეგით — 388 ქულით მოიგო. ამდენივე დააგროვა უკრაინელმა მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა ოლენა კოსტევიჩმაც, თუმცა



ჩვენებურს ბოლო ორ სერიასი უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა. უკრაინელისგან განსხვავებით, სალუქვაძემ კარგი სტარტი ფინალში ვეღარ გააგრძელა და ფინალურ ოქტეტში ყველაზე დაბალი შედეგი აჩვენა — 97,2, საბოლოოდ კი, 485,2 დაუგროვდა. კოსტევიჩმა ფინალში დამაჯერებლად ისროლა — 491,5 ჯამური ქულა დააგროვა და ჩემპიონი გახდა.

მაისში მილანში დასრულებულ მსოფლიოს თასის პირველ ეტაპზე ნინო სალუქვაძეს სპორტული პისტოლეთიდან სროლაში ბრინჯაოს მედლამდე სულ რაღაც 0.1 ქულა დააკლდა.

ალექსანდრა მაისაშვილი

## მძლეოსანთა რეკორდები

მძლეოსნური სეზონი 2012 წელს რამდენიმე მიმართულებით გამოდგა საინტერესო. ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ლიცენზია 4-მა სპორტსმენმა მოიპოვა და, შესაბამისად, საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციაში 4 მძლეოსანი მოხვდა — დავით ილარიანი, მაია გოგოლაძე, ბოლესლავ სხირტლაძე და პოლონელი მათიეჟ როსიევიჩი, რომელმაც საქართველოს სახელით გადანყვიტა გამოსვლა. მძლეოსნებს ლონდონში მაღალი შედეგი არ უჩვენებიათ, თუმცა რაოდენობის მხრივ ყველაზე წარმომადგენლობითი დელეგაცია გუნდს სწორედ ლონდონში ჰყავდა.

შედეგიანობის მხრივ კი ქართველმა მძლეოსნებმა ოლიმპიურ თამაშებამდე შეძლეს თავის გამოჩენა. პირველად საქართველოს ისტორიაში, ბარსელონაში გამართულ იუნიორ მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე, ქართველმა სამსტომელმა ლაშა ლულელაურმა ფინალში იასპარაზა — 16,0 მეტრზე გადახტა და მე-6 ადგილზე გავიდა, რაც ნიჭიერი სპორტსმენისათვის განსაკუთრებული შედეგია. ასევე აღსანიშნავია სიმალღეზე მსტომელ ზურაბ გოგოჭურის შედეგიანობა. გოგოჭურმა რეკორდული სიმალღე დააფიქსირა და საქართველოს 28 წლის წინანდელი მიღწევა გააუმჯობესა —

საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრმა 2,24 მეტრი სიმაღლე დაძლია და გენადი გოლუბოვის მიერ 1984 წელს დამყარებული საქართველოს რეკორდი 3 სანტიმეტრით გააუმჯობესა. საქართველოს მორიგი რეკორდი დაამყარა სიგრძეზე ხტომაში ბოლესლავ სხირტლაძემ — 8,12 მეტრი.





# ანა ტატიშვილი TOP 50-ში

თანამედროვე ტენდენციებმა სპორტში წარმატების მოპოვება საგრძობლად გაართულა. გამარჯვების მოსაპოვებლად მარტო შრომა, თავდადება და თუნდაც ნიჭი ვერაფერს მოგიტანს თუ არ გაქვს მყარი და საყრდენი — ანუ ფული, რომელიც ზოგიერთ სპორტის სახეობაში განსაკუთრებით განსაზღვრავს წარმატებას — წარუმატებლობას. მაგალითად — ნიჭიერმა მოჭიდავემ შრომის და ნიჭის ხარჯზე კიდევ შეიძლება რაღაცას მიაღწიოს, მაგრამ წარმოუდგენელია ჩოგბურთელი მსოფლიოში არსებული უდიდესი კონკურენციის ფონზე რამეს გამოიჩინოს, თუ არ აქვს სათანადო პირობები და მყარი დაფინანსება. ამიტომაც იყო, ბოლო წლებში ქართულ ჩოგბურთს გვარიანად რომ გაუჭირდა და შედეგებიც არ ჰქონდა, ბოლო დროს კი ფულის რა გითხრათ და შედეგების მხრივ საქმე შედარებით გამოკეთდა, თუმცა ეს უფრო მოხდა ერთი სპორტსმენის, ერთი ადამიანის ხარჯზე — ანა ტატიშვილმა წლეულს მსოფლიოს საუკეთესო 50-ეულში შეაბიჯა, ოლიმპიადებზეც გამოვიდა და საერთოდაც, ქომაგი ბევრჯერ გაახარა.

იანვარში ავსტრალიის ლია პირველობის მეორე წრეში ანა ტატიშვილმა მსოფლიოს პირველ ჩოგან კაროლინ ვოზნიაცკისთან 1:6, 6:7 წააგო. მართალია, ტატიშვილი მეორე სეტში 4:1-ს იგებდა, შემდეგ 5:3-ზე აწოდებდა და 5:4-ზე მეტოქის მოწოდებაზე სეტ-პოინტიც ჰქონდა, მაგრამ საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა, სადაც უშედეგოდ გაისარჯა და საბოლოოდ, დამარცხდა.

12 აპრილს საქართველოს პირველმა ჩოგანმა, ანა ტატიშვილმა ლეილა მესხის სახელობის კორტებზე ბავშვთა ასაკის გოგონებისათვის და ბიჭებისათვის საჩვენებელი ვარჯიში და

მასტერ-კლასი გამართა. ტატიშვილმა იმ ასაკის პატარებთან ივარჯიშა, რომლებიც თბილისის 2015 წლის ევროპის ოლიმპიური ფესტივალისათვის მზადების პროცესში არიან ჩართულნი. ანამ პატარებს გამოცდილება გაუზიარა და რჩევა-დარიგებებიც არ დაიზარა.

აპრილშივე ეგვიპტის დედაქალაქ ქაიროში საქართველოს ქალ ჩოგბურთელთა ნაკრები გამოვიდა ფედერაციის თასის გათამაშებაში, რომელიც კაცთა ჩოგბურთში დევისის თასის ანალოგია. ლალი ზეიკიდის გუნდმა ევრო-აფრიკული ზონის მეორე ჯგუფში დამაჯერებლად ითამაშა და ერთი საფეხურიც წინ წაინია. საქართველოს ნაკრები ქაიროს ტურნირზე წარმოდგენილი იყო სამი ჩოგბურთელით — ანა ტატიშვილი, სოფო შაფათავა და სოფო ქვაცაბაია. ქართველმა გოგონებმა ქვეჯგუფში დაამარცხეს ნორვეგიის, ლატვიის და თურქეთის ნაკრებები და პლეი ოფის ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც მეორე ქვეჯგუფიდან ამოსულ მონტენეგროს ასევე 3:0 სძლიეს. მეორე ნახევარფინალში საქართველოს მიერ ჯგუფში ძლეულმა თურქეთმა 3:0 აჯობა სამხრეთ აფრიკას. ფინალი აღარ გამართულა. ქაიროს 8-გუნდიანი ტურნირის ორი საუკეთესო გუნდი გაისად ერთი საფეხურით მაღლა ითამაშებს, საიდანაც ესტონეთი და საბერძნეთი დაქვეითდნენ.

მაისში უნგრეთის დედაქალაქში 220-ათასიანი საპრიზო ფონდის მქონე ტურნირზე ტატიშვილმა მეოთხედფინალში დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა მსოფლიოს 57-ე ჩოგანი, კანადელი ალექსანდრა ვოზნიაკი და კარიერაში პირველად გავიდა ასეთი მნიშვნელოვანი ტურნირის ნახევარფინალში. ტატიშვილის შემდეგი მეტოქე იყო ტურნირზე პირველ ნომრად



განთესილი იტალიელი სარა ერანი, რომელთანაც ქართველი ჩოგბურთელი 2:6, 1:6 დამარცხდა. ანამ, ასევე მაისში საფრანგეთის ლია პირველობაზე გამოსვლა პირველივე წრეში დაასრულა — არადა, საკმაოდ ხელსაყრელი მეტოქე შეხვდა — კვალიფიკაციიდან ამოსული ამერიკელი ალექსა გლუჩი, რომელიც მსოფლიო რეიტინგში 190-საფეხურზე იყო, მაგრამ ქართველი ჩოგბურთელი 3:6, 7:5, 4:6 დამარცხდა. ივნისში ანა ტატიშვილი „უიმბლდონს“ მეორე წრიდან გამოეთიშა — 22 წლის ქართველი ჩოგბურთელი 3:6, 1:6 დამარცხდა ორი წლით უმცროსმა იტალიელმა კამილა ჯორჯიმ.

სექტემბერში ანამ ითამაშა ამერიკის ლია პირველობაზე და სვლა მეოთხედფინალში შეწყვიტა ბელორუს ვიქტორია აზარენკასთან — ქართველი ჩოგბურთელი მსოფლიოს პირველ ჩოგანთან 2:6, 2:6 დამარცხდა. 22 წლის ანა ტატიშვილისთვის ეს ტურნირი კარიერაში ყველაზე წარმატებული გამოვიდა. ქართველ ჩოგბურთელს დიდი სღუმის კატეგორიის ტურნირებზე მანამდე არასდროს გაუვლია ერთზე მეტი ეტაპი, ახლა კი ზედიზედ სამი გამარჯვება მოიპოვა და 16 საუკეთესოს შორის აღმოჩნდა. მან პირველ რაუნდში ფრანგი სტეფანი ფორეცი ძალზე იოლად, 6:2, 6:0 დაამარცხა. მეორე რაუნდში მსოფლიოს 35-ე ჩოგან, რუმინელ სორანა კირსტეას შეხვდა, რომელთანაც პირველი სეტი ტაიბრეიკში დათმო, მაგრამ შემდეგ 6:1, 6:2 იმარჯვა. მესამე რაუნდში კი ტატიშვილმა ლუქსემბურგელ მანდი მინელას 7:5, 6:0 აჯობა.

ოქტომბერში ანა ტატიშვილმა მსოფლიო რეიტინგში ახალ სარეკორდო ნიშნულს მიაღწია. განახლებულ მსოფლიო კლასიფიკაციაში იგი 50-ე საფეხურზე აღმოჩნდა, რაც მის კარიერაში საუკეთესო პოზიციაა. სამწუხაროდ, 22 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა წარმატებული სეზონი ნაადრევად დაასრულა — ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ტატიშვილი მოიხსნა ავსტრიულ ლინცში და ლუქსემბურგში გასამართი ტურნირებიდან და როგორც Facebook-ის პირად გვერდზე დაწერა, წლეულს აღარც სხვა ტურნირებში მიიღებს მონაწილეობას.

ნიკა კოპალიანი





# გურალია ოქროსკენ გასურა

პეტრანი წყალმთხილამურე გენადი გურალია საზღვარგარეთ ცხოვრობს, თუმცა საერთაშორისო ტურნირებზე, ევროპის თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე საქართველოს სახელით გამოდის. გურალია წყალმთხილამურეთა შორის გამოცდილ და ტიტულოვან სპორტსმენად ითვლება და ამ სტატუსის გამართლება არასდროს არ უჭირს.

ოქტომბრის მინურულს მექსიკის ქალაქმა ჩაპალამ ვეტერან წყალმთხილამურეთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლა. მსოფლიოს პირველობაზე 20 ქვეყნის 120 სპორტსმენი გამოვიდა — მათ შორის იყო ქართველი გენადი გურალია, ვინც 1 ოქროს და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. გენადი გურალია ჩემპიონი გახდა მრვალჭიდში (სლალომი, ფიგურები, ტრამპლინი), სადაც ჯამური 2560.06 ქულა დააგროვა და მეორე ადგილზე გასულ ამერიკელ მიჰაელ მაკკორმაკს 200-ზე მეტი ქულით გაუსწრო. გურალიამ 865.23 ქულა მოაგროვა და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა ტრამპლინიდან ხტომაში, ხოლო ფიგურულ შეჯიბრში მეოთხე ადგილს დასჯერდა და მცირედი დააკლდა ბრინჯაოს მედალამდე. საინტერესოა, რომ გურალიას შედეგებით, საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველო მე-11 ადგილზე გავიდა.



# ლონდონურ ფინალაზე

ოლიმპიადამდე კარგა ხნით ადრე, 10-18 იანვარს ლონდონი ბატუტისტთა შორის სალიცენზიო ტურნირს მასპინძლობდა — 16 ბატუტისტმა, მათ შორის გოლოვინამ ოლიმპიადის 8 საგზური გაითამაშა — საქართველოს ნაკრების ლიდერი შეჯიბრებაზე დამაჯერებლად გამოვიდა და ტურნირის ფინალურ ეტაპზე ანუ, საუკეთესო 8 სპორტსმენს შორის მოხვდა, რამაც საბოლოოდ ლონდონის ოლიმპიადის საგზური მოუტანა. ახალგაზრდა ქართველმა ბატუტისტმა ფინალისტთა შორის ბოლო, მე-8 ადგილი კი დაიკავა, მაგრამ ეს ამბავი მას ყველაზე ნაკლებად ადარდებდა, რაკი უკვე დაჯავშნული ჰქონდა ყველაზე მნიშვნელოვანი — ლონდონის ბილეთი.

24 მარტს „ლაგუნა ვერეს“ მიმდებარე ტერიტორიაზე ტანვარჯიშის დარბაზში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ბატუტზე ხტომაში. გოგონათა შორის გამარჯვება მოიპოვა ლუბა გოლოვინამ, ხოლო ვაჟებში პირველი იყო თენგიზ კომკაძე, რომელსაც ასევე შეეძლო ლონდონში გამოსვლა, მაგრამ ხელი ტრავმამ შეუშალა.

აპრილში რუსეთის ქალაქ სანკტ-პეტერბურგში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე გოლოვინამ მეხუთე ადგილი დაიკავა. ლუბამ კარგად დაიწყო ევროპირველობაზე გამოსვლა და კვალიფიკაციაში საუკეთესო შედეგი აჩვენა, მაგრამ ფინალში რამდენიმე მცირე შეცდომა დაუშვა, ჯამში 53.630 ქულა დააგროვა და 0.310 ქულა დააკლდა ბრინჯაოს მედალამდე.

\*\*\*

ბატუტზე მსტომელებს საინტერესო თაობა ეზრდებათ — ნიჭიერი ანა ოდიშვილის ამბავი ქობაგს ემასხოვრება, ეს ახალგაზრდა საერთაშორისო ტურნირებზე თავისზე უფროს გოგონებში მუდმივად წარმატებით გამოდის. ბოლო ხანს კი ოდიშვილს სხვა გოგონებმაც მიბაძეს — 3-7 ოქტომბერს

ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ჩატარდა მსოფლიოს თასი, სადაც ასაკით უფროსი ბატუტზე მსტომელები გამოდიოდნენ, იქვე, პარალელურად მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე კი ძალები მოსინჯეს ახალგაზრდებმა. ქართველმა გოგონებმა 12 წლის ქრისტინე სორდია და 11 წლის ნატალია ჩარგეიშვილმა 15-წლამდელთა ტურნირზე სინქრონულ წყვილში ყველას აჯობეს და 37.8 ქულით ჩემპიონები გახდნენ. გოგონების გამოსვლის და სხვა ტურნირებზე ნაჩვენებ შედეგების გაცნობა ბატუტზე მსტომელთა ნაკრების თავკაც ზაურ სულაშვილს ვიზოვით.

ზაურ სულაშვილი: „ბულგარეთში მომავალ წელს ზუსტად იმავე დარბაზში მსოფლიოს ჩემპიონატი ტარდება, ამიტომ წლუღს იქ 22 ქვეყნის ძლიერი სპორტსმენები მოგროვდნენ, ადაპტაცია გაიარეს და გამარჯვებისთვის ძალები არ დაზოგეს. მსოფლიოს თასზე გამოსვლას ჩვენც ვგეგმავდით, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო სოფიაში ვერ გავემგზავრეთ, სამაგიეროდ, საერთაშორისო ტურნირზე საკუთარი ხარჯებით რამდენიმე გოგონა წავიდა და მათგან ორი ჩემპიონიც გახდა. ჩვენთვის ეს სეზონი სხვა მხრივაც საინტერესო იყო — გოლოვინას ამბები იცით, თენგიზ კომკაძემ კი, ვინც ოლიმპიადის ლიცენზიისთვის ბრძოლა ტრავმის გამო ვერ შეძლო, პრესტიჟულ მსოფლიოს თასზე ფინალურ ეტაპზე მოხვედრა მოახერხა. უფრო ადრე, ანა ოდიშვილმა იყოჩაღა. აპრილში, რუსეთის ქალაქ სანკტ-პეტერბურგში გამართულ 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე გამოვიდა და ფინალში მოხვდა. მას მედლისთვის ბრძოლაც შეეძლო, მაგრამ თავი გამოუცდელიობამ იჩინა. ანა ხომ ჯერ მხოლოდ 13 წლისაა. ასე რომ, საინტერესო თაობა მოდის და სამომავლოდ მათი იმედი ნამდვილად გვაქვს.“

ნიკა კოპალიანი







სისტემით გამართული პირველობა დამაჯერებლად მოიგო და ჩემპიონისთვის კუთვნილი თასიც დაიბრუნა.

ბათუმში 6-8 ივლისს გაიმართა ევროპის 2012 წლის ჩემპიონატი 18-წლამდე ასაკის გოგონათა და ვაჟთა შორის პლაჟის ხელბურთში, რომელმაც საინტერესო და დაძაბულ ორთაბრძოლებში ჩაიარა. სამდღიანი პაექრობების შედეგად, კონტინენტის საუკეთესო ახალგაზრდული გუნდები გამოვლინდნენ. ჩემპიონატის ყველა მედალი მხოლოდ სამ ქვეყანას ერგო. ვაჟთა გუნდების ფინალში, რუსებმა დაძაბულ ბრძოლაში შეძლეს თურქების დამარცხება, ბრინჯაოს მედლები კი, უნგრელებმა მოიპოვეს. გოგონათა შორის უძლიერესი უნგრეთის ნაკრები აღმოჩნდა, რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში თურქებს აჯობა და ოქროს მედლებთან ერთად, ევროპის თასიც ირგუნა. მე-3 ადგილზე რუს გოგონათა გუნდი გავიდა. ჩემპიონატის დახურვის ცერემონიაზე პლაჟის ხელბურთის ევროპის ფედერაციის პრეზიდენტმა — ოლე იორსტადმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ჩემპიონატი მაღალ დონეზე ჩატარდა და იმედი გამოთქვა, რომ ბათუმი მომავალშიც უმასპინძლებს დიდი რაუნგის შეჯიბრებებს.

# სტუდენტური სივალა

ხელბურთელებმა გასულ წლებთან შედარებით ბევრად საინტერესო და შედეგიანი სეზონი მოილიეს და გულშემატკივარიც გვარიანად გაახარეს. სტუდენტურმა ნაკრებმა ესპანეთის ქალაქ კორდობაში გამართულ ევროპის პირველ საუნივერსიტეტო თამაშებში გაიმარჯვა, ბათუმმა კი პლაჟის ხელბურთში 18-წლამდელ გოგონათა და ვაჟთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა — ეს სპორტი ჩვენს ქვეყანაში ახალი ხილია, თუმცა მატჩებმა ქომაგის დიდი ინტერესის და ყრიაბულის ფონზე ჩაიარა და ევროპის ხელბურთის მაღალჩინოსნებიც კმაყოფილი დატოვა, რაც გარკვეულწილად სამომავლოდ უფრო მაღალი დონის ტურნირების ჩატარების პერსპექტივას გვიტოვებს, ოღონდ საამისოდ საჭიროა სახელბურთო ინფრასტრუქტურის მონერსრეგება და სხვა საჭიროებოტო საკითხების გადაჭრა.

მანისში ვაჟ ხელბურთელთა 22-ე ჩემპიონატი დასრულდა. შიდა პირველობა საკმაოდ მოსალონიერებელია და ჯერჯერობით დიდი თვალსასიეროც ვერ არის, მაგრამ წინამორბედი სეზონისგან განსხვავებით უკეთესი იყო, რაც გამორჩევით სტუ-ს დამსახურებაა, რომელიც ძირითადად ნაკრების მოთამაშეებითა დაკომპლექტებული. ოქროს მედლები სწორედ სტუ-ს დარჩა, ვინც ექვსგუნდა, წრიული

ივლისში ესპანურ კორდობაში გამართულ ევროპის პირველ საუნივერსიტეტო თამაშებზე დამაჯერებლად ითამაშა საქართველოს სტუდენტურმა ნაკრებმა და არავის დაუთმო ოქროს მედლები. ირაკლი კეკელიძის განვრთნილმა ხელ-







ბურთელებმა ექვსგუნდა ჯგუფში ხუთივე თამაში მოიგეს, მათ შორის დაძაბულ ბრძოლაში დაჩაგრეს მასპინძელი კორდობას უნივერსიტეტის გუნდი და ტურნირის ფორმატის თანახმად, პირდაპირ ფინალში გავიდნენ, სადაც საკმაოდ იოლად, 37:24 აჯობეს ხორვატიის „ოსიეკს“. საქართველოს სტუდენტურმა ნაკრებმა მატჩში უპირატესობა თავიდანვე დაიბევა და მეტოქეს არ მისცა თამაშში გარდატეხის შეტანის და ანგარიშის შემობრუნების საშუალება.

ხელბურთის ფედერაცია, მნიშვნელოვანი შეჯიბრებების პარალელურად, მუდმივად ატარებს ასაკობრივ ჩემპიონატებს და აკეთებს სელექციას, სადაც ახალგაზრდა გოგო-ბიჭები დაოსტატებას ემურებიან და ამასთან ემზადებიან 2015 წელს თბილისში გასამართი ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშებისთვის. ფედერაცია განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს 1998-1999 წლებში დაბადებულ ხელბურთელებზე, ვინც საქართველოს სახელით უნდა ითამაშოს თბილისის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე.

**ლევსო მაისურაძე**



## გაჩეჩილაძე კავკასიის თასს ლიდერობს

ძართველ ცხენოსანს შალვა გაჩეჩილაძეს ცხენოსნობის მოყვარულები კარგად იცნობენ — „კავკასიის თასის“ გათამაშებაში მუდმივად შედეგიანად ჯირითობს და სულ მონინავეთა შორისაა. 2012 წელს გაჩეჩილაძემ მსოფლიოს თასის კავკასიის ლიგაში სამი ეტაპი მოიგო. ბოლო იყო 25 ნოემბერს აზერბაიჯანში გამართული ტურნირი, სადაც მეტოქეები უკან მოიტოვა და მნიშვნელოვანი ქულებიც შეიმატა. მეორე ადგილზე გავიდა აზერბაიჯანის სახელით მოასპარეზე ბელგიელი ცხენოსანი პატრიკ მაკენტი, მესამეზე კი — ქართველი გეგა მეტონიძე. შალვა გაჩეჩილაძე „კავკასიის თასის“ გათამაშების სატურნირო ცხრილს 36 ქულით ლიდერობს, უშუალო კონკურენტს — აზერბაიჯანელ ცხენოსანს 11 ქულით უსწრებს და თითქმის გადანწყვტილი ამბავია, რომ გაისად, 24-28 აპრილს, შვედეთის ქალაქ გიოტებორგში გასამართ მსოფლიოს თასის გათამაშებაში გამოვა. მსოფლიოს თასზე დედამიწის ყველა კუთხიდან სხვადასხვა სამეჯიბრო ლიგებში გამარჯვებული მხედრები მონაწილეობენ, იქ მოხვედრა კი ნებისმიერი მხედრისთვის საამაყო საქმეა.

**შალვა გაჩეჩილაძე:** „აზერბაიჯანში გამართული შეჯიბრების შემდეგ „კავკასიის თასს“ ვლიდერობ, რაც საშუალებას მაძლევს გაისად შვედეთში გასამართ მსოფლიოს თასზე უძლიერეს ცხენოსნებთან ერთად გამოვიდე. ეს ამბავი თითქმის გადანწყვტილია, თუმცა ვითარება შესაძლოა შეცვალოს „კავკასიის თასის“ ეგიდით გამართულმა რამდენიმე შეჯიბრებამ და ჩემმა ცუდმა გამოსვლამ, რასაც ნაკლებად ველოდები. სხვა მხრივ, წარმატებული სეზონი მქონდა — სამჯერ მოვიგე მსოფლიოს თასის ეტაპი და სხვა შეჯიბრებებზე მუდმივად ვიყავი მონინავეთა შორის“.

**ნიკა კოპალიანი**

## არა ღოპინგს!


თიბერპალში საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტოს პრეზიდენტი პალიკო კასრაძე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში სპორტული ფედერაციების წარმომადგენლებს და ჟურნალისტებს შეხვდა და ყურადღება დაუთმო მსოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტოს იმ მითითებს და რეკომენდაციებს, რასაც ვადა (მსოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტო) მისი წევრი ქვეყნების მიმართ გასცემდა მიმდინარე ოლიმპიურ ციკლში სპორტსმენთათვის დიოპინგ-ტესტების ჩატარების კუთხით.

პავლე კასრაძე: „ახლახანს საერთაშორისო ფედერაციის ორგანიზებით ქუევიტში ჩატარდა რეგიონული ანტიდოპინგური ორგანიზაციების შეხვედრა, სადაც საქართველოს პრეზენტაციამ მაღალი შეფასება დაიმსახურა. მოგესვენებათ, საქართველოს სააგენტო აღმოსავლეთ-ევროპის რეგიონული ანტიდოპინგური ბიუროს ხელმძღვანელია, რაც საშუალებას გვაძლევს 8 ქვეყნის სახელით ვილაპარაკოთ და დღის წესრიგში სხვადასხვა საკითხი დავაყენოთ, რომელსაც სერიოზული მხარდაჭერა ექნება“.

მოგვიანებით, აპრილის თვეში მოლდოვას დედაქალაქ კიშინიოვში ჩატარდა აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალური ანტიდოპინგური ორგანიზაციის საბჭოს წევრების სხდომა. პროფესორი პავლე კასრაძე — საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტოს თავმჯდომარე არჩეული იქნა ორგანიზაციის თავმჯდომარედ ორი წლის ვადით. ორგანიზაციის აღმასრულებელ დირექტორად დაინიშნა საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტოს გენერალური მდივანი თეიმურაზ უკლება, ხოლო ორგანიზაციის მენეჯერად — თამარ სვანიშვილი.

მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს წარმომადგენელმა ტომ მეიმ, რომელიც ამავდროულად გახლავთ პროგრამის განვითარების მთავარი მენეჯერი და ფრედერიკ დონცემ დადებითად შეაფასეს აერადო-ს (აღმოსავლეთ ევროპის ანტიდოპინგური სააგენტო) მიერ განეული სამუშაო. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე მოლდოვას რესპუბლიკის ახალგაზრდობისა და სპორტის მინისტრმა — იონ სებანუმ. საბჭოს სხდომაზე შემუშავებული და დამტკიცებული იქნა აერადოს 4-წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა.





# ბაზაძის ბრინჯაო

ბექა ბაზაძემ 23-წლამდელთა 2012 წლის ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და ბოლო 25 წლის მანძილზე ქართულ ფარიკაობას ამ ასაკის შეჯიბრებებში ყველაზე მნიშვნელოვანი მედალი მოუტანა. ჩვენს მუშკეტერებს სხვა საინტერესო ტურნირებიც ჰქონდათ, თუმცა ჯობს თანმიმდევრობით მივყვეთ.

თებერვალში ანკარაში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი, სადაც 12-წლამდელთა შეჯიბრებაზე მასპინძლებთან ერთად რუსეთის, საქართველოს, ბულგარეთის, რუმინეთისა და ქუვეითის მოფარიკავეები შეიკრიბნენ. ტურნირზე საქართველოს ღირსებას 18 გოგო-ბიჭი იცავდა. პატარა მუშკეტერებმა ერთი ოქროს და სამი ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს. გუნდურ რაპირაში მარიამ ცუხიშვილმა (რუსთავი), ლია ჯიჯეიშვილმა და ანა მელიამ (ორივე — თბილისი) რამდენიმე მეტოქეს სძლიეს, ფინალში თურქეთის პირველ გუნდს 45:35 აჯობეს და ოქროს მედლები მოიპოვეს. გუნდურ დაშნაში ჩვენმა გოგონებმა — ნინო გაბუნია, ანა ბიბიჩიძე, თათია ჩხეტიანი — ნახევარფინალური პაექრობა დათმეს რუმინელებთან 32:45 და მესამე ადგილს დასჯერდნენ.

ინდივიდუალურ შეჯიბრებაში ბრინჯაო ერგო მარიამ ცუხიშვილს, ხოლო ხმაღში — ნიკა შენგელიას.

მაისის მინურულს სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავაში ევროპის 23-წლამდელთა ჩემპიონატზე წარმატებით გამოვიდა ქართველი მოფარიკავე ბექა ბაზაძე, რომელმაც ხმლით ფარიკაობაში გერმანელი და ორი იტალიელი მეტოქე დაამარცხა და ნახევარფინალში დამარცხდა უნგრელ მოფარიკავესთან, რაც ბრინჯაოს მედლის მოპოვების ტოლფასი გამოდგა. საინტერესოა, რომ 23-წლამდელებს შორის საქართველოს წარმომადგენელს 25 წელია ასეთი შედეგისთვის არ მიუღწევია.

19-21 ოქტომბერს სპორტკომპლექსმა „არენამ“ ფარიკაობაში ევროპის თასის გათამაშებას უმასპინძლა 23-წლამდელ ვაჟთა და გოგონათა შორის. ევროპის თასზე მონაწილეობა 8 ქვეყნის 60-მდე მოფარიკავემ მიიღო. ქართველებთან ერთად მედლებისათვის გერმანიის, ბელორუსის, უკრაინის, რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ირანის მოფარიკავეები იბრძოდნენ.

თბილისში გამართულ შეჯიბრებაზე ვაჟთა ფინალი ქართული გამოვიდა — სანდრო ბაზაძემ ბექა ბაზაძეს მოუგო, ბრინჯაოს მედლები კი მიხეილ მარდალესიშვილმა და უკრაინელმა ივან ბიონკომ გადაინანილეს. გოგონათა შორის ოქროს მედალი აზერბაიჯანელმა სევილ ბუინიტუამ დაისაკუთრა, ვერცხლი უკრაინელ ვალერია ჩუდიკოვას ერგო, ბრინჯაოები კი ასევე უკრაინელ ალიონა კრავცოვას და აზერბაიჯანელ აიდა ასიასკაროვას შეხვდათ. გუნდურ შეჯიბრებაში გოგონათა შორის აზერბაიჯანმა გაიმარჯვა, ვაჟთა შორის კი ბელორუსმა.

3-4 ნოემბერს კიევმა იუნიორ მოფარიკავეთა მსოფლიოს თასს უმასპინძლა. შეჯიბრებაზე ქართველი სპორტსმენებიც გამოვიდნენ და 1 ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს. სანდრო ბაზაძემ ქვეჯგუფის ყველა შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო, მომდევო ეტაპებიც წარმატებით გაიარა და ნახევარფინალში გავიდა, რაც მედლის მოპოვების გარანტია იყო — მარცხის შემთხვევაშიც კი, ბაზაძე ბრინჯაოს მედალს მოიგებდა. ნახევარფინალში ქართველმა მოფარიკავემ ამერიკელ ჯეფრი ლოსს დიდი ბრძოლა გაუმართა, თუმცა 13:15 დამარცხდა და ბრინჯაოს მედალი ერგო.

ნიკა კოპალიანი

# BAZADZE'S BRONZE MEDAL

BEKA BAZADZE, Georgian fencer, succeeded at the European U-23 championship in fencing, which was held in Bratislava (Slovakia). Bazadze beat German and two Italian opponents in saber individuals, but lost the duel with the Hungarian rival. This failure left Bazadze with bronze medal. It is worth mentioning, that no Georgian representative has achieved such success in this age category for the last 25 years.

Georgian sports complex "Arena" hosted European Cup in fencing under U-23 during October 19-21. The tournament gathered 60 fencers from 8 countries, including Georgia, Germany, Belarus, Ukraine, Russia, Azerbaijan, Armenia and Iran. The final duel turned out to be "Georgian." Sandro Bazadze defeated Beka Bazadze. Bronze medals went to Mikheil Mardaleshvili (Georgia) and Ivan Boyko (Ukraine). Azerbaijan won in the women team contest and Belarus emerged winner in the men team contest.

NIKA KOPALIANI







## ევროპის ჩემპიონატი

ავთანდილ ცერცვაძე  
აბს – ვერცხლი

ავთანდილ ცერცვაძე  
+115კგ – ვერცხლი

პირად-გუნდური – ვერცხლი

## ევროპის ჩემპიონატი (ახალგაზრდები)

გიგა გელაშვილი  
+100 კგ – ოქრო

ზურაბ აქუბარდია  
აბს – ოქრო

ზურაბ აქუბარდია  
100 კგ – ვერცხლი

პირად-გუნდური – ოქრო

## მსოფლიოს ჩემპიონატი (ახალგაზრდები)

გიგა გელაშვილი  
+100 კგ – ვერცხლი

# ევროპეელები

**სუმო საქართველოში ცნობადი სპორტის სახეობა იმ ქართველი სუმოისტების წარმატებების შედეგ გახდა, ვინც იაპონიაში დღემდე ყოჩაღოვან, თუმცა გოლო დროს ამ მხრივ სიტუაცია გადასხვაფერდა — მედეების მოპოვება და სპორტის ამ სახეობის მიმართ ინტერესის გაზრდა ქართველმა სუმოისტებმა დაიწყეს, რომლებიც ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებზე საქართველოს ნაკრების სახელით გამოდიან.**

15-17 ივნისს, უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში სუმოისტთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართა, სადაც 17 ქვეყნის სპორტსმენები გამოვიდნენ. ევროპირველობაზე ძალები ახალგაზრდებმა და დიდებმა მოსინჯეს და ჩემპიონ-პრიზორები 5 ნონით კატეგორიაში და პირად-გუნდურ პირველობაში გამოავლინეს. საქართველოს დელეგაცია ევროპის ჩემპიონატზე 5 სპორტსმენით გამოვიდა და 7 მედალი დაისაკუთრა. დიდებში 2 ვერცხლის მედალი აიღო ავთანდილ ცერცვაძემ (+115 კგ და აბსოლუტურ ნონაში). ამასთან, ვერცხლის მედალი მოიპოვა საქართველოს ნაკრებ-

მა პირად-გუნდურ შეჯიბრებაში — ავთანდილ ცერცვაძე, ზაზა ბალაშვილი, იასონ კარიბოვი და ზურაბ აქუბარდია. ახალგაზრდებში იჩემპიონეს — გიგა გელაშვილმა (+100 კგ) და ზურაბ აქუბარდიამ (აბსოლუტურში), მანვე -100 კილოგრამში ვერცხლი მოიპოვა, ხოლო გუნდურ შეჯიბრებაში გელაშვილთან ერთად ოქროს მედალი დაისაკუთრა. ევროპირველობის მსვლელობის დროს სუმოს ევროპის ფედერაციის კონგრესი გაიმართა, სადაც საქართველოს სუმოს ფედერაციის პრეზიდენტი თენგიზ რუხაძე ევროპის სუმოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს.

ოქტომბრის ბოლოს ჰონკონგმა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლა — დიდებში და ახალგაზრდებში, თუმცა რიგი მიზეზების გამო იქ მხოლოდ ჩვენი ახალგაზრდები წავიდნენ. ნაკრებს ერთადერთი მედალი მოუტანა გიგა გელაშვილმა (+100), ვინც ფინალამდე ყოჩაღად კი იჭიდავა, მაგრამ გადამწყვეტი ორთაბრძოლა დათმო. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდურ პირველობაშიც გამოვიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ხელი მოეცარა — ბრინჯაოს ფინალი უკრაინის ნაკრებთან წააგო.

თენგიზ რუხაძე (სუმოს კავშირის პრეზიდენტი): „მთლიანობაში განვლილი სეზონით კმაყოფილი ვარ. რამდენიმე მნიშვნელოვანი მედალი მოვიპოვეთ, იყოჩაღეს დიდებმაც და ახალგაზრდებმაც. თუმცა, გული მწყდება, რომ წლის უმნიშვნელოვანეს შეჯიბრებაზე მსოფლიოს ჩემპიონატზე არასრული გუნდით წავედით — მიზეზთა გამო იქ მხოლოდ ახალგაზრდები გაემგზავრნენ. არადა, შეგვეძლო უფრო მეტი მედალი დაგვესაკუთრებინა. არაუშავს, იმედი მაქვს, რომ მომავალში უფრო მეტს შევძლებთ.“

ნიკა კოპაძე





# ლიდერი უსვლელია

სტუდენტური სპორტის განვითარება ნებისმიერი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია — დიდნილად ხომ სტუდენტები ხდებიან მამოძრავებელი ძალა ამა თუ იმ სპორტის სახეობაში და, ხშირ შემთხვევაში, განსაზღვრავენ კიდევ საერთო წარმატებას თუ წარუმატებლობას. ამის ფონზე, ქართული სტუდენტური სპორტის გამოცოცხლება და საერთაშორისო სარბიელზე მოპოვებული გამარჯვებები, ცხადია, ძალიან სასიხარულოა და იმის იმედსაც იძლევა, რომ უახლოეს პერიოდში ქართულმა სპორტმა სხვადასხვა ასაკობრივ თუ ეროვნულ ნაკრებებში კიდევ უფრო მძლავრი შევსება მიიღოს.

15 მაისს დაიწყო და 11 ივნისამდე გაგრძელდა საქართველოს „უნივერსიდა — 2012“, რომლის ორგანიზატორი იყო საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია, მხარდამჭერი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, ხოლო შეჯიბრების გენერალური სპონსორი „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“. ტურნირში, რომელშიც საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები

გამოდიდოდნენ, გამარჯვებულები გამოვლინდნენ სპორტის 22 სახეობაში — ძიუდოში, ბადმინტონში, ხელბურთში, ქართულჭიდაობაში, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, თავისუფალ ჭიდაობაში, ტაეკვონდოში, სამბოში, კარატეში, ჭადრაკში, მძლეოსნობაში, ცურვაში, მკლავჭიდაობაში, ჩოგბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, შვიდკაცა რაგბში, ფრენბურთში, ძალისმიერ სამჭიდაობაში, სტრიტ ბოლში, მშვილდოსნობაში, სროლასა და კრიგში. გუნდურ ჩათვლაში 27 ოქროს, 14 ვერცხლის და 17 ბრინჯაოს მედლით უნივერსიდა 2012-ის გამარჯვებული ტექნიკური უნივერსიტეტი გახდა, ვინც თითქმის ყველა წამყვან სპორტის სახეობაში დამაჯერებლად იპირველა და გუნდურ პირველობაში გამარჯვება იოლად მოიპოვა. მეორე ადგილზე გასული აგრარული უნივერსიტეტის გუნდი 12 ოქროს, 13 ვერცხლს და 20 ბრინჯაოს გამოიჩინა, ხოლო მესამეადგილოსანი თსუ-ს ნაკრები — 11 ოქროს, 16 ვერცხლს და 11 ბრინჯაოს.

ივლისში ესპანეთის ქალაქ კორდობაში გამართულ ევროპის პირველ საუნივერსიტე-

ტო თამაშებზე ჩემპიონობა მოიპოვა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელბურთის გუნდმა, რომელმაც ექვსგუნდიან ჯგუფში ხუთივე მონინალმდევე დაამარცხა, ტურნირის ფორმატის გათვალისწინებით პირდაპირ ფინალში გავიდა და იქ საკმაოდ იოლად, 37:24 აჯობა ხორვატიის „ოსიეკს“. ხელბურთელების დარად იყოჩაღა და მესამე ადგილი დაიკავა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუტსალის გუნდმა. ქართველებმა სანყის ეტაპზე ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავეს და მეოთხედფინალში გავიდნენ, სადაც 10:3 აჯობეს პოლონეთის ადამ მიცკევიჩის სახელობის უნივერსიტეტს. ნახევარფინალში კი დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდნენ ციმბირის უნივერსიტეტის გუნდთან, ხოლო მესამე ადგილისთვის შეხვედრაში 7:5 აჯობეს მასპინძელი კორდობას უნივერსიტეტის გუნდს. ტურნირის ფინალში ციმბირის უნივერსიტეტმა 3:1 მოუგო პორტუგალიის მინიოს უნივერსიტეტს.

ნიკა კოპაძე





**საქართველოს უნივერსიადის  
საგოლოო ცხრილი**

უნივერსიტეტი	ო	3	6	ჯ
1. სტუ	27	14	17	58
2. აგრარული	12	13	20	45
3. თსუ	11	16	11	38
4. ილიაუნი	7	13	13	33
5. სამედიცინო	7	7	22	36
6. გორის უნივ.	6	11	1	18
7. ბათუმის უნივ.	5	5	11	21
8. საავიაციო	4	2	1	7
9. სეუ	4	1	0	5
10. სოხუმის უნივ.	3	5	8	16
11. ქუთაისის უნივ.	3	4	4	11
12. ახალციხის უნივ.	3	0	0	3
13. კავკასიის საე. უნივ.	2	0	0	2
14. სამედიცინო	2	0	0	2
15. სასულიერო	1	4	2	7
16. საქართველოს უნივ.	1	2	8	11
17. თავართქილაძის უნივ.	1	1	0	2
18. თელავის უნივ.	1	0	1	2
19. შავი ზღვის უნივ.	1	0	0	1
20. სუხიშვილის უნივ.	1	0	0	1
21. ქართული უნივ.	0	2	0	2
22. ბათუმის საზღვაო	0	1	2	3
23. გრ. რობაქიძის უნივ.	0	1	2	3
24. სდასუ	0	0	2	2
25. თბილისის საე. უნივ.	0	0	1	1

**სახეობა:** ძიუდო, ბადმინტონი, ხელბურთი, ქართული ჭიდაობა, ბ/რ ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, ტაეკვონდო, სამბო, კარატე, ჭადრაკი, მძლეოსნობა, ცურვა, მკლავჭიდი, მაგიდის ჩოგბურთი, ჩოგბურთი, შვიდკაცა რაგბი, ძალისმიერი სამჭიდი, ქუჩის კალათბურთი, მშვილდოსნობა, სროლა, კრივი, ფრენბურთი.



# არჩევნები და შედეგები

**ზაფხულის** ოლიმპიური თამაშების დასრულების შემდეგ, 2012 წლის ნოემბერ-დეკემბერში საქართველოს სხვადასხვა სპორტულ ფედერაციებსა და ორგანიზაციებში გეგმიური თუ რიგგარეშე საანგარიშო-საარჩევნო ყრილობების საკმაოდ დატვირთული სერია ჩატარდა და ახალი ხელმძღვანელობა 30-მდე სპორტულმა ფედერაციამ აირჩია. საარჩევნო სეზონის დასასრულს საპრეზიდენტო არჩევნები ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტშიც ჩატარდა.

აღსანიშნავია, რომ ამჯერად არჩევნები პრეზიდენტობის მსურველი კანდიდატების მაღალი კონკურენციით იყო გამორჩეული და განსხვავებით ბოლო წლების პრაქტიკიდან, სხვადასხვა ფედერაციების ხელმძღვანელის პოსტისათვის ორი ან სულაც რამდენიმე კანდიდატი იბრძოდა.

საანგარიშო-საარჩევნო ყრილობები 2013 წელსაც გაგრძელდება. არჩევნები დებულებით დამტკიცებულ ვადებში ჩატარდება შემდეგ პრიორიტეტულ სპორტის სახეობებში: კალათბურთი — 2013, ჭადრაკი — 2014, ფეხბურთი — 2015, რაგბი — 2016.

**სპორტულ ფედერაციებს და ორგანიზაციებს უხელმძღვანელებენ:**

ლერი ხაბელოვი



**ოლიმპიური კომიტეტი**

ლერი ხაბელოვი

**ტანვარჯიშის ფედერაცია**

კონსტანტინე ლაშხი

**ნიგოსნოვის და კანოეს ფედერაცია**

ბეჟან ხურციძე

**კანოეს ფედერაცია**

დავით ქაცარავა

**ტყვიის სროლის ფედერაცია**

კახა ბექაური

**ხელბურთის ფედერაცია**

ზურაბ კაკაბაძე

**ძიუდოს ფედერაცია**

დავით ქვეციშვილი

**საწყლოსნო სახომავის ფედერაცია**

დავით რურუა

**ანტიდოპინგის სააგენტო**

პალიკო კასრაძე

**საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია**

ლექსო გუგავა

**ჩოგბურთის ფედერაცია**

ალექსანდრე მეტრეველი

**პარაოლიმპიური კომიტეტი**

გიორგი ჩაკვეტაძე

**კრივის ფედერაცია**

დავით კვაჭაძე

**მშვილდოსნობის ფედერაცია**

თენგიზ ტერუნაშვილი

**ველოსპორტის ფედერაცია**

ომარ ფხაკაძე

**საცხენოსნო სპორტის ფედერაცია**

ლაშა ჯაიანი

**ფარიკაოს ფედერაცია**

არჩილ გოგელია

**თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაცია**

ვიჩესლავ მაღიშვილი

**მკლავსროლის ფედერაცია**

ალექსი ახვლედიანი

**ჭიდაობის ფედერაცია**

ლუკა კურტანიძე

**ფრანგურთის ფედერაცია**

ირაკლი ჩაჩუა

**კალოსნობის ფედერაცია**

დავით ბეჟუაშვილი

**უშუს ფედერაცია**

ლევან ბექაური

**სპორტული მადლიცინის ასოციაცია**

ვალერი ახალკაცი

**სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია**

გიორგი გორგოძე



# სნოუბორდი გუდაურში



საქართველოში ბევრია ზამთრის სპორტის სახეობების მოყვარული გულშემატკივარი, ბაკურიანში და გუდაურში სეზონის გახსნისთანავე ადამიანების დიდი ჟრიაბულია და სხვადასხვა შეჯიბრებებიც ეწყობა, თუმცა ეს უფრო სამოყვარულო დონეზე. სერიოზული, საერთაშორისო ტურნირების ჩატარებას კი გამართული ინფრასტრუქტურა, დიდი ტურნირების მასპინძლობის გამოცდილება სჭირდება. ამ მხრივ სიტუაცია ნელ-ნელა იცვლება, ჩვენმა ზამთრის კურორტებმა წლეულს რამდენიმე საინტერესო ტურნირს უმასპინძლეს, მათ შორის გამორჩეული იყო სნოუბორდის საერთაშორისო ტურნირი, რომელიც გუდაურში ჩატარდა.

18-19 თებერვალს გუდაურში სნოუბორდის საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. შეჯიბრში მონაწილეობდნენ 17 ქვეყნის სპორტსმენები — შვეიცარიის, იაპონიის, ავსტრიის, გერმანიის, სლოვენის, სერბეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, მაკედონიის, პოლონეთის, საბერძნეთის, თურქეთის, ირანის, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის და საქართველოს წარმომადგენლები. მნიშვნელოვანია, რომ ტურნირი საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ჩატარდა და მის კალენდარშიც იყო შესული. შეჯიბრება თბილისის მერიის, გუდაურის განვითარების ფონდის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, ასევე საქართველოს სნოუბორდის ფედერაციის მხარდაჭერ-

ით გაიმართა. მსგავსი რანგის შეჯიბრი საქართველოში, 80-იანი წლების შემდეგ პირველად შედგა. პირველ საერთაშორისო ტურნირზე, სპორტსმენებმა გამარჯვებულები, როგორც ქალთა, ასევე ვაჟთა შორის ორ დისციპლინაში პარალელურ გიგანტურ სლალომში და პარალელურ სლალომში გამოავლინეს. მონაწილეთა შორის იყო 2007 წლის მსოფლიო ჩემპიონი პარალელურ გიგანტურ სლალომში სლოვენელი როკ ფლანდერი. გუდაურში საგანგებოდ ამ შეჯიბრზე დასასწრებად საერთაშორისო

სნოუბორდის ასოციაციის პრეზიდენტი, გერმანელი პეტერ კრიოგელიც ჩამოვიდა.

19 თებერვალს პირველად სტარტზე მოყვარული სნოუბორდერები გამოვიდნენ. მოგვიანებით ძალები პროფესიონალმა სპორტსმენებმაც მოსინჯეს. გამარჯვებულები თასებით, მედლებით, დიპლომებით, ფულადი პრემიებით და სხვა ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

**ლექსო ალექსიძე**





**ბუნებრივია, ყოველი სპორტული წლის წარმატება-წარუმატებლობა სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრებების შედეგებზეა დამოკიდებული. ქართული მოჭადრაკეების ადრინდელი გამარჯვებების ფონზე, რა თქმა უნდა, 2012 წლის შედეგები არასახარბიელო გამოდგა. ამ აზრს იზიარებს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ბიზ ბიორბაძეც:**

— წლეულს ფედერაციის გამგეობის სხდომაზე ითქვა, რომ ქალთა ნაკრების ოლიმპიადის სამეულში მოხვედრა წარმატება იქნებოდა, ხუთეული ნორმალურ შედეგად ჩაითვლებოდა, ხოლო სხვა დანარჩენი — წარუმატებლობად. სამწუხაროდ, ის შედეგი მივიღეთ, რასაც არ ველოდით.

— **მართლაც, ქალების შერვე ადგილი ნამდვილი ფიასკოა.**

— არადა, გუნდების მომზადებისთვის, შესაძლებლობის ფარგლებში, ყველაფერი ვიკონტროლებთ. ქალებს შეეკრება ბაკურიანში მოვუწყვეთ, ვაჟებთან სასპარინგოდ აზერბაიჯანის ძლიერი გუნდი მოვიწვიეთ. ოლიმპიადამდე ერთი კვირით ადრე, აკლიმატიზაციის მიზნით, ორივე გუნდი ანტალიაში გავამგზავრეთ, სადაც ყველა მოჭადრაკე ჩავიდა ლიდერების გარდა. საქმე ის არის, რომ ნანა ძაგნიძე ფეხმძიმედ იყო და ის პირდაპირ სტამბულში შემოგვიყვინებდა, მის ზედმეტ მგზავრობას მოვერიდეთ. რაც შეეხება ბაადურ ჯობავას, მან ზედმეტად ორჯერ ხერხემალზე ოპერაცია გაიკეთა და საერთოდ ვერ მიიღო ოლიმპიადის მონაწილეობა. მისი დონის შემცველი კი გუნდში ნამდვილად არა გვყავს. და მაინც, ბოლო ტურში დანიის ნაკრებთან რომ მოგვეგო, VIII-XV ადგილებს გავიყოფდით, მაგრამ სანიკიძემ უკვე მე-12 სვლაზე დაკარგა ლაზიერი და პარტია ნააგო, რამაც უარყოფითად იმოქმედა დანარჩენებზე და 1:3 დავთმეთ შეხვედრა. ძალიან საწყენი იყო, რადგან 10 ტურის ნაჯაფი ერთი ხელის მოსმით წყალში ჩავეყარეთ და საბოლოოდ ყოვლად შეუფერებელი 36-ე ადგილი გვერგო. გასახარი მხოლოდ ის იყო, რომ ბოლო მომენტში ჯობავას ნაცვლად გუნდში ჩარიცხული კონსტანტინე შანავა კარგად შეენყო ნაკრებს და სათადარიგო დაფაზე მცირე ბრინჯაოს მედალსაც კი დაეუფლა.

რაც შეეხებათ ქალებს, თავისი მდგომარეობის მიუხედავად, შესანიშნავად ითამაშა ნანა

# უკეთესის მოლოდინში



ძაგნიძემ, რომელმაც ჩინელი მსოფლიოს ჩემპიონის ჰოუ იფანის შემდეგ პირველ დაფაზე საუკეთესო შედეგი აჩვენა და მცირე ვერცხლის მედალი დაიმსახურა. სტარტზე ბრწყინვალედ ითამაშა ბელა ხოტენაშვილმა, მაგრამ, როგორც ჩანს, დაძაბულობას ვერ გაუძლო და ბოლო სამ ტურში მხოლოდ ნახევარი ქულა შემატა გუნდს, არადა, თავის დაფაზე ისიც მედლის რეალური კანდიდატი იყო. დებიუტანტის კვალობაზე, ცუდად არ უთამაშა ნინო ბაკიაშვილს, თუმცა მისგან მაინც მეტს ველოდით. აშკარად ჩააგდეს ტურნირი ლელა ჯავახიშვილმა და ნინო ხურციძემ, რომელთაც ნამდვილად უნდა მოეტანათ ქულები.

— **ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ამიერიდან ქალთა გუნდის გადახალისებაზე უნდა ვიფიქროთ?**

— გეთანხმებით, ეს აუცილებელია. მომავალი წლიდან ნაკრები გუნდები სხვაგვარად დაკომპლექტდება, მით უმეტეს, ნაზი პაიკიძე, სოფიკო გურამიშვილი, მერი არაბიძე, ქეთი ნანალაშვილი და მარიამ დანელია უკვე სერიოზული მოჭადრაკეები არიან და ნაკრების კანდიდატებად მოიაზრებიან. სხვათა შორის, ოლიმპიადის მსვლელობისას გამართულ ფიდე-ს კონგრესზე საერთაშორისო დიდოსტატობა მიენიჭათ 18 წლის ზესტაფონელ მერი არაბიძეს და 21 წლის რუსთაველ ლუკა პაიჭაძეს, რასაც გულით ვულოცავ მათ.

— **და ბოლოს, დეკემბრის პირველ რიცხვებში რუსულ ხანტი-მანსისკში დამთავრებულ მსოფლიოს ქალთა ინდივიდუალურ ჩემპიონატზეც ვთქვათ ორი სიტყვა.**




— სამწუხაროდ, ჩვენმა ქალბატონებმა ვერც მსოფლიო ჩემპიონატზე იყოჩაღეს. ბელა ხოტენაშვილი და სოფიკო ხუბაშვილი პირველივე რაუნდში გამოეთიშნენ ტურნირს, ნინო ხურციძემ მხოლოდ მეორე რაუნდს მიაღწია, ხოლო ლელა ჯავახიშვილმა მერვედფინალში შეწყვიტა თამაში.

სეზონის მინურულს მსოფლიოს ასაკობრივ ჩემპიონატზე 14-წლამდელთა შორის პირველი-მეორე ადგილები გაიყო ნინო ხომერიკმა. ამავე ასაკობრივ ჯგუფში გიორგი სიბაშვილმა მეექვსე შედეგი აჩვენა. მანამდე გიორგიმ პრალაში ევროპის ასაკობრივ ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა.

დავით ჭალიძე



# ქალამნებიდან ჩემპიონობაზე



გამოჩენილ ქართველ ფალავანს, მსოფლიოს ოთხგზის და ოლიმპიურ ჩემპიონს რომან რურუას 70 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში საზეიმო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ქართული სპორტის ხელმძღვანელებთან და ვეტერან სპორტსმენებთან ერთად, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ესწრებოდა. მოეწყო თამარ ბალავაძის ფილმის — „ერთი ჩემპიონის ისტორიის“ ჩვენება და რომან რურუას საავტორო წიგნის — „ქალამნებიდან ჩემპიონობამდე და კიდევ...“ პრეზენტაცია. ბიძინა ივანიშვილმა იუბილარს საჩუქრად გადასცა წნორში აღმოჩენილი ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულის ლომის ფიგურის ოქროს ასლი, ხოლო საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა — „სპორტის რაინდის“ მონმობა. შეხვედრაზე გამოცხადდა, რომ ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ რომან რურუა ორდენით დააჯილდოვა. ეს საპატიო ჯილდო ვეტერან ფალავანს გადასცა საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ოლიმპიურმა და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა ლარი საბულოვამ.

სპორტული ცხოვრება ხანმოკლეა, მაგრამ თუ ძალიან მოინდომებ და ილბალიც ხელს შეგინებ, შესაძლოა დროის ამ მცირე, თუმცა კი მნიშვნელოვან მონაკვეთში ცხოვრების მთავარი საქმეების გაკეთება მოასწრო. მაგალითად, რომან რურუამ მოასწრო და ამისთვის სულ ათი წელი დასჭირდა. მოდით, ეს წლები, პირობითად, რამდენიმე პერიოდად დავეყოთ. პირველი პერიოდი სპორტული ყრმობისა იყოს, მეორე — სიმწიფისა, მესამეც — სპორტული სიბრძნის.

დიდ სპორტში ახალმოსულ მუხურჩელ ბიჭს თავდაპირველად ბრძოლის უნდა და აზარტს უქებდნენ: „რომან რურუას ჭიდაობა სხვა არაფერია, თუ არა გამუდმებული შეტევა, რომელსაც აქვს ერთი დასასრული — წმინდა გამარჯვება. არც ერთი მოჭიდავე ერთ შეხვედრაში არ აგროვებს იმდენ ქულას, რამდენსაც რომანი. ის აზარტის მოჭიდავეა და ბოლომდე იხარჯება.“

მერე, სპორტული სიმწიფის ასაკში, რურუას ოსტატობის შეფასებისას წერდნენ: „რომან რურუამ შეინარჩუნა მებრძოლის საუკეთესო თვისებები და ძველებურად უტევეს, მაგრამ ახლა უფრო მოზომილი და რაციონალურია. აკეთებს იმას, ისე და იმდენს, რაც იმ მომენტში აუცილებელია.“

ბოლოს, როცა მედალები ბლომად დაუგროვდა და სახელი საქვეყნოდ გაითქვა, მოჭიდავის ეტალონად გამოაცხადეს: „რომან რურუამ ჭიდაობის ხელოვნება ახალ სიმაღლეზე აიყვანა, ამ სიმაღლიდან იდეალამდე კი მხოლოდ ერთი ნაბიჯია. რურუა ყველა დროისა და ეპოქის საუკეთესო მოჭიდავეთა რიგებში უნდა მოვიხსენიოთ. მან ეს დაიმსახურა.“

გადაშალეთ ძველი პრესა და ნახავთ — რურუა, რურუა, რურუა... ძლიერი, ნიჭიერი, ჭკვიანი. მის ნიჭს ყველა პატივს სცემს და მის ავტორიტეტს ყველა აღიარებს. „რომანი რომ იყო, ეგეთები სადღა არიან. რომანი ძალიან დიდი იყო,“ — ამას ამბობს გენადი საპუნოვი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, რომანის მეტოქე და მეგობარი. სამოციანი წლები, საბჭოთა კავშირის ნაკრები, ქვემსუბუქი წონა: საპუნოვი, გრიგორიევი, კარავაევი, ვირუპაევი, სტამპევიჩი, რურუა. ტიტული არც ერთს არ აკლდა, მაგრამ ამათ შორის ნომერ პირველი იყო რურუა. საზღვარგა-





რომან რურუა, ბიძინა ივანიშვილი და ლევან ყიფიანი

რეთ პირველად 1961-ში იჭიდავა: შესარჩევ შეჯიბრებაში უძლიერეს საბჭოთა ფალანგებს აჯობა და პოლონეთის საერთაშორისო ტურნირზე გააგზავნეს. იქ ერთის გარდა, ყველა ბრძოლა მოიგო და მესამე ადგილზე გავიდა. იმის შემდეგ რომანს ოფიციალურ შეჯიბრებაში უცხოელთან არასოდეს წაუგია. ეს ფენომენალური შედეგია.

რომან რურუას სპორტული კარიერის მწვერვალი გამოდგა 1968 წლის მეხიკოს ოლიმპიური თამაშები. პროგრამის ბოლო სახეობა კლასიკური ჭიდაობა იყო, ბოლო ოქროს მედალი რურუას ერგო. ოთხი წლის წინ ტოკიოში მსაჯებმა ყველაფერი იღონეს, რომ რურუას არ მოეგო ოლიმპიადა. მეხიკოში რურუამ ყველაფერი გააკეთა, რომ არ წაეგო



რომან რურუა და ლერი ხაბელოვი

ოლიმპიადა. ფინალამდე ექვს მეტოქეს ეჭიდავა, მათგან პირველი ოთხი წმინდად დაამარცხა, დანარჩენებს სოლიდური უპირატესობით აჯობა. ესენი იყვნენ ერაყელი ისმაილ ალ კარაგული, ამერიკელი ჯეიმს ხოზივინკელი, იუგოსლავიელი სრეტენ დამიანოვიჩი, გერმანელი ლოთარ შნაიდერი, თურქი ჰაჯირ ალაკოჩი და ბულგარელი დიმიტრ გალინჩევი. რურუას აგრესიულობამ, ეტყობა, მსაჯები ისე დააეჭვა, ფინალამდე სამჯერ გაიყვანეს დოპინგკონტროლზე... გადამწყვეტი ბრძოლა იაპონელ ჰიდეო ფუძიმოტოსთან ჰქონდა. იაპონელს ხელს აძლევდა მხოლოდ გამარჯვება, ჩვენს ფალანგს კი ფრეც ჰყოფნიდა იმისთვის, რომ ჩემპიონი გამხდარიყო.

რომან რურუა: „ფუძიმოტო საკმაოდ ძლიერი, რომ იტყვიან, შეკრული მოჭიდავე იყო, ერთ-ერთი საუკეთესო იმათ შორის, ვისაც ხალიჩაზე შევხვედრივარ. საღამოს თორმეტის ნახევარზე გაგვიყვანეს საჭიდაოდ. მთელი სამი საათი ველოდებოდი ხალიჩაზე გამოძახებას. დრო თითქოს უსასრულოდ გაიჭიმა, ფსიქოლოგიურად დაძაბული ვიყავი. მწვრთნელები და საქართველოს წარმომადგენლები გასახდელის კარებთან ტრიალებდნენ და ხმას ვერ იღებდნენ. ბოლო ბრძოლა იყო დარჩენილი. ოქროს ერთი მედალიც კი სანატრელი გახდა. ჩემი თანაგუნდელებიდან ვერავინ ვერ აიღო ოქრო და ახლა ყველანი მე შემომყურებდნენ იმედის თვალით. იქით ვანყნარები ყველას, ნუ ნერვიულობთ, ოქრო აუცილებლად იქნება-მეთქი. წინა ოლიმპიადიდან მწარე გამოცდილება გამომეცა და ძალიან ვფრთხილობდი. ფუძიმოტოს დასაკარგი არაფერი ჰქონდა და ვიცოდი, რომ გარისკავდა. რისკი ზოგჯერ ამართლებს. ფუძიმოტომ იმდენად აგრესიულად შემომიტია, რომ სულ-

მა წამძლია და ღია ჭიდაობაში შევყევი. მეტოქემ ამით ისარგებლა და ორი ქულა წამართვა, მაგრამ ყველაფერი წამებში აღვადგინე — მეც ორი ქულა ავიღე. ერთ მომენტში, როცა ფუძიმოტო ჩოქბჯენიდან ავიყვანე და უნდა გადამეგდო, ცხვირიდან სისხლი წამსკდა. მსაჯებმა ილეთი არ დამამთავრებინეს, შეხვედრა შეაჩერეს და ექიმის სკამზე დამსვეს. ექიმებმა ტამპონებით შემიჩერეს სისხლდენა და ისევ განახლდა ჭიდაობა, თუმცა, რატომღაც, დგომში და არა ჩოქბჯენიდან. აშკარად ვიგრძენი მსაჯების არაკეთილმოსურნე განწყობა, ამიტომაც ვფრთხილობდი, ბოლომდე მოზომილად ვჭიდაობდი, რათა მათთვის, რაიმე საბაბით, იაპონელის სასარგებლო გადამწყვეტილების მიღების საშუალება არ მიმეცა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა შეხვედრა ფრედ შეგნებულად დავამთავრე. ოქროს ბედი წყდებოდა და სხვაგვარად ვერ მოვიქცეოდი.“

მოჭიდავეთა ოლიმპიური ტურნირის შეჯამებისას მექსიკური გაზეთი „ელ სოლო“ წერდა: „ოთხი წლის წინ ტოკიოში დასაწანი გაუგებრობა მოხდა. ყველაზე ძლიერსა და ღირსეულს ოქროს მედალი იმ მოტივით არ მისცეს, რომ ახალგაზრდა ხარ და კიდევ მოესწრებიო. რომან რურუა ამ მკაცრ განაჩენს უსიტყვოდ დაემორჩილა, მაგრამ, თურმე, ტოკიოს გაკვეთილი კარგად დაიმასსოვრა. მეხიკოში რურუა ძველ ანგარიშებს ასწორებდა და მასთან ბრძოლა, უბრალოდ, შეუძლებელი იყო.“

## ელგუჯა ბერიშვილი







# დიდი იუბილა

1962 წლის 29 ივნისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თარიღია ქართული სპორტის ისტორიაში. იმ დღეს თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებმა ქაენავაში გამართულ ფინალურ მატჩში ანგარიშით 90:83 დაამარცხეს მაღრიდის „რეალი“ და ევროპის ჩემპიონის ჩემპიონთა თასს დაუფლნენ.



კაპიტნები: გურამ მინაშვილი და ხოსე ლუისი.

ამ ისტორიული გამარჯვების შესახებ გაზეთი „ლელო“ 1962 წლის 5 ივლისს წერდა: „პირველი წუთი — ალთაბაევის ორი სროლა და „დინამოს“ მიჰყავს ანგარიში — 4:0. მესამე წუთი — ხაზარაძის, ლუისის, ჰეიტაუერის და როდრიგესის სროლები — 6:6. მეხუთე წუთი — ესპანელები გადიან წინ — 12:8, მაგრამ ლეჟავას და მინაშვილის წყალობით ანგარიში თანაბრდება — 14:14. მეშვიდე წუთი — წინ უკვე „დინამო“ — 17:14. მეცხრე წუთი — უგრეხელიძეს ცვლის კილაძე. დინამო“ წინაა — 19:16. პირველი ნახევრის დამთავრებამდე შესამჩნევად ათამაშდა ჰეიტაუერი, თუმცა მისი დარაჯი პეტროვიც ენერგიულად უტევს ესპანელთა კალათს. ორი ცენტრალური თავდამსხმელის ბრძოლაში პეტროვმა ორი ქულა მოიგო. ტაი-

მის შემდეგ — 38:36 „დინამოს“ სასარგებლოდ. მეორე ნახევარს „დინამო“ ასეთი შემადგენლობით იწყებს: მინაშვილი, ლეჟავა, უგრეხელიძე, ალთაბაევი, კილაძე. მესამე წუთი — ბრძოლა თანაბარია. ლეჟავას, უგრეხელიძის, კილაძის და მინაშვილის სროლებს ესპანელები 12 ქულით პასუხობენ. ანგარიშია 48:48. მეექვსე წუთი — ანგარიში სწრაფად იცვლება. ტემპი მაღალია. თამაში „დინამოს“ მიჰყავს 3 ქულით. მეცამეტე წუთი — „დინამო“ წინაა 4 ქულით — 70:66. მეცხრამეტე წუთი — თამაში, ფაქტობრივად, აქ დამთავრდა. მოსეშვილმა და ინსკირველმა წერტილი დაუსვეს დინამოელთა გამარჯვებას“.





ჟენევიური ფინალის მომენტი: ბურთით – ვლადიმერ უგრეხელიძე, №10 — ანზორ ლეჟავა

INTERNATIONAL AMATEUR BASKETBALL FEDERATION	
Team A	Team B
1. 01:00	01:00
2. 02:00	02:00
3. 03:00	03:00
4. 04:00	04:00
5. 05:00	05:00
6. 06:00	06:00
7. 07:00	07:00
8. 08:00	08:00
9. 09:00	09:00
10. 10:00	10:00
11. 11:00	11:00
12. 12:00	12:00
13. 13:00	13:00
14. 14:00	14:00
15. 15:00	15:00
16. 16:00	16:00
17. 17:00	17:00
18. 18:00	18:00
19. 19:00	19:00
20. 20:00	20:00
21. 21:00	21:00
22. 22:00	22:00
23. 23:00	23:00
24. 24:00	24:00
25. 25:00	25:00
26. 26:00	26:00
27. 27:00	27:00
28. 28:00	28:00
29. 29:00	29:00
30. 30:00	30:00

თბილისის „დინამოს“ და მადრიდის „რეალის“ ფინალური მატჩის ოქმის ასლი, რომელიც მოგვანოდა სპორტულმა ჟურნალისტმა ზაალ გიგინეიშვილმა. ზაალი 2008 წელს დაუკავშირდა ფიბა-ევროპის ოფისს, კომუნიკაციის სამსახურის თანამშრომელი საკის კონტოსი კი ყურადღებით მოეკიდა ქართველი ჟურნალისტის თხოვნას და ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი ელექტრონული ფოსტით გამოგზავნა.

ჟენევის საციბურაო დარბაზში შპარპილ მაყურებელთა შორის იყო ცნობილი ქართველი ემიგრანტი მწერალი გრიგოლ რობაქიძე, რომელიც 1846 წლიდან შვეიცარიაში ცხოვრობდა და დინამოელთა გამარჯვებიდან რამდენიმე თვეში, 1962 წლის 19 ნოემბერს, 82 წლისა გარდაიცვალა. გრიგოლ რობაქიძე თავის დას — ლიდა რობაქიძეს წერდა:




ძვირფასო ლიდა!  
30.VI.1962  
ჟენევა.

გუშინ გაიმართა აქ შეჯიბრი კალათბურთელების — ქართველების და ესპანელების — პირველობისთვის. გაგებული გექნება: გაიმარჯვეს ქართველებმა: შვიდი პუნქტით გაუსწრეს ესპანელებს (90:83).

მარცხი ესპანელების კიდევ უფრო დიდი იქნებოდა, რომ მათ არ ჰყოლოდათ ზანგი შიგტოუერ, გასაოცარი მოთამაშე (83 პუნქტიდან 32 მისია). ქართველები თამაშობდნენ: აუღელვებლად, შეუნყოზლად, მეთოდურად — აქ, სჩანდა უთუოდ ხელი მათი ხელმძღვანელის: ოთარ ქორქიასი.

ესპანელებს ეტყოზოდათ აღელვება, თამაშობდნენ უფრო ცალკეულად, არც საერთო გეზი ჰქონდათ ჯეროვნად მომართებული.

მე ძალიან ველავდი. გასაგებია: სისხლი! ეს გამარჯვება ქართველების დიდად მნიშვნელოვანია. დავინახე ყამირითგან ამოხეთქილი ძალა ქართული: მაგარი.



ევროპის ქვეყნების ჩამოერთა თასის 1961-62 წლების გათამაშების მატჩები თბილისის „დინამოს“ მონაწილეობით:

**მერვედფინალი**  
„დინამო“ თბილისი - კკა (ბუქარესტი) 77:76 (ბუქარესტში), 82:77 (თბილისში)  
**მეოთხედფინალი**

„დინამო“ თბილისი — „დარუშაფაკი (სტამბული) 80:67 (სტამბულში), 84:49 (თბილისში)  
**ნახევარფინალი**

„დინამო“ თბილისი — ცსკა (მოსკოვი) 75:71 (მოსკოვში), 77:66 (თბილისში).  
**ფინალი**

1962 წლის 29 ივნისი. ჟენევა  
„დინამო“ თბილისი — „რეალი“ მადრიდი — 90:83 (38:36).

თბილისის „დინამოს“ შემადგენლობა ფინალურ მატჩში:  
გურამ მინაშვილი — კაპიტანი (9 ქულა), რევაზ გოგელია, ვალერი ალთაბაევი (17), ლევან მოსეშვილი (3), ანზორ ლეჟავა (16), ამირან სხიერელი, ილარიონ ხაზარაძე (2), ვლადიმერ უგრეხელიძე (14), ალექსანდრე კილაძე (14), ლევან ინკირველი (3), ალექსანდრე პეტროვი (12). მთავარი მწვრთნელი — ოთარ ქორქია.

საბჭოთა კავშირსა და ესპანეთს შორის იმ დროს არსებული დაძაბული პოლიტიკური ვითარების გამო, კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვიტა, რომ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელის გამოსავლენად ნეიტრალურ მოედანზე გამართულიყო ერთი ფინალური მატჩი.





# ჩემიონთა გალერეა

საქართველოს სპორტულ ჟურნალ-ისტმა ასოციაციამ, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის სოლიდარობის ფონდის მხარდაჭერით, 2012 წლის გაზაფხულზე დაასრულა 33 წიგნისაგან შემდგარი სერიის – „ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები“ – გამოცემა. მალე ამ სერიას ერთი წიგნის შემაჯობება, რომელიც ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების გმირზე, ლაშა შავდათუაშვილზე მოგვითხრობს. პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორია სპორტულ ჟურნალისტმა ასოციაციის ყოფილი პრეზიდენტი, ელგუჯა ბერიშვილი.

რამდენიმე წლის შრომამ კეთილი ნაყოფი გამოიღო: ჩვენს ხელთაა ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონთა ისტორია. ყველა წიგნი ერთნაირი ფორმატის, მოცულობისა და დიზაინისაა, განსხვავებულია მხოლოდ ოლიმპიურ ჩემპიონთა თავგადასავალი, რომელთა უკვდავსაყოფად რამდენიმე ცნობილი მწერალი და ჟურნალისტი გაისარჯა.

**ელგუჯა ბერიშვილი:** „ჩვენს პროექტში ჩართული იყო თოთხმეტი ავტორი, ის ხალხი, ვისაც კალამიც უჭრის და სპორტშიც კარგად არის ჩახედული. სამწუხაროდ, ზოგი მათგანი უკვე გარდაცვლილია — მაგალითად, ცნობილი მწერალი ნუგზარ შატაიძე, რომელმაც სამი წიგნი დაწერა ჩვენს ოლიმპიურ ჩემპიონებზე. ასევე, გარდაიცვალა ცნობილი ჟურნალისტი გიორგი ჩოჩიშვილი, რომელიც სერიის ექვსი წიგნის ავტორია, მაგრამ ვერც ერთის გამოცემას ვერ მოესწრო. პროექტზე მუშაობის პროცესში ოლიმპიურ ჩემპიონთა რიგებს გამოაკლდნენ ძიუდოსტი შოთა ჩოჩიშვილი და მოფარევე ვლადიმერ აფციაური.“

სერიის თითოეული წიგნი 68 გვერდისაგან შედგება და გაჯერებულია საინტერესო, ხშირ შემთხვევაში, უნიკალური ფოტომასალით.

სერიის დანარჩენ ავტორთა შორის არიან თავად ელგუჯა ბერიშვილი, პაატა ნაცვლიშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, დავით ჭელიძე, ილია ბაბუნაშვილი, თენგიზ გაჩეჩილაძე, ითარ მალაქელიძე, გიორგი ფრანგიშვილი, ჯემალ კასრაძე, თეიმურაზ ქორიძე, ელენე ბილიხიძე და ზურაბ უსუფაშვილი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყველა წიგნი სპორტული ჟურნალისტიკისა და დოკუმენტური პროზის თვალსაჩინო ნიმუშია, რომლებშიც დოკუმენტური სიზუსტით და მაღალმხატვრული ოსტატობითაა აღწერილი ქართველი ჩემპიონების გმირული თავდადება და დრამატიზმით სავსე ცხოვრება. გამორჩეულია ნუგზარ შატაიძის „ლევან თედიაშვილი“. თანამედროვეობის გამორჩენილი ქართველი მწერალი მისთვის დამახასიათებელი ძარღვიანი ქართულით აღწერს დიდი სპორტსმენის თავგადასავალსა და მის ფონზე ჭიდაობის ქართული სკოლის მდგომარეობას: „ერთხელ შემთხვევით ხელში ჩამივარდა კასპელი მწვრთნელის, ლავრენტი კაციაშვილის უბის წიგნაკი, სადაც მისი მოწინააღმდეგე გუნდის ფალანგების გვარები იყო ჩამოწერილი, მათ გასწვრივ კი დაახლოებით ასეთი რაღაცები ეწერა: „ენევა პაპიროზს, დიხანია სუ არ აქვს“. „ჭიდაობს გადავლებით“, „იცის ცერული და ბრუნი“, „ჩოქელა კისრულის მეტი არაფერი არ იცის“. ჩემი ღრმა რწმენით, ილეთების ასეთი სიმწირე „დედა ჭიდაობის“ სავალალო მდგომარეობის ბრალია.“

წიგნს განსაკუთრებულ ხიბლს სძენს მთავარი გმირის, დიდი სპორტსმენის, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის ლევან თედიაშვილის საფირმო იუმორი. მაგალითად, ასეთი: „დედაჩემი ქათამს მარტო მაშინ დაგვაკვლევინებდა, სტუმარი რომ მოგვივიდოდა, მაგრამ იმ ქათმისა მე მარტო ერთი ბარკალი მხედებოდა. ჰა, ჰა, ერთი ბარკალი და ერთიც ფრთის

ძირი. არადა, ძალიან მიყვარდა, ვგიჟდებოდი ქათმის ხორცზე. ერთხელ რაიონის მოზარდ მოჭიდავეთა ნაკრებში ამიყვანეს. შეკრებაზე ვართ. სადილის დრო რომ მოვიდა, შეგვიყვანეს სასადილოში და წინ ნახევარი შემწვარი ქათამი დამიდეს. მორიდებით ვიკითხე, ბოდიში, მაგრამ ესა სულ ჩემია-მეთქი? შენია, მა ვისიაო! სწორედ მაშინა ვთქვი გულში, მორჩა, აქედან ველარ გამაგდებთ-მეთქი.“

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სერიის ავტორებმა შექმნეს ოლიმპიური ჩემპიონების ღირსებისა და დამსახურების საკადრისი ტექსტები, რომლებიდანაც კარგად ჩანს, თუ რა თავდადება, ნებისყოფა და დაუღალავი შრომაა საქირო ოლიმპიური მწვერვალის დასაპყრობად.

**ჯიშპარ რევიანიშვილი,**  
რადიო „თავისუფლება“







შოთა აფხაზავა

## რუსთავის ახალ ავტოდრომზე



საავტომობილო სპორტი ლამის მთელ მსოფლიოში პოპულარობით სარგებლობს. ავტოსპორტს მოყვარულები არც საქართველოში აკლია, თუმცა სპორტის სახეობა იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომლის განვითარება და უბრალოდ რაიმე ფორმით არსებობაც კი ძალიან დიდ თანხებს მოითხოვს. ამიტომაც, ავტომოყვარულთა აქტიურობა მოყვარულების დონეზე ჩატარებული შეჯიბრებებით თუ შემოიფარგლებოდა, მაგრამ ბოლო პერიოდში ვითარება თვისობრივად შეიცვალა — ქართველი ავტომოყვარულები საერთაშორისო ტურნირებსაც გაუშინაურდნენ და რუსთავის ავტოდრომზე საერთაშორისო შეჯიბრებასაც უმასპინძლეს.

8 მაისს ტრასა „პადბორგ“-ზე დანი-აში ჩატარდა სარბოლო ავტომობილების „ლეგენდა“-ს ევროპის ჩემპიონატის ეტაპი. ეტაპი შედგებოდა სამი რბოლისგან. ქართველმა მრბოლელმა შოთა აფხაზავამ ორჯერ დაიკავა მეხუთე ადგილი, ხოლო ბოლო რბოლის ფინიშზე მეოთხე მივიდა.

სულ რბოლაში მონაწილეობას იღებდა 18 სპორტსმენი — დანიიდან, ბელგიიდან, ჰოლანდიიდან, საფრანგეთიდან, რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან.

1990-იან წლებში დაიწყო ნიჭიერი ავტომრბოლის დავით ქაჯაიას სპორტული კარიერა, რომელიც 2012 წელს ევროპის თასის აღებით დაგვირგვინდა. ქაჯაიამ ევროპული ტიტული ნოგაროს (საფრანგეთი) ავტოდრომზე Legends Cars-ში მოიპოვა.

**შოთა აფხაზავა:** „ბრძოლა იყო ძალიან დაძაბული. პირველი რვა პილოტის შედეგები განსხვავდებოდა არა უმეტეს 1 წამით. ამის მიუხედავად, უკვე მეორე რბოლაში მე გავედი მეოთხე პოზიციაზე. წრეში ყოფნის დრო ვუსწრებდი ლიდერს მხოლოდ 0,3 წამით. ვეჯიბრებოდი ერთმანეთს, როგორც მიღებულია, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. ვთვლი, რომ შედეგი არც ისე ცუდია“.

4 ნოემბერს, რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომზე საერთაშორისო შეჯიბრი „რუსთავის საერთაშორისო გამოწვევა“ გაიმართა. ავტოდრომმა ქართველ მრბოლელებთან ერთად, უცხოელ სტუმრებსაც უმასპინძლა. ეს ტურნირი საავტომობილო სპორტში წლის ყველაზე მასშტაბური შეჯიბრია და რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომზე პირველად ჩატარდა. წრიული რბოლა გაიმართა სამ კლასში: „ფორმულა ალფა“-ში, „ლეგენდა“-ში და GT-ტურინგში, სადაც ქართველ მრბოლელებთან ერთად, 13 უცხოელი პროფესიონალი ავტომრბოლელიც მონაწილეობდა. რუსთავის ავტოდრომზე მაცურებელს

პირველად ჰქონდა შესაძლებლობა მთელ ტრეკზე მიმდინარე რბოლა ახლადდამონტაჟებულ 20 კვადრატული მეტრის ფართობის მონიტორზე ეხილა, ტრეკზე დამონტაჟებული 28 კამერის საშუალებით. GT-ტურინგში ოქროს მედალოსანი საქართველოს ჩემპიონი ლევან კვინიკაძე გახდა, ალფაში რუსმა ვიქტორ შაიტარმა იჩემპიონა, მანვე პირველობა არავის დაუთმო „ლეგენდა“-ში.

### ალექსანდრე მაისაშვილი

დავით ქაჯაია







## ახალი პროგრამა

**კარატისტებს ნაყოფიერი სეზონი გამოუვიდათ – რამდენიმე უმნიშვნელოვანესი შეჯიბრებიდან უმაღლესი სინჯის მედლები ჩამოიტანეს. ამასთან, საფუძველი ჩაუყარეს პროგრამას „სპორტი ნარკომანიის წინააღმდეგ“, რომელიც ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას ითვალისწინებს. სპორტი და მედლები, ცხადია მნიშვნელოვანია, თუმცა არანაკლები მნიშვნელობის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაა, ოღონდ ისიც არის, რომ ხშირ შემთხვევაში, უნარკოტიკო ცხოვრების გზა სწორედ სპორტზე გადის.**

22-25 მარტს კარატისტების მსოფლიოს ჩემპიონატს სტამბულში უმასპინძლა. მსოფლიოს პირველობაზე ჩემპიონპრიზიორობისთვის 60-მდე ქვეყნის 2400 სპორტსმენი იბრძოდა. თურქეთში ოქროს მედალი დაისაკუთრა და ქართული ჰიმნი ააჟღერა დავით ტყეშუჩავამ (60 კგ), ვინც ჩემპიონატი დამაჯერებლად წარმართა

და პირველობა არავის დაუთმო. ვერცხლის მედალი მოიპოვა ჰენრი კუპრაშვილმა (74 კგ). მან ფინალამდე ყოჩაღად იჩიუბა და ყველა მეტოქე ჩამოიცილა, მაგრამ გადამწყვეტ შეხვედრაში მასპინძელთა კარატისტთან ვერაფერს გახდა. თურქები ამ სპორტის სახეობას გამორჩეულად პატრონობენ და არც დაფინანსებას იშურებ

ბენ, შესაბამისად, კარატეს სკოლაც ძლიერი აქვთ და სპორტსმენებიც გამორჩეული ჰყავთ.

13-15 ივლისს სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავაში ჩატარდა მსოფლიო უნივერსიადა, სადაც დავით პატარიძემ (-67 კგ) ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. მნიშვნელოვანია, რომ მსოფლიოს უნივერსიადაზე ძალიან დიდი პერიოდის განმავლობაში კარატეში მედალი არ იყო მოპოვებული, პატარიძემ კი ეს უსიამოვნო ტრადიცია ფინალში გასვლით დააღვია. ფინალში კი ისიც თურქ სპორტსმენტთან დამარცხდა.

9-10 ივნისს მოსკოვში გამართულ მე-10 ევროპის ჩემპიონატზე ირაკლი ტყეშუჩავამ (-67) ოქროს მედალი დაისაკუთრა და გულშემატკივარი გაახარა. მან საჩემპიონო გზაზე დამაჯერებლად იარა, მართალია ოქროს მედალი იოლად არ მოუპოვებია, მაგრამ ჩემპიონობა ძალიანაც არ გასჭირვებია.

26 აგვისტოს საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ დალოცა კარატეს ფედერაციის პროგრამა „სპორტი ნარკომანიის წინააღმდეგ“, რომელიც ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას ითვალისწინებს. პროგრამა შემუშავდა ისრაელის ფიზკულტურის ინსტიტუტში, სამეცნიერო კვლევის შედეგად და ქართული მხარის მოწონებაც დაიმსახურა. პროგრამის ფარგლებში თბილისის ყველა რაიონში გაიხსნა კარატეს უფასო სექციები, სადაც 2 თვეში 1000-მდე ახალგაზრდა მივიდა და ეს რიცხვი ინტენსიურად იზრდება. თავის მხრივ, ამბავი ორმაგად მნიშვნელოვანია — ერთი, რომ კარატეს წრეებზე მიმსვლელი ბავშვების რაოდენობის ზრდა უცილობლად გაზრდის წარმატებების რაოდენობას და მეორე — ჯანსაღი ცხოვრების წესით კიდევ უფრო მეტი ახალგაზრდა დაკავდება.

ნიკა კოპაძე



## ოქრო-ბრინჯაო კიევიდან

15-16 დეკემბერს, უკრაინის დედაქალაქმა კიევმა უმასპინძლა ა-კატეგორიის საერთაშორისო ტურნირს კიუ-კუშინ-კაი კარატეში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს 9 ქვეყნის სპორტსმენებმა. შეჯიბრებაში ძალები მოსინჯა საქართველოს ნაკრებმაც, რომლის მთავარი მწვრთნელია ირაკლი დოლაბერიძე. ქართველმა კარატისტებმა კიევში 1 ოქროს და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს და არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში რუსეთის ნაკრების შემდეგ მეორე ადგილი

დაიკავეს. ტურნირზე მედლები სულ ოთხ წონით კატეგორიაში გათამაშდა, აქედან ორში კი ჩვენმა სპორტსმენებმა მედალი აიღეს. ჩემპიონი გახდა ლამა ხაჭაპურიძე (70 კგ). მან ხუთივე შეხვედრა მოიგო, ნახევარფინალში რუსი სპორტსმენი, ფინალში კი ევროპის ჩემპიონი, უკრაინელი მეტოქე დაამარცხა. ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა გივი კარკალაია (+90).

ნიკა კოპაძეანი





ლაშა ოზბეთელაშვილი და გონა კაკაბაძე



სალომე კვალიაშვილი და მისი ნორჩი მოწაფეები

## მასობრივი და პოპულარული

აღმოსავლური ორთაბრძოლების ერთ-ერთ ნაირსახეობას — სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს საქართველოში 20-წლიანი ისტორია აქვს და უკვე საკმაო პოპულარობითაც სარგებლობს. როგორც საქართველოს სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს ფედერაციის პრეზიდენტი **გონა კაკაბაძე** აცხადებს, მათ სანვრთნელ დარბაზებს ყოველდღიურად სპორტის ამ სახეობის შესწავლის მსურველი 10-15 მოზარდი აკითხავს.

საქართველოში კარატეს ამ მიმდინარეობის პოპულარობა განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, რაც 2011 წელს ტელეპროექტ „ნიჭიერში“ სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს ჯგუფმა „წმინდა გიორგიმ“ საბრძოლო ხელოვნების მაღალი კლასი აჩვენა და პრიზიორებს შორისაც მოხვდა.

სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს ფედერაცია საქართველოში 2002 წელს დაარსდა, 2005 წელს კი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის კურთხევით ფედერაცია ოფიციალურად დარეგისტრირდა და საერთაშორისო ფედერაციაში გაწევრიანდა.

სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს ფედერაციას თბილისში 30 სანვრთნელი დარბაზი აქვს, სასწავლო ჯგუფები საქართველოს რეგიონებშიც მოქმედებს, სადაც აღმოსავლური ბრძოლების ხელოვნებას სხვადასხვა ასაკის ათასზე მეტი ადამიანი ეუფლება, რომელთაც, საერთო ჯამში, 14 ინსტრუქტორი და 10 უმცროსი ინსტრუქტორი წვრთნის. თბილისის 53-ე საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზში სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს სექცია წლებია მოქმედებს და ის თბილისში არსებული სექციებიდან ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია. 18 წლის სალომე კვალიაშვილი, რომელიც

შავი ქამრის და I დანის მფლობელია, ამ სექციის ინსტრუქტორია და ყოველდღიურად რამდენიმე ჯგუფს ასწავლის საბრძოლო ხელოვნებას, მათ შორის 4-5 წლის ბავშვებსაც. პატარა კარატისტებს 53-ე სკოლის სპორტულ დარბაზში ავარჯიშებს საქართველოში სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს ფედერაციის პრეზიდენტი გონა კაკაბაძე (აღსანიშნავია, რომ სწორედ გონა კაკაბაძემ და მისმა ძმამ — კახა კაკაბაძემ დანერგეს საქართველოში კარატეს ეს სახეობა). იაპონური საბრძოლო ხელოვნების ამ მიმდინარეობის წარმომადგენლებს შორის საქართველოში 40-ზე მეტი შავი ქამრის მფლობელია. ერთ-ერთმა მათგანმა — 18 წლის ქიზიყელმა ლაშა ოზბეთელაშვილმა იაპონიის იუნიორთა ჩემპიონატში გამარჯვება და აბსოლუტურ წონით კატეგორიაში დანსებული ტრადიციული ჯილდო — ჩემპიონატის გარდამავალი თასი მიიღო.





# სტუდენტური ინიციატივები



2012 წელს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს კვლავ წარმოადგენდა სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა. განხორციელდა სამი მასშტაბური პროექტი, რომლებიც უკვე ტრადიციულ ხასიათს ატარებს — „სტუდენტური დღეები“, „სტუდენტური სახე“ და „მან-სან-კანი“.

„სტუდენტური დღეები“ არის სტუდენტური ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოში არსებული ყველა სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტს. ფესტივალს აქვს კონკურსის სახე. პროგრამის ფარგლებში უმაღლეს სასწავლებლებს შორის ტარდება კულტურულ-გასართობი და სპორტული კონკურსები, რომელსაც კომპეტენტური ჟიური აფასებს. საქართველოში „სტუდენტური დღეები“-ს განხორციელებას მრავალწლიანი ისტორია აქვს, თუმცა 2005 წლიდან პროგრამა შეჩერებული იყო და მხოლოდ 2011 წელს განახლდა. „სტუდენტური დღეები 2012“ 17 მაისს, თბილისში, კუს ტბაზე გაიხსნა და 7 დღის განმავლობაში გრძელდებოდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში — სილნალში, ბათუმსა და ქუთაისში.

„სტუდენტური დღეები 2012“-ის ფარგლებში სამი საკონკურსო კონცერტი გაიმართა. 19 მაისს სილნალში ჩატარდა პირველი საკონკურსო დღე, სადაც 30 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თანამედროვე და ხალხურ ცეკვაში, სიმღერაში, თეატრალიზებულ და კომედიურ დადგმებში.

ფესტივალის დასკვნითი საღამო გაიმართა 5 ივნისს, თბილისში, კუს ტბაზე. ღონისძიებაზე თეატრალიზებული შოუთი, თანამედროვე და ხალხური ცეკვით, სიმღერითა და იუმორისტული ნომრებით გამოვიდნენ ფესტივალის ფარგლებში გამოვლენილი საუკეთესო სასწავლებლები. „სტუდენტური დღეები 2012“-ის გრანპრი სასწავლო უნივერსიტეტ „სეუ“-ს ხვდა წილად. ასევე დასახელდნენ სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებული უმაღლესი სასწავლებლები.

ფესტივალში — „სტუდენტური დღეები 2012“ საქართველოს მასშტაბით 30 უმაღლესი სასწავლებლის 2000-მდე სტუდენტი მონაწილეობდა.

ფესტივალში — „სტუდენტური დღეები 2012“ საქართველოს მასშტაბით 30 უმაღლესი სასწავლებლის 2000-მდე სტუდენტი მონაწილეობდა.





# ერთ ბაზაში

„ახალგაზრდული სერვისები“ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივ პროექტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა ერთიანი ელექტრონული ბაზა საქართველოს დიდ ქალაქებში არსებული ახალგაზრდული პროგრამების, იურიდიული დახმარების, საგანმანათლებლო და ხელოვნების კურსების, ტრენინგებისა და სხვა მომსახურების შესახებ. პროექტის პრაქტიკა ტიპის, სასტუმროში „ჰოლიდი ინ“ გაიმართა. დონისკივას დაეხმარნენ საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის ხელმძღვანელი რულანდ მონაში, ასევე სამთავრობო, არასამთავრობო, საერთაშორისო, კერძო და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.



„ახალგაზრდული ელექტრონული სერვისები“ მიზნად ისახავს ერთ ვებ-სივრცეში ახალგაზრდობისათვის და ასევე მათი მშობლებისათვის ყველა საინტერესო ინფორმაციის თავმოყრას. სერვისის დახმარებით მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება მოიპოვოს ინფორმაცია საქართველოს დიდ ქალაქებში — თბილისში, რუსთავეში, ბათუმში, ზუგდიდში, ფოთში, ქუთაისში, ახალქალაქში, გორში, თელავსა და მარნეულში, მოზარდებისა და ახალგაზრდობისათვის განკუთვნილი ფასიანი და უფასო სერვისების, ახალგაზრდობისათვის ხელმისაწვდომი მომსახურების — კომპიუტერული და უცხო ენის კურსების, შემეცნებითი და გასართობი პროგრამების, სპორტული სექციების, იურიდიული და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის, ხელოვნებისა და სხვა საინტერესო პროგრამების შესახებ.

თი და გასართობი პროგრამების, სპორტული სექციების, იურიდიული და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის, ხელოვნებისა და სხვა საინტერესო პროგრამების შესახებ.

მეორე პროექტი — „ხელმისაწვდომი ახალგაზრდული სერვისები“ — იკვლევს მის ბაზაში არსებული ორგანიზაციებიდან რამდენია ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე და რომელ ორგანიზაციას სურს სამომავლოდ მათთვის ხელმისაწვდომი გახდეს. ახალგაზრდული ელექტრონული სერვისი, მოძრაობის — „ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის“ უშუალო მონაწილეობით ხორციელდება.

პროექტი ერთ წელზე მეტია მიმდინარეობს, 2012 წლის მაისიდან კი მეორე ეტაპი დაიწყო. დღესდღეობით მასში 400-მდე სერვისია ჩართული, ბაზაში რეგისტრირებულია 102 ორგანიზაციის 350-ზე მეტი მომსახურება და სამომავლოდ ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება.

აღსანიშნავია, რომ მონაცემების დამატება კვლავ მიმდინარეობს და ამ პროცესში ჩართვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს თავად შეუძლიათ. ამისათვის მათ ვებ-საიტზე სარეგისტრაციო ფორმები უნდა შეავსონ. ბაზაში ახალი მომსახურების დამატებამდე შემოსული ინფორმაცია მონმდება და მომხმარებელს ამ სახით მიეწოდება.

„ახალგაზრდული სერვისების“ მონაცემთა ბაზა ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის ვებ-მისამართზე — [www.cync.ge/e-service](http://www.cync.ge/e-service)



ანა ქაჯანია



# სტუდენტური სახე

სილამაზის კონკურსის ახალი ლაურეატი

სილამაზის კონკურსი — „სტუდენტური სახე“ 2012 წელს მეოთხედ ჩატარდა. წინა წლების მსგავსად, მასში მონაწილეობა მიიღეს საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტმა გოგონებმა.

„სტუდენტური სახე 2012“ ქალთა რეპროდუქციულ ჯანმრთელობას მიეძღვნა. პროექტი საქართველოს პირველი ლედის სანდრა ელისაბედ რულოვის ჯანსაღი ცხოვრების წესის ინიციატივის Don't Worry, Be Healthy!-ს, რეპროდუქციული ჯანმრთელობის ეროვნული საბჭოსა და გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის მხარდაჭერით განხორციელდა.

„სტუდენტური სახე 2012“-ის შესარჩევი კონკურსი გაიმართა 4 ივლისს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარ-

ბაზში, სადაც კომპეტენტურმა ჟიურიმ 22 ულამაზესი გოგონა შეარჩია სტუდენტური სილამაზის კონკურსის დასკვნით ეტაპში მონაწილეობის მისაღებად.

პროექტის ფარგლებში გოგონებს შეხვედრა ჰქონდათ გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელთან, ქალბატონ თამარ ხომასურიძესთან, Don't worry, Be healthy!-ის წარმომადგენლებთან. ისინი გაეცნენ პროექტ Don't worry, Be healthy!-ისა და ეროვნული სკრინინგ ცენტრის საქმიანობას, ასევე სკრინინგ ცენტრთან არსებულ „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ წევრებს. შეხვედრის





შემდეგ გოგონებმა სკრინინგ ცენტრიც დაათვალიერეს.

**თამარ სომასურიძე:** „წლევანდელი კონკურსი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც იგი ქალთა რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და ცხოვრების ჯანსაღ წესს ეძღვნება. ჩვენი შეხვედრა მიზნად ისახავს გავაცნოთ გოგონებს პროექტები, რომლებიც ამ მიმართულებით ხორციელდება. სასიხარულოა ისიც, რომ კონკურსში გამოვლინდებიან გამარჯვებული გოგონები არა მარტო ვიზუალური, არამედ ინტელექტუალური მონაცემებითაც. Don't worry, Be healthy!-ის ფარგლებში გოგონებმა მიიღეს საკონკურსო დავალება, მათ უნდა მოიფიქრონ კრეატიული მესიჯი, რომელიც საზოგადოების ყურადღებას გაამახვილებს ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე. საუკეთესო მესიჯის



## ალიანტი 2012

ეროვნული კონკურსი „ალიანტი 2012“ საერთაშორისო კონკურსის — „ალიანტის“ ანალოგია, რომლის მიზანია 15-19 წლის ასაკის ახალგაზრდების დაინტერესება და მათი ცნობიერების ამაღლება ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და უსაფრთხოების საკითხებით. წლევანდელი კონკურსის პარტნიორები იყვნენ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, ნატოს სამეკავშირეო ოფისი საქართველოში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საჩხერის სამთო მომზადების სკოლა, ნატოს საინფორმაციო ცენტრი.

ეროვნული კონკურსი სკოლის მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს გამოავლინონ საკუთარი ცოდნა ისტორიის, გეოგრაფიის, პოლიტიკის შესახებ, ასევე გამოსცადონ ფიზიკური ძალები რთულ პირობებში და შეხვდნენ მსგავსი ინტერესების მქონე თანატოლებს. პროექტი „ალიანტი 2012“ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის 2012 წლის პირველი საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა.

ანა ქაჯანია



ავტორი გამოვლინდება კონკურსის ფინალურ ეტაპზე და მიიღებს პრიზებს ქალბატონი სანდრა ელისაბედ რულოვსისგან და გაეროს მოსახლეობის ფონდისაგან.“

28 ივლისს ქალაქ ბათუმში, ევროპის მოედანზე გაიმართა „სტუდენტური სახე 2012“-ის დახურვის ცერემონიალი. ტიტული „მის სტუდენტური სახე 2012“ ერგო თავისუფალი უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტ ანანო მიქაძეს. მას გარდამავალი გვირგვინი „სტუდენტური სახე 2011“-ის გამარჯვებულმა ნატუკა გაგუნაშვილმა გადასცა, ხოლო მთავარი პრიზის სახით ანანომ ავტომობილი KIA Picanto მიიღო.

ვეპო კვარაცხელია







## სოდნა, როგორც ბჭირღაბათ

თუ თქვენ გსურთ მიიღოთ ცოდნა, რომელსაც პრაქტიკაში გამოიყენებთ; თუ თქვენ გინდათ იყოთ კონკურენტუნარიანი, დახვეწილი სასაუბრო ინგლისური და დაეუფლოთ საჯარო გამოსვლების ხელოვნებას, გირჩევთ მონაწილეობა მიიღოთ საგანმანათლებლო პროგრამაში **Speak Up in Georgia**. ეს არის მეტად საინტერესო პროექტი, რომელიც საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერითა და არასამთავრობო ორგანიზაცია **Speak Up**-ის ინიციატივით ხორციელდება.

2012 წლის პროექტის ფარგლებში ახალგაზრდებისათვის საინტერესო თემატიკაზე 16 სესია ჩატარდა. პროგრამა 2 ეტაპად განხორციელდა. პირველი ეტაპი თბილისში მოეწყო, ხოლო მეორე ეტაპი — საქართვე-

ლოს კიდევ 8 ქალაქში: თელავში, მცხეთაში, ქუთაისში, ზუგდიდში, ბათუმში, რუსთავში, გორსა და ბორჯომში. სხვადასხვა ეტაპზე პროგრამაში ჩართული იყო ათასამდე ახალგაზრდა, რომლებიც ინგლისურ ენას საშუალო დონეზე ფლობდნენ. ორი თვის განმავლობაში ახალგაზრდები გადიოდნენ პრაქტიკული ინგლისური ენისა და ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარების ტრენინგებს. სალექციო კურსებს უძღვებოდნენ ინგლისური ენის კვალიფიციური, საერთაშორისო გამოცდილების მქონე პედაგოგები. პროგრამაში შედიოდა საერთაშორისო **Workshop**-ები, პრეზენტაციები, სახალისო ღონისძიებები, საუბრები სხვადასხვა აქტუალურ თემებზე, ფართოდ იყო გამოყენებული აუდიომასალა და ონლაინ წიგნები.



## დაიჭირე შენი თავი

პროექტი „დაიჭირე შენი თვეში ლოპოტა 2012“ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის 2012 წლის საგრანტო პროექტის ფარგლებში დაფინანსდა.

მოძრაობამ „ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის“ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს ლოპოტას ტბაზე სპეციალური ღონისძიებების ციკლი შესთავაზა. ორგანიზაციის მთავარი მიზანია



შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების უფლებების დაცვა, საქართველოში არსებული გარემოს ადაპტაცია (ინკლუზიურ პირობებთან შესაბამისობაში მოყვანა), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ჩართვა სხვადასხვა საგანმანათლებლო და სპორტულ აქტივობებში.

პროექტი წელს უკვე მეორედ ჩატარდა და 45 მონაწილე ჰყავდა. მათ ჩაუტარდათ ტრენინგი სასიცოცხლო უნარ-ჩვევებსა და გარემოში ადაპტაციის პრინციპებზე. ღონისძიების დასასრულს მოეწყო შეჯიბრება თევზაობაში.





# ახალგაზრდული პარლამენტის ერთი წელი

სულ უფრო პოპულარული ხდება საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროსა და ახალგაზრდული ორგანიზაცია „საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტი“ ერთობლივი პროექტი — პროექტის მიზანია საქართველოს რეგიონებში აქტიური, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა და მათი ჩართვა აკადემიურ-პრაქტიკულ ღონისძიებებში — საპარლამენტო სესიებში, დებატის კულტურის ჩამოყალიბება, სამოქალაქო თვითშეგნების გაზრდა, რაც თავის მხრივ ემსახურება ქვეყანაში პარლამენტარიზმის კულტურის ამაღლებას და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას.

საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტის მუშაობის პრინციპი ეფუძნება არაფორმალური განათლების მეთოდოლოგიას, რომელიც გულისხმობს, როგორც თეორიული ცოდნის მიღებას, ასევე პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. ახალგაზრდული პარლამენტის სესიები წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის იმიტირებულ სხდომებს, რომლებიც 3 დღის განმავლობაში მიმდინარეობს. პირველი ორი დღე ეთმობა საკომიტეტო მუშაობას და დადგენილებების შემუშავებას, ხოლო მესამე დღეს იმართება გაერთიანებული სხდომა და კენჭისყრა. ახალგაზრდულ პარლამენტში მუშაობს 7



კომიტეტი: ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის; განათლების, მეცნიერების და კულტურის; საგარეო ურთიერთობათა და ევროპასთან ინტეგრაციის; სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების; თავდაცვისა და უშიშროების; დარგობრივი ეკონომიკის, ეკონომიკური პოლიტიკისა და აგრარულ საკითხთა კომიტეტი. მონაწილეები კომიტეტების კომპეტენციის ფარგლებში იხილავენ აქტუალურ საკითხებს და გუნდური მუშაობით იღებენ დადგენილებებს, რომლებიც რეკომენდაციის სახით ეგზავნება საქართველოს პარლამენტს.

ამ პროექტის ფარგლებში ღონისძიებები საქართველოს 14 ქალაქში ჩატარდა (გურჯაანი, თელავი, რუთავი, გორი, ბათუმი, ქუთაისი, ლანჩხუთი, ბორჯომი, ახალციხე, ზესტაფონი, ამბროლაური, ზუგდიდი, დუშეთი, თბილისი) და მასში 16-20 წლის ასაკის 2 ათასამდე ახალგაზრდა მონაწილეობდა.



# ახალგაზრდული ბანაკი „პატრიოტი 2012“

ახალგაზრდული პროგრამა „პატრიოტი“, რომელსაც უკვე შვიდწლიანი ისტორია აქვს, 2012 წელსაც წარმატებით განხორციელდა. პროგრამა მიზნად ისახავს ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებას, არაფორმალური განათლების ხელშეწყობას და ახალგაზრდობის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, პროგრამით „პატრიოტი“ ყოველწლიურად უფრო და უფრო მეტი ახალგაზრდა ინტერესდება.

წინა წლის პროგრამასთან შედარებით, „პატრიოტი 2012“-ში რამდენიმე ცვლი-

ლება შევიდა: „პატრიოტი 2012“-ში მონაწილეობდნენ მხოლოდ საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდები; ევროპიდან და ამერიკიდან ჩამოსულმა სპეციალისტებმა ახალგაზრდებს, ლიდერებსა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევების ამაღლების მიზნით, პრაქტიკული ტრენინგები ჩაუტარეს; ბანაკში ამოქმედდა მონაწილეთა თვითმმართველობა, რომელიც ყოველ ნაკადზე არჩევნების გზით, პროგრამის მონაწილეებით დაკომპლექტდა. საერთო ჯამში, „პატრიოტი 2012“-ის ფარგლებში ანაკლიის ბანაკმა 5 000-მდე ახალგაზრდას უმასპინძლა.

ანა ქაჯაია





## მთავარი პრიორიტეტები

1. მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის პროგრამა
2. ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებთან ურთიერთობის განვითარების პროგრამა
3. არასრულწლოვანი პატიმრების რესოციალიზაციის პროგრამა
4. კანონმდებლობის განვითარება სპორტისა და ახალგაზრდობის კუთხით
5. სტუდენტური თვითმმართველობების ხელშეწყობის პროგრამა
6. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების ინტეგრაციის პროგრამა
7. რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარების პროგრამა
8. საზღვარგარეთ მცხოვრებ ახალგაზრდა თანამემამულეებთან ურთიერთობის განვითარების პროგრამა
9. საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამა
10. სამოქალაქო და არაფორმალური განათლება
11. ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზება და კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართულობის პროგრამა
12. საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა

– ბატონო ვახტანგ, რა მიმართულებით იწყებთ მუშაობას, რას გვეტყვიან თქვენს ახალ პრიორიტეტებზე?

– პირველ რიგში, იმას გეტყვიან, რომ 2013 წელი იქნება ერთგვარი გარდამავალი პერიოდი, როდესაც უნდა შეიქმნას სრულფასოვანი სამოქმედო გეგმა. ამ დროისთვის ჩვენ გვაქვს უკვე დამტკიცებული ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი და სწორედ ამ დოკუმენტიდან გამომდინარეობს



ჩვენს მიერ დასახული პრიორიტეტების დიდი ნაწილი. მეორეს მხრივ, არსებული რეალობიდან გამომდინარე, აქტუალური მიმართულებებად ჩათვალა სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში კანონმდებლობის დახვეწა და სტუდენტური თვითმმართველობების ხელშეწყობის პროგრამის მაქსიმალურად ეფექტური ამუშავება.

– რა ფორმატში გააგრძელებს საქმიანობას ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი და ვისთან აპირებთ თანამშრომლობას?

– მომავალი წლიდან დეპარტამენტი, რა თქმა უნდა, გააგრძელებს მუშაობას იმ ორგანიზაციებთან, რომლებთანაც აქამდე თანამშრომლობდა თუმცა გაცილებით უფრო აქტიურ ფორმატში. ჩვენი მუდმივი პარტნიორები არიან UNICEF და UNFPA. ჩვენ უკვე დავიწყეთ და მომავალ წელსაც აქტიურ რეჟიმში გავაგრძელებთ მუშაობას ახალგაზრდულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენ აუცილებლად გავითვალისწინებთ მათ მოსაზრებებს 2014 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში. რა თქმა უნდა ჩვენ ძალიან აქტიურად ვითანამშრომლებთ სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სსიპ-ებთან, ჩვენ ერთ სტრუქტურას წარმოვადგენთ და შესაბამისად ერთად განვახორციელებთ ახალგაზრდობისთვის მნიშვნელოვან და ხელსაყრელ პროექტებს.

– რა არის თქვენი მუშაობის მთავარი პრინციპი?

– ჩვენი მუშაობის მთავარი პრინციპი არის გახსნილობა, კეთილგანწყობა და მზადყოფნა თანამშრომლობისთვის ნებისმიერ იმ ადამიანთან ან ორგანიზაციასთან რომელსაც საინტერესო და სასარგებლო იდეები ექნება.

# ახალი ხედავა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს პრიორიტეტებზე და სამომავლო გეგმებზე გვესაუბრება ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ვახტანგ ასანიძე.

## პირველი ნაბიჯები

ახალგაზრდობის საქმეთა სამმართველოს ახალი ხელმძღვანელობა ინტენსიურ რეჟიმში მართავს შეხვედრებს არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, სტუდენტურ ორგანიზაციებსა და თვითმმართველობებთან.

სამომავლო თანამშრომლობის საკითხებთან დაკავშირებით შედგა შეხვედრა „მშვიდობის კორპუსის“, ქართულ-აფხაზური და ოსური ევროპული საერთაშორისო მოძრაობის და მშვიდობისა და რეინტეგრაციის რეგიონული ქსელის წარმომადგენლებთან, მარნეულის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრსა და ქვემო ქართლში ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

დღის წესრიგში დადგა სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტში შესატანი ცვლილებების შემუშავება. ამ მიზნით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ მოაწყო შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რათა მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით მოხდეს დოკუმენტის სრულყოფა.

შეხვედრა ასევე შედგა საუნივერსიტეტო სტუდენტურ ორგანიზაციებთან, ჩამოყალიბდა კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია სტუდენტური თვითმმართველობების საქმიანობით დაინტერესებული ახალგაზრდებით და მათი მთავარი მიზანი, ამოცანა არის სტუდენტური თვითმმართველობების განვითარების გეგმის შემუშავება.

ვეკო კვარაცხელია





# საზაფხულო სკოლა „განდაგანა“

16 ივლისს „დიდებუე პლაზაში“ გაიმართა ევროპის სტუდენტთა ფორუმის პროექტის – საზაფხულო სკოლა „განდაგანა“-ს საზეიმო გახსნის ცერემონია. პროექტი ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის 2012 წლის პირველი საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა და მიზნად ისახავდა საქართველოს, როგორც უძველესი კულტურისა და ისტორიის მქონე ქვეყნის გაცნობას ევროპელი ახალგაზრდებისათვის.

საზაფხულო სკოლას ევროპის 18 ქვეყნის 32 წარმომადგენელი ეწვია. ისინი გაეცნენ საქართველოს კულტურულ და ისტორიული ღირებულებებს. ორი კვირის განმავლობაში ახალგაზრდებმა მოიარეს საქართველოს ექვსი რეგიონი, დაათვალიერეს ღირსშესანიშნაობები, კულტურული ძეგლები, გაეცნენ ჩვენს ტრადიციებს. პროექტის მთავარი თემა იყო ქართული ცეკვა – უცხოელ სტუმრებს თავად მიეცათ შესაძლებლობა ესწავლათ ქართული ცეკვის ილეთები.

პროექტის დასასრულს თბილისში გაიმართა ევროპული საღამო, სადაც პროექტის მონაწილეებმა საკუთარი ქვეყნის კულტურა სტენდების მეშვეობით წარადგინეს. დამთვალიერებლებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ ევროპული ქვეყნების სამზარეულოს, ცეკვასა და სიმღერას.

პროექტი 28 ივლისს ბათუმში საზეიმოდ დაიხურა.

## საერთაშორისო თანამშრომლობა

საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ 2012 წელს 2 პროექტი განახორციელა — „ევროპის საბჭოს საზაფხულო უნივერსიტეტი“ და „ახალგაზრდობის კეთილდღეობა აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაში“.

„ევროპის საბჭოს საზაფხულო უნივერსიტეტი“ 27 ივლისს დაიწყო და 4 დღის განმავლობაში გაგრძელდა. პროექტი მიზნად ისახავდა ახალგაზრდული პოლიტიკის სფეროში არსებული გამოცდილების გაზიარებას. მსგავსი სახის პროექტი საქართველოში პირველად განხორციელდა. „ევროპის საბჭოს საზაფხულო უნივერსიტეტში“ მონაწილეობდნენ 30 ქვეყნის წარმომადგენლები, არასამთავრობო სექტორისა და ევროპის საბჭოს ახ-

ალგაზრდული კომიტეტის წევრები. ისინი გაეცნენ საქართველოში განხორციელებულ რეფორმებს და ახალგაზრდულ სფეროში მიმდინარე პროცესებს.

რაც შეეხება სიმპოზიუმს – „ახალგაზრდობის კეთილდღეობა აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაში“ – მისი მთავარი მიზანი იყო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარება, განხორციელებული პროგრამებისა და გამოცდილების გაზიარება. სიმპოზიუმს 40 ქვეყნისა და 100-მდე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ესწრებოდა. სიმპოზიუმში ევროპის საბჭოს, ევროკავშირისა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა.

ვეპო კვარაცხელია





# სპორტის ოლიმპიური სახეობები

## კიულო

**ლონდონის ოლიმპიური თამაშები**  
ლაშა შავდათუაშვილი — ოქრო

### ევროპის ჩემპიონატი

ვარლამ ლიპარტელიანი — ოქრო  
ლევან ჟორჟოლიანი — ვერცხლი  
ამირან პაპინაშვილი — ბრინჯაო  
ლაშა შავდათუაშვილი — ბრინჯაო

### ევროპის გუნდური ჩემპიონატი

საქართველოს ნაკრები — ოქრო

### მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი

საქართველოს ნაკრები — ბრინჯაო

### ევროპის ჩემპიონატი (ჭაბუკები)

ერეკლე არხოზაშვილი — ოქრო  
კობა მჭედლიშვილი — ოქრო  
ბექა ნათათრალიშვილი — ვერცხლი  
დავით რამაზაშვილი — ვერცხლი  
გიორგი კაციაშვილი — ბრინჯაო  
ბაჩანა ბოლქვაძე — ბრინჯაო

### ევროპის ჩემპიონატი (ახალგაზრდები)

ლევან მატიაშვილი — ოქრო  
ლერი ჭელიძე — ვერცხლი  
ვაჟა მარგველაშვილი — ვერცხლი  
ფრიდრიხ გიგანი — ვერცხლი  
ბექა ღვინიაშვილი — ვერცხლი  
ლევან გუგავა — ბრინჯაო  
გურამ თუშიშვილი — ბრინჯაო

## თავისუფალი ჭიდაობა

### ლონდონის ოლიმპიური თამაშები

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი — ვერცხლი  
დავით მოძმანაშვილი — ვერცხლი  
დავით მარსაგვილი — ბრინჯაო  
გიორგი გოგშელიძე — ბრინჯაო

### ევროპის ჩემპიონატი

დავით მარსაგვილი — ოქრო  
ბესიკ გუჩუაშვილი — ვერცხლი  
დავით ხუციშვილი — ვერცხლი  
მალხაზ ზარქუა — ბრინჯაო  
დავით მოძმანაშვილი — ბრინჯაო

### ევროპის ჩემპიონატი (ჭაბუკები)

ტარზან მაისურაძე — ბრინჯაო  
ომარ გურჯიძე — ბრინჯაო  
ბექა კახეთელიძე — ბრინჯაო

### მსოფლიოს ჩემპიონატი (ჭაბუკები)

ომარ გურჯიძე — ოქრო

### ევროპის ჩემპიონატი (ახალგაზრდები)

ჯუმბერ ყველაშვილი — ბრინჯაო

### მსოფლიოს ჩემპიონატი (ახალგაზრდები)

ლაშა ტალახაძე — ვერცხლი  
კონსტანტინე ხაბალაშვილი — ვერცხლი  
ჯუმბერ ყველაშვილი — ბრინჯაო  
გენო პეტრიაშვილი — ბრინჯაო

## ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

### ლონდონის ოლიმპიური თამაშები

რევაზ ლაში — ვერცხლი  
მანუჩარ ცხადაია — ბრინჯაო

### ევროპის ჩემპიონატი

მანუჩარ ცხადაია — ვერცხლი

### ევროპის ჩემპიონატი (ჭაბუკები)

რამაზ ზოიძე — ოქრო  
ირაკლი შავაძე — ოქრო  
ნიკა გავაშელი — ბრინჯაო

### მსოფლიოს ჩემპიონატი (ჭაბუკები)

გენადი ჩიტაძე — ვერცხლი  
რამაზ ზოიძე — ვერცხლი  
ბაკურ გოგოლი — ვერცხლი  
გელა ბოლქვაძე — ვერცხლი  
ბექა კანდელაკი — ვერცხლი  
ნიკა გავაშელი — ბრინჯაო

### ევროპის ჩემპიონატი (ახალგაზრდები)

ლევან არაბული — ვერცხლი  
რობერტ ქობლიაშვილი — ბრინჯაო  
იაკობ ქაჯაია — ბრინჯაო

### მსოფლიოს ჩემპიონატი (ახალგაზრდები)

თორნიკე ძამაშვილი — ვერცხლი  
შოთა გოგისვანიძე — ვერცხლი  
იაკობ ქაჯაია — ბრინჯაო

## კალოსნობა

### ევროპის ჩემპიონატი

რაულ ცირეკიძე — ოქრო  
ირაკლი თურმანიძე — ბრინჯაო

### ევროპის ჩემპიონატი (ჭაბუკები)

ირაკლი გაბრიაძე — ვერცხლი

### ევროპის ჩემპიონატი (ახალგაზრდები)

შოთა მიშველაძე — ვერცხლი  
გიორგი ლომთაძე — ბრინჯაო  
ლაშა ტლაშაძე — ბრინჯაო

## ფიგურული ციგურაობა

### ევროპის ჩემპიონატი

ელენე გედევანიშვილი — ბრინჯაო

## მშვილდოსნობა

### მსოფლიოს ზამთრის ჩემპიონატი

ქრისტინე ესებუა — ვერცხლი

## კრივი

### მსოფლიოს ჩემპიონატი (ახალგაზრდები)

ალექსანდრე დოკვაძე — ბრინჯაო

### ევროპის ჩემპიონატი (ჭაბუკები)

რატი ტლაშაძე — ბრინჯაო  
ნუკრი ადამია — ბრინჯაო

## ბურჯა

### (ახალგაზრდები)

ირაკლი ბოლქვაძე — ბრინჯაო

## ფარიკაობა

### ევროპის ჩემპიონატი (ახალგაზრდები)

ბექა ბაზაძე — ბრინჯაო

## ფიხბურთი

### ევროპის ჩემპიონატი (ჭაბუკები)

საქართველოს ნაკრები — ბრინჯაო

## მხატვრული ტანვარჯიში

### ევროპის ჩემპიონატი (ახალგაზრდები)

გაბრიელა ხვედელიძე — ბრინჯაო  
საქართველოს ნაკრები — ბრინჯაო



# სპორტის არაოლიმპიური სახეობები

## რამბი

**ევროპის ერთა თასი**  
საქართველოს ნაკრები — ოქრო

## სამგო

**მსოფლიოს ჩემპიონატი**  
გიორგი ბაინდუროვი — ოქრო  
ლევან ჟორჟოლიანი — ვერცხლი  
ნუკრი ბერაია — ბრინჯაო  
ბესო ბერულავა — ბრინჯაო  
ნიკოლოზ კუცია — ბრინჯაო

**ქალები**  
ირინე ლეონიძე — ბრინჯაო

**ევროპის ჩემპიონატი**  
უშანგი კუზანაშვილი — ოქრო  
ნოდარ მეტრეველი — ოქრო  
გენადი ჩირვაძე — ვერცხლი  
ლევან ნახუცრიშვილი — ვერცხლი  
ბესარიონ ბერულავა — ვერცხლი  
მირიან პავლიაშვილი — ბრინჯაო

**ქალები**  
ირინე ლეონიძე — ვერცხლი  
შორენა შარაძე — ბრინჯაო

**ევროპის ჩემპიონატი (ახალგაზრდები)**  
შმაგი ლაგაზაური — ოქრო  
ამირან იანვარაშვილი — ოქრო  
ავთანდილ მზარეულიშვილი — ვერცხლი  
მიხეილ ჩოხელი — ვერცხლი  
უშანგი კოკაური — ვერცხლი  
გიორგი მესაბლიშვილი — ბრინჯაო  
ალექსანდრე მილდიანი — ბრინჯაო

**ევროპის ჩემპიონატი (ჭაბუკები)**  
ომარ ნიაზაშვილი — ოქრო  
უშანგი მარგიანი — ოქრო

ზაურ მამარდაშვილი — ოქრო  
იოსებ მელაძე — ვერცხლი  
ზაზა როსტომაშვილი — ვერცხლი  
ლევან კირკიტაშვილი — ვერცხლი  
გიორგი ლაზუაშვილი — ვერცხლი  
ლერი ბედინაძე — ბრინჯაო  
ჯონი ქითანავა — ბრინჯაო

**ევროპის ჩემპიონატი (კადეტები)**  
თორნიკე ნაგლიაშვილი — ოქრო  
ჯაბა ქურდიანი — ოქრო  
გიორგი მეტრეველი — ოქრო  
ირაკლი გოგია — ოქრო  
დავით ოზბეთელაშვილი — ოქრო  
მიხეილ ახალაური — ვერცხლი  
ჯემალ ბუჩუნტელი — ბრინჯაო

**მსოფლიოს ჩემპიონატი (ახალგაზრდები)**  
ამირან იანვარაშვილი — ოქრო  
ირაკლი ლომიძე — ვერცხლი  
უშანგი კოკაური — ვერცხლი  
მიხეილ ნადარეიშვილი — ბრინჯაო  
მიხეილ ჩოხელი — ბრინჯაო  
თემურ ხაჩიძე — ბრინჯაო

**მსოფლიოს ჩემპიონატი (ჭაბუკები)**  
ომარ ნიაზაშვილი — ოქრო  
ლევან კირკიტაშვილი — ვერცხლი  
უშანგი მარგიანი — ვერცხლი  
ილია ოთიაშვილი — ვერცხლი  
ირაკლი კუპატაძე — ბრინჯაო  
გიორგი ნათათრალაშვილი — ბრინჯაო  
გიორგი ლაზუაშვილი — ბრინჯაო

## სუმო

**ევროპის ჩემპიონატი**  
ავთანდილ ცერცვაძე — ვერცხლი  
ავთანდილ ცერცვაძე — ვერცხლი

**გუნდური**  
საქართველოს ნაკრები — ვერცხლი

**ევროპის ჩემპიონატი (ახალგაზრდები)**  
გიგა გელაშვილი — ოქრო  
ზურაბ აქუბარდია — ოქრო  
ზურაბ აქუბარდია — ვერცხლი

**გუნდური**  
საქართველოს ნაკრები — ოქრო

**მსოფლიოს ჩემპიონატი (ახალგაზრდები)**  
გიგა გელაშვილი — ვერცხლი

## მკლავჭიდი

**ევროპის ჩემპიონატი**  
გენადი კვიციინია — ოქრო (მარჯვ.)  
გენადი კვიციინია — ოქრო (მარცხ.)  
ჯაბა გეთიაშვილი — ვერცხლი

**მსოფლიოს ჩემპიონატი**  
გენადი კვიციინია — ოქრო (მარჯვ.)  
გენადი კვიციინია — ოქრო (მარცხ.)  
ნიკოლოზ მათიაშვილი — ვერცხლი  
ჯაბა გეთიაშვილი — ბრინჯაო

## ჭადრაკი

**მსოფლიოს ჩემპიონატი (14-წლამდელები)**  
ნინო ხომერიკი — ვერცხლი

**ევროპის ჩემპიონატი (14-წლამდელები)**  
გიორგი სიბაშვილი — ბრინჯაო

**ევროპის ჩემპიონატი ბლიცში**  
ნანა ძაგნიძე — ბრინჯაო



# დავით ყიფიანი

# 60



**ფ**ეხბურთელის ნიჭიერება, ოსტატობა და დამსახურება მხოლოდ მატჩებისა და გოლების რაოდენობით არ იზომება. გულშემატკივართა წარმოდგენაში დავით ყიფიანი ყველა ტიტულის და ჯილდოს მფლობელია. ჩვენი მეხსიერება სათუთად ინახავს ყველაფერ იმას, რაც გულით, სიყვარულით და ერთგულებით გაკეთებულა. ამიტომაც განსაკუთრებით ფასეული და ძვირფასია დავით ყიფიანის საფეხბურთო ცხოვრება, მისი ბიოგრაფიის თითოეული ფურცელი. ყიფიანზე წერდნენ და ლაპარაკობდნენ, როგორც უბადლო ფეხბურთელსა და ნამდვილ ვირტუოზზე, გუნდის ლიდერსა და დირიჟორზე, რომელსაც ყველაფერი გამოსდიოდა: დრიბლინგი და ფინტი, მახვილგონივრული კომბინაცია და უზუსტესი პასი, უცაბედი შეტევა და ამ შეტევის გოლით დაგვირგვინება. ყიფიანი გონიერების, სხარტი საფეხბურთო აზროვნების და არტისტიზმის ცოცხალი განსახიერება იყო. მისმა თაობამ საქართველოს აჩუქა ყველაზე დიდი სიხარული, ქართულ ფეხბურთს კი არნახული გამარჯვება მოუტანა. ამ გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი იყო დავით ყიფიანი, რომლის თამაშმაც ასეთი სიტყვები ათქმევინა ჰელმუტ შიონს, ბობი ჩარტლონს, არტემიო ფრანკის, ფრენკ ტეილორს: „დინამომ მაყურებელს ვირტუოზული ნომრები უჩვენა. ყიფიანი შეუდარებელია;“ „ის, რაც ყიფიანს, ჩივაძეს, დარასელიას ბურთთან კონტაქტში შეუძლიათ, ბუნდესლიგის ნებისმიერი ფეხბურთელისთვის დიდი პატივი იქნებოდა;“ „ქართული გვარები ძნელი წარმოსათქმელია, მაგრამ ყიფიანი ყველას დაგვამახსოვრდა – ასეთი მოთამაშის დავინწყება შეუძლებელია;“ „თბილისელთა დიდი რეჟისორი მოედნის ბატონ-პატრონად მოგვევლინა. დღეს ვეროპაში ასეთი მასშტაბის ოთხი-ხუთი ფეხბურთელი თუ მოიძებნება.“

საფეხბურთო სრულყოფილება მარტო ოსტატობა არ არის. ეს არც მარტოდენ ბურთის ვირტუოზული ფლობაა და არც ზუსტი დარტყმა, თუმცა უამისოდ არ არსებობს სრულყოფილება. ეს არ არის მარტოდენ კომბინაციები და გოლები, თუმცა უამისოდ არ არსებობს თავად ფეხბურთი. სრულყოფილება ფეხბურთის სილამაზის იდეისადმი ერთგულებაა. დავით ყიფიანი სიციცხლის ბოლომდე ამ იდეის ერთგული დარჩა.





სპორტი - ეს ჯანსაღი ცხოვრების წესია, რომელსაც „ბორჯომი“ ირჩევს. სწორედ ამიტომ კომპანია IDS ბორჯომი საქართველო ყოველთვის მხარში უდგას ქართულ სპორტს, კერძოდ კალათბურთს, რაგბს, ფეხბურთს, ჩოგბურთს, მძლეოსნობას და სამთო-სათხილამურო სპორტს.

2012 წელს „ბორჯომი“ აქტიურად უჭერს მხარს კალათბურთის და რაგბის ეროვნულ ნაკრებებს. უკვე წლებია „ბორჯომი“ კალათბურთის ეროვნული ნაკრების გენერალური პარტნიორია.

კომპანია IDS ბორჯომი საქართველოს მიერ 2012 წელს განხორციელებული პროექტებიდან აღსანიშნავია არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც ქართველ მორაგბეებთან ერთად განხორციელდა. პროექტის მიზანი, რაგბის მეშვეობით მოზარდების რეაბილიტაციაა. პროფესიონალი მორაგბეების დახმარებით არასრულწლოვანებს პერმანენტულად უტარდებათ ვარჯიშები, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებულებს კი არასრულწლოვანთა დაწესებულების დატოვების შემდეგ სხვადასხვა ნაკრებში მოხვედრის შესაძლებლობა აქვთ.

„ბორჯომი“ წარმატებას უსურვებს ქართულ სპორტს და მომავალშიც მხარდაჭერას ჰპირდება!

Sport is a healthy way of life that is chosen by „Borjomi“.  
The company IDS Borjomi Georgia always stands for Georgian sports, particularly the basketball, rugby, football, tennis, athletics and Alpine skiing.

In 2012 „Borjomi“ has actively supported basketball and rugby national teams. For years, „Borjomi“ has been the general partner of the national basketball team.

Out of projects implemented by IDS Borjomi Georgia in 2012, noteworthy is the project for rehabilitation of juvenile offenders, which has been carried out together with the Georgian rugby players. The objective of the project is to assist in the rehabilitation of youngsters by means of the rugby. With the help of professional rugby players, the minors are constantly exercising and those who distinguish themselves by the exclusive talent will have a chance to get in various teams after leaving the juvenile institution.

„Borjomi“ wishes every success to the Georgian sports and will support it in the future!





[www.msy.gov.ge](http://www.msy.gov.ge)